ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

10

ოქტომბერი

1948

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი ცხრამეხუთე

10

ოქტომბერი

★

თბილისი

1948

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
გალაკტიონი	— სამი ლექსი	3
ელიზბარ ზედგინიძე	— დროშა, მოთხრობა	6
დავით ბაძრაძე	— გმირთა სისხლით, გაგრძელება	13
შალვა ამისულაშვილი	— ბაკურციხელი ნალბანდი, პოემა	35
გრიგოლ აბაშიძე	— ზემოსვანეთი, ლექსები	55
ვარლამ ჟურული	— ავტომობილი მოდის! ნარკვევი	58
ნინო აბაშიძე	— დედა, მოთხრობა	80
ხაჩატურ აბოვიანი	— სომხეთის წყლული, ნაწყვეტები რომანიდან, თარგმანი არტ. დავითიანისა	100
ლევან სულავა	— მთებში, ლექსი	107
პოლიკარპე კაკაბაძე	— დიმიტრი მეორე, პიესა	108
ვლ. ჭიაურელი	— ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორია, წერილი	131
სერგო კლდიაშვილი	— სანდრო შანშიაშვილი, წერილი	146
მიხ. ჭიაურელი	— მოსკოვის სამხატვრო თეატრი, წერილი	148
ვ. კუპრავა	— „ჰ. ჰაინეს ლექსები" — ბიბლიოგრაფია	151
ვ. იანქოშვილი	— გი დე მოპასანის ნოველათა ახალი თარგმანი, ბიბლიოგრაფია	153

პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი. ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), ბესარიონ ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 9¾ ფ. უე 02779. შეკვ. № 1240. ტირაჟი 6.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი ლექსი

ლენინურ კომკავშირს

★

ახალგაზრდობას

ახალგაზრდა კვლავაც გზნებით,
ხალხში უნდა ტრიალებდეს,
გრდემლსა სცემდეს და მინდვრადაც
მერანს მიაგრიალებდეს.

სადაც იგრძნობს უმართლობას —
ჟურისგებით იალებდეს,
კვლავაც რწმენის და სიმართლის
დროშას ააფრიალებდეს,

რომ ხელმარჯვედ მოქნეული
ომში ხმალი წკრიალებდეს,
რომ მტერს მისგან სასიკვდილოდ
ტანში გააჟრიალებდეს,

რომ ძშვიდობის დროს წიგნებზე,
ტყის ფოთლები შრიალებდეს,
რომ უხუცესთ მიმყოლი გზით
ახალს გააკრიალებდეს,

რომ სამშობლოს ერთგულების
ფიცის სიტყვა გრიალებდეს,
და სახალხო მგოსნის ჩანგიც
გამარჯვებით წკრიალებდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

ისევ ახალგაზრდობას

ცხოვრების ზღვაზე მენავეს
ტალღა სცემს ხმა-ონავარი.
სულის სიმტკიცე აქ გმართებს —
აი, რა არის მთავარი!

რაც ომმა ჩვენ მოგვაყენა
ჭრილობა სხვადასხვაგვარი
უნდა მოშუშდეს, აი რა,
აი რა არის მთავარი!

ძეცხიერება-კი მზეა,
ფუძეა, მტკიცე ჯავარი.
შრომა, ცოდნა და სიმართლე —
გვწაძდეს, ესაა მთავარი!

თუ ადამიანს გეტყვიან,
ძასზე ძვირფასი რა არი?
სახელი ადამიანის —
აი რა არის მთავარი!

გეკაფოსთ — რაც ულრანია,
აგევსოთ — რაც ხარვეზია.
საშშობლო — არ დაივიწყოთ,
საშშობლო — უმთავრესია!

★

ეგ არის და გორის ციხე!

ამბობდნენ, რომ აქ ბჭეები
ინგრეოდნენ — როგორც რიყე,
დღეს რომ სახლი აგვიგია, —
ეს არის და გორის ციხე!

ყოველ ახალ გამარჯვების
შემდგომ წესად შემოვიღე —
ალტაცებით შემოვსძახო:
ეგ არის და გორის ციხე!

ამბობდნენ თუ: რის სინათლე,
ყურთა სმენა ნუ წაიღე.
ძაგრამ აქ რომ სინათლეა, —
ეგ არის და გორის ციხე!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ომში ვიყავ. მტერს ბერლინი
მივუგრიხე, მოვუგრიხე,
ცხრა მაისით შემოვსძახე:
ეგ არის და გორის ციხე!

ოძს აქეთაც დიდი შრომის
დღე დღეებზე ვათარიღე.
გადახედეთ ქართლის ბაღებს, —
ეგ არის და გორის ციხე!

მაშ, წინ გასწი, შშენებელო,
გზას მიჰხედე, სტალინს მიჰყე.
ეგ არის და ჩვენი ძმობა,
ეგ არის და გორის ციხე!

ქ. გორი
1948

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ ზედგინიძე

დ რ ო შ ა

★

მზე ამოდიოდა ძალიან დიდი და ძალიან წითელი. ის თავის სხივებს ზევიდან არ აფრქვევდა იისფერ ნისლში გახვეულ ტყეებსა და ველ-მინდვრებს, სხივები ირიბად ეცემოდნენ გარემოს და ამიტომ ყველაფერი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. არ შეიძლება ითქვას, რომ მზის სიდიდე და მისი სისხლივით წითელი ფერი, როგორც მოხუცებმა იციან თქმა, სისხლისღვრის მომასწავებელი ყოფილიყოს, რადგან სისხლი უკვე იღვრებოდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კარგა ხანია მიდიოდა. მზის ამოსვლის წუთებშიც ჰქუხდნენ ზარბაზნები, სკდებოდნენ ყუმბარები, ტყვიამფრქვევთა ხმა კი მავთულებზე აზუზუნებულ ქარიშხლის წივილსა ჰგავდა. მაგრამ ამ ცეცხლში, ბრძოლის მწარე ორომტრიალში, მებრძოლები წინ მიიწევდნენ. უზარმაზარ კრაზანებივით ბზუოდნენ მძიმე ბომბდამშენები, ხშირად შემზარავი ზუზუნით ყირაზე ეშვებოდნენ, ჰაერში ცეცხლის ზოლის გავლებით კუდიან ვარსკვლავებს ემსგავსებოდნენ. ცა სავსე იყო ლითონის ფრინველებით...

აი, ასეთი გათენების წუთებში, ნანგრევთა შორის, თხრილის პირას, საღაც მრავლად ეყარა საომარი იარაღის ნამტვრევები, გადატეხილი ავტომატები, ტყვიამფრქვევების თვლები, ქვემეხების ლაფეტები და თვითმფრინავთა დაგრეხილი ფრთები, — ახალგაზრდა კაპიტნის ნეუსტროევის დაძახილზე დაეწყო ბატალიონი.

მებრძოლები მზისაკენ ზურგშექცევით იდგნენ, სამაგიეროდ ეს მზე სახეში უცქეროდა კაპიტანს და სინათლეს ჰფენდა მას.

ყველანი სდუმდნენ. მათ დუმილს ვერ არღვევდა ის ყრუ გუგუნი, რომელიც შორიახლო გაისმოდა და რომელიც თითქოს არ ეხებოდა მათ.

ჩამოქცეულ კედლებს შორის წითლად გამოანათა გაშლილმა დროშამ. მხოლოდ ერთად-ერთი მებუკე უკრავდა საზეიმო და სათაყვანებელ მუსიკას, მისი ხმა მაშინვე ჩასწვდა მებრძოლთა გულს. დროშას მოჰყვებოდნენ ხმალამოწვდილი მეომრები ამაყნი და თავმომწონენი.

— ლომებო! — მიმართა მათ კაპიტანმა, — თქვენ ხედავთ ქალაქს, რომელიც სისხლში ღებავდა ჩვენს მიწა-წყალს!..

კაპიტნის მკაცრ ხმაში გულკეთილობის სიმებიც ჟღერდნენ. ეტყობოდა, მძიმე ბრძოლებს, გადატანილ ჭირვარამს, შეეცვალა არა მარტო მისი იერი, არამედ გულიც და თუ მის ხმაში მაინც ისმოდა კეთილი გრძნობა, ეს იმიტომ რომ სასტიკ დღეებს მთლიანად მაინც ვერ გარდაექმნა მასში ერთხელ ჩანერგილი ბუნება.

სხვა დროს, სხვა გარემოებაში, თვითეული მებრძოლი ღიმილით გამოელაპარაკებოდა თავის საყვარელ მე-

თაურს, მაგრამ ახლა, ამ წუთში, როდესაც ბატალიონს დიდი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი, თვითეული მებრძოლი შუბლშეკრული და სმენად გადაქცეული იყო.

— აგერ გუმბათი!—ხმამაღლა წარმოსთქვა კაპიტანმა. ის მარჯვედ შეტრიალდა, ხელი გაიშვირა მაღლააწვდილ, იისფერ ნისლში გახვეულ შენობისაკენ.

— იმ გუმბათის ქვეშ ჩაბუდებულია ის ურჩხული, რომელიც კავკასიის მთებამდე შემოძვრა!

მებრძოლები ხედავდნენ გუმბათს. თვალწინ გადეშალათ განვლილი ბრძოლის სურათები... როგორ იხევდნენ უკან, როგორ შეაჩერეს მტერი, და თითქოს კავკასიონის მთაგრეხილს მიეყრდნენო, ზურგგამაგრებულებმა დაიწყეს მტრის დაძლევა.

ახალგაზრდა კაპიტანს აქედან მოჰყავდა თავისი ბატალიონი ცეცხლსა და წყალში, სიკვდილ-სიცოცხლის ვიწრო ბილიკით. ის მამასავით ზრუნავდა მათზე და სწორედ ისევე, როგორც მამებს სჩვევიათ, უცრემლოდ დასტიროდა ყოველ დაცემულ მებრძოლს.

— რომელ თქვენგანს სურს გმირობა? — მიმართა კაპიტანმა და თვალი გადაავლო ჩამწკრივებულ მეომრებს. მან შენიშნა, რომ ერთი წამის განმავლობაში ყველანი ფეხის ცერებზე წამოიწიენ, ალბათ ყველას ერთდროულად ერთი და იგივე სიტყვაც აღმოხდებოდა, მაგრამ ეს აღარ მოხდა, რადგან მწკრივის შუა გულიდან რამდენიმე ნაბიჯით წინ გამოვიდა სერჟანტი მიხეილ ეგოროვი. მან ვერც კი მოასწრო მეთაურის წინ გაჩერება, რომ გვერდში ამოუდგა მეორე სერჟანტი, ისიც პირველივით ნათელი ,სახის ახალგაზრდა. კმაყოფილებით, მაგრამ გულში დაფარული სინანულით შეხედა მათ კაპიტანმა, რადგან იცოდა, რომ ისინი სიცოცხლის შესაწირავად გამოვიდნენ. ამ ბატალიონში იგი ერთადერთი ქართველი იყო — შელიტონ ქანთარია...

— ჩაიბარეთ დროშა! — ეს დროშა უნდა აფრიალდეს რაიხსტაგის თავზე! — ბრძანა კაპიტანმა და მაღლააწვდილი გუმბათისაკენ ხელი წარმართა.

ჯარისკაცური მტკიცე და მოზომილი ნაბიჯებით მიდიოდნენ სერჟანტები დროშისაკენ. ერთად-ერთი მებუკე უკრავდა საზეიმო და სათაყვანებელ მუსიკას, რომლის ხმაც თავს ევლებოდა დროშას, მერე იზრდებოდა, იშლებოდა და სივრცეში იკარგებოდა.

სერჟანტები დროშის ქვეშ გაჩერდნენ.

შესცქერის დროშას ქანთარია. სიხარულით უცემს გული. ფიქრები შემოეხვივნენ მას. ამ დროშის ფარჩაზე საქართველოსაც ხედავს და ის ნატრობს... გადმოიხედოს ახლა საქართველომ, დახედოს თავის შვილს, რა მტკიცედ უჭირავს დროშა... და თავს ისე გრძნობს, თითქოს მართლაც დასცქერის საქართველო, სწორედ ისეთი, როგორიც მის გულში არის ჩაქსოვილი. განთიადისას ვარდისფერი, მაღლა ფირუზი, ძირს ზურმუხტი, ღამით ვარსკვლავებით გულავსებული, მარგალიტებით მოჭედილი ირმის ნახტომით და დიდი, ძალიან დიდი, მთვარით... არ იცის საქართველოში ავდარი, არ იცის ქარიშხალი. არც შემზარავი ყინვა, არც ბნელი ღამე. მას მხოლოდ ლამაზი საქართველო ახსოვს, გაზაფხულის მაგვარი, აყვავებული...

და ფიცულობენ მისი ბაგენი:

„დიახ, მაღლა, მაღლა მეჭირება... სიცოცხლეზე უფრო მაღლა! გამარჯვების მწვერვალთან. სიკვდილს გადავაბიჯებ... გადავთელავ... ძირს კი არ დავხრი... ვფიცავ!

მუსიკა შეწყდა.

ამ ბატალიონიდან ჩვიდმეტი მედროშე დაეცა ჩვიდმეტზე მეტი ქალაქის განთავისუფლების დროს. ბატალიონი

არ იყო სავსე. ილეოდა, მაგრამ მას მაინც დავალებული ჰქონდა მტრის დედაქალაქში პირველად შეჭრა. ბატალიონს კი მედროშეებად მიუძღოდა ორი კომკავშირელი სერჟანტი — მელიტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი.

*
* *

სერჟანტები დაჰქანცა ბრძოლაში განვლილმა დღემ. სწორედ ამ დაღლილობის გამო შუაღამის გადასულსაც ძილი არ ეკარებოდათ; სანგარში, მიწის სასთუმალზე თავი მიედოთ და ფიქრებს მისცემოდნენ. მელიტონს თვალწინ გადაეშალა მშობლიური სოფელი. მის წინ აღიმართნენ უშბა, თეთნულდი. ზათქითა და ხმაურით ენგურმაც ჩაიგრიალა. წარმოიდგინა დედა, მამა, მოხუცი პაპა, რომელიც პატარა მელიტონს ხის ძირში გვერდზე მოისვამდა და არამხუტუზე ზღაპარს უყვებოდა.

გაახსენდა ბავშვობა. მოიგონა მარულა — თავისი პირველი გამარჯვება... მაშინ მელიტონი თორმეტი წლისა იყო. იმ დღეს ენგურს გაღმა და გამოღმა სოფლებიდან სამასწლოვანი ცაცხვის ირგვლივ თავს იყრიდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

ფიქრებმაც გაიტაცეს მელიტონი და რომ მათგან თავი დაეღწია, ხმადაბლა შეეკითხა გვერდში მყოფ მეგობარს.

— არ გეძინება, მიშა?..

— არა! — მოკლედ უპასუხა ეგოროვმა, რომ საუბრისათვის თავი აერიდებინა

— დაიძინე, ძმაო, დაიძინე!

— არ მეძინება!..

მეგობრები ისევ გაჩუმდნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაისმა მათი ჩურჩული:

— მიშა!

— რა?

— გინდა ჩვენებური ნანა გიმღერო? უსათუოდ ჩაგაძინებს, ძალიან ტკბილია,—გაეხუმრა მელიტონი.

— რა დროს ნანაა?—გაეცინა ეგოროვს და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა. — ახლა ნანა კი-არა, თქვენებური ღვინოც ვერ დამაძინებს, ბიჭო!

— შენ ასე გგონია, აბა ყური დამიგდე?!.

მელიტონმა თვალი დახუჭა და ძალიან დაბალი ხმით წამოიწყო:

„დიდა ვოი, ნანა, დიდა ვოი, ნანა“...

ეგოროვი სდუმდა და უსმენდა. ქანთარია ერთი და იგივე სიტყვებს შეუცვლელად იმეორებდა.

ამ დროს შუშხუნების ხან წითელი, ხან ლურჯი, ხან იასამნის ფერი ზოლები ეფინებოდნენ ცას. ცეცხლის გამონაკრთომები კი ვარსკვლავებამდე ადიოდნენ. და მელიტონი ისე გრძნობდა, თითქოს უზარმაზარ აკვანივით ირწეოდა დედამიწა, რომ მთელს ქვეყანას ჩასძინებოდა.

გარიჟრაჟის სინათლე თანდათან შემოიპარა მიწურში, თითქოს გაზაფხულის ნელმა ნიავმა თავის მსუბუქ ფრთებზე შემოაქროლაო.

— ადექით! შეტევა იწყება! — შორიდან ჩურჩულით მოვიდა ეს სიტყვები. ამ სიტყვებმა გამოიარეს ასობით ადამიანის გული და დაძაბეს იგი. მებრძოლები ფეხზე წამოიჭრნენ...

ბატალიონი იერიშზე გადავიდა.

*
* *

ბერლინი იწვოდა, შავი კვამლის მძიმე ღრუბელი ჩამოსწოლოდა. ამ კვამლში გაზაფხულის მზე ყვითელ ლაქასავით მოსჩანდა. მაღალ შენობებს შორის მოქცეული ვიწრო ქუჩები ღრმა ხევებს ჰგვანდნენ. მთელი ქალაქი მძვინვარებდა, სწორედ ისე, როგორც გალიაში მომწყვდეული მხეცი, რომელიც თავის აღსასრულს გრძნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარცხების მაუწყებელი ჩრდილები ჩამოსწოლოდა რაიხსტაგს, ბრანდენბურგის კარიბჭეს, ვილჰელმ პირველის ძეგლს. დაჩრდილულიყო მრისხანე იმპერატორის ძეგლი. მისი პიედესტალის კიბეები მიიმართებიან მაღლა — იმპერატორის ფეხთა ტერფამდე. გრანიტისაგან გამოკვეთილ ოთხ უზარმაზარ ლომს დაუღიათ ხახა და მსოფლიოს ოთხივე მხარეს იცქირებიან.

რაიხსტაგიდან ხუთას ნაბიჯზე, ჰიმლერის სახლში, იერიშზე გადასასვლელად გამზადებულა ბატალიონი. შუადღის გადასულს ამ შენობიდან გამოვიდა ორი მებრძოლი. ერთ მათგანს დაკეცილი დროშა და ხელყუმბარა ეჭირა, მეორეს ავტომატი. ისე მიდიოდნენ, თითქოს შხაპუნა წვიმას თავს არიდებენო. წვიმდა, ოღონდ ცეცხლით და ტყვიით. მებრძოლებს უნდა გადაეჭრათ მოედანი, რომელიც ნანგრევებით იყო დაფარული. მოედანს შუაზე ჰყოფდა ახლად გათხრილი წყლით დაფარული არხი. აქ ორივენი პირქვე დაემხვნენ და თვალი გააყოლეს არხს. ეძებდნენ გადასასვლელ ადგილს. ქანთარიამ თვალი მოჰკრა არხზე გადებულ მილს.

— აგერ გზა! — წასჩურჩულა მელიტონმა.

ეგოროვმა მიიხედა. მანაც შენიშნა მსხვილი მილი, რომელიც წყალზე მხოლოდ ერთი მტკაველით მაღლა იყო გადაყვანილი.

— მელიტონი პირველი გაეშურა მილისაკენ.

შეფოფხდა. მთელი სხეულით ზედ მიკრული, ნელინელ მიიწევდა წინ. დროდადრო უკან იხედებოდა, მეგობარს ეკითხებოდა:

— მომყვები?

— მოვდივარ!

არხის მეორე ნაპირზე გადავიდნენ თუ არა, მაშინვე, ნახევრად წელში-მოხრილნი გაიქცნენ რაიხსტაგის სადარბაზო კარისაკენ.

ცხელი ლითონის წვიმა მოდიოდა. ჰაერისა და მიწის ყოველი მტკაველი გამოთოფილი იყო. მოულოდნელად ეგოროვი წაიქცა, ქანთარიამ ხელი შეაშველა და შეშფოთებული შეეკითხა:

— დაიჭერი?

— არა! — უპასუხა მაშინვე და შეეცადა დროშაც და ავტომატიც ერთ ხელში მოექცია, რომ ზეზე წამომდგარიყო.

ქანთარიამ დროშა გამოართვა.

— ადექი, მომყევი! — უთხრა წყნარად, მაგრამ მღელვარება მაინც ეტყობოდა.

მათ რამდენიმე ნახტომი გააკეთეს და ქვის გროვილებთან ისევ ჩაწვნენ. აქედან მათ ათი ნაბიჯილა აშორებდა რაიხსტაგს.

შენობის ჩამტვრეულ ფანჯრებიდან შენიშნეს ეს ორი მეომარი, რომელნიც ასე მოურიდებლად მიდიოდნენ მტრისაკენ. სროლა აუტეხეს. ტყვიები ამსხვრევდა ქვებს და ნამსხვრევებს კი სახეზე აყრიდა მათ.

ამ დროს იერიშზე გადმოსულმა ბატალიონმა არხი გადმოვლო. რაიხსტაგში ჩამსხდართა ყურადღება მიიპყრო მან და ცეცხლიც მათკენ გადაიტანეს.

ქანთარიამ და ეგოროვმა ამ წუთით ისარგებლეს, რამდენიმე ნახტომით რაიხსტაგის სადარბაზო კარში შევარდნენ. ელვისსისწრაფით შეიჭრნენ პირველ სართულში. პირველი შეტაკება აქვე მოუხდათ. ავტომატის მოკლე ჯერებით იგერიებდნენ წინ მდგარ მტერს. გერმანელებმა დაინახეს დროშის ტარი, რომელზეც ოდნავ შეხსნილი წითელი ქსოვილის ზოლი მოჩანდა და უფრო გამძვინვარდნენ. სიკვდილის წინა წუთების საშინელებით დაეგრიხათ სახეები. შეეცადნენ დროშის ხელიდან გამოგლეჯას, მაგრამ

ამაოდ. თვით სიკვდილიც კი ცდილობდა ქანთარიასთვის ხელიდან გამოეგლიჯა ეს დროშა, მაგრამ სიკვდილიც უძლური იყო. მაგრად ჩაჭიდული მისი ხელი, ძარღვიანი თითების წვრილი, მაგრამ მაგარი ძვლები, ისე მტკიცედ იყო ჩაბღაუჭებული დროშის ტარზე, რომ ზედ შეზრდილი გეგონებოდათ.

ქანთარიამ მეორე სართულის კიბესთან მიირბინა. კედლის კუთხეს ამოეფარა და ხელყუმბარა ისროლა. აფეთქების კვამლი ჯერ არც კი გაფანტულიყო, რომ მან სწრაფად აირბინა კიბეები. ის ფეხქვეშ გრძნობდა ადამიანთა სხეულსაც, მოწინააღმდეგეებს ეჯახებოდა კიდეც, ხელითაც კი სწევდა მათ და ისე ითავისუფლებდა გზას. თავბრუდასხმულნი და მოულოდნელობით შემკრთალნი ემორჩილებოდნენ მის ნებას, როდესაც გონს მოვიდნენ, უკვე გვიან იყო.

ბატალიონიც შემოიჭრა შენობაში, მებრძოლები მოეფინენ ყველა დერეფანს, ყველა ოთახს, ყველა კიბეს. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა კორდახებით, ხიშტებით, ხელყუმბარებით.

ამ დროს ორი მედროშე მიიწევდა სულ მაღლა და მაღლა. მათ არც კი იცოდნენ გზა სახურავისაკენ, მაგრამ ალღოთი მიჰყვებოდნენ ყოველ კიბეს, რომელთაც კი ზევით შეეძლო მათი აყვანა.

აი, თავი აჰყვეს სახურავზე. უზომო მღელვარებამ სიხარულიც კი გადააციწყათ. მძლავრად უცემდათ გული, მოწოლილი სისხლი სახის ძარღვებს უჭიმავდა. ქანთარიამ მიირბინა ვეებერთელა გუმბათისაკენ, რკინის კიბეებით სწრაფად აძვრა ზედ და ღრმად ამოისუნთქა. აქამდე დახვეული, ნატყვიარი, დროშა გაშალა, ხელში კარგად მოიმარჯვა და ჰაერში რამდენჯერმე ააფრიალა. მერე ჩამოჰგლიჯა სვასტიკიანი ბაირაღი და ძირს დააგდო. მის ადგილზე აღმართა წითელი დროშა, რომელიც გამარჯვების მწვერვალისაკენ ბრძოლით ამიჭრნდა. დროშის მკვეთრი სიწითლე სწორდა ჰაერში აშლილ კვამლს და მთელი თავისი სიდიადით ბრწყინავდა უზარმაზარ ქალაქზე.

რამდენიმე წუთის შემდეგ მედროშენი ბატალიონის მეთაურს წარუდგნენ და მოახსენეს:

— სამშობლოს ბრძანება შესრულებულია. გამარჯვების დროშა რაიხსტაგის გუმბათზე ფრიალებს!

*

* *

თენდებოდა მაისის პირველი დილა, იმ დროშის სადღესასწაულო დღე, რომელიც რაიხსტაგის თავზე ფრიალებდა. სარდაფში მომწყვდეული ფაშისტები არ ნებდებოდნენ. გარიჟრაჟზე შეტევაზე გადავიდნენ. ისინი მიადგნენ სარდაფიდან ზევით ამავალ კიბეებს. შეიჭრნენ პირველი სართულის ოთახებში, თავიანთი ჯარისკაცების გვამებზე გადადიოდნენ და ავიწროებდნენ ჩვენებს.

განსაცდელი იწყებოდა.

კომკავშირელებმა საგანგებო კრება მოიწვიეს.

პრეზიდიუმში, ავტომატებითა და ხელყუმბარებით ხელში, ოთხი მეომარი იდგა — ქანთარია, ჩუბოვი, კუხტა, ივანოვი. ჩვიდმეტი ახალგაზრდა მეომარი ზოგი კედელს მიყრდნობოდა, ზოგი იდაყვით დაბჯენოდა მაგიდას, ზოგიც შემომტვრეულ ფანჯრებისკენ იცქირებოდა, უსმენდნენ ქვემეხების ხმას და ყოველი გასროლის შემდეგ ჩუმად თავიანთთვის დააყოლებდნენ ხოლმე: — ჩვენია!.. ჩვენია!..

დარბაზში კედლებთან მიმდგარი იყო რბილი სავარძლები, ფართო და განიერი დივნები, მაგრამ კრების არც ერთ მონაწილეს წამითაც არ გაუფიქრნია დაჯდომა. ყველანი ფეხზე

იდგნენ. ეფრეიტორ ივანოვს ცალი ფეხი ხავერდგადაკრულ სავარძელზე ედო, რომ მუხლი აემაღლებინა და ქალალდის ფურცელზე კრებაზე დამსწრეთა გვარები აღენიშნა.

დღის წესრიგში ერთად-ერთი საკითხი იდგა:

— რაიხსტაგის გაწმენდა მტრისაგან...

კომკავშირელი კაპიტანი ნეუსტროევი მოხსენებით გამოვიდა. მისი სიტყვა მოკლე იყო. ბრძოლის დიდ გზაზე ბრძანებებს მიჩვეული მეთაურის სიტყვა ახლაც ბრძანებას ჰგავდა: — უნდა მოვიგერიოთ კონტრშეტევა! ისეთივე დიდია კომკავშირელთა როლი რაიხსტაგის შენარჩუნებაში, როგორც მის აღებაში იყო. ვინ აღმართა დროშა რაიხსტაგზე? კომკავშირელებმა!.. ჩვენ უნდა გავწმინდოთ რაიხსტაგის შენობა.

კაპიტანმა სიტყვის დამთავრება ვერც კი მოასწრო, რომ ადგილიდანვე დაიწყო ეფრეიტორმა ჩუბოვმა:

— გუშინ პირველ სართულზე მე კომკავშირის რიგებში შემოვედი. დღეს მესამე სართულზე პირველად გამოვდივარ კრებაზე. ვიდრე მესამე სართულზე ამოვიდოდით, ჩვენ დავკარგეთ შვიდი კომკავშირელი ამხანაგი. ისინი მსხვერპლად შეეწირნენ ამ მოკლე გზის გავლას, მაგრამ დიდ გამარჯვებას. ჩვენ ამაოდ ვერ ჩავატარებთ ამ სართულებზე დაღვრილ სისხლს. მოგიწოდებთ, ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე! რაიხსტაგს არ დავთმობთ! ჩვენ გვიცქერის მთელი არმია! ჩვენ გვიცქერის სტალინი!

ქანთარიამ მაგიდაზე ხელი დააკაკუნა.

— დრო აღარ იცდის! — სთქვა მან. ყველა მას მიაცქერდა. მან კი ივანოვს კრების ოქმი გამოართვა და ისევ მოკლედ მიმართა, — ხელი მოვაწეროთ და დავამთავროთ. მერე უბეში ხელი ჩაიყო. პატარა ფანქარი ამოიღო. ფანქრის წვერს დახედა. სახეზე შეეტყო, რომ არ ესიამოვნა. ფანქარს წვერი მოსტეხოდა. მას ფრჩხილებით ხე შემოაგლიჯა და შავი გრიფელი ოდნავ გამოაჩინა. ოქმს ხელი მოაწერა და მის გვერდში მდგომ ჩუბოვს გადასცა. მანაც ხელი მოაწერა. ბოლოს ოქმი ივანოვს გადასცეს, როდესაც ივანოვმაც ხელი მოაწერა, დადგენილება ხმამაღლა წაიკითხა:

— კონტრიერიშის მოგერიების საქმეში პოლკის კომკავშირელები პირველ რიგებში ვიდგეთ და ყველასათვის მაგალითის მაჩვენებლები ვიყოთ. ბრძოლაში, ამხანაგებო!

კითხვა დაამთავრა თუ არა, ივანოვმა კრების ოქმი ოთხად დაკეცა და უბეში კომკავშირულ ბილეთში ჩაიდო.

მებრძოლები დერეფანში გავიდნენ.

ქვედა სართულებიდან კვამლი ამოდიოდა, დერეფანი ამ კვამლს დაეფარა. მებრძოლებს სუნთქვა უჭირდათ, ეწოდათ ყელი, თვალები. ნისლივით გაშლილ კვამლში ერთმანეთს ცუდად ხედავდნენ. მხოლოდ ხმაზე სცნობდნენ ერთიმეორეს.

ქანთარიას ფიქრმა გაუელვა: — მტერი სახურავისაკენ არ გაჭრილიყო, დროშა არ ჩამოეხსნა. — გამომყევით! — დაიძახა მან და იმ კარისკენ გაეშურა, საიდანაც გუშინ გუმბათზე ავიდა.

დაძახილზე ერთი ჯგუფი მას გაჰყვა. მეორე ჯგუფი კაპიტანმა წაიყვანა. ისინი ქვედა სართულისაკენ გაეშურნენ.

ქანთარიამ კარი გამოაღო და ბნელი კიბით ავიდა მაღლა. უკან მიჰყვებოდნენ მებრძოლები. კიბემ ისინი მაღალჭერიან დარბაზში აიყვანა. აქედან ძირს ჩაიხედეს და ქვევით ჰიტლერელთა დიდი ჯგუფი დაინახეს. ისინი კარების შემტვრევას ლამობდნენ. საბჭოთა მებრძოლებმა რამდენიმე ხელყუმბარა ჩააგდეს ძირს. მოულოდნელობით თავზარდაცემულ გერმანელებს იმავე

წეთს თავს დაესხნენ. მტერმა გაქცევა დააპირა, მაგრამ გაქცევასაც ვერ ახერხებდნენ და ხელებაწეულნი გაჩერდნენ მებრძოლების წინ.

ქანთარია მიხვდა, რომ ამ გზიდან მტრის ზურგში შეიძლებოდა გასვლა. უცბად ათეული დარაზმა და წინ გაუძღვა.

გატიალებულ დარბაზებში და დერეფნებში, სადაც მძიმე კვამლთან ერთად ცეცხლის ენებიც დაფარფატებდნენ, ხელჩართული ბრძოლა მიდიოდა. ფაშისტებმა, თავიანთ ზურგში საბჭოთა მებრძოლები რომ დაინახეს, საბოლოოდ სულით დაეცნენ და დანებდნენ. ხელებაწეულნი გადიოდნენ გარეთ.

*
* *

კომკავშირელებმა გვარები ამოიკითხეს.

დაძახილზე ექვსჯერ არ იყო პასუხი. ექვსჯერ ჩამოვარდა მოწყენილი დუმილი. ეგოროვი ხმადაბლა ამბობდა: — არ არის!.. არც ეს არის!.. დიახ, არც ეს!..

ეგოროვი და ქანთარია ერთად გაბრუნდნენ იმ გზით, რომელიც ბრძოლით გამოიარეს.

ერთ-ერთ ოთახის ზღურბლთან პირაღმა იწვა ივანოვი. მას ხელში უჭირა ხელყუმბარა, რომლის გასროლაც ვერ მოესწრო. სიკვდილს მისთვის თვალთა ქუთუთოები მხოლოდ ოდნავ ჩამოეწია. ის ცოცხალს ჰგავდა.

ქანთარიამ ხალათის საყელო შეუხსნა, დაიხარა, ცალ მუხლზე დაეყრდნო და მკერდზე ყური ისე დაადო, თითქოს გულზე მიეხუტაო. მას უნდოდა გაეგო საყვარელი მეგობრის გულის ცემა, სუნთქვა, მაგრამ მუდამ მღელვარე ის სამუდამოდ გაჩერებულიყო. ქანთარიამ თავი მაღლა ასწია და ნაღვლიანად შეხედა ეგოროვს.

დაღუპულ მეგობარს უბიდან კომკავშირის ბილეთი ამოუღეს. შიგ იდო ოთხადგადაკეცილი ქაღალდის ფურცელი. ქანთარიამ გადაშალა და თვალი გადაავლო სულ რამდენიმე საათის წინათ ივანოვის მიერ დაწერილ ოქმს, რომელიც კომკავშირელებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

დაღამდა. მაისის ვარსკვლავებიანი ცა დასცქეროდა ამაყადაფრიალებულ გამარჯვების დროშას და ამავე დროშას თავს ევლებოდნენ კომკავშირელი სერჟანტების უძილო ღამის მოუსვენარი ფიქრები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

გმირთა სისხლით*

★

II

წინათაც აღვნიშნე, რომ მოსახლეობა ყველგან ჩვენს მხარეზე იყო. ყოველ სოფელში მისვლისას მცხოვრებლები ძალზე გულთბილად გვხვდებოდნენ. როგორც პარტიზანს დაინახავდნენ — წრფელი და განუზომელი სიხარული აღიბეჭდებოდა ხოლმე მათ სახეზე; გულღია სტუმართმოყვარულობით გვეგებებოდნენ, სიმღერითა და ყვავილებით გვაცილებდნენ.

ასე მივდიოდით წინ. კეთილმოწყობილ, მოასფალტებულ გზებს ვერიდებოდით. ამ გზებზე მუდამ მტრის მანქანები იყო დაწალიკებული ამიტომ ჩვენც სასოფლო გზებზე და ტყეში გაჭრილ ბილიკებზე მივდიოდით. ტყის გზები, კონსპირაციის დაცვის თვალსაზრისით — პირდაპირ მისწრებაა. შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო, — უთქვამს ჭკვიან ხალხს. ეს თქმულება ჩვენზე ზედგამოჭრილი იყო.

— კოვპაკის პარტიზანები ამადაამდროს, ამადაამადგილას უნახავთო, — მიჰქონდათ ხოლმე მტერთან ცნობა. ამ ცნობის მიხედვით მტერი ძალებს დააგროვებდა და დაგვედევნებოდა, მაგრამ სანამ იმ ადგილამდე მიაღწევდნენ, სადაც ჩვენ ვეგულებოდით, ამასობაში ათეულ კილომეტრებს გადავირბენდით ხოლმე.

და აი მთის პატარა, სწრაფ მდინარე სბრუჩზე გადავედით და სოფელ ზვინიაჩის მახლობლად ტყეში დავბანაკდით. სბრუჩზე ოდესღაც ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის საზღვარი გადიოდა. ამ ტყეში მტრის ორი თვითმფრინავი კვლავ თავს დაგვესხა: ქალაქ სკალატიდან მოგვდევდა ეს ორი „მესსერშმიდტი“, ახლაც ქორებივით ტრიალებდნენ ტყის თავზე და ყუმბარებს გვიშენდნენ.

თავდასხმის დროს, ტყეში, თვითმფრინავებიდან ჩამოყრილმა ყუმბარებმა ოთხი პარტიზანი მოგვიკლეს; ამ შემოჩვეულმა სვავებმა პირდაპირ საქმე გაგვიჭირეს: პურს ველარ ვაცხობდით, საჭმელს ვერ ვხარშავდით, ცეცხლის დანთებისა გვეშინოდა; ჰაერის ბანდიტები პირდაპირ დაგვყურებდნენ და სულ იმის ცდაში იყვნენ — ეგებ კვალი დავინახოთ სადმე, რომ თავს დავესხათ პარტიზანების ბანაკსაო.

ამ ორ თვითმფრინავს მალე სხვებიც მიემატნენ... დილით ადრიანად მოფრინდებოდნენ ხოლმე... როგორც კი მესერის ღმუილს მოჰკრავდნენ ყურს, პარტიზანები იმავე წამს იარაღსა სტაცებდნენ ხელს, მაგრამ სროლას არ ვანებებდით. თოფის გასროლა გასცემდა ჩვენს ბანაკს. აქაც სიფრთხილე იყო საჭირო. „მესსერშმიტების“ ხრბო-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6, 7, 8.

ლა ტყის თავზე, სულ უკანასკნელი, ნახევარი საათით გრძელდებოდა, შემდეგ სწრაფად გაქრებოდნენ, და მერე კვლავ გამოჩნდებოდნენ.

თორმეტ ივლისს მდინარე დნესტრს მივუახლოვდით, მისი სანაპიროების ძტრისაგან გასაწმენდად მოვემზადენით. ეს ადვილი ოპერაცია არ იყო. დნესტრის გადასასვლელები გერმანელებს საგანგებოდ გამაგრებული ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ეს ბრძოლა აუცილებელი იყო. დნესტრზე გადასვლა სწყვეტდა დრაგობიჩის ნავთის საბადოების ხელში ჩაგდების საკითხს.

ჩვენ ჯერ დნესტრის პარალელურად ძიმავალ გზას ავყევით, გადასასვლელებს ვეძებდით, მაგრამ ფონი ვერ ვიპოვეთ. მაინც სწრაფად მივიწევდით წინ, ღამეში ორმოცდათ-სამოც კილომეტრს გავდიოდით.

ამ ხანებში მზვერავებმა ამბავი მოიტანეს: მთელი ლვოვი შეწრიალებულია, გერმანელებმა თავისი ჯარები ფეხზე დააყენესო. მართლაც დანაშდვილებით გავიგეთ, რომ ნორვეგიიდან წამოსული, აღმოსავლეთის ფრონტზე მიმავალი ეშელონები გერმანელებმა ლვოვში გააჩერეს და პოლკები მატარებლებიდან გადმოსხეს, რათა ჩვენს წინააღმდეგ წამოეყვანათ.

ჩვენი პარტიზანული შენაერთის ხელმძღვანელობამ ამ ცნობების მიღებისთანავე სასწრაფო ზომები მიიღო: გამოჰყო სამი ასეული და მათს მეთაურებს — კარპენკოს, გორლანოვს და ლენკინს უბრძანა — სწრაფი და შედგარი დარტყმით დნესტრის ხიდი აიღეთო. ეს ხიდი ეკლიანი მავთულის ღობეებით და დაცემენტებული სიმაგრეებით იყო დაცული. გორლანოვმა და კარპენკომ ხიდის მახლობლად, დნესტრის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე ნავები შეამჩნიეს. მათ ამით ისარგებლეს, ბნელი ღამით ეს ნავები ახსნეს და დნესტრის მეორე ნაპირზე მეომრები გადასხეს. ერთი მხრიდან გაღმაგასულმა პარტიზანებმა, მეორე მხრიდან, გამოღმამყოფებმა ერთდროულად შეუტიეს მტერს. ლენკინის ცხენოსნები ელვისებური სისწრაფით მიიჭრნენ ხიდთან; მას თან გორლანოვისა და კარპენკოს პარტიზანები მიჰყვნენ. ნახევარი საათის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მამაცმა მებრძოლებმა გაჟლიტეს ხიდის მცველი რაზმი, ისე რომ გერმანელებმა ხეირიანად იარაღის აღებაც ვერ მოასწრეს. ამ სახელოვან ბრძოლას პირადად კომისარი რუდნევი ხელმძღვანელობდა. მეკავშირეებმა შენაერთს სასწრაფოდ აცნობეს — ხიდი გაწმენდილიაო. ამ დროს პარტიზანული შენაერთის მთავარი ძალა ხიდიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით იდგა. ცნობის მიღებისთანავე პარტიზანები შევსხით ცხენებზე და რამდენიმე წუთში უკვე ხიდთან ვიყავით, ვშიშობდით მტერს არ მოესწრო და ხიდი კვლავ ხელთ არ ჩაეგდო. გარიჟრაჟზე შენაერთი დნესტრის მეორე ნაპირზე იყო გადასული. ჩვენი მენაღმეების ჯგუფმა მეორე ბატალიონის უფროსის კულბაკას ხელმძღვანელობით ხიდი ააფეთქა და დასწვა.

ხიდისათვის ბრძოლაში მოგვიკლეს ერთი პარტიზანი და დასჭრეს კომისრის ძმა — კოსტია რუდნევი.

ადგილობრივი მოსახლეობა აქაც მეგობრულად შეგვხვდა. საზღვარი არ ჰქონდა მათ სიხარულს, როდესაც გაიგეს მტრის დამარცხება. დილით ადრე მცხოვრებლები ბინებიდან გამოცვივდნენ, ხიდიდან დაშორებით დადგნენ და გაუბედავად იწყეს კითხვა:

— მართლა განდევნეთ მტერი?.

როდესაც დარწმუნდნენ, რომ გამარჯვება ჩვენს მხარეზე იყო, ახლო მოვიდნენ და მოგვილოცეს.

— გაფაციცებული ვადევნებდით თვალყურს თქვენს წუხანდელ ბრძოლას, — ამბობს მოხუცი გლეხი. მას რატომღაც ქუდი მოუხდია და ხელში უჭირავს.

— მთელი ღამე ჭექა-ქუხილი ისმოდა, ძილი არ მოგვკარებია, თქვენი გამარჯვებისათვის ვლოცულობდით,— უმატებს მეორე.

— ჯერ კიდევ გათენებული არ იყო და სროლა შეწყდა. ნეტავ რა ხდება ბრძოლის ადგილზე? ვფიქრობ, — განაგრძობს ისევ მოხუცი, — ჩვენებმა გაიმარჯვესო, — მითხრეს, — მტერი გაანადგურეს და დნესტრის ორივე ნაპირი ჩვენების ხელში არისო. არ დავიჯერე. თავისი ჯარების უძლეველობაზე ჩაგვჩიჩინებენ მუდამ გერმანელები. მათი გასარეკად ერთი ღამე თუ იყო საკმარისი, ამას როგორ წარმოვიდგენდი?! — დაასრულა სიტყვა მოხუცმა და ქუდი თავზე დაიხურა.

თეთრად გათენდა. მზის პირველმა სხივებმა ვერცხლისფრად ააფერადეს დნესტრის ლაჟვარდოვანი ტალღები. ხიდთან, გალმა-გამოლმა ჯერ ისევ ეყარა მტრის ჯარისკაცთა გვამები.

ის იყო გლეხებთან ლაპარაკი დავამთავრეთ, რომ ლვოვის ისარივით სწორ და განიერ, მოკენჭილ გზაზე ჩვენსკენ მომავალი მსუბუქი ავტომანქანა გამოჩნდა. ეჭვი არ იყო, მანქანაში მსხდომებმა არ იცოდნენ, თუ რა მოხდა აქ წუხელ ღამით. პარტიზანები მიიმალ-მოიმალნენ ხიდის მახლობლად გათხრილ ტრანშეებში და მანქანის მოახლოვებას გარინდული ელოდნენ. აგერ მანქანა სულ ახლოს მოვიდა, სვლას უკლო და ხიდიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე გაჩერდა. ეტყობა, რომ ეჭვი აიღეს, უკან გასაბრუნებლად ემზადებიან. და ის იყო იგრიალეს თოფებმა. სანახევროდ შემობრუნებული მანქანა ერთ ადგილზე გაქვავდა. მივუახლოვდით. შოფერი და მანქანაში მჯდომი ოფიცერი დახოცილი იყვნენ, უვნებლად მხოლოდ ქალი გადარჩენილიყო. იგი მანქანიდან გადმოვიყვანეთ. ძლიერ ღელავდა,ნერვიულ თრთოლვას აეტანა, ვთხოვეთ დამშვიდებულიყო.

— ვინა ხართ თქვენ? — ვეკითხებით ქალს.

ქალმა მანქანის ღიაპარში თავისი რედიკული შეაგდო, ბერეტი თავზე გაისწორა და ძლივს ორი სიტყვა ამოისროლა:

— აგერ იმისი ცოლი ვარ,—და მოკლული ოფიცრისაკენ ათრთოლებული თითი გაიშვირა.

— სიდან მოდიხართ, სად მიდიოდით?

— ლვოვიდან, სტანისლავში მივდიოდით!

— ლვოვში რა ამბებია?

— ოო, ნუ მკითხავთ, პანიკაა: კოვპაკის ოცდაათი-ათასიანი არმია ლვოვისაკენ მოდის, სულ ახლოს არიანო, გაიძახიან.

და ამ ქალმა კვლავ დაადასტურა ის ამბები, რაც ადრე ჩვენმა მზვერავებმა მოიტანეს. მან სთქვა:

— ფრონტზე მიმავალი რეგულარული ჯარის ნაწილები გადმოსხეს ეშელონებიდან, ქალაქის გარნიზონი ფეხზე დააყენეს, ახლა ლვოვში სალაშქრო მზადებაა გაჩაღებული.

— მაინც რას ამბობენ ქალაქში, რა გუნებაზე არიან?

— გერმანელები დაღონებული და გულჩათხრობილი არიან, ადგილობრივ მოსახლეობას, მგონი, უნდა უხაროდეს.

— გერმანელებს რაღა აწუხებთ? — ირონიულად ვეკითხებით მას.

— უიმედობა, გული აქვთ გატეხილი.

— გული? მალე თავიც გაუტყდებათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

— დიახ, დიახ, — გვეთანხმება უკვე დამშვიდებული ფრაუ გრეტხენი, ამალია თუ ფრიდა, — ეშმაკსაც წაუღია იმისი სახელი.

— სურსათ-სანოვაგე თუ არის ლვოვში?—კვლავ ვეკითხებით ფრაუს.

— ჩვენებს ყველაფერი აქვთ, ადგილობრივი მოსახლეობისა კი, რა მოგახსენოთ, შიმშილობენ მგონი!

— თქვენ ბრძანებთ, ლვოვი აფორიაქებულიაო, მაინც რაში გამოიხატება ეს?

— ეს გარეგნულადაც ემჩნევა და საქმითაც. გუშინ საღამოს კომენდანტის ბრძანება გააკრეს მთელ ქალაქში. საალყო წესები გამოაცხადეს, მაგარი სასმელების ხმარებაც კი აკრძალეს.

— სტანისლავში რაზე მიდიოდით?

— განსაკუთრებული დავალება ჰქონდა ჩემს ქმარს უფროსებისაგან.

— შესაძლოა იცით რა ხასიათისა იყო ეს დავალება?

— გარკვეულად ვერაფერს ვერ გეტყვით, ეს კი ვიცი, რომ სტანისლავშიც იგივე შეშფოთებაა, როგორც ლვოვში.

— მანქანა რატომ შეაბრუნეთ, მოსულიყავით ჩვენამდე, ხომ უმარცხოდ გადარჩებოდით?

— ეეხ, ეგ სულ შოფრის ბრალია, ვილიმ მოსთხოვა მას შეუჩერებლად ევლო, მაგრამ შოფერმა დაჟინებით იწყო უკან გაბრუნება. იმედი ჰქონდა — გავაღწევ აქედან, ისეთ სიჩქარეს განვავითარებ, რომ ტყვიას უკან მოვიტოვებთო.

— განავითარა?!—ვეკითხები კვლავ ირონიულად.

— თქვენს მტერს, მან რომ განავითარა, ჩემი ვილიც დაღუპა და თავისი თავიც წააგო.

აი ეს სკეპსისი, ეს იმედდაკარგულობის შხამი ნელნელა ხრწნიდა გერმანელების ნებისყოფას. გერმანელთა შორის სულ უფრო და უფრო მრავლდებოდა ისეთი ხალხი, რომელნიც ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში დაზეპირებულივით იმეორებდნენ:

— თქვენთან ბრძოლა არ მსურს; რომ გამიშვებდნენ, დიდი სიხარულით წავალ ჩემს ქვეყანაშიო.

თავზარდაცემულ გერმანელებს ცალი თვალი მუდამ თავის ქვეყნისკენ ეჭირათ და გასაქცევად მზად იყვნენ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ დნესტრის მეორე ნაპირზე ვიყავით. სწორედ ამ დროს, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან არტილერიის შორეული გუგუნი მოგვესმა.

შემდეგ-ღა გამოირკვა, რომ მტერი გააფთრებით უშენდა იმ ტყეს, სადაც წინა დღით ვისვენებდით. დაიგვიანეს ფრიცებმა, იმ ტყეში ჩვენი ჭაჭანებაც აღარ იყო.

შენაერთმა დნესტრი უკან მოიტოვა და გზა განაგრძო. დღე-ღამე განუწყვეტელმა ბრძოლამ ძლიერ მოგვქანცა. დილის რვა საათი იქნებოდა, როცა მდინარე ლომნიცის ახლოს, ტყეში თავი შევაფარეთ.

ამ ტყეში ექვსი გერმანული თვითმფრინავი თავს დაგვესხა. დაგეშილი ძაღლებივით აგვედევნენ.

ვატყობდით, ცხარე ბრძოლა გველოდა. ;ყველა მიმართულებით დავგზავნეთ ასეულების და ბატალიონების მზვერავები. წინ მდინარე ლომნიცაა, მზვერავებმა გვაცნობეს, რომ ლომნიცას სანაპიროები არაჩვეულებრივად ვამაგრებულიაო.

იმავე დილით მზვერავებმა ოცდათორმეტი კაცი მოიყვანეს შენაერთის შტაბში. ესენი ტყვეთა ბანაკიდან გამოქცეული მებრძოლები იყვნენ: პარტიზანების დნესტრზე გადმოსვლა გაეგოთ, ბანაკიდან გამოქცეულიყვნენ და ჩვენთან შესაერთებლად წამოსულიყვნენ. გზაში ჩვენ მზვერავებს შეხვედროდნენ.

— მაშ ნამდვილად გსურთ პარტიზანების რიგებში ჩაეწეროთ? — ვეკითხები მათ.

— ეს ჩვენი ოცნებაა... ოღონდ საშუალება მოგვეცით ანგარიში გავუსწოროთ ამ ჯალათებს, — ამბობენ ისინი.

ვატყობ, რომ ერთი ტყვეყოფილი გაშტერებული მიცქერის, თითქოს რაღაცას იგონებსო; მერე გაიღიმა,

რაღაც მოაგონდა და ნაბიჯი ჩემსკენ გადმოდგა.

— უკაცრავად, თქვენ ინჟინერი ბაქრაძე ხართ? — მეკითხება ის; მე გაოცებით ვუცქერი, არ მახსოვს მისი სახე.

— ბაქრაძე ვარ, მაგრამ თქვენ საიდან მიცნობთ?

— მე თქვენთან ვმუშაობდი ქარხანაში, არხანგელსკის ოლქში, კარგად მახსოვხართ.

— ვინა ხართ?

— გრიგოლ პავლოვი, თქვენი ყოფილი მუშა!

— მაშ კიდევ ვხვდებით ერთმანეთს?

— სასიამოვნოა, ამხანაგო ბაქრაძე, თქვენთან შეხვედრა. ისე როგორც წინათ, აქაც საქმის ერთგული ვიქნები!

— ვნახოთ...

ორ-ორი, სამ-სამი ტყვეყოფილი ჩავურთეთ პარტიზანების ასეულებში და ბატალიონებში. უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგში მათ მართლაც კარგად იბრძოლეს.

ამ ტყვე-ყოფილებმა შეგვატყობინეს, რომ თურმე ლვოვში ხმა დავარდნილა: კოვპაკის შენაერთი ორად გაიყო, ერთი ნაწილი ლვოვზე და მეორე კარპატებზე მიდისო.

ოცი კილომეტრის მანძილზე გაჭიმული შენაერთი მდინარე ლომნიცას ნაპირებს მიადგა. მტერს მართლაც ისე საგანგებოდ შეეკრა მდინარის ნაპირები, რომ მზვერავებს საშუალება არ ჰქონდათ ფონი მოეძებნათ.

ლომნიცა ქვიანი და ჩქარი მდინარეა. კოვპაკმა მიბრძანა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ფონი აღმომეჩინა. ჩემს განკარგულებაში გამოიყო მთავარი დაზვერვა, მესამე და მეექვსე ასეულები.

ფონის აღმოჩენა შეეძელი, მაგრამ მის ასაღებად მაგარი ბრძოლის წარმოება დაგვჭირდა. ფონის მისადგომებთან გავმაგრდით, ორი ოცეული მდინარის მეორე მხარეს გადავსხით და ორივე მხრიდან მდინარის გასწვრივ მტერს შევუტიეთ. შეტევა ისეთი ძლიერი იყო, რომ მალე ათეულ კილომეტრზე გავწმინდეთ მტრისაგან მდინარის ნაპირები.

ამ ბრძოლაში მომიკლეს მეავტომატე პარტიზანი ქალი კარლინსკაია და დამიჭრეს ოცეულის უფროსი ამხანაგი ცაბლინი. მას ავტომატის ჯერმა მკერდის მარჯვენა ნაწილში გაუარა. ანისიმოვის არტილერიამ, როგორც ეს სხვა დროს, ამ ბრძოლაშიც ისახელა თავი: ზუსტი ცეცხლით მან მტვრად აქცია გერმანელთა სიმაგრეები და უზრუნველჰყო ჩვენი წარმატება.

VIII

რა მარჯვე, მოსწრებული სახელის შერქმევა იცის ხალხმა ამათუიმ ადგილის — ტყისა თუ მთისათვის! კარპატების მთების დასაწყისთან, ასეულ, კილომეტრებზე, გადაჭიმულია ფოთლოვან-წიწვოვანი ტყე. მისთვის სახელად ხალხს შავი ტყე უწოდებია.

ზედგამოჭრილი სახელია. ცას წვდებიან ამ ტყის ბუმბერაზი ხეები. ზაფხულის მოწმენდილ მზიან ამინდშიაც კი ამ უღრანში სანახევროდ ბნელა. მართლაც რომ შავი ტყეა. როგორც ზღვაში გადაგდებული კენჭი შთაინთქება და უკვალოდ დაიკარგება, ისე ამ ტყეში შესული კაცი გაუჩინარდება ხოლმე. კაცი კი არა, მთელი დივიზია ისე ჩაინთქმება აქ, რომ შემდეგ მისი კვალის მიგნება ძნელია.

შედიხარ ამ ტყეში და ასე გგონია გვირაბში შევედიო.

აი ეს შავი ტყე იქცა ჩვენს ციხესიმაგრედ, მას შემდეგ, რაც მდინარე ლომნიცა გადავლახეთ.

კარპატების მთებში რომ მძიმე პირობებში ჩავვარდებოდით, — პარტიზანული შენაერთის ხელმძღვანელებს ეს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდათ. ამიტომ ბლომად მოვიმარაგეთ საბრძოლო საჭურველი და სურსათ-სანოვაგე. კვების საკითხში მოსალოდნელი დაბრკოლების ასაცილებლად ცხვრის ფარა გვყავდა შეძენილი, სამწუხაროდ ლომნიცაზე გადმოსვლის დროს დიდძალი ცხვარი დაგვეხრჩო წყალში.

ვიდრე შავ ტყეში შევიდოდით, სტანისლავ-კალუჟის რკინიგზა უნდა გადაგველახა.

აი რკინიგზასაც დავუახლოვდით. მატუშენკო თავის ბატალიონით წინასწარ გაიგზავნა რკინიგზის გადასასვლელზე. კოვპაკმა უბრძანა მას შეესწავლა რკინიგზის მდგომარეობა. მან მეკავშირეების საშუალებით გვაცნობა, რომ გადასასვლელი სრულ წესრიგშია და შენაერთის მასზე უვნებლად გადასვლა შესაძლებელიაო. ამ დაზვერვითი ხასიათის ამოცანის შესრულების გარდა მატუშენკომ წანადირებაც მოასწრო: მტრის ერთი ეშელონი და დრეზინა ააფეთქა.

ნელნელა მივედით შავ ტყესთან. შევიდა თუ არა ტყეში შენაერთის წინა კოლონა, თვითმფრინავების ღმუილი გაისმა, დანარჩენი ქვედანაყოფებიც სწრაფად შევიდნენ ტყეში. თვითმფრინავები დაგვიახლოვდნენ. რაღაც ოთხხუთ წუთში თავზე ჰაერის ექვსი ვეშაპი წამოგვადგა. მათი ღმუილისაგან ყურთასმენა აღარ იყო. გახელებული კრაზანებივით მოგვესიენ, მაგრამ ტყეში ვერაფერი გაარჩიეს. ვეება ხეების კენწეროებს დასტრიალებდნენ, სწრაფად შებრუნდებოდნენ და ცის კამარაში შეცურდებოდნენ ხოლმე. არხეინად და უშიშრად ვგრძნობდით თავს ტყეში, მოხერხებულად მოვეწყვეთ, და ლაზათიანად გამოვიძინეთ. შემდეგ სკალატიდან წამოღებული ნადავლი სასმელებით ყელი გავისველეთ.

ამ სასმელებზე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა: ასეულის მებრძოლებისათვის სულს არ დავიშურებდი, დღედაღამ იმათზე ვზრუნავდი, ხოლო მაგარი სასმელების უწესოდ ხმარებას სასტიკად ვუკრძალავდი. ომში სასტიკი სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო. მთვრალი მეომარი არც საქმისათვის ვარგა და არც თავის თავისთვის.

პირველ რიგში მეომარს სიფხიზლის ჰაგალითი თითონ მეთაურმა უნდა აჩვენოს. ასე იყო ჩვენს პარტიზანულ შენაერთშიც. რუდნევი მუდამ სიფხიზლისათვის იბრძოდა; მისი განკარგულებით არაერთხელ დასჯილა მთვრალი პარტიზანი.

არაყის ჭურჭლად ჩემს ასეულში ლითონის კასრი მქონდა გამოყენებული. კასრზე ბოქლომი მედო და გასაღებს ჯიბით ვატარებდი. ჭურჭელში დაახლოვებით ორასი ლიტრი არაყი ჩადიოდა. არაყიანი ჭურჭელი ჩემს აღალზე იდო და, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა, არაყს მეომრებს პორციობით ვაძლევდი. არაყის მებრძოლისათვის მიწოდების დრო და საზომიც კარგად მქონდა გათვალისწინებული. პარტიზანებმა იცოდნენ ჩემი ხასიათი და ამაო თხოვნას ერიდებოდნენ.

შავ ტყეში დასვენების დროს ყველა მიმართულებით დავგზავნეთ მზვერავები. ჩემი ასეულის მზვერავები, ტყის ერთ-ერთი უბანში, ლტოლვილი ებრაელების ბანაკს წააწყდნენ. ამ ბანაკში აუარებელი მოხუცები, ქალები და ბავშვები იმყოფებოდნენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ესენი ქალაქ სტანისლავიდან გამოქცეული ლტოლვილები იყვნენ. მათ უპატრონოდ დაეტოვებინათ სახლ-კარი და სარჩო-საბადებელი და ტყისათვის შეეფარებინათ თავი.

— რამდენი სული იქნება? — ვეკითხები მზვერავებს.

— დაახლოვებით სამას-ოთხასი სულია.

— კარვები თუ აქვთ?

— ვინ მისცემდათ კარვებს, ამხანაგო მეთაურო, მიწურებში ცხოვრობენ. ჩვენი მიახლოვება რომ შენიშნეს, ქალები და ბავშვები აწრიალდნენ, აღარ იცოდნენ ვინ საით გარბოდა: პირველად ჩვენც ვერ გავიგეთ ვინ იყვნენ ისინი, მერე როცა ახლოს მივედით, გავიგეთ რაშიც იყო საქმე. საწყლებს ძალზე შეშინებოდათ, არც ერთს ადამიანის ფერი არ ედო. როგორც იყო დამშვიდდნენ და გვითხრეს:

— თქვენი ამ ტყეში ყოფნა ვერ წარმოგვედგინა. სტანისლავში გავიგონეთ, კოვპაკის დივიზია მოდისო. ისიც ვიცოდით, რომ თქვენი შიშით გერმანელები ჯოგივით გარბიან ტყეში. ხალხში ხმა დადის — სადაც კი მიუსწრეს პარტიზანებმა, მტრებს შავი დღე დააყენესო. ხალხი კოვპაკის იმედით სულდგმულობს, წნნას და შველას თქვენგან ველითო.

— თქვენ საიდან იცით, რომ ჩვენ კოვპაკელები ვართ?—უკითხავთ მზვერავებს.

— ვიცით, მთელი ქვეყანა თქვენზე ლაპარაკობს! — უპასუხეს თურმე ლტოლვილებმა.

მზვერავები გამოემშვიდობნენ და საჩქაროდ უკან გამობრუნდნენ. ყველაფერი ეს კოვპაკს მოვახსენეთ. მან მიბრძანა წავსულიყავ ლტოლვილთა ბანაკში, მეც გავემგზავრე. კოვპაკმა დამავალა, ლტოლვილი მამაკაცები თუ დამთანხმდებოდნენ, წამომეყვნა პარტიზანების რიგების შესავსებად.

ჩემმა მისვლამ ლტოლვილები აღაფრთოვანა. სახელდახელოდ გაკეთებულ მიწურებში ცხოვრობდნენ ისინი. ორადმოკეცილნი ძლივს შეძვრებოდნენ და გამოძვრებოდნენ ხოლმე ამ პირველყოფილი ადამიანების ბინებში. ლტოლვილთა დიდი უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ. ბლომად იყვნენ მამაკაცებიც — ინჟინრები, ლიტერატორები. სხვათა შორის ყველანი კარგად იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი.

ცხენიდან ჩამოვხტი და ლტოლვილებს მივესალმე. ყველანი ზეზე წამოიჭრნენ, სალამზე მიპასუხეს. ისე შემხვდნენ, როგორც წლობით უნახავ გულითად მეგობარს. ეს სავსებით გასაგებია: შეიარაღებული პარტიზანი-მეთაური ლტოლვილთათვის იმედი და ნუგეში იყო.

— სალამი, სალამი, ძვირფასო მეგობარო, სალამი!, — ერთხმად მეუბნებიან დიდი და პატარა.

— ვინ მეთაურობს თქვენს ჯგუფს? — ვკითხე მათ მისვლისთანავე.

— მე გახლავართ ხელმძღვანელი, — წამომეჭიმა წინ ახოვანი ვაჟკაცი.

— რა პროფესია გაქვთ?

— ექიმი გახლავართ, ქირურგი.

გამიხარდა ამ სიტყვების გაგონება. უეცრად გავიფიქრე: რა კარგი იქნება ჩემი ასეულისათვის ქირურგი, ნეტავი შემეძლოს მისი თან წაყვანა. ხმამაღლა კი ვუთხარი.

— ეს ტყე ნამდვილი აგარაკია! ალბად არა გიშავთ რა!

— თუ არ ჩაგვამწარეს აქ ყოფნა, ხომ კარგი...

— ვინ უნდა ჩაგამწაროთ, აქ ვინ მოგაგნებთ, მხოლოდ თავდაცვისათვის იარაღია საჭირო და იარაღი, ვფიქრობ, ალბათ არ მოგებოვებათ?

— აბა საიდან გვექნება ჩვენ იარაღი? უეცრად გამოვიქეცით და აქ, ტყეში, სული ძლივს მოვიბრუნეთ... ქალაქ სტანისლავში ორი დღის წინ გერმანელებმა ნამდვილი სასაკლაო მოაწყეს, ძლივს გამოვასწარით.

— კიდევ კარგი, რომ გამოგისწრიათ... სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, მაგ ავაზაკთა თარეშსაც ბოლო მოეღება, ვანანებთ...

— ნეტავი მართლაც ერთი იმ დღეს მოვესწრებოდეთ, რომ ეგ ავაზაკები

აქედან გარბოდნენ, შემდეგ თუ გინდ **იმავე წუთში გაგვარდეს სული.**

— ეგ დრო შორს არ არის, მალე გახდებით მოწმე იმისა, რომ გერმანელები გუდა-ნაბად წამოკიდებულები მირბოდნენ აქედან.

შევატყვე, რომ ამ სიტყვებმა სიხარულითა და იმედით აავსო მათი გული. მე კიდევ უფრო გავამხნევე ისინი.

— აგრეა, გერმანელების საქმე წასულია, ომს უსათუოდ წააგებენ, ეს უკვე საეჭვო აღარ არის.

იქვე ახლოს მოხუცი მანდილოსანი შევამჩნიე, ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდდა.

— ერთი კვირის წინათ, — მეუბნება ლტოლვილი მამაკაცი, — ამ მოხუცს თვალწინ ცოლშვილიანი ვაჟკაცი შვილი მოუკლეს, თითონ ბეწვზე გადარჩა.

მოხუცი უფრო აცრემლდა და სახე ცხვირსახოცში ჩარგო.

— სანამდე გინდათ აქ დარჩეთ, სხვა არა, სასმელ-საჭმელი მაინც არ გინდათ?

— ჯერ-ჯერობით იოლად მივდივართ, მომავალში ვნახოთ.

— როგორც ვხედავ აქ უმრავლესობა ქალები და ბავშვებია. ასე, რომ არ იყოს, მამაკაცებს წინადადებას მივცემდი პარტიზანების რიგებში ჩაწერაზე, მაგრამ ვფიქრობ ეს არ ივარგებს. უმწეო ქალების და ბავშვების უპატრონოდ დატოვება არ შეიძლება.

— აგრეა, ჩვენი კრებულიდან მამაკაცების გამოთიშვა არ ივარგებს; რა გარანტია გვაქვს, რომ დღეს-ხვალ აქ არ მოგვადგება მტერი.

— რამდენი სული ხართ?

— სამასთერთმეტი.

— მარტო ქალები და ბავშვები რამდენნი არიან?

— ორასორმოცდასამი.

— რამდენიმე მამაკაცი გამოჰყავით, ჩემთან წამოვიდნენ, იარაღს გამოვატან, საჭიროების დროს თავს დაიცავთ მტრისაგან, — ვუთხარი ჯგუფის ხელმძღვანელს.

ჩემს წინადადებას ლტოლვილები აღფრთოვანებით შეხვდნენ. სახელდახელოდ გამოჰყვეს ოცი მამაკაცი და გამაყოლეს.

დავბრუნდი თუ არა ბინაზე, კოვპაკს და რუდნევს ვუამბე, რაც ლტოლვილთა ბანაკში ვნახე და გავიგონე. ჩემი წინადადება ლტოლვილებისათვის იარაღის გადაცემაზე, კოვპაკმა და რუდნევმა მაშინვე გაიზიარეს.

— მივცეთ იარაღი, — სთქვა რუდნევმა, — ჩვენ ამ ხანად სამხედრო საჭურველი ხომ ბლომად გვაქვს. მივსცეთ და განვუმარტოთ, თუ როგორ აწარმოვონ თავდაცვა. ისიც ვუთხარით, რომ ერთ ადგილზე დიდი ხნით ნუ გაჩერდებიან, ხშირხშირად გამოიცვალონ საცხოვრებელი ადგილი.

ოცი მამაკაცი იარაღით დავტვირთეთ და ლტოლვილთა ბანაკში გავისტუმრეთ, ასაფეთქებელი ნივთიერებაც ბლომად გავატანეთ, თან განვუმარტეთ თუ როგორ ეწარმოებინათ სადივერსიო მუშაობა.

IX

შტაბში გამომიძახეს. კოვპაკმა გამაცნო ჩვენი შემდგომი მოქმედების გეგმა. თავისი ახალი ბრძანებაც წამაკითხა.

— ამხანაგო დავით, — მეუბნება იგი, — მალე დიდმნიშვნელოვანი ბრძოლები დაიწყება. ცნობაა მიღებული, რომ კარპატების გზაზე, სოფელ რასულნში მტერს საკმაო ძალებისათვის მოუყრია თავი. სოფელი რასულნი — კარპატების კარებია. იქ ახლა სს-ელების პოლკი დგას. მტერი ემზადება, რომ კარპატების მისასვლელებიდან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაგვიმართოს. რასულნში მდგარი მტრის პოლკიც ამ მიზნისათვის არის გამოყოფილი. მაშასადამე, პირველ რიგში სა-

ᲭᲘᲠᲝᲐ რასულნის გარნიზონის განადგურება. ამ ამოცანის გადაჭრა თქვენ გევალებათ. თქვენს განკარგულებაში გამოყოფილია მეექვსე და მერვე ასეულები, გორლანოვის და დექტიოვის ხელმძღვანელობით. მატუშჩენკო სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გამაგრდება, თქვენი მოპირდაპირე მხრიდან მოაწყობს ჩასაფრებას. ახლავე საჩქაროდ მოემზადეთ და შეღამდება თუ არა, სრულ თვრამეტ საათზე აქედან გადით. ამაღამ, ორ საათზე სოფელში შეიჭრებით და მტერს რისხვად მოევლინებით.

ბრძანება ჩემთვის მუდამ კანონი იყო. ახლაც ყველაფერი ავსწონ-დავსწონე, ძალთა განწყობილება შევადარე და დავფიქრდი: ჩემს განკარგულებაში ათასამდე მეომარი იყო გამოყოფილი, სს-ელების პოლკი კი, როგორც ეს ყოველთვის, ალბათ ათას-ორასი, ათას-ხუთასის კაცისაგან შესდგებოდა.

— რაზე დაფიქრდით, ამხანაგო ბაქრაძე, შესაძლოა შეკითხვა გაქვთ? — მეუბნება რუდნევი.

— არავითარი, — ვპასუხობ, — მომავალ ბრძოლაზე ვფიქრობ.

და განა მართლაც საფიქრებელი არ იყო? რასულნის ოპერაცია თავისი სირთულით სჭარბობდა წარსულში ჩემს მიერ ჩატარებულ ყველა სამხედრო ოპერაციას.

— თუ ვინიცობაა დამხმარე ძალა დაგჭირდეთ, მეკავშირე გამოგზავნე და მაცნობე. სასწრაფოდ მივიღებთ ზომებს, — მეუბნება რუდნევი.

— არის, ამხანაგო კომისარო, — ვპასუხობ.

შტაბიდან გამოვედი და სალაქშროდ ჭზადება დავიწყე. გამოვუძახე მატუშჩენკოს, გორლანოვს და დექტიოვს, გავაცანი მათ წინამდებარე ამოცანა და განუმარტე როგორი გეგმით უნდა გვეწარმოებინა რასულნის ოპერაცია. თან ისიც მოვთხოვე ასეულების მზვერავები გადმოეცათ ჩემს განკარგულებაში.

ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ მზვერავები რასულნის მიმართულებით გავგზავნე, დავავალე მათ ამოცანის შესრულების შემდეგ სოფელ გლებოვკაში შემომხვედროდნენ. გლებოვკა რასულნიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული.

წასვლის წინ კოვპაკს და რუდნევს დავემშვიდობე, ხელმძღვანელებმა გამამხნევებელი სიტყვებით მოგვმართეს, გამარჯვება გვისურვეს.

— ნაბიჯით იარ! — თითქმის ერთდროულად გაისმის სხვადასხვა ადგილას მეთაურთა ხმა. პარტიზანები დაიძრნენ და მწყობრად გავიდნენ შავი ტყიდან სამხრეთ დასავლეთისაკენ.

მშვიდობით, სტუმართ-მოყვარე, ულრანო შავო ტყევ!..

ისეთი ტალახია, რომ ძლივს მივდივართ. ხმაამოუღებლად მივიწევთ წინ. დრო ახლა განსაკუთრებულად ძვირფასია, ორ საათზე ყოველ მიზეზს გარეშე რასულნში უნდა შევიჭრეთ.

მოგველის თუ არა ამაღამ რასულნის გარნიზონი? აი ეს ფიქრი მიტრიალებს თავში. არა, მოლოდინის ნიშნები არ სჩანს. ამაღამ ისინი ჩვენ მიხდომას არ ელიან. ან საიდან უნდა იცოდეს მტერმა, რომ რასულნზე მივდივართ. ჩვენ ხომ ღამით გამოვედით შავი ტყიდან. შავი ტყე ისეთი იდუმალი ჯუნგლია, რომ გერმანელი მზვერავები ვერაფერს ვერ მიხვდებოდნენ კიდეც რომ გამოეგზავნათ ისინი.

საბრძოლო გეგმის მიხედვით მატუშენკო გლებოვკასთან ჩამოგვცილდა. მას შორიდან უნდა შემოეევლო რასულნისათვის და სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვართან ჩასაფრებულიყო. ამავე გეგმის მიხედვით მეექვსე, მერვე და მეცხრე ასეულები სოფელს დასავლეთიდან უნდა მივპაროდით და სწრაფი და მარჯვე დარტყმებით მოწინააღმდეგესათვის თავზარი უნდა დაგვეცა.

გადამწყვეტი წუთები ახლოვდება. ამაღამ ან უნდა გავიმარჯვოთ, ან უნდა დავიხოცნეთ ყველანი; სხვა გამოსავალი არ არის—ერთად ერთი გზა კარპატებისაკენ სოფელ რასულნზე გადის.

სიბნელეში უკვე ვარჩევთ მოზრდილი შენობის კონტურებს. სკოლის ბინაა, გვეუბნებიან მზვერავები, ახლა მასში სს-ელების შტაბია მოთავსებული.

პარტიზანები განლაგდნენ სოფლის მისადგომებთან, ერთი-მეორისაგან ორ-ორი, სამ-სამი მეტრის დაშორებით. მარცხენა მხრიდან გორლანოვმა უნდა შეუტიოს, მარჯვენა ფლანგის დაცვა კი დექტიოვს დავაკისრე. არტილერია სოფლიდან ორი-სამი კილომეტრის დაშორებით დავაყენეთ. არტილერისტებს ნაბრძანები აქვთ სოფლის შუაგულს დაუშინონ.

ფოსფორიან საათის ციფერბლატს დავცქერი, ორს ათი წუთი აკლია. ერთდროული შეტევისათვის ვემზადებით. სრულ ორ საათზე მაშხალის გასროლით ბრძოლის დაწყებას ვაცნობებ მეომრებს.

და ამ სამ კილომეტრზე გაჭიმული მებრძოლთა ცოცხალი კედელი სოფლისაკენ დაიძრა. გადავედით პატარა მდინარეზე. „ვაშას“ გუგუნით მივიჭერით მტერზე. ბრძოლა ელვის სისწრაფით გაჩაღდა. ბნელი, მყუდრო ქუჩები ცხენთა ფლოქვების თქარუნმა აახმიანა. აყეფდნენ ავტომატები. ეზოებში და ქუჩებში თეთრ სილუეტებს გამოარჩევდით — ეს გერმანელები იყვნენ, დარბოდნენ საცვლების ამარა და უწესრიგოდ ებმებოდნენ ბრძოლებში.

მტერი პანიკამ მოიცვა მათი ქვემეხებისა და ნაღმტყორცნების მომსახურე პერსონალმა დასტოვა თავისი პოსტი, ქუდმოგლეჯილი გაიქცნენ ისინი. ჩვენ უფრო ღრმად შევიჭერით სოფელში, ჩემმა მოადგილემ მეკავშირე გამომიგზავნა და შემატყობინა: მტერმა შტაბიდან ძლიერი სროლა გააჩაღა და როგორ მოვიქცეო.

— ნადავლი არტილერია საჩქაროდ შეაბრუნეთ და შტაბი ცეცხლში გაახვიეთ! — ვიძლევი განკარგულებას.

ბრძანება სისრულეში მოიყვანეს. შტაბის კედლები სულ მალე შეანგრიეს. ცეცხლის წითელი ენები გამოჩნდენ სახურავიდან ამომსკდარ შავ კვამლში. საკმაოა ცეცხლწაკიდებული ბინიდან ვინმემ თავი გამოჰყოს და ტყვიას შუბლში ახვედრებენ ჩასაფრებული პარტიზანები.

ხანძარი თანდათან ძლიერდება.

ძლიერი სროლის ხმა ისმის იმ მხრიდანაც, სადაც მატუშენკოს მებრძოლები არიან ჩასაფრებული.

— მომყევით უკან! — მივმართავ პარტიზანებს,—რამდენიმე კარგი მეომარი ავარჩიე და შტაბის ბინაში შევიჭერით. დერეფნის კარები შევაღე. იქაურობა კვამლით სავსე იყო. მოვიმარჯვეთ ხელყუმბარები და ზედიზედ შევყარეთ შიგ. ეაისმა კვნესა და ყვირილი. კვლავ შევისროლეთ ხელყუმბარები, კვლავ ძლიერი აფეთქების ხმამოგვესმა და შემდეგ მძიმე დუმილი ჩამოწვა ირგვლივ. ახლა გაბედულად შევედით შტაბის ბინაში. ჯიბიდან ელექტროფანარი ამოვიღე და ოთახის ყველა კუნჭულში მივანათე: ირგვლივ დაჭრილ-დახოცილთა გვამები იყო მიმოფანტული.

დერეფნის მეორე ბოლოში კარები შევნიშნე, ფრთხილად შევაღე და აქაც ხელყუმბარა შევისროლე. აფეთქებას ავეჯის მსხვრევის ხმა მოჰყვა, ცოტახანს შემდეგ აქაც კარი შევაღე და ელექტროფანარის შუქზე იქაურობა მოვათვალიერე. თვალში მეცა მხოლოდ დალეწილი ავეჯი, კუთხეში ტახტი იდგა და ზედ ქვეშაგები იყო გაშლილი. ქვეშაგებს ხელით შევეხე, თბილია, ვიღაც სულ ახლა წამომდგარა აქედან. საწოლთან სკამია, რომელზედაც ოფიცრის მუნდირია გადაკიდებუ-

ლი. ალბათ, ამ მუნდირის პატრონიც დერეფანში, რომ გვამები ᲰᲧᲠᲘᲐ, ᲘᲛᲐᲗᲨᲘᲐ-მეთქი, გავიფიქრე. მაინც ყოველშემთხვევისთვის, შეეპვებულმა, შკაფის კარები გამოვაღე, ისიც ცარიელი ᲘᲧᲝ. ყოველ შემთხვევისათვის ავტომატის მოკლე ᲯᲔᲠᲘ ტახტისკენ ვისროლე. განჯინაში შემძვრალ ქურდ კატას უეცრად თავზე რომ წააწყდებიან და ცბიერი ცხოველი განჯინიდან ტყვიასავით, გადმოხტება ხოლმე, აი იმრიგად გამოხტა ტახტის ქვეშიდან ვიღაც ახმახი ოფიცერი, საცვლებისამარა წამოიმართა და ხელთჩაბღუჯული რევოლვერი პირდაპირ დამიმიზნა. ყველაფერი ეს თვალის დახამხამების უმალ მოხდა. გული გადამიქანდა. გერმანელსაც ადამიანის ფერი აღარ ედო, ახლა ვინც წამის მეათედით დაასწრებდა, სიცოცხლეც იმას შერჩებოდა. ᲑᲔᲓᲛᲐ გამიღიმა და მე დავასწარი. ჩაუკეტავი ავტომატის მსხლეტს თითი გამოუსვი და გერმანელი მიწაზე გაიშხლართა. შეგუბებული სუნთქვა მოვიბრუნე, სიმწრის ოფლი შუბლიდან ხელით ჩამოვიწმინდე და გერმანელს ხელიდან „შტაუერის“ სისტემის რევოლვერი რომ გაუვარდა, ავიღე. ავტომატის ხმაზე პარტიზანები შემოცვივდნენ ოთახში. თურმე გაშტერებული ვიდექ, მეჭირა ხელში რევოლვერი, მეორეში ავტომატი და გაოგნებულივით ვიცქირებოდი. ამხანაგების შემოსვლაზე გამოვერკვიე. ხმა ამოუღებლად, ნელი ნაბიჯით კარში გამოვედი, სუფთა ჰაერი მესიამოვნა. ქუჩაში ისევ ის ყიჟინა იდგა და ცეცხლის კოცონები უფრო თვალისმომჭრელად ელვარებდნენ, ცეცხლის ენები ზეცას ლოკავდნენ. ავტომატი მოვიმარჯვე და ამ ღამის წყვდიადში ისევ იმ მდუღარეში გადავეშვი.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩემგან მოკლული ოფიცერი ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. მისი რევოლვერი თან წამოვიღე.

წელში გატეხილი გერმანელები სოფლიდან გასასვლელადრ მოეშალნენ. მათ ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ ᲯᲒᲣᲤ-ᲯᲒᲣᲤᲐᲓ დაიწყეს გაქცევა, მაგრამ იმ მხარეს მატუშჩენკო იყო ჩასაფრებული თავისი ბატალიონით. მატუშჩენკოს მებრძოლები მტერს ელოდნენ; მათ სულ ახლოს მიუშვეს ფრიცები, რკალში შეიტყუეს და შემდეგ გრიგალისებური ცეცხლი დააყარეს.

ერთი სიტყვით, ხალხური ანდაზის სიტყვებით რომ ვთქვათ, საითაც გაიქცნენ, იქით წაიქცნენ. სოფლის ერთი თავიდან მეორეში გარბოდ-გამორბოდნენ ფრიცები, მაგრამ წინ ყველგან სიკვდილი და პარტიზანული ტყვია უხვდებოდათ. ამ ცხარე ბრძოლის ღამეს სს-ელების პოლკი მთლიანად შევმუსრეთ.

ღამე დასასრულს უახლოვდებოდა, აგერ ალიონის სიომ დაუბერა, ახლა უკვე ვჩქარობთ სოფლიდან გასვლას, ვშიშობთ თვითმფრინავებმა არ მოგვისწრონ და ეს კარგი გამარჯვება არ ᲩᲔᲒᲕᲐᲛᲬᲐᲠᲝᲜ.

სასწრაფოდ შევაგროვეთ ნადავლი იარაღი. წასაღებად მოვამზადეთ სამი ნაღმტყორცნი, ხუთ-ხუთი ცალი ხელისა და დაზგის ტყვიისმფრქვევები და ასი ათასი ვაზნა. დანარჩენი ნადავლი — ოთხი სამოცდახუთმეტ მილიმეტრიანი ქვემეხი, ოთხი საბატალიონო ნაღმმტყორცნი, ასამდე მოტოციკლეტი სამოცი საბარგო ავტომანქანა ადგილზევე ავაფეთქეთ და დავწვით. სხვა დროს, სხვა პირობებში ასეთ ძვირფას ნადავლს თან წავიღებდით, მაგრამ რადგანაც კარპატების მთების ბრძოლები გვედო წინ — მთის ბილიკიან გზებზე მძიმე და დიდი მოცულობის იარაღის წაღება შეუძლებელი იყო.

რასულნის ბრძოლაში მტერმა ასოცზე მეტი ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ და ოფიცერი დაჰკარგა, ჩვენ რვა კაცი მოგვიკლეს და ხუთმეტი დაგვიჭრეს. დაღუპულ თანამებრძოლთა გვამები თან წამოვიღეთ.

როცა ღამის წყვდიადი გაიფანტა, ცხადია, უფრო თვალსაჩინოდ დავინახეთ წუხანდელი ბრძოლის შედეგები. სოფელში კვამლი ისევ ბოლავდა და მთავარი ქუჩა მტრის გვამებით სავსე იყო. მცხოვრებლებს გარედ გამოსვლა ჯერაც ვერ გაუბედნიათ. ისე დადუმებული იყო მთელი სოფელი, რომ ძაღლებიც კი აღარ ჰყეფდნენ, სახლების კედლებთან და ჭიშკრებთან ატუზულიყვნენ და გამვლელ-გამომვლელს უაზროდ შესცქეროდნენ.

წასასვლელად ვემზადებით, ამ ფაციფუცში მაინც შევნიშნე, რომ რასულნს ძალზე შემკული მდებარეობა აქვს. მთაკვეთილზეა გაშლილი სოფელი, დასავლეთიდან მას კარპატების მთები დაჰყურებს, გარს ლამაზი ტყე აკრავს. ძლივს მოსჩანს ბაღ-ბოსტნებში ჩაფლული თეთრი სახლები. თითქმის ყოველ ორმოცდაათ მეტრზე მიწიდან ამოქუხს ბროლივით თეთრი ჩუხჩუხა წყაროები.

უეცრად ტყვე გერმანელს გადავაწყდი.

— კოვპაკის არმია რომ დასავლეთისაკენ მოდიოდა, ეს ჩვენ ადრეც კარგად ვიცოდით, — მეუბნება იგი, — მაგრამ ვერ წარმომედგინა, ამ გასულ ღამეს თავს თუ დაგვესხმოდით!

— უდარდელად გეძინათ არა?

— თქვენ მოსვლას ორი დღის შემდეგ მოველოდით, აბა რა გვქონდა ამ ღამეს სადარდელი?

აი უკვე გარიჟრაჟია და ჩვენ მაინც ამ სოფელში ვართ. ვგრძნობ, რომ ეს ძალზე ცუდია. საკვირველია, რომ აქამდე თავს არ დაგვესხნენ გერმანელი თვითმფრინავები! ნუთუ რასულნის გარნიზონი ისე დაიბნა, რომ წუხანდელი ამბავი თავის დივიზიის შტაბს ვერ შეატყობინა?

ვაჩქარებ ყველას, წასასვლელად ვამზადებ. მატუშჩენკოს მეკავშირეები გავუგზავნე და შევატყობინე — სოფლიდან მივდივართ, შენი ბატალიონიც წამოიყვანე და წამოდი-მეთქი.

მატუშჩენკომ არ მიპასუხა, მისმხარეზე არტილერიის გაბმული ქუხილი ისმის, მაშ მატუშჩენკო ისევ ბრძოლაშია ჩაბმული, მაგრამ საკვირველია: ნუთუ მტერს ახლა იმისი თავი აქვს, რომ ახალი ბრძოლა დაიწყოს?

კარგახანს ველოდე მატუშჩენკოსთან გაგზავნილ მეკავშირეებს. ეს უკანასკნელნი არ სჩანდნენ. შემდეგ შევარჩიე სამი ოცეული და ეს ხალხიც მატუშჩენკოს დასახმარებლად გავგზავნე. ის იყო მეკავშირენიც გამოჩნდნენ. მათ მატუშჩენკოს წერილი მოიტანეს. წერილის შინაარსი ასეთი იყო:

უფროსს ამხ. ბაქრაძეს. მტერი ზურგიდან მიტევს. უკვე თენდება. ავიაციის თავდასხმაც მოსალოდნელია. მე სხვა გზით მივიწევ კარპატებისაკენ, ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ, დაგეწევით. დახმარებას არ ვსაჭიროებ.

მესამე ბატალიონის უფროსი მატუშჩენკო.

4 საათი. 20. 7 — 43 წ.

მატუშჩენკოს წერილმა დამამშვიდა ვიცი, ის ადვილად არ დაიბნევა; ვეფხვივით ვაჟკაცია, მას შეუძლია საბედისწერო წუთებში განსაცდელს თავიც დააღწიოს და მებრძოლებიც უვნებლად გამოიყვანოს ცეცხლიდან.

სიმღერით გავდივართ სოფლიდან. ქუჩებს ეფინება ნაცნობი ჰანგი:

„თვალუწვდენი ხარ ჩემო სამშობლოვ
შენს ძთებს და მინდვრებს არ უჩანს ბოლო“.

წვიმს. საშინლად წვიმს. ტალახის მორევი სდგას ქუჩებში, გვიჭირს მოძრაობა.

აი ასე დაამთავრა თავისი ბინძური არსებობა სს-ელების პოლკმა. ნაწილი დავხოცეთ, გადარჩენილნი გაძვრნენ სოფლიდან და ცხვრის ფარასავით გაიფანტნენ ტყეში. ერთმა წყებამ ალბათ

სოფელშივე მონახა თაგვის სოროები და შეაფარა თავი.

ჩემს განკარგულებაში მყოფი ასეულები ხუთი კილომეტრის მანძილზე გაიშალნენ. წინ გორაკებზე გველივით მიიკლაკნება მთის ვიწრო გზა. დიდი აღმართები დაიწყო, უკვე კარპატების ზონაში შევედით. ცხენები ოფლში გაიქაფნენ. ბარის პირუტყვებს ეუცხოვათ აღმართები, ქშენენ და ციებიანივით ცახცახებენ.

ახლა დღისით სიარულს აღარ ვერიდებით, ვჩქარობთ, მთავარ შენაერთს უნდა დავეწიოთ. ვეშაპებივით დაგვცქერიან შავი ღრუბლებით ჩადრწამოსხმული კარპატების მთები.

ეს გოლიათი მთები ჩემზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ ახდენენ. ჩემთვის აქ ახალი და გასაოცარი არაფერია, მე ხომ მთებში ვარ შობილი და გაზრდილი. სულ სხვაა ჩემი თანამებრძოლი პარტიზანები, ისინი გაოცებული არიან ამ უცხო სანახაობით.

აგერ ჩვენ წინ ხშირტყიანი გორაკია. გზა სწორედ მის კალთებზე უხვევს. გავცილდით თუ არა ამ მოსახვევს, ჩვენს თვალწინ ზღაპრული სანახაობა გადაიშალა: ცეცხლის კოცონები ზეცას სწვდებიან, მთებიდან მონაბერი ქარი კიდევ მეტად აძლიერებს ამ ცეცხლის ზვირთებს. შავი კვამლის სუდარა გუმბათივით ადგას თავზე მიდამოს. ჩქარა მივხვდი, რომ დრაგობიჩის ცნობილი ნავთის საბადოები იწვოდა. პარტიზანებმა გააჩაღეს ეს საარაკო ხანძარი. კარპატების რეიდის დანიშნულებას ხომ დრაგობიჩის ნავთის სარეწაოების განადგურება შეადგენდა. აქაური ნავთით იკვებებოდა დასავლეთის მხარეზე მდებარე ყველა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა, ადგილობრივი ქარხნები და გერმანიის მრეწველობა.

დავუახლოვდით ნავთის სარეწაოებს, უფრო დიდი აღმართები დაიწყო. ადრეც წარმოდგენილი გვქონდა, თუ რა სიძნელე გვედო წინ, მაგრამ სინამდვილემ ჩვენს წარმოდგენას გადააჭარბა. ცხენებს ქანცი გაუწყდათ, წამდაუწუმ ჩერდებიან, აღალები უკან გორდებიან, ბორბლებში კეტებს გავუყრით ხოლმე და ძლივს-ძლივობით ასე ვაჩერებთ. იძდეხათ ვიწრო გზებია, რომ აღალებისათვის გვერდის ავლას ძლივს ვახერხებთ. ხახდისხან იძულებული ვართ ცხენები გამოვხსნათ, ქვემეხები და აღალები ხელით ვათრიოთ.

როცა ნავთის სარეწაოების მცველმა გერმანელებმა გაიგეს ჩვენი მიახლოვება, მათს ბანაკში დიდი ჩოჩქოლი შეიქნა. მიუხედავათ მტრის გააფთრებული წინააღმდეგობისა, ჩვენ შევძელით ნავთის საბადოების რაიონში შეჭრა.

და აი მტრის თვითმფრინავებმაც მოგვაგნეს. მოულოდნელად გაჩნდნენ ისინი ჰაერში და ცოფიანი ძაღლებივით აგვედევნენ. მთების პირობებში თვითმფრინავებთან ბრძოლა ძნელი საქმე გამოდგა; ხელის ეულზე უზიხარ მოწინააღმდეგეს. ტყეებში შორს შეჭრა არ ხერხდება, ორივე მხარეზე გზას ციცაბო კლდეები და აღმართები აკრავს. ახლა სამაგიეროდ პარტიზანები დახელოვნდნენ, თოფისა და ტყვიის მფრქვევის ცეცხლით აგდებენ თვითმფრინავებს. ალში გახვეული მანქანა საშინელი შხუილით ჩავარდება ხოლმე შორეულ ხევში, ან კვერცხივით დაასკდებოდა კლდის ნაპრალებს. კოვპაკის ბრძანების თანახმად პარტიზანებმა დაიკავეს ყველა მახლობელი მთის მწვერვალები, იარაღით ხელში უთვალთვალებდნენ თვითმფრინავების გამოჩენას მებრძოლები.

კვლავ ᲯᲒᲣᲤ-ᲯᲒᲣᲤᲐᲓ წამოსული თვითმფრინავები გამოჩნდნენ. ერთი მათგანი ჩვენმა ბიჭებმა ტყვიამფრქვევით ჩამოაგდეს, ამასობაში დანარჩენები უცბათ გაჰქრნენ. შემდეგ გამოჩნდა მზვერავი თვითმფრინავი, ღრუბლებს აფარებდა ის თავს, მაგრამ ვერც ღრუბლებმა უშველეს და პარტიზანული ტყვიით ცეცხლწაკიდებუ-

ლი მალე ისიც მთის უფსკრულში გადიჩეხა.

ამ თვითმფრინავების ბაზა — ქალაქი სტანისლავი — კარპატების მთებიდან სულ ახლო იყო, სულ რაღაც ოცდაათი-ორმოცი კილომეტრის მანძილზე.

როგორც კი ერთ თვითმფრინავს ჩამოვაგდებდით, დანარჩენები ერთხანს გაიფანტებოდნენ, შემდეგ ისევ შემობრუნდებოდნენ და ყუმბარების დაშენას განაგრძობდნენ. ამის გამო იყო, რომ ჩვენც საგრძნობი ზარალი მოგვდიოდა. ადამიანების მსხვერპლიც ხშირი იყო და ცხენებიც ბლომად გვეხოცებოდა. მკვდარი ცხენებიდან, აღალების და ხეების ნამსხვრევებიდან გზას რომ გავწმენდდით, მეორე საათში გზა ისევ გასაწმენდი ხდებოდა.

დრაგობიჩის რაიონში მისვლისთანავე ბატალიონებმა სახელდახელოდ გაძოყვეს ამფეთქებლები და ნავთის საბადოებს შეუსიეს. უკანასკნელებმა ათეულ კოშკს და ჭაბურღილს ერთდროულად გაუჩინეს ცეცხლი. ხანძარმა ელვისებური სისწრაფით იწყო გავრცელება. დრაგობიჩის მთაკვეთილსა და კარპატების ცამდე აზიდულ მწვერვალებს შუა ცეცხლნარევი შავი კვამლის თაღები აღიმართა. ღამის ხანძრის ფონზე კიდევ უფრო უზარმაზარი და ზღაპრული სჩანდნენ გოლიათი მთები. შთაბეჭდილებას განსაკუთრებულად აძლიერებდა ცეცხლის ჟრუანტელ მომგვრელი გუგუნი და ალში გახვეული ხეტყის მასალის ტკაცუნი.

ერთ ადგილზე გაქვავებული პარტიზანები შორიდან ვუცქერდით ამ უცხო სანახაობას.

ამ ისტორიული ბრძოლების დროს დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს სარეწაოების ინჟინრებმა და მუშებმა. მათ როცა გაიგეს, თუ ვინ ვიყავით, სიხარულით მოგვეგებნენ და მოხერხებულ საცალფეხო გზებით მიაცილეს ამფეთქებლები დანიშნულ ადგილამდე.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა ჩვენ შენაერთს დავეწიეთ, ღამეს ბრძოლებით დაქანცული და — ბოროტული პარტიზანები ძლივს-ღა მოძრაობდნენ. აღტაცებით მოგვეგებნენ ჩვენი ბიჭები, გამარჯვება მოგვილოცეს და დიდი ინტერესით მოგვისმინეს რასულნის ბრძოლების ამბები.

მე მაშინვე კოვპაკი და რუდნევი ვიკითხე. მთის მწვერვალზე ავიდნენო, მითხრეს. მეც მალე მათთან გავჩნდი. გზაში შემომხვდა კომისარი. რამდენი წრფელი ადამიანური გრძნობა იყო მის შეხვედრაში!

შავი ტყიდან გამოსვლის შემდეგ რუდნევი აღარ მენახა. მან გამარჯვება მომილოცა: პირველად ის მკითხა, თუ ვინ დაიღუპა რასულნის ბრძოლებში. მე ჩვენი თავგადასავალი ვუამბე და დაღუპულთა სია ვუჩვენე. სია გადაიკითხა და მძიმედ ჩაფიქრდა.

მცირე ხნის შემდეგ ვუთხარი:

— მატუშჩენკო ჩამოგვრჩა, სიმონ ვასილისძევ, მას წინადადება მივეცი. ერთდროულად ჩვენთან, რასულნიდან გამოსვლაზე, მაგრამ ვერ მოახერხა.

— ხომ არაფერი უჭირს?

— არა, მასთან მუდამ დაკავშირებული ვიყავი მეკავშირეების საშუალებით. რაიმე ასეთი რომ ყოფილიყო, მაცნობებდა, აი მისი წერილიც, — რუდნევმა წერილი გადაიკითხა და მითხრა:

— იშვიათი გამარჯვებაა, ამხანაგო დავით, მთელ პოლკთან გამკლავება ასე მცირე მსხვერპლით, ათასში ერთხელ ხდება. ჩვენი იმედები შენ სავსებით გაამართლე. მეომრებს ხომ კარგად ეჭირათ თავი, უსიამოვნება ხომ არაფერი გინახავთ?

— მეომრები ძალიან კარგად იბრძოდნენ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

ასეულის პოლიტხელთან მქონდა უსიამოვნება!

— მალცევთან?

— დიახ, მალცევთან.

— ჩემთვის ეს მოულოდნელი ამბავი არ არის, შენ თავიდან უკმაყოფილო იყავი მალცევით. მაინც როგორ ეჭირა მას თავი?

— ცუდად, ძალიან ცუდად. გადამწყვეტი ბრძოლის დროს, როდესაც მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება გვქონდა, მალცევს სოფლიდან დაჭრილების გაყვანის და დახოცილების გატანის საქმის მოწესრიგება მივანდე. მან ამ საქმეში სრული უპასუხისმგებლობა და უდარდელობა გამოიჩინა; იმის ნაცვლად, რომ ბრძანების შესრულებას შედგომოდა, ეშმაკმა იცის, რა საქმეს მოჰკიდა მან ხელი...

რუდნევმა წარბები შეჭმუხნა და ნერვიულად იწყო ულვაშის გრეხა. ეს მხოლოდ გაგულისების დროს იცოდა.

— არამზადა! — მრისხანედ წარმოსთქვა მან, — მერე შენ რა ზომები მიიღე.

— მე ის პოლიტხელობიდან მოვხსენი და მებრძოლად ჩამოვაყენე!

— კარგად მოქცეულხარ, უკეთესი იქნებოდა ; პარტიზანების რიგებიდან რომ გაგეძევებინა.

ამ დროს ჩვენი მოხუცებული კოვპაკი მათრახით ხელში ჩვენსკენ მომავალი დავინახე; სიტყვის თქმა ვერ მოვასწარი, რომ კომისარმა კოვპაკს მიაძახა: „სიდორ არტემის-ძევ, ამხანაგ დავითს გამარჯვება მოულოცეთ“.

სახეგაბრწყინვებულმა კოვპაკმა ხელი მაგრად ჩამომართვა და მომავალშიაც წარმატება მისურვა. კომისარმა მე არ დამაცალა და კოვპაკს დაწვრილებით უამბო რასულნის ბრძოლის ამბები.

კოვპაკს ის რევოლვერი ვუჩვენე, რომლითაც სს-ელების პოლკის ბატალიონის უფროსს მე უნდა მოვეკალი, ძოხუცს გაეცინა და მითხრა:

— ხომ ჩააძაღლე. იარაღი ბევრი გაგინადგურებიათ, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდით. ადგილმდებარეობა ხელს არ გვიწყობს, ამიტომ ნადავლი ქვემეხების აფეთქება აუცილებელია.

შემდეგ რუდნევმა მითხრა: შენი ბატალიონი ადგილი დერკაჩი შტაბში, კავშირგაბმულობის უფროსად გადავიყვანეთ, ის ხომ პროფესიით მეკავშირეაო.

დერკაჩის წაყვანა მეწყინა, მაგრამ ვინაიდან ამას საჭიროება მოითხოვდა, ამ ფაქტს მალე შევურიგდი.

— ჩემთან ვინ გამოგზავნეთ?

— სუხოცკი, შენ იცნობ მას, ოცეულის უფროსად რომ იყო მესამე ასეულში.

სუხოცკი კარგი მეომარი იყო, საქმიანი და დინჯი, მხოლოდ ერთი ნაკლი გააჩნდა. მაგარი სასმელების ყლაპვა უყვარდა.

— ომის ახალი ფაზა იწყება, ამხანაგო დავით,—მეუბნება რუდნევი,—უფრო დიდი და უჩვეულო ბრძოლები გვიძევს წინ, მტრის თვითმფრინავებიც კრაზანებივით დაგვდევენ უკან. აქ, ამ პირობებში ყველაზე საფრთხილო და საშიში ეს არის. გასაქანი არსაითა გვაქვს, მთებში ვართ ჩაკეტილი და მტერიც ცერცვის მარცვალივით გვაყრის ყუმბარებს თავზე. არტილერიის და აღალების ტარება სჭირს მთის ვიწრო გზებზე, საჭიროა ამ მოძრავი შემადგენლობის დაშლა და გადაკეთება. ბარის ცხენებიც გამოუსადეგარი შეიქმნენ ამ მთაში, ყველანი დაოჩნდნენ, აღმართში სიარულს ვერ ახერხებენ, მაგრამ გახსოვდეს, ჩვენ პარტიზანები ვართ, უიმედობა და შიში არ ვიცით. მიუხედავად ყველაფრისა, მტერს თავისი გაჩენის საათი უნდა ვაწყევლინოთ.

გასაოცარ ენერგიას და სიმხნევეს იჩენდა ამხანაგი რუდნევი, მან ხომ არასდროს შიში და მერყეობა არ იცოდა. მძიმე წუთებში ის ყოველთვის გაკაჟდებოდა. ახლაც თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, მებრძოლებს გამარჯვების რწმენას უნერგავდა. ბრძოლებში სასწაულებს ახდენდნენ რუდ-

ნევის მაგალითით აღფრთოვანებული პარტიზანები.

ჩემმა მოადგილემ მეკავშირე გამოგზავნა და რასულნის ბრძოლაში დაღუპული ამხანაგების დასაფლავებისათვის მზადყოფნა მაცნობა. წასასვლელად გავემზადე. კომისარმა თვალი თვალში გამიყარა, შემდეგ თავი ძირს დახარა და მითხრა:

— ამხანაგო დავით, მეც წამოვალ თქვენთან. — ორივენი გავეშურეთ, ჩემი ასეულის დაბანაკების ადგილზე მივედით.

დერკაჩი შემოგვხვდა, კომისარს მოახსენა:

— ამხანაგო კომისარო, რასულნის ბრძოლებიდან გამოსული მებრძოლები ყველა სახეზეაო.

რასულნში დაღუპული ამხანაგებისათვის ყველაზე მაღალ გორაკზე, ხშირ ნაძვებს შუა აღემართათ ძმათა სასაფლაო. უკანასკნელი მოვალეობა მოვიხადეთ ძვირფასი ამხანაგების ცხედრების წინაშე. დასაფლავების დროს კომისარმა შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა:

— ამხანაგებო, დღეს მიწას ვაბარებთ ჩვენს ერთგულ თანამებრძოლებს; ისინი გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, სამშობლოს კეთილდღეობისათვის გაიღეს სიცოცხლე. ვფიცავთ, რომ მალე ვაზღვევინებთ მტერს და ჩვენს სამშობლოს მალე გავანთავისუფლებთ.

ნავთის სარეწაოებზე ხანძარი რამდენიმე დღედაღამე გაგრძელდა. სადივერსიო ჯგუფები ცეცხლს უჩენდნენ ახალ-ახალ კოშკებს და ნავთსაბადოებს. ხანძრის გუგუნ-ტკაცუნისაგან ყურთა სმენა არ იყო. ღილის ამომავალი მზე არ სჩანდა. შავი კვამლის სუდარაში იყო გახვეული დრაგობიჩის არე-მარე.

მთის ბრძოლების პირობებში მოწინააღმდეგეს ჩვენთან შედარებით მრავალი უპირატესობა ჰქონდა: მათ განკარგულებაში იყო სამთო ავტო-ტრანსპორტი; მტერმა შესძლო ყველა გასასვლელის და შემოსასვლელის ჩაკეტვა. კარპატებში და მის მახლობელ უბნებში გერმანელებმა თავი მოუყარეს დიდ სამხედრო ძალებს, მათ განკარგულებაში იყო სს-ს მეექვსე, მეოცდაექვსე და სამასსამოცდამეშვიდე პოლკები. მტრის ეს პოლკები ჩვენთვის ცნობილი იყო. სხვა ჩვენთვის უცნობი ნაწილებიც ბლომად იყვნენ. და მაინც შენაერთმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა: ავაფეთქეთ და გავანადგურეთ ორმოცდაერთი ნავთის კოშკი, თოთხმეტი ნავთსაცავი და სამი ნავთსაწმენდი ქარხანა.

ერთ დღეს, ტყის უშიშარ უბანში დაქანცულს მაგრად ჩამძინებოდა. გამაღვიძეს და მითხრეს: ნავთსაბადოების ზონაში დაპატიმრებული გერმანელი ტყვე გაიპარა, მიღებულია ზომები მის დასაკავებლად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერსად ვერ ვპოულობთო. საჩქაროთ ავდექი და შტაბში გავიქეცი. ტყვის გაქცევა მართალი გამოდგა.

— აქ აწი დარჩენა არა ღირს, — ამბობს კოვპაკი, — ჩვენი ყოფნის ადგილმდებარეობა დღეიდან გაცემულად უნდა ჩაითვალოს. გაპარული ტყვე თავისიანებს უამბობს, რა ძალები გაგვაჩნია და სად ვდგევართო.

კოვპაკის წინადადებით ახალ ადგილზე გადავედით, დაღმართში დავეშვით, შვიდი-რვა კილომეტრი გავიარეთ. დაღმართით სვლა უარესი გამოდგა, ძლივს ვახერხებდით აღალების შეჩერებას. დაუჭედავი ცხენები ლამის გადაეშვენ უფსკრულებში, უჭირდათ აღალების შეკავება. გადაუღებლად წვიმს, საშინელი ღამეა.

ჩემი ერთგული ცხენიც დავარდა, ქარებიანივით დაბობღავს, მის დასაჭედად დროსაც ვერ ვპოულობ.

რამდენჯერ ვუხსნივარ საბედისწერო ბრძოლების დროს ამ ცხენს!

კოვპაკი წინადადებას იძლევა, აქ, ახალ ბინაზე, ტყეში, ხუთი-ექვსი დღეღამე დავრჩეთო.

მტერი დაიბნა, ჩვენს კვალს ვეღარ მოაგნო; თვითმფრინავებმა ტყის ზემო უბნების დაზვერვა დაიწყეს. ვერ წარმოუდგენიათ, თუ ქვევით გადავინაცვლებდით. ხანგრძლივად ტყეში დასვენების დროს საშუალება მოგვეცა აღალები მთის ვიწრო გზების პირობებთან შეფარდებით გადაგვეკეთებინა. ყველა პროფესიის ადამიანი იყო ჩვენს რიგებში, მათ შორის დურგლებიც, ურმის ოსტატები და ზეინკლები. მათ მართლაც თავგანწირულად იმუშავეს, სულ რაღაც ორი-სამი დღის განმავლობაში ასეული აღალის გადაკეთება შესძლეს.

ცხენებს ფეხები დაუსივდათ, დგომა უჭირდათ, ჩლიქებზე სველ ტილოს ვაფენდით, დაჭედვის წინ ნალსა და ჩლიქებს შუა ფარაჯის ნაჭრებს ვუდებდით და ისე ვჭედავდით.

მოსახლეობა აქაც თანაგრძნობით და სიყვარულით გვხვდებოდა. მიუხედავად გერმანელების მხეცური რეპრესიებისა და მავნე აგიტაციისა, ხალხი ძაინც ჩვენთან იყო: გვიმასპინძლდებოდნენ და საჭირო ცნობებსაც გვაწვდიდნენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ კარპატებში აქა-იქ თუ ვხვდებოდით მწყემსებს. მუდმივი მობინადრე მოსახლეობა მთებში არ იყო, მხოლოდ დრაგობიჩის სამრეწველო რაიონში გვხვდებოდნენ მუშა-მოსამსახურეები. ზემოდ უკვე ავღნიშნე, თუ როგორი თანაგრძნობით შეგვხვდა და რა დახმარება აღმოგვიჩინა ნავთის საბადოების განადგურების საქმეში სარეწაოების მომსახურე პერსონალმა. ეს კარგი განწყობილება თანდათან განმტკიცდა და დიდად ნაყოფიერი გამოდგა.

პირველ ხანებში მტრის ადგილობრივმა გარნიზონმა მაგარი ბრძოლა გაგვიმართა, მალე გავფანტეთ ეს გარნიზონი და სადივერსიო მუშაობა გავშალეთ. ნავთის სარეწაოებზე მუშაობდნენ უკრაინელები, ჩეხო-სლოვაკები და პოლონელები. მათ ჭირის დღესავით სძულდათ გერმანელი დამპყრობლები. გერმანელებმაც კარგად იცოდნენ ეს, მაგრამ ამას არაფრად აგდებდნენ; დიდად მაინცდამაინც არც საჭიროებდნენ მუშების სიმპატიას.

ერთ დღეს ტყიდან ვიღაც უცნობი, კარგად ჩაცმული, ინტელიგენტური გარეგნობის კაცი გამოვიდა, მოგვესალმა და თქვა:

— მე დრაგობიჩის ნავთმრეწველობის ინჟინერი გახლავართ, ეროვნებით პოლონელი. მოვედი თქვენთან როგორც მეგობარი, შემიძლია დახმარება შეგთავაზოთ. ჩემს ვინაობაზე გთხოვთ მეტს ნურაფერს ნუ მკითხავთ.

— სასიამოვნოა თქვენი მოსვლა, — პასუხობენ ინჟინერს პარტიზანები, — რას გვეტყვით?

— თქვენ მოსულხართ აქ ნავთის საბადოების გასანადგურებლად; ალბათ გრძნობთ თუ როგორი კოლოსალური მნიშვნელობის ეკონომიური ბაზაა გერმანელებისათვის დრაგობიჩის ნავთი. მე გავკადნიერდები და მოგახსენებთ: მტრისათვის ეს ნავთი მეტი მნიშვნელობისა და ღირებულებისაა. ვიდრე ეს თქვენ გაქვთ წარმოდგენილი. დღეს თქვენ ეს მძლავრი იარაღი მტერს ხელიდან გამოაცალეთ, მაგრამ ამ მიმართულებით ყველაფერი როდია გაკეთებული. ორი მთავარი სამრეწველო უბანი — ბიტკუვი და იაბლონოვი მიწის ქვეშა ნავთსადენი მილებით არიან შეერთებული. მიწაშია მოთავსებული აგრეთვე უზარმაზარი ნავთსაცავი აუზები. ნავთგაყვანილობის და აუზების ადგილმდებარეობა ყველამ როდი იცის. გერმანელები ამ საიდუმლოებას მეტად მკაცრად იცავენ. ნავთგაყვანილობა მდინარე ბისტრიცას ჩაუდის ახლო. სულ ადვილად შეიძლება აქედან მდინარეში ნავთის მარაგის

ჩაშვება. შემიძლია მე გიჩვენოთ თუ სად რა არის.

ინჟინრის განკარგულებაში სახელდახელოდ გამოვყავით ნაცადი ამფეთქებლები. ჩვენმა ამფეთქებლებმა შესძლეს ერთ ღამეში ათეულ ათასობით ტონა ნავთის მდინარეში ჩაშვება და შემდეგ რიგში ნავთგაყვანილობის და აუზების განადგურება. შეასრულა რა ინჟინერმა ნაკისრი მოვალეობა, დაემშვიდობა პარტიზანებს და ტყეში მიიმალა.

აი ასეთი მამაცური ნაბიჯი გადადგა უცნობმა პირმა, არ დაერიდა ის არავითარ საშიშროებას, თავის მოქმედებით მან მტერზე ჯავრი ამოიყარა და ჩვენ კი დიდი სამსახური გაგვიწია.

ჩვენს ისედაც გართულებულ მდგომარეობას სურსათ-სანოვაგეს ნაკლოვანობა დაერთო. მარაგი გველეოდა და მისი შევსების წყარო არსად სჩანდა. მთაში აბა რა იშოვებოდა! ჩვენ კი, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, მდინარე ლომნიცაზე გადასვლის დროს ხომ ბევრი ცხვარი დავკარგეთ. ის ცხვრის ფარა სწორედ კარპატებისათვის იყო გათვალისწინებული. და აი ახლა, კარპატების მთებში, სანახევროდ მაინც ვშიმშილობდით, მაგრამ ამ გაჭირვების დროს ჩვენგან სულიერად არავინ დაცემულა; გვამხნევებდა იმის ფიქრი და შეგნება, რომ კარპატების რეიდის ამოცანა ბრწყინვალედ შევასრულეთ, დრაგობიჩის ნავთსაცავი გავანადგურეთ, მაშ სხვა სადარდელი რა გვრჩებოდა: ერთ დღეს ვიშიმშილებდით, მეორე დღეს ლუკმა პურს მოვიპოვებდით.

გერმანელების გეგმა ასეთი იყო: პარტიზანებს მთაში მოვიმწყვდევთ, გზებს გადავუკეტავთ, გასაქანს არ მივცემთ, დავამშევთ, მოვქანცავთ, დაბოლოს იძულებულს გავხდით იარაღი დაყარონო. მაგრამ ფრიცები ანგარიშში მრსტყუვდნენ, მათი ვარაუდები ყირაზე დავაყენეთ. მტერი აზრზე ვეღარ მოდიოდა, ვერ ხვდებოდა თუ სად ვიმყოფებოდით.

ამ ხანებში ჩვენი შენაერთი გამოვიდა მდინარე გლინიცას ხეობაში; ის იყო შტაბი და მთავარი კოლონა ხიდზე გადავიდნენ, რომ თვითმფრინავების შორეული გუგუნი მოისმა. შტაბიდან მოგზავნილი მეკავშირე გადმოგვცემს, რომ მოსალოდნელია თვითმფრინავების შემოსევა და ამიტომ ყველა ნაწილის უფროსს ნება ეძლევათ თავშესაფარები მონახონ და თავი შეაფარონო. ასეც მოვიქეცით.

მე და დექტიოვმა ასეულები წინ წავიყვანეთ, გზას ერთად განვაგრძობდით. უკან კულბაკა მოგვდევდა თავისი ბატალიონით. კულბაკამ ბატალიონით ხიდზე გადმოსვლა ვერ მოასწრო, ის კოლონას ძლიერ ჩამორჩა და ხიდ გადაღმა დაბანაკდა. უკვე საღამო იყო, როდესაც კულბაკამ შტაბიდან ხიდზე გადმოსვლის ბრძანება მიიღო, მაგრამ მტერს ხიდის მიდამოები კულბაკას შეუმჩნევლად დაეკავებინა. ბატალიონმა ხიდზე გადმოსვლა ვერ შესძლო. მთების კალთებზე გაიმართა გააფთრებული ბრძოლა, მეკავშირეებმა გადმოლახეს მდინარე და შტაბს ყველაფერი აცნობეს.

ამის შემდეგ შტაბიდან ბრძანება მივიღე. შტაბის უფროსი ამხანაგი გრიგოლ ბაზიმა მატყობინებდა:

— კოვპაკმა გიბრძანა, დექტიოვთან ერთად, შეიჭრა მთების კალთებიდან მტრის ზურგში და ბატალიონს გადმოსასვლელად ხიდი გაუნთავისუფლოო, — კოვპაკის ბრძანება ვაცნობე შეექვსე ასეულის უფროსს, სამზადისს შევუდექით.

შევედით ტყეში და მტრის პოზიციისაკენ გავემართეთ. მტერმა არ იცოდა, თუ ჩვენ ვუახლოვდებოდით. ჩვენ ვისარგებლეთ ამით და მთის კალთებიდან ერთხმად ავაკაკანეთ ავტომატები და ტყვიამფრქვევები.

სწორედ ამ დროს ცა საშინლად მოიკუპრა, მსხვილმა სეტყვამ ისეთი სიძლიერით დაუშინა, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო, სეტყვა თუ ტყვია გვხვდებოდა. ერთი მხრივ ჩვენს შეტევას და მეორეს მხრივ სეტყვის ნაკადს მტერმა ვერ გაუძლო და მოკურცხლა. გერმანელები გზა-გზა ყრიდნენ ფარაჯებს, იარაღს. ამ ბრძოლაში კარპატების მთებში ბევრმა ჰიტლერელმა დასტოვა ტყავი. ასეულის პარტიზანები დიდი ხნის უნახავ მეგობრებივით ხვდებოდნენ ერთი-მეორეს, მტერზე გამარჯვებას ულოცავდნენ. ამ დროს ჩემსკენ მომავალ მატუშჩენკოს თვალი მოვკარი. ახლა-ღა გავიგე, რომ მატუშჩენკოც ღებულობდა მონაწილეობას ამ ბრძოლაში. სახე გაბრწყინებულმა მატუშჩენკომ მომაძახა:

— დავით, ცოცხალი ხარ?!.. — როგორც ძმები ერთი მეორეს გადავეხვიეთ და გადავკოცნეთ.

ოპერაციის დამთავრების შემდეგ მე და მატუშჩენკო ჩვენი ნაწილებით შტაბისაკენ გავეშურეთ. კულბაკას მდინარე გლინიცას ხეობაში სტანისლავიდან მომავალი გზის გადაკეტვა ჰქონდა ნაბრძანები. შტაბის მახლობლად დავბანაკდით. თვითმფრინავები ისევ ჩვენს მაღლა ტრიალებდნენ. ერთი ძაფი არ გაგვაჩნია ტანზე მშრალი, ძალზე გვცივა, მაგრამ ეს გულს არ გვიტეხს, სიცივეს და სიმშილს შეჩვეული ვართ.

დილით ადრე ავდექი და ცხენები დავათვალიერე. ამ საქმეში ვიყავი გართული, რომ მეკავშირემ მოირბინა და გადმომცა, შტაბში გიბარებენო. ტანსაცმელი გავისწორე და გავეშურე შტაბისაკენ. შტაბი პარაშუტის ტილოს კარავში იყო მოთავსებული.

შესვლისთანავე კოვპაკს მივესალმე, კომისარიც აქვე იყო, მან ჩვეული ალერსიანი სიტყვით მომმართა:

— დავით, დაბრძანდით, როგორ არიან მებრძოლები? ცხენებმა დაისვენეს თუ არა?

კოვპაკი დამაცქერდა და შემეკითხა:

— ამხანაგო ბაქრაძე, ჩვენი განზრახვაა, რომ შენ მეორე ბატალიონის მეთაურად დაგნიშნოთ.

ამ სიტყვებზე შევკრთი, თითქოს ჩემს ტანში ელექტროდენი გაეშვათ. უცებ პასუხი ვერ მოვახერხე.

კომისარმა თავისი სათნოიანი თვალებით შემომხედა და დასძინა.

— მოიფიქრე!

კოვპაკმა ჩვეულებისამებრ გაზეთის ქაღალდი ჩამოხია და სიგარის გაკეთება იწყო.

— ამხანაგო კომისარო, მე მაგ საქმეს დღევანდელ პირობებში ვერ შევძლებ.

— რა პირობებია? — მეკითხება კოვპაკი.

— ყოველდღე ბრძოლებია, მეორე ბატალიონის მებრძოლებს მე კარგად ვერ ვიცნობ, რომ შევისწავლო ისინი, საამისოდ დრო არ არის. კულბაკას თუ დავეხმარებით, ის გამოასწორებს საქმეს.

კოვპაკმა მკაცრად მითხრა:

— ამას შენ არავინ გკითხავს. კულბაკამ ამ ბოლო დროს დისციპლინა სრულიად დაივიწყა. ამ რეიდზე უკან ჩამორჩა, მტერმა შეამჩნია მისი ბატალიონი და ბრძოლაში ჩაბა. სწორედ ამისათვის გვინდა შენ დაგნიშნოთ მეორე ბატალიონის უფროსად.

კომისარმა შემატყო, კოვპაკისათვის პასუხის გაცემა მინდოდა და სიტყვა დამასწრო:

— შენ თქმა გინდოდა რაღაცის.

— ამხანაგო კომისარო, ჩემს ასეულში ყველას კარგად ვიცნობ, ყველას ვენდობი როგორც ჩემს საკუთარ თავს. ამ მებრძოლებთან ბევრი გაჭირვება ერთად გადამიტანია. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მაგათ ჩემთვის ეღალატნათ, ამავე დროს მე თქვენ დავალებას პირნათლად ვასრულებდი. მე

ჩემი ბიჭები აღვზარდე ისე, როგორც ეს მინდოდა და მესმოდა. გაძლევთ სიტყვას, რომ ჩემი ასეულით შევძლებ გავაკეთო ის საქმე, რის გაკეთებასაც ბატალიონი დასჭირდება.

კომისარმა კოვპაკს რაღაც წასჩურჩულა. კოვპაკმა თანხმობის ნიშნად მას თავი ჩაუქნია, მერე თვალი თვალში გამიყარა და მითხრა:

— კარგი, ჯერ-ჯერობით დაგტოვებთ შენს თანამდებობაზე და შემდეგში ვნახოთ.

ამ სიტყვების შემდეგ წასვლის ნება ავიღე და გახარებულმა სწრაფი ნაბიჯით ჩემი ასეულისაკენ გავსწიე.

შემდეგ კულბაკას გამოუძახეს, როგორც ამხანაგებისაგან გავიგე, ჩვენს მოხუცებულს ის თავისებურად დაერიგებინა. საქმე არ გართულებულა. კულბაკა თავის თანამდებობაზე დასტოვეს.

რუდნევისა და კოვპაკის წინადადება, რომ მე ბატალიონის უფროსობა მიმეღო, ჩემს სამსახურებრივ წარმატებას ნიშნავდა, მაგრამ ამ შემთხვევაში უფროსების წინადადებაზე თავის შეკავება და ბეჯითად თხოვნა — ნუ გადადგამდნენ ჩემს მიმართ ამ ნაბიჯს, გამოწვეული იყო საქმის ინტერესით და ნაწილობრივ ამხანაგ კულბაკას ხათრით და პატივისცემით.

ორი დღე დავყავით გლინიცას ხეობაში. მტერს თითქოს დაავიწყდა, რომ კარპატების მთებში კოვპაკის შენაერთი ბინადრობდა, ერთი შაშხანის ხმაც არ გაგვიგონია, იმ ხანებში.

მაგრამ ეს სიჩუმე თურმე ქარიშხალს მოასწავებდა. როგორც მზვერავებმა გადმოგვცეს, გერმანელები ახალი მახის დასაგებად ემზადებოდნენ.

X

კარპატების მთებში გერმანელებს კიდევ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მთების ირგვლივ მდებარე ხეობების კეთილმოწყობილი შარაგზები მათს განკარგულებაში იყო, ამ გზებზე მექანიზებული ტრანსპორტით გადაჰყავდა-გადმოჰყავდათ ჯარის ნაწილები. პარტიზანებს კი მხოლოდ მთების კალთები ეჭირათ, გზად ვიწრო ბილიკები ჰქონდათ გამოყენებული. მშვიდობიან დროს მარტო მთის ნადირნი და მწყემსი მთიელი გუცულები სარგებლობდნენ ამ ბილიკებით.

გერმანელებმა ურიცხვ ჯარს მოუყარეს თავი კარპატებში, მრავალი პოლკი გადმოიყვანეს იმ ხანად კარპატების გადაღმა და გადმოღმა ტერიტორიაზე. ერთი სიტყვით ისინი გააფთრებულ სამზადისში იყვნენ.

დრაგობიჩის ნავთის სარეწაოების განადგურების შემდეგ პარტიზანებმა მოახერხეს მდინარე გნილიცას სანაპიროების ხელში ჩაგდება. მტერმა იმ ხანად კარპატების მთების კალთებზე მრავალი სტრატეგიული ადგილი დაიკავა და თავდაცვისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. ამრიგად ეს მთები მტრის თავდაცვის სალტეებში მოექცა. დიდი თავგანწირული ბრძოლა იყო საჭირო, რომ პარტიზანებს განსაცდელისაგან თავი დაეღწიათ. ყველაფრიდან სჩანდა, რომ გერმანელები ემზადებოდნენ გენერალური ბრძოლა გაემართათ პარტიზანებისათვის. მოწინააღმდეგე სწორედ იმიტომ აჭიანურებდა და ახანგრძლივებდა ბრძოლის დაწყებას, რომ მას სურდა ჩვენი დაქანცვა და დასუსტება. მტერმა კარგად იცოდა, რომ პარტიზანებისათვის სურსათის შევსება, კარპატების პირობებში შეუძლებელი იყო; მაშასადამე, მისი ვარაუდით, ხანგრძლივად ალყაში ყოფნას ჩვენი დამშევა და ფიზიკურად დასუსტება მოჰყვებოდა. მაგრამ მტერს იმედა აქაც გაუცრუვდა. მართალია სურსათის მხრივ შევიწროვებული ვიყავით, ჩვენთვის ჩვეულ ფართო მანევრებზეც ხელი ავიღეთ, მაგრამ გული არ გაგვტეხია; პირიქით, მძიმე წუთებში

მხნეობა შევინარჩუნეთ და მტრის ყველა დარტყმას ორმაგი დარტყმით ვუპასუხებდით. ამ ხანებში ტყვეებმა გვიამბეს, რომ გერმანელების სარდლობას ბრძანება გამოეცა — ვინც პარტიზანის ხელმძღვანელებს ცოცხლად მოგვგვრის, დიდ ჯილდოებს მივცემთო.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ არასოდეს მტერს ისე მასობრივად ჩვენს წინააღმდეგ ავიაცია არ გამოუყვანია, როგორც კარპატებში ყოფნის დროს. და ჩვენც ასე შეგიწროვებულნი არასოდეს არ ვყოფილვართ.

სწორედ ამ ხანებში ერთი ამბავი მოხდა. რომ ეს ამბავი უფრო სრულად გადმოგცეთ, ამისათვის საჭიროა ჩვენი პარტიზანული ბრძოლის ადრინდელი დღეებიც გავიხსენოთ. ცხრაასორმოცდა ორი წლის ოქტომბერში, როცა ბრიანსკის ტყეებიდან გამოვდიოდით, უნგრეთის ერთი პოლკიდან რვა ჯარისკაცი გამოიქცა და ჩვენ მხარეზე გადმოვიდა. მათ თავისი იარაღიც თან მოიყოლიეს. რუდნევის შეკითხვაზე — ვინა ხართო, ჯარისკაცებმა უპასუხეს:

— ჩვენ რუსინები* ვართ, ჩვენივე სურვილის წინააღმდეგ გერმანელებმა ჯარში გაგვიწვიეს და თქვენთან საბრძოლველად გამოგვიყვანეს; ჩვენ არ გვინდა თქვენ წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ერთიხანია სულ გამოქცევაზე ვფიქრობდით და აი ახლა ძლივს მოვახერხეთ გამპარვა, — წარმოსთქვა ერთმა მაღალ-მაღალმა ჯარისკაცმა, რომელიც, როგორც სჩანდა, მეთაურობდა თავისი ამხანაგების ჯგუფს.

— აი ეს სამნი, — თავისი ამხანაგებისაკენ გაიშვირა ხელი მაღალმა ჯარისკაცმა, — წუხელ გუშაგებად იდგნენ ხიდზე. მათთან წინდაწინ შეთანხმებული ვიყავით, გამოვუარეთ და ესენიც წამოგვყვნენ.

— იცოდით, ვისთან მოდიოდით? — ჰკითხა მათ რუდნევმა.

— რათქმა უნდა — ვიცოდით. კოვპაკის სახელი ვის არ გაუგონია! ახლა ძალიანა გთხოვთ თქვენ შენაერთში ჩაგვრიცხოთ.

გამოქცეულები მართლაც ჩავრიცხეთ პარტიზანულ შენაერთში. ისინი ძალიან კარგი მებრძოლები გამოდგნენ, ყველანი ერთგული და თავდადებული ჯარისკაცები იყვნენ. სტარაია გუტადან კარპატებამდე მათ არა ერთხელ ისახელეს თავი.

და აი ახლა, როცა ჩვენ მათი სამშობლოს საზღვარს მიუახლოვდით, რუსინებმა ამხანაგ კოვპაკს სთხოვეს:

— ამხანაგო უფროსო! როგორც მოგეხსენებათ ჩვენს ქვეყანასთან უკვე ძალზე ახლოს მოვედით. გთხოვთ გაგვიშვათ სამშობლოში, ჩვენ იქ პარტიზანულ რაზმებს შევქმნით, მეზობლებსა და თანამესოფლეებს დავრაზმავთ და გერმანელების წინააღმდეგ გამოვიყვანთ.

კოვპაკმა რუსინების თხოვნას დადებითი პასუხი გასცა. მით უმეტეს, რომ მათ პარტიზანული ბრძოლის გამოცდილება არ აკლდათ და აი კოვპაკის წინადადებით კარპატების მთების კალთებზე პატარა სახელდახელო მიტინგი მოეწყო; მიტინგზე სიტყვით რუდნევი გამოვიდა.

— პარტიზანულ ბრძოლებში გაფოლადებულო თანამებრძოლებო, — მიმართა რუსინებს რუდნევმა, — ახლა ჩვენ განსაკუთრებულ მძიმე დღეებს განვიცდით. ჩვენგან ერთი კაცის წასვლაც კი საგრძნობი დანაკლისია, მაგრამ მაინც გადავსწყვიტეთ თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილოთ. გასწიეთ თქვენი სამშობლოსაკენ, ჩვენ გზას გილოცავთ. მისვლისთანავე ჩაუდექით ხალხს სათავეში, შეჰქმენით რაზმები და მიეხიეთ მტერს. იბრძოლეთ ისე, როგორც ჩვენ ერთად ვიბრძოდით. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ სამშობლოში თქვენი მისვლით უფრო დიდი

* იმერკარპატის უკრაინელები.

საქმე გაკეთდება, ვიდრე შენაერთში დარჩენით.

საპასუხო სიტყვით გამოსულმა რუსინმა ჯარისკაცმა სთქვა:

— მეგობრებო, ჩვენ თქვენს შენაერთში ბევრი რამ ვისწავლეთ. ჩვენი სიძულვილი მტრისადმი, გერმანელი დამპყრობელისადმი ათას გზის უფრო გაძლიერდა. ჩვენ მივდივართ სამშობლოში, როგორც კოვპაკელები და ფიცსა ვდებთ თქვენს წინაშე, მუდამ დირსეულად ვატაროთ ეს საპატიო სახელი.

რუსინი ჯარისკაცის სიტყვები მქუხარე ტაშმა დაჰფარა. შემდეგ ეს ჯარისკაცები გავისტუმრეთ, გამყოლებად საუკეთესო მზვერავები გავატანეთ. მათ შორის იყო ცნობილი მზვერავი ჟორჟოლიანი.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

ბაკურციხელი ნალბანდი

პოემა

★

1.

ქარაფებს მისდევს რკინიგზა
გან-გან და ირიბ-ირიბად...
რკინიგზას ვიწრო ბილიკი
შემოვლებია გვირისტად...
და სადაც გადასავალი,
თავდება თანდათანობით —
ბაქანი არის, ბაქანთან
კლდის ძირში წყარო გამოდის.
წყაროსთან გოლიათურად
წამოწოლილა ცხრა ლოდი...
ბაქნის ბოლოში კლდეები
ალაყაფურად გახსნილან.
გზად ვიღაც მგზავრი იჩქარის,
აგერ, ბაქანსაც გასცილდა.

გასცილდა... თავზე უეცრად
გადაუარა არწივმა...
მის თვალწინ ზღაპრულ ფერებით
გადაიშიმნენ ველები...

— ვინ არის, ნეტავ, ვინ არის,
ჭაბუკი პირმომღიმარი,
ახალთ-ახალი ფარაჯით,
ყელგანიერი ჩექმებით?..
ნუთუ, არავინ ელოდა,
სად არის მისი შემხვედრი?!—
ერთმანეთს შრიალ-შრიალით
ეკითხებიან ვერხვები...

*
* *

გზად მომავალი ქვემოდან
ერთი მოხუცი შემოხვდა.
თოვლივით სპეტაკ ქოჩორზე
თუშური ქუდი შვენოდა...

ჭაბუკმა იცნო მოხუცი,
მხრებში მოხრილი მოხუცი:
— ხვთისავარ, ძია, ხვთისავარ,
ვეღარ მცნობილობ ვინა ვარ?!
კვლავ შევხვდით... აი, იღბალი!
ნიკა ვარ, ნიკა, ხვთისავარ,
მე შენი ნაშეგირდალი!..

ომშიაც, ცხარე ომშიაც
იცი, რა ცხენებს ვნალავდი?
ვნალავდი... რიყის ქვებზედაც
მიჰქროდნენ ნავარდ-ნავარდით.
რას იფიქრებდი, ფრონტზედაც
ინალბანდებდა ნალბანდი!..

— ხვთისავარ, შენი თამაზი
თამამზე უფრო თამამი,
მითხარ, დაბრუნდა თუ არა?
— დაბრუნდა შვილო, დაბრუნდა,
ბედმა არც იმას არგუნა
საფლავის ბნელი სუდარა...
დაბრუნდა, მაგრამ დაჭრილი...
კოჭლობს და კოჭლობს მასუკან.
— კოჭლობს? სიკოჭლე რას უზამს, —
ჭაბუკი გაეპასუხა...

— ეხ შვილო, მაგას ვინ ჩივის,
სხვა საწუხარი გვაწუხებს.
იმ უიღბლოს და
უბედურს
შვილი მოუკვდა გასულ წელს.
ცოცხლად ვერ ნახა... ნეტავი
ცხედარი მაინც ეხილა.
ბოღმისგან ყვითლად ჩამოხმა,
მეც გული გამატეხინა...
წვლს კიდევ
დედა დამარხა,
დედის სიცოცხლით ვერ დატკბა.
ჩამოსანგრევმა სიკვდილმა
ახალი დარდი შეგვმატა...

დიდხანს გაჩერებ... საუბრით
გული არ მომიოხდება.
გასწი, ნახვამდის, იხარე,
იხარონ შენმა მშობლებმაც...

სოფელს მოედო ამბავი
დაბრუნებული ნალბანდის.

2.

ვინ იცის, ერთი შეხედვით,
მამამ თავისი ვაჟკაცი
ნამდვილად იცნო თუ არა?
ეს კია: მოხუცს ბაგეზე
ღიმილმა გადაუარა.
ბეჭებში დაჰკრა ჟრიალმა,—
და გული შეუფრთხიალა.

ახალი ჩოხა ჩაეცვა,
ახალი ქუდი ეხურა.
ხელში მათრახი ეჭირა,
მკერდი გაეხსნა გლეხურად.

გამოეგება მოხუცი
თავათ მიიჭრა ჭაბუკთან.
ეს რა სცოდნია სიხარულს,
სიტყვა ვერ დასძრა, დამუნჯდა...

შვილს დედაც გამოეგება,
ლოცავს და... თავზე ევლება...
უყვარდა თეთრი მანდილი,
მას შავად აღარ შეღებავს.

ნიკას ჯარიდან ჩამოსვლა
იგრძნეს ქვიტკირის კედლებმაც,
მარანში—დიდმა ქვევრებმაც...

ღვინო აქვთ დაუხარჯავი,
წითელი როგორც მარჯანი.
ქვევრი აქვთ, ქვევრი შეთქმული,
დღეს აეხდება სარქველი.
სტუმარი სტუმარს მოჰყვება,—
არ დაელევათ სათქმელი...

აივანია იმხელა,
ზედ ცხენი გადაჭენდება.
ჭერს ქუდი უნდა ახალონ,
ეხო გაიღონ კედლებმა!..

3.

დედამ ხელების კანკალით
ნიკასეული აკვანი
ძირს ჩამოიღო სხვენიდან.
თასმები რაა, თასმებსაც
კრიალი დააწყებინა...
— გამხიარულდი აკვანო,
გეყო დუმილი ხანგრძლივი.
შვილიშვილებსაც გაღირსებ,—
აქ მყავსო შენი გაზრდილი...
უქრობ ვარსკვლავად ჩასთვალა
თავისი ბედის ვარსკვლავი.
ოჯახის ბურჯი დალოცა,
წყაროს წყლით მორწყა სახლ-კარი...

მერე მოხუცმა ნელ-ნელა
ნიკას საველე ჩანთიდან
ამოალაგა რაც იყო...
უცებ ერთ ნივთზე ჩაფიქრდა
და როგორც ვერხვის ფოთოლი
აცახცახდა და... გაფითრდა...

— ერა არის, ნეტავ, ეს რკინა,
ტახტის გაჩარხულ ფეხს რომ ჰგავს.
ნუთუ, შორეულ ქვეყნიდან
ბრძოლების ნიშნად ეს მოჰყვა?..

ლამფაა? ლამფას არა ჰგავს,
სად ლამფობს ლამფა ამგვარი.
იარაღია სასროლი?
ხომ ჩაქრა ომის ხანძარი?!

ამ ფიქრში იყო, როდესაც
გაიხსნა სახლის კარები, —
და შიგნით ნიკა ნალბანდმა
შემოანათა თვალები...
— შვილო, შენა ხარ? მოდი აქ,
აგრემც თავს შემოგევლები...
ძირს დაუვარდა ნივთი და
გაასავსავა ხელები...
და ამ დროს ღია კარებში
მიხაც გამოჩნდა ხველებით...

— რამ გაგაფითრა, მოხუცო,
რას დასცქერ ელდა-ნაკრავი.
ჩვენს ოჯახს ჯვარი სწერია,
არ დაგვენგრევა სახლ-კარი.

ყუმბარა არსად გინახავს?
ეს მასრა გახლავს იმისი.
გული საგულეს დაუთმე,
სად გამოგადგეს, ვინ იცის?!
მასრა კი არა, ყუმბარაც
ვერაფერს გვიზამს ამჟამად, —
და მამაშვილის სიცილმა
შეაზანზარა ფანჯარა...

*
* *

მალე მოვიდა ვახშმის დროც,
ხელდახელ სუფრა გაშალეს, —
და საუბარი გაჩაღდა
ისევ ყუმბარის მასრაზე...

— სად იყო დედი, ომის დროს
ჩვენთვის სახლები ლამპრებით?!
ლამპრად ეს მასრა ვაქციეთ,
ძელმიწურებში ვანთებდით.
მასთან არაფრად გვიღირდა
ლაიპციგური სანთლებიც...

მის შუქზე ვწერდით წერილებს,
მის შუქზე ვწმენდით შაშხანებს.
მის შუქზე შეუდგენიათ
გეგმები მებრძოლ ვაჟკაცებს...
მეც ხშირად გამომიკვერავს
მის შუქზე ცხენის ნალები.
წავსულვართ... მიამაყნია
ცხენების ნატერფალებით!..

და როცა ომი დამთავრდა,
ველარ იზამთრა ზამთარმა,
ეშელონებშიც დავიდგით
აი, ამგვარი ლამპრები.
სულ კაშკაშებდნენ გზადაგზა
შეუღებავი სარკმლები...
მეც მენთო, მენთო, სულ მენთო,
მხოლოდ თბილისში გავაქრე,
რადგან მებრძოლთა გულები
თბილისის შუქით განათდნენ...

დაე, დღეიდან აქ იდგას,
ამ მაგიდაზე მარადის.
დრო გავა, მოგვიგონებენ
ჩვენ ჩვენი შთამომავალნი.
იტყვიან: უბრძოლიათ
ქართველს ამ ოჯახიდანაც...
შესანდობარსაც დალევენ
და ჩვენც—საფლავის ბინადართ
სხვა მეტი არა გვინდარა!..

4.

ეზოში სამნი არიან,
გაბმული საუბარი აქვთ...
— დავბერდი, შვილო, დავბერდი,
შენა ხარ ჩემი იმედი.
ის მიხა აღარ გახლავარ,
ჯიხვს რომ კვალდაკვალ მივდევდი...

ეს რა ყოფილა სიბერე,
ყელს მომდო ჯაჭვის ქამანდი...
მაგრამ ამ გამხმარ ხელიდან,
ეს ხერხი, ეს ბირდაბირი
ჯერაც ვერ გამაგდებინა.
დიდრონ-დიდრონი ბეღლები
ვინ უნდა დადგას უჩემოდ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ახალ მარნებს კედლები
ვინ უნდა ამოუშენოს?..
ზღვა მოსავალი მოგველის,
ბინა სჭირდება მოსავალს.
გარჯა სჭირს დაუცხრომელი
ჭაბუკს და ჭაღაროსანსაც...

თუ ხვთისავარის შვილივით
ყველანი განზე გავდგებით:
გავმართეთ ბედთან ჩივილი,
არ დავაფასეთ გამზრდელი,
სჯობია, ასეთ სიცოცხლეს
ცხელ ქვაზე თავი ვახალოთ.
გულში ხანჯალი დავიცეთ,
ძვლები გაგვიხდეს სამიწეთ.
დაგვმარხოს ვინმემ სამადლოდ,
ზედ რიყის ლოდი დაგვადოს...

რაო, ხვთისავარს თამაზმა
ვერ გაუმართლა იმედი?
(თავი დაღუნა მამამ)
— შენ რაღას სდუმხარ, სთქვი, დედი...
— რა ვიცი, შვილო, რა ვიცი,
ვერ იქნა, საქმე თავისი
ვერ მოაგვარა ვერასგზით
იმ ჩემი ცოდვით დამწვარმა.
აგრემც ის გამწარებულა,
როგორც ეს გული გამწარდა...

ო, რატომ ენა არ მომტყდა,
როცა ჩემს დისწულს მარიას
ვურჩიე მისი ცოლობა...
ვითომ თამაზიც ქმარია,
ქმარი კი არა, შხამია.
— შვილი რა უყავ?—დაჰყვირის,
თითქოს მარიას ბრალია...

თან რაღაც ცილსაც სწამებს და
ცოლს თავის ღირსად არა სთვლის.
ასეთი თავგასულობა
სანამდის გასტანს, სანამდის?!

ბრძოლაში ბევრნი წასულან,
დაბრუნებულან კაცებად,
ჯერ არსად გამიგონია
კაცის ამგვარად დაცემა.

მაგრამ რას ვამბობ,
დე ისევ,
უსმინე, შვილო, მამაშენს,
ეგ მოგახსენებს დანარჩენს...

— თუკი შენ, შენმა ხელობამ,
წასული საქართველოდან
გატარა ხელმომართული,
არ შეგარცხვინა ბრძოლაში,
იყავ შრომაში გართული,
სჭედე რუსული ნალები,
სჭედე ნალები ქართული,
თამაზი რაღად განუდგა
საქმიანობას ომამდელს...
განა, ამ ქვეყნად დურგლობა
ცუდია ნალბანდობაზე?!

მან ცხენზე ჯდომა ირჩია,
ზედაც დურბინდის ტარება.
რად არ იცოდა, მზვერავსაც
სჭიროდა ტანჯვა-წვალება,
ცხენს მოვლა-პატრონობა და
მხედარს —
ხმლის კარგად ხმარება!..

დღისით, ღამით თუ —
რიყრაჟზე,
სად ხიდებს, დიდრონ ბლინდაჟებს,
ანდა ბოგირებს აგებდნენ,
დურგლები ნაკლებ იბრძოდნენ
სხვა მებრძოლ ამხანაგებზე?!

ნეტავი, ჩემი გაზრდილი
არ ყოფილიყოს მაინცა.
დაბრუნდა დაკოჭლებული,
უძირო ქვევრად გადიქცა...
სადურგლო იარაღები
გაყიდა, გაანიავა,
არ დამიფასა ამაგი,
გულზე დამაჭდო იარა...

მას თავიდანვე ვამჩნევდი
სიკერპეს, უჯიათობას.
უყვარდა ჩაცმა-დახურვა,
გავლა-გამოვლა, გართობა.
სძულდა ხერხი და

ხელეჩო...
ზანტად ხმარობდა შალაშინს,
თუმც ძელქვას ჰგვანდა სიმაგრით,
ღონე არ აკლდა მაჯაში...

გიქ მოზვერს მოვარჯულებდი,
შეჰყვარებოდა უღელი.
მგელს მგლობას გადავაჩვევდი,
დაზავებოდა ცხვრის ფარას,
ოღონთ კი შვილო, შეგირდად
არ შემხვედროდა მისთანა.

5.

მზე გომბორს ეთხოვებოდა,
ფრთებს იმუქებდნენ ჩრდილები...
ფრთებს იმუქებდნენ ჩრდილები
ნაბდურად გადაშლილები...
ხის კენწეროებს ჰკოცნიდნენ
უკანასკნელი სხივები.
მინდვრიდან დაძრულ ნახირებს
სტვენით და შეძახილებით
მოსდევდნენ მენახირენი...

იდგა ძაღლების ღავღავი,
ბელეშა ფურთა ბღავილი.
რქა რქაზე დაჯახებული
ელავდა მოხრილ ხმალივით.
ხარ-კამეჩების ჩლიქებით
იბზარებოდა ყამირი...

საბჭოს წინ, კოლმეურნეებს
წრე შემოერტყათ ნიკასთვის.
ზოგი თოხს, ზოგი ბარის ტარს
დაჰყუდებოდა იდაყვით.
ნიკა ამბავსა ჰყვებოდა:
— ეჰ, ძმებო, სად არ ვიყავი,
მადლობა გამჩენს, რომ თქვენგან
კვლავ დავრჩი გაურიყავი...

ო, როცა ომი დაიწყო,
ო, როცა მეხი დაგვატყდა,
მაშინ, ის ჩვენი ნაწილი
საზღვართან იდგა, საზღვართან.
სულ თვალწინ მიდგას ის წამი.
ცხენი დავჭედე გენერლის...

ჯერ დილა იყო სისხამი,
დუმილში სთვლემდნენ ველები...

უცბად, სად იყვნენ, სად არა,
გამოჩნდნენ თვითმფრინავები.
ზმუილი მორთეს საზარლად,
გაოგნდა თითქმის ჰაერიც...
დავიბენ, თხრილს ვერ მივაგენ,
მიწას გავეკარ ლასტივით.
ჯარისკაცული სიცოცხლის
მქონდა წუთები დათვლილი...
ვერ გავძელ, ერთიც შევხედე:
დაეშვნენ თავდაყირანი.
მერე გასწორდნენ
და ვიგრძენ
სიცივე ძვალ-გამყინავი...

მალე გველური წივილიც
გაისმა ყუმბარებისა.
ლამის ფესვები დაგლიჯა
აი, ამ გულმა ელდისგან...
თითქოს ცა ჩამოინგრაო,
დაემხო დედამიწაზე.
აქუხდა ქვა და ფოლადი,
ქვეყანა შედგა ყირაზე...

არ იტყვით, იმ ჩემს სამჭედლოს
რა უყო ბედმა ტიალმა?!
მოგლიჯა, ზეცას შესტყორცნა
იმ თავის საძირკვლიანად.
თურმე დავჭრილვარ... და მე კი
დაჭრის არ გამიგიარა.
დავეცი... სმენა დამიხშო
თოფ-ზარბაზნების გრიალმა...
აღარ დამცალდა: მტრის ჯარებს
მეც შევხვედროდი მრისხანედ,—
თქმა იყო
ამ სიტყვების და
გორი-გორ ბარჯისხევიდან
ქარი მოვარდა შლეგურად.
თან ბინდი გადმოიყოლა,
შუკები შავად შებურა.

სადღაც ხის გმინვა გაისმა
ვით ხანჯალდაკრულ ხარისა.
ეხო ხევგაღმა გავარდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელზე გადინავარდა...
ვერ დაასრულა სათქმელი
ომგადახდილმა ნალბანდმა...

*
* *

შინმიმავალმა ანაზდად
თვალი შეასწრო რაღაც ლანდს.
— რა უნდა იყოს ნეტავი,
რას გადუხაფრავს შარაგზა?
ძირს დაიხარა, გაჰხედა:
ჰგვანდა დამსხვრეულ ზარბაზანს.

აჰა, მიადგა კიდევაც:
ხე გდია უზარმაზარი
მთლად შტოებ-შემომტვრეული...
ზემოდან ხვინჭა გადასდის,
უთრთის და უთრთის სხეული...

— ეს რა მოსვლია ხვთისავარს,
ის ხომ
ამ მუხით ცოცხლობდა...
საქვეყნოდ თავი მოსწონდა:
„ორთავე ერთი ხნისა ვართ,
ვერ გვძლევსო მეხის რისხვაცა“...

მაგრამ ქარს ქარი ჰრქმევია,
ხეს ჯიქურ დასჯახებია.
მუხას ჭახჭახით წამოსულს
მოუსრავს ღობე ტყრუშული,
ძველი და
წარბმოღუშული...
ქარს ქარიშხლობა მოსწყინდა,
ნელნელა მოთვინიერდა.
და სადღაც ღრუბლის კოშკიდან
მთვარის ნათელმაც იელვა...

* *
*

უეცრად ძველ ორღობეში
ძგრიალი ატყდა ნალების.
ნალებმა წივილ-წივილით
გაყარეს ნაპერწკალები...

ის იყო, ნიკას —
მხედრისთვის—ვინ ხარ, —
უნდა ეკითხნა,
რომ ცხენმა წაიბორძიკა
და დაიქუხა მხედრის ხმამ:
— ვაგლახ, შენც ვითომ ცხენი ხარ...
ტიალო, ბრმა კამეჩივით
რა ღობე-ყორეს ედები.
ქერს გაჭმევ, რასა მღალატობ,
გაგიქრეს დამბადებელი!..

— თამაზ, შენა ხარ?.. ლაგამი
მაგრა დაძაგრე, გამაგრდი.
გნატრობდი, გნახე კიდევაც!—
შესძახებს მხედარს ნალბანდი...

— ნიკას ვახლავარ, ნიკასა, —
თამაზმა სახელდახელოდ
ცხენი დაღვედრა ჭიშკართან...

— სადა ჰყოფილხარ, ჩამოხე,
ჩემთან ივახშმე ამაღამ,
შინ მაინც დროზე გადახვალ...
ეს მერამდენე წელია—
ერთად არ მოგვილხენია?!
— შვიდ დღეს
შინ არა ვყოფილვარ,
შილდაში ვიყავ მოძმესთან.
რა ვქნა, ვერ მოვალ, ბოდიში,
კარი-კარ ქროლვა მომბეზრდა.
ცალკე უთქმელი დარდი მკლავს,
ლამის გავთავდე ჯავრისგან...
— ხვალ მაინც მოდი, მესტუმრე,
მიამბე შენი ავ-კარგი.
დარდი გკლავს? ველარ ჩაჰკალი?
რა გემართება აქამდის?!

— რა გითხრა, ბიჭო, რა გითხრა,
გულში იმედი ჩამიქრა.
სოფელს რა მხარეც ვუნახე
სუყველა მხარე ჭრელია.
ვინც კი—მოკეთე მეგონა,
სჩანს, ყველა ჩემი მტერია.
ეხ, ამისთანა სიცოცხლე
აბა, რა სანატრელია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ამბობ, თამაზ, არ მესმის,
რა შუაშია სოფელი?
რა უნდა გქონდეს, მითხარი,
შენ მასთან გასაყოფელი?
არ მეჭაშნიკა ეგ სიტყვა,
მოშხამულია გესლითა...
ვინა გმტრობს, ვინა გღალატობს,
სამტროდ დღეს ვისა სცალია.
თუ საქმე რიგზე ვერ მიგყავს,
იცოდე, შენი ბრალია!
ცეცხლმოდებულმა თამაზმა
ესლა წარმოსთქვა ხმამაღლა:
— ნახვამდის, ნიკავ, ნახვამდის,
რა ამინდია, ხომ ხედავ? —
ცხენს გადუჭირა მათრახი —
ორღობე შესძრეს ფლოქვებმა...

— თამაზ, ჭენებით ნუ გასწევ,
თქვენს მისასვლელთან, შარაზე
გადმოჩეხილი მუხა წევს,
ზედ არ წააწყდე უცაბედ...
ხიფათს არ გადაეკიდო —
ჟანგი შეგიჭამს უზანგებს...

6.

უკანასკნელი ვარსკვლავი
როგორც ჭედვის დროს ყაირი
გრდემლიდან გადავარდნილი
მთლად გადიკარგა თვალთაგან
პატარა, მაგრამ კამკამა...

მერე გომბორის მთებიდან
დაიძრენ შავი ღრუბლები.
გიჟ მოზვრებს გვანდნენ,
გიჟ მოზვრებს
გადამტვრეული უღლებით.
ერთმანეთს რქებით სჩხვერავდნენ
ამრეზილ-ალანძულები...
ცას უნდა საგანთიადოთ
უბე გაეხსნა ვეება,
რომ ხელმეორედ დაბნელდა
და ელვა ელვას შეება.
ქოჩრები გადაიწეწეს
ატოტებულმა ხეებმა...

სიზმარში გადასულიყო
ნაქეიფარი ნალბანდი,
ვაქკაცს ნაბადი ეხურა
პაპისეული ნაბადი, —
რას დამაკლებსო ავდარი...

ბევრი ილხინეს, იმღერეს,
თვით ნიკა იყო თამადა,
მაგრამ ბოლო დროს მასპინძელს
გული ატკინა თამაზმა:

— თუ თამადა ხარ, ღვინო სვი,
იმ ომის ამბებს ნუ მოსთვლი.
სულ ომზე ფიქრიც—მოგვწყინდა, —
და მასრა ტუჩგანიერი
ნიკას რომ მოჰყვა ფრონტიდან —
ადგა და
შუა ეზოში
ზიზღმოგვრით გადაისროლა.
ქვებზე დაეცა... მცირეხანს
მძიმე ზუზუნი ისმოდა.
თითქოს მასრამაც იგრძნოვო
თავისი უვარგისობა...

და ახლა ნიკა სიზმარში
დგას და საუბრობს თამაზთან:
— ბიჭო, რად მიზეზიანობ,
ხალხს
რად აძულებ ძალად თავს?
მე ომში გამოგადექი,
შენ—თვით ლხინშიაც მიმუხთლე.
წადი, გამშორდი... დღეიდან
მეგობრად ნულარ მიგულვებ...
არამი იყოს არამი,
ჩემი ამაგი შენდამი.
ვინ იყო? შენ არ იყავი
ის დავრდომილი მხედარი?
— ფრონტს ჩამოვრჩიო, მიშველე,
ცხენი მყავს დაუჭედავი...
დავჭედე, გზა დაგილოცე,
ფრთები შეგასხი შევარდნის.
ღვინოც კი დაგალევინე
მადიარული ხელადით.
გიცქერდი ქართველს ქართველი
და სიხარულით ვღელავდი.

სიზმარს სიზმარი მოჰყვა და
ნიკას სიმშვიდე მოჰპარა.

ხან სანგარში ზის მოღლილი,
ხან მტრის ჯარს მისდევს ლომივით...

ასე შფოთავდა სიზმარში,
როცა კახეთის რიჟრაჟი
გაბმულმა ჭექა-ქუხილმა
შესძრა და შეაცახცახა...
ვეფხვივით წამოიწია
დაფეთებულმა ვაჟკაცმა.
თავი ბრძოლაში ეგონა,
სველ ნაბადს ხელი დასტაცა.
ნამთვრალევ-ნამძინარევმა
ძებნა დაუწყო შაშხანას.

— რა იყო, შვილო, რა მოხდა, —
დედამ გასძახა მარნიდან.
ვაჟკაცი გონზე მოვიდა:
კახეთში ვარო ნამდვილად...

წვიმამ თანდათან იმატა,
მოაქვთ ბუბუნი ნიაღვრებს.
ადუღებულა თიხნარი,
შორს ბარჯისხევიც ღრიალებს...
თავქვე წამოსულ ნიაღვრებს
ყვითლად მოუჩანთ ფაფარი.
საბძლებში მოუძებნიათ
ბელურებს თავშესაფარი...

დგას ნიკა ნაბადმოსხმული
აივნის სვეტთან დუმილით.
ქოჩორი დასველებია,
ვაჟკაცს თვალები უღიმის.
ეზოში მიწა ფუვდება,
ღონეს მატულობს ხეხილი.
ვაზი ფოთლებით ტაშს უკრავს
მავთულზე გადაგრეხილი.
სჩქეფს სურნელება ჰაერში
დასველებული ქერქისა.
ღრმად სუნთქავს ნიკა ნალბანდი,
წარბები უცემს ღელვისგან.
აუხდა რასაც ნატრობდა
ჰა, გაზაფხულსაც ეღირსა!..

ზმუილითა და ღრიალით
ყამირსა სთხრიან ხარები.
რქები აქვთ მიწით შესვრილი,
წითლად უელავთ თვალები.

ჟრუანტელს გრძნობენ ბეჭებში,
მუხას გარშემო უვლიან.
გაზაფხულია ნამდვილი,
ნამდვილი გაზაფხულია!..

7.

მოსაღამოვდა... შარაზე
ლეგა ბიჭები დაჰქრიან.
შარას ყიჟინით იკლებენ...
დაჰქრიან, დაღლა რას ჰქვიან?!
ყველაზე უფრო მოზრდილებს
გახურებული ლახტი აქვთ.

— ელიზბარ, ეგ რა გიჭირავს,
რა უცნაური ბიჭი ხარ.
მოდი აქ, რამ შეგაშინა.
— ბიჭოს! რა კარგი რამ არის, —
შეძახილები გახშირდა.
— მიხას ეზოში ვიყავი,
ბუჩქებში ეგდო, ბიჭებო.
— ფრთხილად,—ვიღაცამ იხუმრა. —
არ გასკდეს, არ დაიჭექოს...

— ეხ, როგორ გაოხრებულა,
ჯავრი უყრია ქარ-წვიმას.
— წამოდით, დავსვათ ნიშანში,—
შეჰკივლა ერთმა ტანწვრილმა.

— წავიდეთ,—დაიგუგუნა
ხუთმეტიოდე ყმაწვილმა...

*
* *

ხევთან ვეება ლოდია,
ლოდზე ყუმბარის მასრა დგას.
პირველად უნდა ესროლოს
შოფერის ბიჭმა მალხაზმა.
ესროლა კიდეც... სიპი ქვა
ზუზუნით მოხვდა ნიშანსა.
— მიმინოს თვალი გქონია,
ყოჩაღო, არაგიშავსრა...

შარაზე ხელში კოკურით
დედა გამოჩნდა ნიკასი.

— ვამბობდი... ხომ არც მოვტყუვდი.
ქაჯებო, თქვე ალქაჯებო,
ეგ რა დაგისვამთ ნიშანში.
მე თუ არაფრად არ მაგდებთ,
ხათრი არა გაქვთ ნიკასი?!

ფერმილეულმა, ჯავრისგან
მასრა შიგ გულში ჩაიკრა.
ჩაიკრა, მაგრამ კოკურა—
ლოდს შეახალა, გაუტყდა.
ინანა? არცა ინანა,
ადგა, თავის გზას გაუდგა...

და როცა დაჰყვა ორღობეს, —
ყველანი ერთად მოგროვდნენ...
— ემაგ ჟანგიან მასრაზე
რა გული დაჰფეთებია.
— წაიღო? სკივრში ჩაკეტოს,
ვითომც და ოქრო სდებია...

ბიჭების სიცილ-ხარხარმა
მთელი ორღობე დაჰფარა...

— განა, სულ ერთი არ არის,
ის მასრა სადაც ეგდება?
— ღილები ბლომად ექნება,
შიგ ჩაჰყრის, არ დაებნევა...

— ღილები, მარტო ღილები?
ცოტა აქვს წინდისჩხირები?
ან კიდევ ყაისნაღები,
უძაფო თეთრი კოჭები,
დამჩვარებული შალების
ჩამოგლეჯილი ფოჩები?!
— ჰეი, ამ განძეულობას
შენახვა უნდა თუ არა?!
— უნდაო, უნდა,—ყიჟინამ
ეზოებს გადაუარა...

ამდენ ხუმრობას, ჟრიამულს
აბა, რა მოათავებდა...
მუქლურჯი ბინდის ფარდები
დაუშვეს ზეცის თაღებმა.
დაბნელდა, სახლებისაკენ
ნაბიჯს უჩქარეს ბალღებმა...

წყვდიადში გადაიკარგნენ
მთის თეთრი მუზარადები.
ტკბილ ძილს მიეცნენ ერთბამად
ზვრები, მინდვრები, ბაღები,
ტყეები, იალაღები...

8.

თაღჩამონგრეულ ალაყაფს
ფური მიადგა ბღავილით.
რქა გაჰქრა კარებს ამაყად, —
შევარდა ქარიშხალივით.
ხბომ აიგლიჯა საბმური,
ეძგერა ცურებს გატენილს.
ღობეს მიაწყდნენ კრიახით
დაფეთებული ქათმები.

ჟინჟღლავდა... სახლის სახურავს
ვერცხლის ძაფები ეკიდა.
ვერცხლის წინწკლები სცვივოდა
ფურსაც —
ანთებულ რქებიდან...
— ეს რა განგაში ასტეხეთ,
ნადირსაც დაუჯაბნიხართ,—
ნამძინარევმა თამაზმა
თავი გადმოჰყო ფანჯრიდან...

თამაზს წუხანდელ ნამთვრალევს
ჯერ კიდევ დილა ეგონა.
დილა კი არა, საცაა
ღამე წამოვა თავთავქვე. —
ქვეყანას ბინდით შეღობავს...

— მერცხალმაც თავის დრო იცის,
ბუდეში დაბინავდება.
დრო — არ არსებობს ცოლისთვის?!
სად არის, სად იარება?!
ქალია?.. გაღმა მხარეში
რას დაწანწალებს ყოველთვის.
იქნებ სურს მთელი ოჯახი
რომ ანაცვალოს კოლექტივს...

ჯერ კიდევ გლოვის ნიშანი
არ მომიხსნია მკლავიდან.
ორი სიცოცხლის დამკარგველს
ნუთუ, ნუგეში არ მინდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ხომ დიაცი არა ვარ,
ოჯახში ლამფას ვანთებდე.
იატაკს ვგვიდე მწუხრის ჟამს,
ლოგინებს ვშლიდე ტახტებზე?!

იქნებ ლეჩაქიც დამხურონ,
შემაბან ჭრელი სარტყელი?!
ჰე, ბარემ, ბედო, შავბედო,
ამხადე გულის სარქველი!..

თამაზმა ველარ გაუძლო
სიავეს ყელში მოწოლილს.
ადგა და ფანჯრის რაფაზე
დაფშხვნა თამბაქოს ფოთოლი.
გახვია ცერისოდენა,
კვამლი რგოლებად გაება.
ასე იცოდა ფრონტზედაც
დარდების გასაქარვებლად.
თამბაქოს მოჰყვა თამბაქო,
ოთახი ბოლმა შებურა,
მაგრამ თამაზი ოდნავად
მაინც არ დამშვიდებულა:

გუშინ პარტორგმაც ნახა და
ფრთიანი სიტყვა ახალა...

— თამაზ, თუ ძაან გაწუხებს
ეგ ძველი ნაიარევი,
კაცი ხარ, მითხარ პირდაპირ,
რა განზე დაიარები?!
მოგიყვანთ ექიმს ექიმზე,
გულს როგორ გაგატეხინებთ.
ვერ გასჭრის?.. განა თბილისი
სამი წლის სავალზე არის.
აქ გახლავს ჩვენი მანქანა,
ჩაგაფრენთ გრიალ-გრიალით...
კოლექტივს ერთი მწყემსი ჰყავს,
მარჯვენა მამულს შესწირა.
მწყემსი კი არა, ცეცხლია,
ყველანი იმას შესტრფიან...
შენ ხომ ორივე ხელი გაქვს,
რა სევდა შემოგწოლია?
კლდეს რომ გულმკერდით მიადგე,
შეანგრევ, ასე მგონია!

შენ, მიშველების მაგიერ
ჭაზე ხალხს
რად ეხაფრები?
ნაომარ წითელარმიელს
სად მიგაფრენენ აფრებით?!

ეს როდის მოხდა, არ მახსოვს,
ხე წაგიქციათ გრიგალმა.
იმ ხის გულისთვის კინაღამ
მანქანა გადაყირავდა...
თქვენი
რა ვალი ემართა
ჯანგულაშვილის ბრიგადას,
რომ იმოდენა ბერმუხა
ეზოში შემოგიტანათ?!
სირცხვილი არის, სირცხვილი,
მისჩერებიხართ სხვის ამაგს!

*
* *

ფიქრს ფიქრი მოსდევს კვალდაკვალ,
ბოლში ძლივს მოსჩანს თამაზი.
ცოლი არა სჩანს, არა სჩანს,
მშობელი მაინც სად არის?
ეს ვინ მოადგა ალაყაფს,
ვის უყეფს ავი ნაგაზი?!

ნაგაზმა ყეფა შესწყვიტა,
ლახდს კიბეებზე ამოჰყვა.
აი, კარებიც გაიხსნა,
გაიხსნა, მაგრამ რა მოხდა...
მარიას,
დამძიმებული
მოაწყდა კვამლის ღრუბელი.
შევიდა, ცრემლით აევსო
ნაგზაურს თვალის უპენი...
— სარკმელი ველარ გახსენი,
ამ კვამლში
რას იღუპები?—
მეუღლის ხმაზე, თამაზი
შეირხა, ზეზე წამოდგა.
წამოდგა, მაგრამ ვაჟკაცმა
ენა ვერ დასძრა რატომღაც...

*
* *

თითქოს კედლებიც გაცოცხლდნენ,
დაეტყოთ ფეროვანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გჯერა, ოთახში ქვეყანა
სიმღერით შემოვარდება.
ეს რა ჰაერი ტრიალებს,
რა სურნელება დამდგარა.
ლამის ღიმილად გადიქცეს
გამოღებული ფანჯარა...
ღამე ჰგავს ხირსულ საფერავს
ციდან წამოსულს ღვარებად
ლურჯი ზღვა ვენახებისა
მოღელავს, მოექანება.
დაბასმულ ლეჩაქებივით
თრთიან და თრთიან ფარდები.
ფარდებზე იბლანდებიან
უსურვაზების ლანდები.
რა ემართება სახლის ბურჯს,
რისათვის დაბორიალდა?
ბადაგით
ხომ არ დაათრო
ბალ-ვენახების ნიავმა?!
ან იქნებ დიდმა სირცხვილმა
შიგ გულში ჭანგი ჩასჭიდა:
ცოლი გჯობნისო, ვაქკაცო,
თავისი შრომა-გარჯითა!..

9.

კვირა დილაა... მუხის ქვეშ
პირს იბანს ნიკა ნალბანდი.
ხარობენ მუხის ფესვები
ნიკას ხელპირის ნაბანით.
ვაქკაცს მარჯვენა მაჯაზე
შავად რომ კვალი გადასდევს,
ეს ყრმობის ნიშანი არის —
წითელი ხარის ნარქენი.
მას კარგად ახსოვს: იმ ოხერს
თვალებში ენთო ლამპრები...

ხელში ახალი ასტამით
დედა თონესთან ფუსფუსებს.
ოდნავლა დაჰკრავთ სიწითლე
მაღლა ამოყრილ მუგუზლებს.
საცაა, საცა შოთები
ახალი მთვარის ოდენი
განათდებიან ატმისფრად, —
და ლავაშები ცხელ-ცხელი
გოგრის ფოთლებზე ბრტყელ-ბრტყელი
დაამშვენებენ ვარცლის თავს.
აგერ, მარიაც აქა სჩანს,
სტუმრად სწვევია დეიდას.
რამდენ დარდს, ბოღმას გადარჩა,
მაინც სჯობია ჯეირანს...

მალავდა, დიდხანს მალავდა
ოჯახის ამბავს ნიკასთან,
მაგრამ ამღვრეულ ალაზანს
სხვაც რამ
დაიტევს ზღვის გარდა?!

— გასულ წელს, გაღმა მხარეში
ქალები ყანას ვმარგლიდით,
— ბავშვს მიჰხედეო,— მითხრეს და
შინ გავეშურე დაღლილი.
ვეჯინის ახოებიდან
წამომეწია მანქანა...
ჯიღაანთ ჯიმშერს ხომ იცნობ,
მანქანას იგი მართავდა.

ფეხით რად მიხვალ, ჩაჯექო,
გზათ სადმე შეგიღამდება.
ჰოო, და ნეტავ არ მეთქვა,
ხომ ავცდებოდი ამდენ დარდს.
როგორც კი ტყეში შევქანდით,
მომესმა რაღაც ჭახანი.
— ბორბალს გამოცვლა უნდაო, —
შესწყდა გუგუნი მანქანის...
ჩამოხტომისას, კიბეზე
უეცრად ფეხი დამისხლტა.
თანაც კაბინის კარებში
ქალთა მომიყვა კაბისა...
ჯიმშერი შემომეშველა,
ხიფათისაგან დამიხსნა,
დამიხსნა, მაგრამ მე მაინც
გული მეტკინა ჯავრისგან...

ამ სურათისთვის როგორღაც
თვალი მოეკრა დედამთილს.
მიველ შინ...—უნამუსოვო,—
მეძახდა გათენებამდის...
გათენდა? რისთვის გათენდა!
რატომ იმ ღამეს არ გავქრი?!

— მეუღლემ გიღალატაო,—
შვილს გაუგზავნა ბარათი
სირცხვილისაგან თვალებში
ძლივსღა ვუცქერდი მამამთილს...

მაგრამ ოხერმა ყისმათმა
ეს ცეცხლი განა მაკმარა?
ცეცხლს ცეცხლი მოემატა და
იფეთქა დიდმა ხანძარმა...
შვილი დავმარხე, რა შვილი,
ეხ რად ვარ, რად ვარ ცოცხალი?
თან დამდევს მისი აჩრდილი,
მომძახის: რისთვის მომკალით?!

სულ დედამთილის ბრალია,
ყური არ ეგდო ჩემს ჯიბრზე.
მე მინდვრად ვიყავ, საწყალ ბავშვს
ნაწვიმზე ევლო ფეხშიშველს...
იმ ბავშვის ცოდვით ისიც ხომ
შავბნელ მიწაში ჩავიდა.
მაგრამ იმისი სიკვდილით
მე სიხარული არ მინდა...

მამამთილს რაღა ჯავრი სჭირს,
ნავთს მისხამს ცეცხლზე დღედაღამ.
ლამის თამაზმა ხელი მკრას —
ჩემზე აცინოს ქვეყანა.
მაშინ სიცოცხლე რაღად ღირს,
თუ ამგვარ ბედსაც შემყარა...

ნალბანდს მარიას სიტყვებზე
შეუთამაშდა კუნთები, —
და თავის საბერველივით
გაუგანივრდა გულმკერდი...

10.

— ყოჩაღ, ოსტატო, რძლის ყადრი
ასეთი უნდა ასეთი...
კაცი ყოფილხარ ძვირფასი,
შენზე ლოცულობს კახეთი...
— ნიკავ, რას ამბობ?.. მე შენი
დღეს ვერა გამიგიარა.
დამცინი? ეგ არ შეგშვენის,
გულს გიწვავს რაღაც იარა...

— არა, მე გული საღი მაქვს,
შენს გულს მიჰხედე ისევ.

— სთქვი, ნიკავ, ჩემგან რა გინდა,
რად მტყორცნი სიტყვებს ისრებად?!

— თავათაც იცი, რაც მინდა,
კაცი ხარ ცეცხლში ნაწრთობი.

— ვეფხვივით
რამ გაგაფიცხა,
მე შენს კარგობას ვნატრობდი.

— მე არც ვეფხვი ვარ, არც ცეცხლი,
კაცი ვარ, კაცად წრთობილი.
შენა ხარ ჩემი გამზრდელი —
წვერ-ულვაშჩამოთოვლილი...

— ჰო, მე ვარ შვილო, ჰო, მე ვარ,
და მეც ხომ შენით ვამაყობ.
ცხრაათას ცხენის დამჭედავს
მოგიკვდე, თუ გიღალატო.
იარაღს მთხოვდი? ჩემს გაზრდილს
რათ დაგსვამ უიარაღოდ...

— ხვთისავარ, კმარა ხვთისავარ,
ნუ მიგდებ სიტყვას ბანზედა.
რას ითხოვ თამაზისაგან,
რისთვის უჩაღებ ნაღვერდალს?!
სიკეთეს როგორ მოგიტანს
თამაზის ცოცხლად დამარხვა.
განა ურიგო ცოლი ჰყავს,
გაუშვას ცხრა მთას გადაღმა?!

კამეჩის რქაში ისხედით?
მზის შუქი ვეღარ გწვდებოდათ?
რა იყო განა ისეთი,
ნუთუ, სიმართლის ფესვები
თქვენთვის არ გამოჩნდებოდა?
შავი, დიდრონი ბელტები
ხომ არ ეყარა ზემოდან?!

ხვთისავარს ენა დაება,
ათრთოლდა თავჩაღუნული.
დღე იყო, მისმა თვალებმა
გადაიფარეს უკუნი...
ჰექა-ქუხილად მოესმა
გზიდან მანქანის გუგუნი...

11.

— შენ გასულ კვირას სად იყავ,
ვის ესაუბრე გულგაშლილი?
ამ სიბერის ჟამს მამაჩემს
ვინ შეუგინა ულვაში?...
იცოდე, გზას ვერ გაიგნებ,
ფეხი შეგიდგამს ულრანში.
ნიკას რისათვის ამუქრებ,
რას ემართლები მართალ კაცს.
მაშ, მამა რიღას მამაა,
თუ შვილთან რამეს დაჰფარავს...
ჩემზე ამოსდის ნიადაგ
იმ საწყალს მზეც და მთვარეცა.
მადლობელს რატომ არა ხარ,
რომ ამისთანა გარეწარს,
აი, ეს—გამხმარი ჭიგო
თავზე არ გადაგალეწა...

წადი, მოძებნე ჯიმშერი,
დე, მის ლოგინში გეძინოს.
ნუ მეჩხირები თვალებში,
სისხლი არ დამაქცევინო...
ათასჯერ სჯობდა შენს მშობელს
შენს ნაცვლად გველი ეშობნა.
ბინა ჭალაში დაგედო,
არ ღირსებოდი ჩემს ოჯახს...
ფერალეწილი მარია
წინ წადგა ერთი ნაბიჯით.
გადიძრო თავსაფარი და
თმა გადიყარა ჯარჯივით...
— აჰა, ეს შავი მანდილი
სამგლოვიარო ნიშანი,
მაგ ჩექმის ქუსლით გათქერე,
თუ შენთან ვიყო პირშავი...

ჯიმშერის გარდა, შენ იქნებ,
სხვაც შემაყვარო ამ სოფლად...
შენ სიყმედამიწებულო,
ნადირმა
ხომ ხარ დაგცოფა,
მზად რომ ხარ მუდამ საშფოთრად?!..
ჩემს სატანჯველად ნეტავი
ღედამ რისათვის დაგბადა.
თუ ორგული ვარ, რათ ვითმენ
ამდენ ჩხუბს, დავიდარაბას?
თავს გაგაღწევდი აქამდის,
ათასი გზა აქვს მთა და ბარსა.

აბა, ხალხს ყური დაუგდე,
რას ამბობს შენზე, ბედშავო...
ბავშვებიც
შენ დაგცინიან, —
ლამის ჭკუაზე შემშალონ...
განა იმისთვის გელოდი
დიდი იმედით ფრონტიდან,
რომ ნამდვილ ცხოვრებისათვის
ქცეულიყავი ბორკილად?!

წავიდე?.. ვერ ეღირსები
ჩემს ამოკვეთას აქედან.
ეშაგ სურვილის ახდენას
არვინ ჩაგითვლის საქებრად.

ვიცი, უჩემოდ ცხოვრება
ისე მოგღუნავს, გაგთელავს,
რომ ქოჩორ-გაუთეთრებელს
სიკვდილი მოგენატრება...

ლოგინს გაიშლი, ჩაწვები?
ჩაგეძინება ნამწუხრევს?
ადგება შვილის აჩრდილი
სახეში შემოგაფურთხებს!..

ვაოგნებულმა თამაზმა
მხარი მიაყრდნო ჭადრის ხეს.
სადღაც იელვა...
ქუხილით
შავი ღრუბლები განრისხდნენ...

12.

სოფლის ბოლოში, გზის პირას
დგას დიდზედიდი ჭადარი —
ჭაღარა, კანდაჭორფლილი,
ღინჯი და შტოებმრავალი.

ჭადრის ქვეშ
სამჭედლო არის
ვადახურული ყავარით.
გვერდით ხეობა ჩაუდის
პირქუში, გულშემზარავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მუშაობდა ომამდე
ნიკა მკერდგადაღეღილი.
აქ სჭედდა ნალებს... ძარღვები
ეჭიმებოდა ღვედივით...
დღეს ისევ აქა ტრიალებს
ვაჟკაცი ტყავის ფეშტამლით.
ვინც კი გაივლის, ყველა მის
ოქროს მარჯვენას შენატრის.

მოდიან ბრიგადირები,
მოჰყავთ და მოჰყავთ ხარები.
მოვიდნენ, კიდევ მოვიდნენ,
ყველას ეყოფა ნალები...
ბიჭები მყვანან ისეთი,
რკინას დაჰგრეხენ მკლავებით

აგერ, ჭაბუკმა მოაგდო
გამოუქნელი მოზვერი.
— დროა, უღელი დავადგათ,
მე ამის დევნით მოვბეზრდი.
შენ იცი, როგორც დასჭედავ,
შენი ჭირიმე, ნალბანდო,
თავადაც მოგეშველები,
მოზვერმა როგორ დაგვჯაბნოს?!

ნალბანდმა რქებზე გიჟ მოზვერს
საბელი მოსდო ლამაზად.
ქორულად წამოუარა,
მოსწია, შეაზანზარა.
ახლა თეძოზე დაამხო...
გაბრაზდა, ძალზე გაბრაზდა,
მაგრამ გვიანღა იყო და
წამოაფრენდა რა ძალა?!

ნიკამ ფეხგაკრულს ხელდახელ
საყენი ამოუყენა...
— განა შენს ჩლიქებს, მოზვერო,
ნალები
არ მოუხდება?!
ხმა ამოიღო ჩაქუჩმა,
წკარუნი მორთეს ლურსმებმაც...

გზადმიმავალმა თამაზმა
თვალი შეასწრო ამ სურათს.
— კაცია ფრონტზე ნამყოფი,
ხალხს მიესალმა კაცურად,
მაგრამ სიჩუმე აღმოჩნდა
სამაგიერო პასუხად...
— ამის ღირსი ვარ?—
— დიახო, —
თვით გულმა დაუდასტურა...

მიდის თამაზი... მთვრალია?
ო, განა მართლა მთვრალია!
ბოღმა ჰკლავს — ყელს მობჯენილი,
ნეტავი ვისი ბრალია?!..
წამწამებს ცრემლი მოადგა,
ცრემლს ცეცხლი მოჰყვა უალო.
ლამის ცხოვრების ბორბალმა
ზედ გულზე გადაუაროს...
— გამარჯობაო, — უეცრად
გზაზე გაისმა კაცის ხმა.
— იქნება სმენა მღალატობს,
სალამი
მე ვინ მაღირსა?!
თამაზმა თავი ასწია,
განშორდა ფიქრის ბურანი:
წინ უდგას ბებერი მუხა —
ბარნაბიშვილი გურამი...

— ბედოვლათს ბედი მიათრევს,
თვალში ჩაუქრობს სინათლეს.
ბედს თავათ უნდა სჭედავდე,
როგორც ბედაურს ნალბანდი.
ჭორსმინდობილო ვაჟკაცო,
გულს მოგდებია ბალღამი...
მითხარ, მარიამს რას ერჩი,
ბრიგადირი მყავს
განთქმული...
გუშინ ცრემლები შევნიშნე,
გამიბოროტდა მთლად გული...
დაფიქრდი, ვიდრე საქვეყნოდ
არავის შეურცხვენიხარ...
სიგონჯის ნებას ვინ მოგცემს?
სხვა ხომ არა ხარ?
ჩვენი ხარ!..
როგორც წყლით სავსე გეჯაში
რკინა ჩააგდო წითელი,
ორთქლი ავარდეს შიშინით,
გაყაროს ლურჯი წინწკლები,
ერთხანს თამაზსაც პირდაპირ
გული გაუხდა იმგვარი...

13.

ხავსმოდებული ლოდები,
დაბერებული იფნები,
ჩაჟანგულ-ჩაშავებული
რკინის, ხისა და
ქვის ჯვრები...
გაქვავებული ბორცვები,
გარინდებული ჰაერი,
გარს გალავანი მაღალი,
ზედ მაჯის სიმსხო ბზარები.

ძეგლების ძირძირ ბალახი
ურძეო მიწით გაზრდილი,
რკინიგზის მხრიდან—ჭიშკარი
მხრებგანიერი, თაღდიდი,
მუხის ჩარჩოში ჩასმული
მაყვლებით შემობარდნილი...

გალავნის ოთხსავ კუთხეში
დიდრონი აბლაბუდები,
აქა-იქ თხელი ბუჩქები—
შიშისგან განაბულები...

ქვას, მიწას, ბალახს, ჰაერსაც
სიკვდილის ფერი გადაჰკრავთ.
ფრთებმოფარფატე პეპელა
თუ გამოჩნდება ხანდახან—
ჯვრებს ღიმი შეეპარებათ,—
ცას შეჰხედავენ ამაყად:
— ამაო ცდაა... სიცოცხლე
ვერ იხარებსო ამ ალაგს...

ეს ვინ შეირხა იფნებთან
ძეგლივით ფერგაცრეცილი?
ალბათ თამაზი იქნება,
თავის ბედ-იღბალს შესჩივის...
სწორეთ ის არის, ის არის
ჭრელ ჯოხზე ხელდაყრდნობილი,
გამხდარი, წვერმოშვებული,
ფიქრით და... დარდით მოღლილი.

დრო გადის, გადის, ის მაინც
დასცქერს და დასცქერს საფლავებს.
რას დასცქერს?.. მასაც ხომ არ სურს
საფლავთან ძეგლად გაქვავდეს?!...

დრო გადის... აგერ წარაფთან
მატარებელიც გამოჩნდა.
საცაა, ელვის სისწრაფით
ჩაურბენს სასაფლაოსაც...
მატარებელის ხმაურმა
ძილი გაუფრთხო ბარჯისხევს.
იფნებს ცახცახი აუტყდათ,
თამაზი თავსაც არ იღებს...

ჰა, უკვე სასაფლაოსთან
ატყდა ბორბლების განგაში.
გალავანს კვამლის ღრუბელი
ზედ გადაევლო ფრთაგაშლილი...

და ორთქლმავალმა უეცრად
ისე საზარლად შეჰკივლა,
რომ ცაში სვეტად ავარდა
მტვერი კარიბჭის კედლიდან.

თითქოს სიზმარში იყო და
გამოფხიზლდაო თამაზი.
ჭიშკრიდან თვალი შეავლო
ქვეყანას ზეცის თაღამდის...
სიგრძით, სიგანით, სიმაღლით
ლამაზი იყო, ლამაზი!..

— აღსდექ,—ეძახდა ცხოვრება.
— აღსდექ,—უხმობდნენ მინდვრები,—
— გეყო ამდენი გოდება,
ნურაფერს შეუშინდები!..

წითელი ცხენით სოფლისკენ
ვიღაც მხედარი მიჰქროდა,
თითქოს თან
მისი ფიქრი და
გულისწადილი მიჰქონდა!..

*
* *

ისევ სამჭედლო... თამაზი
მის წინ კოჭლობით გაჩერდა.
მამა ყაირებს არჩევდა,
ნიკა ნალბანდი ხარს სჭედდა...

— სად იყავ, შვილო, ამდენხანს,
გეძებდი, ვერსად მოგხელთე.
განა ღმერთს შეეჯავრები,
ზოგჯერ მოხუცსაც მომხედე...
— სად ვიქნებოდი, არ იცი?
საქმეზე ვიყავ, საქმეზე,—
სიწითლემ დაჰკრა სახეზე,
ალი მოედო საფეთქლებს...
შებრუნდა:—ოჰო, ჯიმშერი;—
თითქოს ხანჯალი დაჰკრესო.
თვალთ დაუბნელდა, შეტოკდა,
გული ღრუბლებით აღევსო...

ეგონა, ბოლმის საგუბარს
ბოლო მოუღო როგორღაც.
ბოლმა უკანვე დაბრუნდა —
კვლავ გული გაუბობოქრა...
— რატომ ეს ოხერტიალი
თხელ ბურბუშელას არა ჰგავს?!—
ცეცხლი მიეცა, დაეწვა
და მტვერთან გაეთანაბრა!..

ჯიმშერს, ტუჩებზე სიმწარის
ღიმილი გადუთამაშდა.
თამაზ, ხომ ვიცი, რაც გტანჯავს,
ხმა ამოიღე თამამად
ჯავრი გჭირს? ბარემ ეს ურო
დამკარ, აქავე გამაქრე.
თუ მართლა შენი მტერი ვარ,
როგორ მითმენდი აქამდე?!.
განა, მე კაცი არა ვარ,
განა, მე ქუდი არ მხურავს,
სინდისზე ხელი ამეღო
და ქვეყნად მევლო ძაღლურად.
დედაჩემს დედა არ ერქვა?
მისი რძე არა რძეობდა?
ჩვენს ოჯახს ჯიშად არ მოსდგამს
ლაჩრობა, გაიძვერობა!..

ბრალს რათ მდებ ტყუილუბრალოდ,
რა გინდა, ძმაო, რას მერჩი?
თუ ჭორებს გადაჰყვებოდი,
რიღასთვის იჯექ სანგრებში?!

— ჩუმად, ბიჭებო, გახსოვდეთ,
გარეთ ხართ, განა ოჯახში?

ენაზე კლიტე დაიდეთ,
მოიგებთ ვაჟკაცობაში! —
სთქვა ნიკამ კბილთახრჭეალით
და ტყავის ფეშტამლიანი
მათ შორის გაჩნდა ხელგაშლით,
ვით ელვა ღამის დელგმაში!..

14.

გათენებისას თამაზმა
სიზმარი ნახა ისეთი, —
ტახტზე მწოლს, პირისახეზე
ედო პირდაპირ მკვდრისფერი...

ნამგზავრი იყო ვითომდა
ვახშმად დაჯდომას ფიქრობდა.

ქვევრს გადაჰხადა სარქველი,
ღვინით აავსო ხელადა.
გაქათქათებულ სუფრაზე
თეთრი შოთები ელაგა.
შოთებთან წამოქცეული
ობოლი ყანწი ელავდა.

მაგრამ რას ხედავს თამაზი,
ლამის დაეცეს თავზარი.

პურს იღებს?.. ახალ გამომცხვარს
ობი ხავსივით ედება.
— შენ როდის დაჰფქვი საფქვავი, —
დაიგუგუნეს კედლებმა.

დაასხა ღვინო და უცებ
ღვინო სულ ნისლად აორთქლდა.
— ყურძენი როდის დასწურე, —
მარანში დიდმა ქვევრებმა
ბუბუნი მორთეს საოცრად...

ღა ბოლოს სუფრაც, თვით სუფრაც
ჭრელ-ჭრელ ძონძებად გადიქცა.
მაღლიდან მეხმა იქუხა,
სინათლე ჩაქრა ლამპრისა...
ცოლს უხმო: მოდი, მომხედე,
დამიხსენ განსაცდელისგან.
— შენ ცოლი აკი გძულდაო, —
აძრახდა ბნელში კერის ქვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზი გარეთ გავარდა,
ძვლებამდე ჩასწვდა სიცივე.
ეზოში დაობლებულმა
მუხის ფესვებმა იწივლეს:

— სად იჩქარიო,—სიმწარით
მიწა ბელტებად დაგლიჯეს.
წამოდგნენ, წითლად აენთნენ:
დაგწვავთო, ნუ მოაბიჯებ!..

თალართან დედა შენიშნა,
დედა თმებგადაწეწილი.
ბრჩხილებით სახეს იხოკდა,
ჰკიოდა, როგორც შეშლილი:

— ვაი ჩემს თვალებს, რას ვხედავ,
შვილო, ოჯახი გემხობა?
ეს ხომ—სულ ჩემი ბრალია,
შენდობას ვითხოვ, შენდობას.

ის ჩემეული ბარათი
სადა გაქვს? დასწვი, დაბუგე.
ვიჩქარე, შევცდი... სიმწარე
ტყუილ-უბრალოდ გარგუნე.
ქარს გაატანე ნაღველი,
რომ არასოდეს დაბრუნდეს.

დედამთილურმა სიფრთხილემ
ეპვის ბადეში გამხვია.
რძლის რძლობა აღარ ვიწამე,
ვეფხვს დავემსგავსე ნატყვიარს...
ეხ, ამის გამო, ვინ იცის,
მკვდარსაც ქოქოლას მაყრიან?!..

სიკვდილის წინა წუთებში,
შენ რომ თავს დამტრიალებდი,
არ გახსოვს? შენი მეუღლეც
გვერდს მედგა ნამტირალევი.

გვერდს მედგა... ყური ვერ მოჰკარ?
იმ საცოდავმა რა მითხრა?!
თუ ქმართან ვპირშავობდეო,
მეც შავმა მიწამ ჩამიკრას...

შვილო, მტრად არვის გაუხდე,
სძლიე მაგ წყეულ ცდუნებებს,
თორემ იქ, იმ ჩემს კუბოში
გველები დაიბუდებენ!..

*
* *

ნასიზმრევ თამაზს ოთახში
მარტოკა ყოფნა მოსწყინდა.
რა ექნა, სად წასულიყო,
დრო სად მოეკლა მოცლილ კაცს.

თარაზოს გარდა, თამაზის
საიარაღო თაროზე
სხვა მეტი არა სჩანდარა,
თორემ იქნება დღეს, ან ხვალ
მისი ცხოვრების ჯამბარაც
ხალხს დაძაგრული ენახნა...
კედლიდან შვილის სურათმა
გადმოანათა თვალები.
თვალები? ეჰ, რა თვალები?!
ჭერ-იატაკი აანთეს
მზის შუქით, მზის ბრწყინვალებით...

რა გემართება, მამილო,
მოდი, მომხვიე მკლავები.
მე ცოცხალი ვარ, ცოცხალი,
რატომ ჩაგიცვამს შავები.
ან, დედას რისთვის მიმწარებ,
ო, ნუთუ არ გებრალები?!

ყველა მინდვრისკენ იჩქარის,
ვინ გაჩერდება ახლა შინ.
წავიდეთ, დედას მივხედოთ,
არც ჩვენ ჩამოვრჩეთ გარჯაში.

პატარა რომ ვარ, დამცინი?
თოხიც მაქვს, ბარიც, ნამგალიც.
პაპამ ტყუილად შემაქო:
სოფლად არ გყავსო ბადალი?!
მომეცი ჩქარა ხალათი,
აგერ, წინდებიც მანდ არი.
სახლში რა გამაძლებინებს,
დარია, განა ავდარი!
შვილის ამგვარმა ჩვენებამ
ზეზე დაადნო ვაჟკაცი.
— ვაჰმეო,—სთქვა და იმწამსვე
კარები გახსნა ცახცახით...

15.

ფრთები შეასხეს ალაზანს
კოკისპირულმა წვიმებმა.
წყალი ნაპირებს გადასცდა,
განდაგან იწყო დინება.
ისეთი ღონე გამოჰყვა —
სამი ბორანი მოგლიჯა.
სულ სანთლებივით ჩამოდნენ
მებორნეები ბოლმისგან.

ხიდს თავზე გადაუარა,
დაახრჩო შვიდი კამეჩი.
ხერგი და ღორღი დახვავდა
გალმა-გამოღმა ჭალებში.
ცას შესწოდნენ ფესვებით
ყირაზე მდგარი წნორები, —
და საცა ფონი ფონობდა,
ადუღდა შავი მორევი.

ამ წვიმების დროს თამაზი
ბიძასთან იყო აფენში,
რომ გულში დარდი ჩაეკლა
სირცხვილის ცეცხლით დაფერფლილს.
რვა დღე ბორგავდა მდინარე,
მეცხრე დღეს
დაცხრა როგორღაც.
ჩაბრძანდა საბრძანებელში,
ორივ მხრივ ხალხი მოგროვდა.
გაცოცხლდა ჭიაურის ტყე,
შუბლი გაიხსნა გომბორმა.

ჯიმშერს ვეჯინის ბოლოზე
ედგა თავისი მანქანა.
ნიკაც იქ იყო, შრომაში
მხარს უმშვენებდა ამხანაგს.
ხე-ტყით დატვირთულ მანქანას
სცლიდნენ საბორნე ადგილზე.
წითლად გაჭქონდათ ბეჭყვიალი
ჟანგმოკიდებულ ბაგირებს.

*
* *

წყალგაღმა უცბად ნალბანდმა
თვალი ჰკრა ვიღაც ცხენოსანს.
— შეხე, მორევში შესტოპა,
ცხენს წყალი ყელზე შემოსწვდა.

ნიკას სიტყვებზე ჯიმშერმაც
სწრაფად გაჰხედა მდინარეს.
გაჰხედა, მაგრამ რას ჰხედავს:
ცხენი თავს ვეღარ იმაგრებს,
ტალღა უკოცნის ჯილავებს.

— ჰეი, თამაზი იხრჩობა,
მთვრალი თუ არის საწყალი.
ცურვა ვინ იცით, ბიჭებო,
ვიდრე დრო არის, აჩქარდით, —
ჰკიოდა ერთი ვაჟკაცი.
მჯიღი ჰკრა ჯიმშერს ნიკამ და
კვერი დაუკრა ჯიმშერმაც.
ტანთ გაიხადა სასწრაფოდ, —
ბრძოლა გამართა ზვირთებთან...
და ვიდრე დაეწეოდა,
ცხენი კარჩხალმა გაფატრა.
ცხენის გმინვაზე სიმწარით
ღუნვა დაიწყო ლაფანმა —
ობლად რომ იდგა წყალგაღმა.

ზვირთებმა როგორც ნაფოტი
შეათამაშეს თამაზი.
მაგრამ იმ წამში ჯიმშერმა
ხელი ჩაავლო ქამარში.
მერე მაჯაზე დააცხრა,
დაბერა ლომის ფილტვები.
გასწორდა... ახლა ცალხელით
შუაზე გასჭრა ზვირთები!..

16.

თამაზი თითქოს მეორედ
დაიბადაო ამ ქვეყნად.
გაუტკბა წუთისოფელი,
ისევ გალაღდა, გამხნევდა.
ცოლს ტკბილი სიტყვა აღირსა,
დაუმეგობრდა ჯიმშერსაც.
ეგონა, ძველი ცხოვრება
თან წაიღოვო იმ ცხენმა —
ალაზანმა რომ
იმსხვერპლა...
გული გაუხსნა ნიკასაც,

მხოლოდ მარტოდენ მიხასთან
ეხათრებოდა შეხვედრა.
რაც მომჯობინდა, მას შემდეგ
ვერ ინახულა ერთხელაც.

ნიკამ ეს კარგად იცოდა
და ერთ საღამოს ვაჟკაცმა
ისეთი სუფრა გაშალა —
თამაზის უჯიათობას
ჩამოაგლიჯა ავშარა...
არც ხვთისავარი გამორჩა,
არც ის ტანჯმუხა ჯიმშერი.
ხხვაც ბევრნი მიიპატიჟა,
ოვინო არ აკლდა მზისფერი.

*
* *

მაგიდის თავში ლომი ზის,
მაგიდის ბოლოს არწივი.
სარკმელში მთვარე ჰკიდია
შივიწყებული ყანწივით...
— ეხ, სიამაყე კარგია,
მაგრამ შალვით გაცვდება.
სიდინჯე გმართებთ ბიჭებო,
ჯანი ბოლომდე გაგწვდებათ.
არ მიყვარს შუღლიანობა,
ყველა შვილებად მეგულვით.
ქაცნი ხართ? ვაჟკაცობაში
გამოიჩინეთ მხნე გული...
თამაზი სიკვდილს მოსტაცეთ?
ყველანი
თქვენ დაგლოცავენ!..
განა მე, ან ხვთისავარი
ათას წელიწადს ვიცოცხლებთ.
სიბერემ ბადე გვესროლა,
არ დაგავიწყდეთ, იცოდეთ...
ჩვენ ჩვენი ყავლი გავლიეთ,
თქვენ უნდა იდგეთ ბურჯებად.
მხარი მიეცით ერთმანეთს
სიცოცხლე გაგეფურჩქნებათ.

გურამი შემხვდა გუშინწინ,
გული შარბათით გამივსო:
დღეს მეზვრეებად დაგნიშნეთ
შენცა და ხვთისავარიცო...
თამაზ, შენ გაძლევ დღეიდან
სადურგლო ავლა-დიდებას.
სირცხვილი აღარ მაქვს
ოქროს ხელს გარჯა სჭირდება.
მიხას ნათქვამზე ხვთისავარს
თვალები გაუცისკარდა.
— არც მე დავჩაგრავ შენს ნიკას,
მიხავ, ყველაფერს გადავცემ, —
სთქვა და
ღიღინი ამოხდათ
დამეგობრებულ ვაჟკაცებს...

ბოლოთქმა

რა მატყუარა ყოფილა
ხარიპარია ვარსკვლავი.
რიჟრაჟის ნიშნად ჩავთვალე
მისი ცისკრული კამკამი.
ცხენს ქუსლი ვკარი, წამოველ
მწყემსების სამყოფელოდან.
ბაკურციხეში მისვლასა—
მზე დამასწრებდა მეგონა.

გურამის ცხენზე ვიჯექი,
დალოცა მისი გამჩენი.
თავი ამაყად მოჭქონდა
ნიკა ნალბანდის დაჭედილს.

საცაა, ბაკურციხეში
შევალ კიდევაც ჭენებით.
შორს დამრჩებიან, ზურგსუკან,
დიდი ალაზნის ველები.
ვთვრები ატმის და
ყურძენის
თავბრუდამხვევი სურნელით.

ხელმარჯვნივ შუქი გამოჩნდა,
კაშკაშა შუქი ლამპრისა.
— ვინ ხარ?
სად იყავ, სად მიხვალ?—
ღამე გაჰკვეთა კაცის ხმამ.
ხმა განმეორდა, შევჩერდი.
თამაზის მამა ვიცანი...
და ზვარში შეველ თუ არა,
ამოციმციმდა ცისკარიც.

მოხუცი ქოხში შემიძღვა,
შიგ მიხა დამხვდა ღიმილით.
ჭიქით არაყი მომართვა,
ლურჯად გაჰქონდა ლივლივი.
ორნივ დავლოცე, დავლიე,
ყელი ჩავიტკბე ყურძენით.
საუბრის კვანძი გაიხსნა,
დაიძრა სიტყვა გულწრფელი.

თან ლამპარს ვაშტერდებოდი
ლამპარს—ყუმბარის გილზისას.

დამხობილ ჯამზე იდგა და
თვალით ზომავდა იმ დიდ ზვარსაც.

ძორეულ ფრონტზე ნამყოფი
ახლა ზვარშიაც ლამპრობდა.
შუქსავსე ქოხის კედლები
თითქოს უხდიდნენ მადლობას.

გარეთ გურამის აჯილლა
ლაგმის გაგლეჯას ლამობდა...
და სადღაც იფანტებოდა
ტოროლას ტკბილი გალობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

ზემო-სვანეთი

★

სვანური სოფელი

1.

დაჯახებული კლდეს გაცოფებით
მდინარე ხევში ამოიხუვლებს...
მთის ფლატეებზე სვანთა სოფლები
გვანან წარღვნისგან გამორიყულებს.
ეს მთები ალბათ ქაოსში სთვლემდნენ.
კოშკების მხარში ამოდგომამდე,
დასცქერენ სოფლებს—ქარიშხლის შემდეგ
მყუდრო სადგურში შეყრილ ხომალდებს.
იქნებ ამ კოშკთა დანთქმის მუქარით
აგორებულან მთები ტალღებად,
აბორგებულა ხევი მქუხარი —
ვეშაპის ხახის ერთი დაღება.
მაგრამ კოშკები ვის შეუშინდნენ,
არც ქარი უკვირთ მათ, არც ბრძოლები
და მისცურავენ ნისლში გულმშვიდად
მარადისობის თანატოლები.

2.

ცა ვარსკვლავებით რომ არის სავსე,
მთებს აღარ უკვირთ ახლა სრულებით,
გაუქმებული კოშკების თავზე
გაბრწყინებულან ელნათურები.
ნისლებზე მაღლა, ღრუბლებზე მაღლა
ამწვანებული ჩანან ყანები
და თვითმფრინავის გუგუნზე ახლა
თავსაც არ სწევენ მაღლა სვანები.
მიჰქუხს ენგური, ლეჩაქი ნისლის
ქრება, ნათლდება ბნელი უკუნი
და განახლების გუგუნი ისმის,
თვალშეუდგამი მთების გუგუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

გასაგონად სძულს ბატონი სვანეთს,
სვანებს არ დგმიათ ყმობის უღელი...
პატარა ბიჭი კითხულობს გაზეთს
და უსმენს სვანი შუბლგაუხსნელი.
ცხრამთას იქიდან ხალხებს ერთიან
ემუქრებიან გავერანებით
და ელანდება სვანს გაზეთიდან
ჩერჩილის სახით დაჩქელანები.
თითქოს სისხლისმსმელს ხედავდეს ცხადად,
აჩუმებს ბალღებს წამოჩიტულებს,
ხელით დაბღუჯავს სატევრის ვადას
და უნებურად თავს მოიბრუნებს.
შეხედავს კედელს, იმედად მოჩანს
ჯიხვის რქებს შორის შუქი კუთხეში,
სტალინი დასცქერს სვანის დიდ ოჯახს,
როგორც ჯავშანი, როგორც ნუგეში.
არ დაედგმება უღელი სვანეთს,
გასაგონად სძულთ სვანებს უღელი,
პატარა ბიჭი კითხულობს გაზეთს
და უსმენს სვანი შუბლგაუხსნელი.

★

ტყე და ენგური

ცამდე აწვდილი ნაძვები სწორი
მზეს ეხებიან ძლივს ამოწვერილს,
მოანგრევს ენგურს ვეება მორი —
ქედდადრეკილი ურა მოზვერი.
და დაჰყურებენ გაოცებული,
როგორ მოუსხლტა სოჭებს მუხლები,
ციცაბოებზე აცოცებული
ძველი ფიჭვები ჯერ ხელუხლები.
მათი ღვთაება თუ გაარისხეს,
ჩრდილი თანდათან უვიწროვდებათ
და ენგურს ზათქით მიაქვს ბარისკენ
მათი პირველი უბიწოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

უშბა

ცა ჩემთვის მაშინ გაიხსნა უცბად,
მთები რომ ვნახე ვერცხლით ნაჭედი,
ციდან რომ უცებ დაეშვა უშბა,
მიუდგომელი, როგორც ქაჯეთი.
ნისლებში როგორ ჩანდა მთლიანი;
თითქოს ბზარიც კი არ ჰქონდა არსად,
ღრუბლებს მიარღვევს ორთავიანი,
შუაგამსკდარი გუმბათის მსგავსად.
ეგებ ეს თმოგვის ქონგურებია,
ან ქვადქცეული ორი არწივი!
უშბა სამყაროს მომდურებია
და შორს გამდგარა გოლიათივით.
ნისლნი ქსელავენ, ქარნი უქრიან,
მწვერვალთ არ სწვდება ჩემი ძახილი,
უშბა შორს დგას და ორი ბუჩქია,
ორი გუნდის ხე წვერებწახრილი.
ოცნებით მაინც გადამელახა,
სულ მაშინებდა მისი სახელი,
თურმე ბრმა ვიყავ, რომ არ მენახა,
თვალს ახლა ვახელ მისი მნახველი!
ცა ჩემთვის ახლა გაიხსნა უცბად,
მთები რომ ვნახე ვერცხლით ნაჭედი,
ციდან რომ უცებ დაეშვა უშბა,
მიუდგომელი, როგორც ქაჯეთი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამ ქურული

ავჯომოგილი მოდის!

★

1. მაღლაკის ველზე

მდუმარეა პატარა ბაქანი. იგი მხოლოდ მაშინ გაიღვიძებს, როცა ქშენითა და კივილით მოადგება წყალტუბოს მწვანე მატარებელი. წუთით გაიღვიძებს და ისევ დუმილს მიეცემა.

მალე დაირღვევა მისი დროებითი მყუდროებაც. აშენდება კეთილმოწყობილი მშვენიერი ვაგზალი, სადაც მუდამ ხალხის ჟრიამული და მატარებლების ხშირი მიმოსვლა იქნება.

არ ვიცი რას დაარქმევენ მომავალ სადგურს. ორიოდე წლის შემდეგ სავსებით გაქრება და მოგონებად დარჩება ის პატარა ბაქანი, რომელსაც ახლა მაღლაკი ქვია.

მაღლაკი!

გაშლილი ველი. დასაბამიდან მწირი და მცირემოსავლიანი იყო მისი ნიადაგი. გაზაფხულის მოსვლით მხოლოდ მინდვრის სურათი იცვლებოდა. თვალს ეამებოდა მწვანე ბალახი, ფერად-ფერადი ყვავილი და ბუჩქნარის შეფოთლება. ველად ძოვდა ნახირი. შემოდგომა დადგებოდა და ყვავილი ჭკნებოდა, ფოთოლი ხმებოდა...

განა ეს ეყოფოდა მაღლაკელ გლეხს?..

ხნავდნენ, თესდნენ, ნათესებსაც კარგად უვლიდნენ, მაგრამ მოსავალი მაინც დაბალი იყო. კარგად ხარობდა მხოლოდ წითელი ბოლოკი, ნესვი და საზამთრო. სამაგიეროდ თითოეოროლა პაწაწინა ტაროს ისხამდა სიმინდი. წელამდე ძლივსღა სწვდებოდა ადამიანს მისი ჩაყვითლებული ღერო.

უწყლობა იყო ტრიალი ველის მარადისი მტერი. ტბორებში ჩაგუბებული წყალი მოსავალს ხომ ვერ მოიყვანდა! იგი მხოლოდ ბაყაყების საცურაოდ გამოდგებოდა.

გაიყვანეს სარწყავი არხი. ველად ხმაურობს, და ყანებში იჭრება ფასის მთიდან გადმომქუხარი რიონის წყალი. ადამიანის სურვილს ემორჩილება ხალხის სამსახურში ჩამდგარი მდინარე. იგი სამშობლოს აძლევს ელექტროენერგიას, რწყავს მინდვრებს, სიცოცხლეს ანიჭებს კოლმეურნეთა ნარგავ-ნათესებს.

დასავლეთისაკენ მიეშურება მაშველ არხში გადაგდებული რიონის წყალი. ჯერ არავინ აჩერებს მისი ზვირთების სირბილს, მაგრამ მალე შეაჩერებენ ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლები. შეაჩერებენ მხოლოდ წუთით...

ფარცხანაყანევის წყალსადენიდან მიღებულ წყალთან ერთად, საწარმოო მიზნით გამოიყენებენ რიონის წყალსაც. იგი ქარხნის მილებში გატარდება ძრავებიდან წაიღებს მაზუთისა და საცხები ზეთის წვეთებს, შეფერადდება და კვლავ მინდვრებისაკენ გაიჭრე-

ბა იმერეთის ყანებისა და ბაღ-ბოსტნეების მოსარწყავად.

ხშირად გაიგონებთ მაღლაკში პროპელერების გუგუნს. საით გინდათ, რომ აქედან არ მიფრინავდნენ?

ქალაქ ქუთაისზე გაივლის მოსკოვ-თბილისის საჰაერო ტრასა. ქუთაისს გადაუვლიან სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი სამგზავრო თვითმფრინავები.

იქ, სადაც ახლა აეროპორტია და ფრთები გაუშლია ფოლადის ფრინველს, შენდება ახალი ინდუსტრიული ქალაქი — ქართული ავტომობილის პირველი კერა.

ხარაჩოებშია ჩასმული უზარმაზარი შენობები. მათ ახლა შორიდანაც ნათლად ხედავს თვითმფრინავში მსხდომი მგზავრი. მათ ახლა სიამით უმზერს წყალტუბოში მიმავალი ყავარჯნიანი მოქალაქეც, რომელიც სასწაულმოქმედი აბაზანების მიღების შემდეგ შინ უყავარჯნოდ დაბრუნდება.

აგერ წყალტუბოს რკინიგზაა, ეგერ — ქუთაისის აეროდრომი, აქ ველზე მიჰქრის მწვანე მატარებელი, იქ — ლაჟვარდს მისერავს ცისფერი თვითმფრინავი... და ყოველივე ეს ხდება მაღლაკში, სადაც თავდადებული შრომით იბადება საბჭოთა საქართველოს საავტომობილო მრეწველობის პირმშო.

ვნახოთ უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ქარხანა და მისი მოწინავე მშენებლები. ვნახოთ ჩვენი მშობლიური ავტომობილის ოსტატები. ვნახოთ ისინი, ვინც მაღლაკის ტრიალ მინდორზე ჩაყარა გოლიათის ბალავერი, ვინც ახლა გავარვარებული ღუმელებიდან ასხამს ლითონს, ვინც მზრუნველობით ზრდის და ინდუსტრიულ მუშებად აქცევს კოლმეურნეობებიდან მოსულ ახალგაზრდებს, ვინც სტახანოვური შრომით უკრავს დაზგების ნაირხმოვან მუსიკას.

ბევრი მოწინავე ადამიანია ქუთაისის ავტოქარხნის მრავალრიცხოვან მუშათა კოლექტივში.

საამქროებში მომუშავე შესანიშნავ ახალგაზრდა ადამიანთა გაცნობამდე, სასურველად მიმაჩნია ზოგადად მაინც, მოკლეთ წარმოვიდგინოთ ქართული ავტომობილის აკვნის მომავალი სახე.

*
* *

ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ ბერლინში ააფრიალა ჩვენი გამარჯვების დროშა. დამთავრდა ომი. სამი თვე გავიდა მას შემდეგ და მაღლაკში მოვიდნენ ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლები.

მდორედ მიდიოდა მიძინებულ ველზე პატარა მდინარე ოღასკურა. მას დღესაც არ შეუცვლია თავისი ჩვეული მდინარება, მაგრამ მალე გამოიცვლის, ახალ კალაპოტში ჩააგდებენ ოღასკურას. ადამიანის ნებასურვილს დაუმორჩილდება ეს პატარა, ჩუმი მდინარეც.

არც ისე დიდიხანია, რაც აქ დამყაყებული გუბე და ტბორი იდგა. ირგვლივ მძვინვარებდა ციებ-ცხელება. ჰაერში ბზუოდა ურიცხვი კოღო. ფშანში იბუდებდა ორპირიდან გადმოფრენილი წერო. მხოლოდ საძოვრიდან დაბრუნებულ ნახირს უყვარდა მაღლაკის ტბორების მღვრია და მლაშე წყალი.

მდუმარე მინდვრად, სადაც წყალტუბოდან მქროლავი ნიავი აშრიალებდა სიმინდის ყანას, გაჩაღდა მშენებლობა. ააგეს დროებითი საცხოვრებლები, შემდეგ კი თანდათანობით აღიმართნენ აგურისა და ბეტონის სამ-ოთხსართულიანი შენობები. ახალ ბინებში ჩასახლდნენ მუშები და ინ-

ჟინერ-ტექნიკოსები, მოთავსდნენ დაწესებულებანი.

მოსკოვში ამ დროს უკვე მზად იყო ქუთაისის ავტოქარხნის საალმშენებლო პროექტი. იგი მოიწონეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელმა ორგანოებმა. ამ პროექტის მიხედვით დაიწყო თითოეული სახლის, საამქროსა და კორპუსის აგება.

— მშობლიური ავტომობილის მკეთებელთა მრავალრიცხოვან არმიას, — ამბობს ქუთაისის ავტოქარხნის დირექტორი ამხანაგი ბორის ბუკია, — საკმაოდ დიდი საბინაო ფართობი დასჭირდება. ამ მიზნით სამ ადგილას შენდება საცხოვრებელი სახლები. მწვანე ხეივანი გამოჰყოფს ერთმანეთისაგან მუშათა საცხოვრებელ უბანსა და თვალუწვდენ საამქროებს. ყვავილები და ნარგავები დაამშვენებენ საამქროთა შორის გაყვანილ გზებს. ეს იქნება საუცხოო ქალაქი-ბაღი, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ქარხანა-ბაღი, სადაც ახოვანი ჰადრების შრიალთან ერთად გაიგონებთ ჩარხების, დაზგებისა და მანქანების განუწყვეტელ გუგუნს. აქ არავის შეაწუხებს მტვრის ბუღი და კორიანტელი. ბაღებსა და ქუჩებს მორწყავს ფარცხანაყანევის წყალი.

ლიმონისფრად შეღებავენ ლამაზ შენობებს. აივნებს და მოაჯირებს დაამშვენებენ ფერად-ფერადი ყვავილები. მათ წინ იშრიალებენ ტანნაყარი კაკლის ხეები. ზამთარ-ზაფხულ დაიცავენ სიმწვანეს ბორჯომის ხეობიდან და სვანეთის მთებიდან გადმონერგილი ნაძვები. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ნორჩი ხეებიც მიიღებენ მონაწილეობას ახალი ინდუსტრიული ქალაქი-ბაღის გამშვენიერებაში.

არანაკლებ მომხიბლავ სურათს დაგვიხატავენ მუშათა მომავალი ინდივიდუალური კოტეჯები. ეს იქნება პატარა წალკოტი დიდ ბაღში. სოფელ ქვიტირში, ავტოქარხნიდან ორიოდ კილომეტრის დაშორებით, აშენდება სამ-სამი ოთახისაგან შემდგარი სახლები ცალ-ცალკე ეზოებით. აქ გაატარებს თავისუფალ დროს სამუშაოდან დაბრუნებული სტახანოველი მუშა.

2. გიგანტის მომავალი

ქუთაისიდან მაღლაკამდე ხუთი კილომეტრია. ტაქსები და ავტობუსები იქროლებენ ასფალტირებულ გზატკეცილზე. დაიზრდებიან მის ნაპირებზე ჩამწკრივებული ნაძვები და კაკლის ხეები, გაშლილ ტოტებით ჩაეხვევიან ერთმანეთს მარადმწვანე მცენარეები. გაივლით და გზატკეცილიც ხეივანი გეგონებათ.

შესანიშნავად მოწყობილი ხუთლიანდაგიანი ვაგზალი ყოველდღიურად მიიღებს და გაატარებს ასობით ვაგონს. აქ შემოვლენ ლითონებით, სხვადასხვა ნედლეულითა და ხე-ტყით დატვირთული ეშელონები. ქარხნიდან გავლენ ქუთათური ავტომობილები. ზოგიერთმა ავტომანქანამ შეიძლება თვლებიც კი არ დაადგას მაღლაკის მიწას, პირდაპირ ვაგონზე იპოვოს ადგილი, და რამდენიმე ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ ინახულოს სამშობლოს გზები.

ქუთაის-მაღლაკის გზატკეცილის გასწვრივ აშენდება ეკლარის ქვითა და ცისფერი მარმარილოთი მოპირკეთებული მშვენიერი სახლების ანსაბლი. ერთ-ერთ მათგანში მოთავსდება ქარხნის სამმართველო, რომლის განიერ და ნათელ ოთახებში იმუშავებს რვაასი კაცისაგან შემდგარი ადმინისტრატიული აპარატი.

მაღლაკის მიწაზე, მისი უსწორმასწორო რელიეფის გამო, ტბორებს აჩენდა მინდვრიდან მომსკდარი ღვარი. წყალს გასასვლელი არსად ჰქონდა და გუბედ დგებოდა.

მშენებლობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ სიამაყით აცხადებდა მშენებლობის უფროსი, ინჟინერ-პოლკოვნიკი სიმონ ოდიშარია:

— ორიათას მანეთს ვაძლევ ჯილდოდ, ვინც ახლა მაღლაკში ერთ კოღოს მაინც აღმოაჩენსო!

მაღლაკში გაქრა კოღო და თან წაიყოლა ციებ-ცხელებაც. მართალია, ტბორები დააშრეს, მაგრამ ნიაღვრებს კიდევ შეუძლიათ მათი გაჩენა. ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად გაყვანილი იქნება 30 კილომეტრის სიგრძის მიწისქვეშა და სადრენაჟო მილები. მათი მეოხებით მდ. ოღასკურასა და მაშველ არხს შეუერთდება წვიმისა და ქარხნის ძრავების მიერ გადამუშავებული წყალი.

არც ეს „უვარგისი“ წყალი დაიკარგება უქმად. იგი ზაფხულობით მორწყავს ყანებსა და ბოსტნებს მახლობელ სოფლებში, მალამოდ მოევლინება ღორღიან მიწას, სადაც იმერეთის მზისქვეშ მწიფდებიან უტკბესი ნესვები და საზამთროები.

ვილაპარაკოთ წყალსადენზედაც. უიმისოდ ვერც ქარხანა იმუშავებს და ვერც მოსახლეობა დამკვიდრდება ახალ ქალაქში.

სოფელ ფარცხანაყანევში, მაღლაკიდან 16 კილომეტრის დაშორებით, შენდება წყალსადენი. მაღლაკში მივა ცივი და ანკარა სასმელი წყალი. თვით ფარცხანაყანევში კი სვანეთის მთებიდან მოდის ეს წყალი და ნიადაგქვეშ მიედინება. ავტოქარხნის მუშა-მოსამსახურეთა გარდა, ქუთაისის მოსახლეობის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებს ფარცხანაყანების წყალსადენი.

საქართველოს ავტომრეწველობის პირმშოს დიდძალი ელექტროენერგია დასჭირდება, რომ განუწყვეტელ მოძრაობაში მოვიდნენ ჩარხები და დაზგები, იგუგუნონ ღუმელებმა, ჩამოისხას ფოლადი. ვინ მოსთვლის, რამდენია ისეთი ნივთი რომელსაც ელექტროენერგიის გარეშე ვერ გაა-კეთებთ!

ქუთაისის ავტოქარხანას ექნება საკუთარი „თბოელექტროსადგური“. იგი ელექტროენერგიას მიიღებს აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკის ბაზიდან. ამ მიზნით მაღლაკიდან სამტრედიამდე გაჰყავთ მაღალი ძაბვის ქსელი.

მაღლაკის ელსადგურში განაწილდება საქართველოს ქაფმორეულ მდინარეთა თეთრი ნახშირის ძალა. უკვე დაუდგამთ და იმერეთის მინდვრებს გასცქერიან რკინის მაღალი ანძები. მაღლაკში მივა რესპუბლიკის ჰიდროელსადგურების დენი, რომ დროზე მიიღოს ქვეყანამ ქუთათური ავტომობილი.

ახლომომავალში ელექტროფიცირებული იქნება წყალტუბოს რკინიგზის მაგისტრალი. იქ, სადაც ახლა რკინიგზას სჭრის ქუთაის-წულუკიძის გზატკეცილი, აიგება ხიდი. მატარებელი ხიდქვეშ გაივლის, ზემოთ კი ავტომანქანები ჩაიქროლებენ.

ქარხნის გონება და გული იქნება საკონსტრუქტორო ბიურო. მის საუცხოო შენობაში ნახავთ განიერ მაგიდებზე გაშლილ ნახაზებს: ვინ იცის, რამდენი ფიქრის შემდეგ მიიღებს თავის მომავალ სახეს ზოგჯერ თითქოს უმნიშვნელო დეტალი! აქ დაიბადება ბევრი ახალი იდეა, რომელსაც ხორცს შეასხამს უმაღლესი მათემატიკა. ერთი წამითაც არ მოდუნდება ადამიანის ფიქრი. როგორც ჩანჩქერი ვერ დაიძინებს, ისე ერთ წერტილზე ვერ გაჩერდება მოწინავე საბჭოთა კონსტრუქტორის ნათელი გონება. ჩვენი კონსტრუქტორები და გამომგონებლები საქმით გაამართლებენ დიდი სტალინის ბრძნულ სიტყვას: „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“. განა კმარა გამოუშვა პირველი ავტომობილი და არ იფიქრო მის შემდგომ გაუმჯო-

ბესებაზე?! ძიება, მუდმივი ძიება, ახლის მიგნება, — აი, რა იქნება კონსტრუქტორთა ბიუროს თანამშრომელთა სასიცოცხლო ამოცანა.

3. მშენებლობის უფროსთან

თათბირია მშენებლობის უფროსის კაბინეტში. საუბრობენ უბნის უფროსები, პროექტებს იხილავენ, თავიანთ შეხედულებას გამოსთქვამენ, მსჯელობენ... გაისმის ტელეფონის ზარის ზედიზედ წკრიალი.

— ალბათ მოსკოვია, სამინისტრო! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ამხანაგმა ოდიშარიამ, მილი აიღო და უპასუხა:

— გისმენთ, ქუთაისია, ავტოქარხნის მშენებლობა!

...და დაიწყო საუბარი მასალებით მომარაგების საკითხზე, მუშა-ხელზე, რეზერვების მთლიანად გამოყენებაზე.

საერთოდ, აქ ხშირია ტელეფონით ლაპარაკი მოსკოვთან და თბილისთან. დღეში სამ-ოთხჯერ რეკენ სათანადო სამინისტროებიდან, ამოწმებენ მშენებლობის მიმდინარეობას, მოითხოვენ ცნობებს ამათუიმ უბანში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობას შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალყურს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი. იგი ყოველმხრივ ეხმარება მშენებლებს, რომ უფრო უკეთ წარმართონ მუშაობა, დროულად შეასრულონ მოცემული გეგმები.

ავტოქარხნის მშენებლობის საკითხს ხშირად იხილავენ, როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ისე საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურო. მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განუხრელად გატარება უზრუნველყოფს მშენებლობის ზოგიერთ უბანში არსებულ გარღვევათა სწრაფად გამოსწორებას. პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღების ცენტრშია ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობა.

* * *

საღამოვდება. ბეტონის ქარხანას ვათვალიერებ. რახარუხით მოძრაობს კონვეიერზე ქობულეთიდან მოზიდული ქვები და ხრეში.

შავი ზღვის სანაპიროდან მოტანილი ქვებიც მონაწილეობენ გიგანტის კედლების განმტკიცებაში. მათ ახლა მანქანებით ამსხვრევენ მშენებლები, ცემენტის ცომში ურევენ და მტკიცე რკინა-ბეტონად აქცევენ ახალი ქალაქის ბალავერებში ჩასადგულებლად.

— ბეტონის ქარხანამ ყოველდღიურად უნდა გამოუშვას კარგი ხარისხის ბეტონი. მალე ბევრად უფრო გაიზრდება მისი მუშაობის მასშტაბი. ჩვენ ყოველგვარი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ადგილობრივი რესურსების მთლიანად გამოყენებით დავძლიოთ საშენი მასალების ნაკლებობა! — მეუბნება მშენებლობის უფროსი, სიმონ ოდიშარია.

ქარხნიდან წამოვედით. გზა საუბრით გამოვიარეთ. მშენებელ ადამიანს არც გზაში დაელევა საქმე. ვინ იცის, რამდენმა კაცმა არ შეაჩერა იგი სამმართველოს შენობასთან მოსვლამდე. ზოგი რას ეკითხებოდა და ზოგიც რას. ზოგს კიდევ თვითონ იწვევდა თავისთან და ამათუიმ უბანში წარმოებულ მუშაობის მსვლელობაზე ესაუბრებოდა.

კაბინეტში შევედი. მდივანმა კარი შემოაღო და უფროსს მოახსენა:

— ერთი პატარა ბიჭი მთელი დღე გელოდებათ, ასე სთქვა — მეტად სერიოზული საქმე მაქვსო!

ინჟინერ-პოლკოვნიკს პირზე ღიმილმა გადაჰკრა. გაუკვირდა კიდეც,— ნეტავი რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან პატარა ბიჭსო! მდივანს უთხრა ბავშვი შემოიყვანეთო. კაბინეტში კი ამ დროს სათათბიროდ იყვნენ მოწვეულნი ზოგიერთი უბნის უფროსები და სხდომის დაწყებას ელოდნენ.

კარი გაიღო. თამამად შემოვიდა კაბინეტში ქერათმიანი ცხრა წლის ბიჭუნა. ყველას ყურადღება მიიპყრო. ნორჩმა სტუმარმა ამხანაგ ოდიშარიას ჩამოართვა ხელი და გაბედულად წამოიწყო:

— გმადლობთ უფროსო! მე უკვე შევასრულე თქვენი დავალება. ხუთებით გადავედი მესამე კლასში. ვეცდები მომავალშიც მუდამ ხუთებზე ვისწავლო?

ინჟინერ-პოლკოვნიკმა, ისევე, როგორც ყველა იქ დამსწრემ, სასიხარულოდ მიიჩნია ნორჩი სტუმრის წარმატება სწავლაში. მან კმაყოფილებით მიულოცა პატარა ბიჭუნას პირობის შესრულება. თუმცა არც კი ახსოვდა, როდის შეხვდა იგი პირველად ამ ბავშვს და რა პირობა მისცა მან.

— აბა, მიამბე ჩემო ბიჭიკო, როდის შევხვდით ჩვენ ერთმანეთს პირველად? — მოფერებით შეეკითხა ამხანაგი სიმონი.

— ჩემი მშობლები ავტოქარხნის მშენებლობაზე მუშაობენ. შარშან ზაფხულს დედამ მომიყვანა თქვენთან და გთხოვათ სკურის პიონერთა ბანაკში გაგეგზავნეთ. თქვენ შემპირდით, თუ კარგად ვისწავლიდი, დასასვენებლად გამიშვებდით. პირობა მოგეცით. თქვენი დახმარებით ვიყავი სკურში, დრო კარგად გავატარე, ბევრი რამ ვნახე საინტერესო. ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ ბეჯითად სწავლას შევუდექი, ჯერ გაკვეთილებს ვამზადებდი და მერე ვთამაშობდი. აი, ახლა ასეთი ნიშნები მაქვს! — სთქვა მან და სიამაყით გადაშალა წარმატების ფურცელი, სადაც ხუთები იყო ჩამწკრივებული.

— ყოჩაღ, ახლა მე თვითონ გიცხადებ მადლობას. თუ კვლავ ასე კარგად ისწავლი, ყოველთვის გაგგზავნი სკურში, — უთხრა ინჟინერ-პოლკოვნიკმა და მამაშვილურად გადაუსვა ხელი ქერათმიან თავზე.

— სულ ხუთებზე ვისწავლი, დღიურებსაც დავწერ და გაჩვენებთ! — აღტაცებით უპასუხა ბავშვმა და სიხარულით გაბრწყინვებული სახით გავიდა კაბინეტიდან.

ჩქარი იყო მისი ნაბიჯი. ფანჯრიდან ვხედავდი, თუ რა სწრაფად მიეშურებოდა შინისკენ პატარა სიტყვისკაცი. მთელი ერთი წელიწადი აწუხებდა მას აღთქმული ფიცის შესრულება, და, ახლა, როცა მიზანს მიაღწია, გაბედულად მოვიდა. ბიჭიკომ ჩინებულად მოიხადა თავის მოვალეობა, პასუხადაც შესაფერისი გულთბილობა მიიღო. გასაგებია, თუ რა დაუვიწყარ დღედ დარჩება ამ მგრძნობიერი ბავშვის გონებაში 25 ივლისი. ამ დღეს ცხრა წლის ბიჭუნა გამარჯვების პატაკით წარსდგა დიდი მშენებლობის გულისხმიერი უფროსის, წინაშე.

4. გავიცნოთ ისინი!

ავტომანქანების დიდი მოძრაობა მაღლაკის გზაზე. დილით მოჰყავთ მშენებლობისა და ავტოქარხნის მუშები. მოჰყავთ ქვიტირიდან, წყალტუბოდან, ფარცხანაყანევიდან, ზემო და ქვემო მაღლაკიდან, ქუთაისიდან ზოგი ქვეითად მოიჩქარის, და როცა ავტომანქანა წამოეწევა, შეჩერდება. ხელის დაქნევაც არ არის საჭირო. შოფერები სწრაფად უჩერებენ ავტომანქანას. დაუგვიანებლად უნდა მიიყვანონ თავიანთ უბნებში გიგანტის მშენებლები.

წარმოების ნამდვილი ოსტატები ხდებიან ახალგაზრდა მუშები. ვინ იცის, რამდენია მათ შორის ისეთი, რომელმაც პირველად ნახა ქარხნის კედლები? აი თუნდაც თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ჭაბუკები. ბევრი მათგანი მხარში ედგა კოლმეურნე მამას, ამუშავებდა ჩაის ნაკვეთებს, თოხნიდა სიმინდს, ვენახსა და ბაღ-ბოსტანს უვლიდა სოფლად. ახლა კი ურთულეს დაზგებსა და ჩარხებზე მომავალი ავტომობილის ნაწილებს აკეთებს გუშინდელი კოლმეურნე ახალგაზრდა. ამ ახალგაზრდობამ ქარ-ხანაში მოიტანა მინდვრად დაბადებუ-ლი შრომის სიყვარული.

უბრალო ადამიანების შემოქმედე-ბითმა ნიჭმა ახალ ინდუსტრიულ ქა-ლაქში ჰპოვა ზრდისა და განვითარე-ბის ფართო სარბიელი.

ცაში აზიდულან ლითონის კონს-ტრუქციები. დაძაბული შრომით შეჰქ-მნილა უდიდესი შენობის სხეული. ახ-ლა მას გარედან აცვამენ აზბესტ-ფა-ნერის ტანსაცმელს. ყველაფერი წე-ლიწადის ოთხივე დროის მიხედვით არის გამოზომილი. როცა ზაფხულის პაპანაქება ადუღდება, ალაგ-ალაგ გახსნიან ამ ფანერებს. ადვილად იმო-ძრავებს ნიავი მხურვალე საამქროებ-ში. სიცხე არ შეაწუხებს იქ მომუშავე ადამიანებს. ნიავით განიგრილებს გულ-მკერდს მოტორის ამწყობი ზეინ-კალი, ლითონის ჩამომსხმელი მე-ტალურგი...

*
* *

აქ ბევრი მოწინავე მშენებელია. ერთ-ერთი ასეთია ახალგაზრდა ინჟი-ნერი, კომკავშირში აღზრდილი შალვა ნიუარაძე. იგი სწავლობდა მოსკოვში, მეტრომშენის ინსტიტუტში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუ-შაობდა მეტროში. აქ მიიღო მან მშე-ნებლის პირველი გამოცდილება.

იგრგვინა სამამულო ომმა. შალვამ ცეცხლის ხაზზე ამოყო თავი. აქაც გამოიჩინა თავისი საინჟინერო ცოდნა. იგი პირნათლად ასრულებდა სარდ-ლობის ყველა დავალებას. აგებდა სი-მაგრეებს, აღადგენდა მტრის მიერ დანგრეულ ხიდებსა და რკინიგზებს.

მძაფრი ბრძოლებით მიიწევდნენ დასავლეთისაკენ საბჭოთა ჯარები როგორც ინჟინერი და მეომარი, შალ-ვაც თან მიჰყვებოდა შეტევაზე გადა-სულ გამანთავისუფლებელ არმიას. გაიარა ვენის ტყე. ქვემეხები ქუხდ-ნენ. ვენაში შედიოდა ჩვენი არმია და გაზაფხული. და როცა გადიგრიალა მრისხანე ომმა, შალვა მაღლაკში მო-ვიდა მშენებლად. ახლა მისი აქტიური მონაწილეობით შენდება ავტოქარხნის უდიდესი საამქროები.

ახალგაზრდა ინჟინერ-არქიტექტო-რი გიორგი ჩიგოგიძე კონსტრუქტორ-თა და საპროექტო ბიუროს უფროსია. მას ეკუთვნის მუშათა საცხოვრებელი სახლებისა და რამდენიმე საწარმოო ნაგებობის პროექტი.

როგორც კი სამამულო ომი დაიწ-ყო, გიორგი იმავე დღესვე გამოცხად-და სამობილიზაციო პუნქტში. მას უკვე ხელთ ჰქონდა პირველი გაწვევის ბილეთი, მაგრამ ჯერმა 3 ივლისამდე არ მოუწია. ამ დღეს, როცა მთელი მსოფლიო რადიოთი ისმენდა დიდი სტალინის ისტორიულ სიტყვას, გიორ-გიმ მიიღო ბრძანება, თუ რომელ ნა-წილში უნდა გამოცხადებულიყო. სი-ხარულით წავიდა მამულის დასაცავად კომკავშირული კომიტეტის ყოფილი მდივანი. წავიდა და ომის დამთავრე-ბამდე არ დაბრუნებულა საქართველ-ოში. იგი მფრინავად მოამზადეს.

გათავდა ომი. გიორგი ჩიგოგიძე მშობლიურ კერას დაუბრუნდა. მაღ-ლაკის მშენებლობაზე დაბინავდა მისი ფიქრი. აქ შეხარის იგი შრომისმოყვა-რე ადამიანთა ჯაფით და ოფლით აგებულ შენობებს, გრძნობს ქარხნის

ბრწყინვალე მომავალს, რომელსაც ახლა ინჟინერ-კონსტრუქტორთა ნახაზები წარმოგვიდგენენ და მალე კი სავსებით ხორცშესხმული სინამდვილე იქნება. სიყვარულით იხედება მისი თვალი ყველა პროექტში, იხედება ეკლარის თეთრ ქვაშიაც, რომელმაც ეშხი და იერი უნდა მისცეს მომავალი შენობის ფასადს.

ცხადია, იგი მარტო როდია. მას მხარში უდგანან, მუდმივ მეთვალყურეობას უწევენ და ეხმარებიან თვით მშენებლობის უფროსი სიმონ ოდიშარია, მთავარი ინჟინერი ვახტანგ კერესელიძე და საინჟინერო პერსონალის მთელი კოლექტივი.

*
* *

მშენებლობის მოწინავე ინჟინრებიდან აქ პირველ რიგში დაგისახელებენ ნიკოლოზ გოჩიაშვილს, მრავალგზის ორდენოსან შოთა კობახიძეს, სამუელ რაბინოვიჩს, ოთარ ბიბილეიშვილს, აკაკი გიგაშვილს, ვალენტინ გიორგაძეს, კონსტანტინე პოგრებიცკის, ელიზბარ ამირაჯიბს და პავლე მაღრაძეს. ყველანი ერთი საპატიო ამოცანის შესასრულებლად იბრძვიან — მოცემულ ვადაში შექმნან ქართული ავტომობილის მშვენიერი კერა.

ჩვენ უფრო ვრცლად შევეხებით ახალგაზრდობის შრომასა და ცხოვრებას, როცა ავტოქარხნის მოქმედ საამქროებში შევიხედავთ. მანამდე კი მოკლედ მაინც აღვნიშნოთ კიდევ ერთი მოწინავე ადამიანის ბრძოლა, და მისი როლი ავტოქარხნის მშენებლობის საქმეში.

ცხრა წლის წინათ გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში კოლმეურნის შვილი კოტე ტყაბლაძე. მეთაურად ემზადებოდა აქტიური კომკავშირელი. დაიწყო დიდი სამამულო ომი. კოტე, როგორც ბატარეის უმცროსი მეთაური, ცეცხლის ხაზზე იდგა მტრისთვის ცეცხლის გასაჩენად. მისი ქვემეხები ულმობლად ანადგურებდნენ გერმანელ მტაცებელთა ურდოს. კოტემ ვოროშილოვგრადთან მიიღო პირველი ჭრილობა. რამდენიმე კვირა დაჰყო ჰოსპიტალში და როგორც კი განიკურნა, ისევ თავის ნაწილს მიაშურა.

ჩვენმა მეომრებმა მედგარი იერიშით გადალახეს მდ. დნეპრი. უმცროსი ლეიტენანტი კოტე ტყაბლაძეც აქ იბრძოდა დნეპრის გადალახვის დროსაც. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა წყალტუბოელ ვაჟკაცს. დამთავრდა ომი. კოტე საქართველოში დაბრუნდა. 1946 წლიდან იგი ქუთაისის ავტოქარხნის პარტბიუროს მდივანია.

ფრიად დიდი და პასუხსაგები ამოცანაა მის წინაშე. მტკიცე პარტიულ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული ყოველი საზოგადოებრივი მუშაობის წარმატება. პარტბიუროს მდივანი მუდამ ხალხთან უნდა იყოს დაკავშირებული, მხურვალე მონაწილეობას იღებდეს მშენებლობის ყველა საჭირბოროტო საკითხის თავის დროულად გადაწყვეტაში.

საბჭოთა კავშირის გმირი კოტე ტყაბლაძე დაკისრებული მოვალეობის ღრმა შეგნებით ასრულებს თავის ამოცანას. იგი გულდასმით სწავლობს ადამიანებს, რაზმავს კომუნისტებს, ზრდის კომკავშირელებს, რომ ისინი ყველაფერში მოწინავენი იყვნენ, რომ მათ ღირსეულად ეჭიროთ ავანგარდული როლი ავტოქარხნის მშენებლობაში.

5. № 1000 და „ქუთაისი“

ხანმოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი თათბირი შედგა ავტოქარხნის დირექტორის ამხანაგ ბორის ბუკიას კაბინეტში. ჩვენ მის აღწერას არ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ შაბათს, 30 ივლისს, დანიშნულ დროზე შეიკრიბნენ საამქროთა უფროსი ინჟინრები. ყველა ისინი ცნობილი სპეციალისტები არიან. ბევრი მათგანი ათეული წლობით მუშაობენ მოსკოვის სტალინის სახელობისა და ქ. გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნებში.

წარმოების მოწინავე ადამიანებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს ომის მრისხანე წლებში. ზოგი აქ დამსწრე ინჟინერი საბრძოლო საჭურველის გამოშვებას ხელმძღვანელობდა და ზურგში დაუღალავი მუშაობით მხურვალე მონაწილეობას იღებდა ვერაგ მტერზე გამარჯვების საქმეში.

— კიდევ ერთი დღე დაგვრჩა ივლისიდან. ჩვენ ერთი წამიც არ უნდა დავკარგოთ! ზეგ, 1-ლ აგვისტოს, საღამოს ისევ შევიკრიბებით, თან უნდა იქონიოთ დაზუსტებული ცნობები. წარმოადგინეთ ისინიც, ვინც უფრო ისახელა თავი, ვინც გადამეტებით შეასრულა საწარმოო გეგმები, საპატიო დაფაზე გამოაცხადეთ, მოწინავეთა გვარები! — მოკლედ მოსჭრა დირექტორმა, რომელიც მთელი საათის განმავლობაში ფეხზე იდგა, — ყურადღებით უსმენდა სიტყვით გამოსულ ინჟინრებს, როგორც მეთაური საბრძოლო ვითარებაში, თავის აზრს გამოსთქვამდა მოკლედ და მკაფიოდ.

თათბირი დამთავრდა. ყველანი წავიდნენ.

საუბრით გამოვედით კაბინეტიდან. მსურდა მენახა საამქროები, მენახა მომავალი ქუთათური ავტომობილის შემქმნელი ადამიანები.

კიბეებზე ჩამოვდიოდით. გამახსენდა, რომ თათბირის დროს დირექტორის საწერ მაგიდაზე ორი პატარა ნივთი შევამჩნიე. ლითონისაგან იყო გაკეთებული.

ზედ ამოვიკითხე № 1000 და ქართული ასოებით ამოკვეთილი სიტყვა „ქუთაისი“. მე არ ვიცოდი მათი სახელი და არც მათი მნიშვნელობა გამეგებოდა. აღწერით დავუსურათე დირექტორს თვალით ნახული პატარა ნივთები. იგი მაშინვე მიხვდა, თუ რას შეეხებოდა ჩემი ლაპარაკი.

— ალბათ ბენზინის საქაჩავი და სიჩქარის კოლოფი გინახავთ?—მითხრა დირექტორმა და განაგრძო, — ბენზინის საქაჩავიც იგივეა მოტორისათვის, რაც ადამიანისათვის გულია. მან უნდა მიაწოდოს მოტორს მისი მამოძრავებელი და საარსებო ნივთიერება — ბენზინი. საამაყოა ჩვენთვის, რომ საქართველოს ამ მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში მალე გამოვუშვებთ საკუთარი კონსტრუქციის სატვირთო ავტომანქანას. პატარა ნაწილსაც ქართულად აწერია ჩვენი მშობლიური ქალაქის — ქუთაისის სახელი. ის ბენზინის საქაჩავი, რომელიც თქვენ ნახეთ, სწორედ დღეს, 30 ივლისს გამოუშვა ჩვენმა ქარხანამ. იგი ატარებს მეათასე ნომერს. ვინ იცის, რომელ ავტომანქანას ერგება იგი წილად! მთავარი ის არის, რომ ჩვენ უკვე ვამზადებთ მომავალი ავტომობილის მრავალ ნაწილს. უნდა ნახოთ ის დღეც, როცა მთელი სიმძლავრით ამოქმედდება ჩვენი ქარხნის ყველა კონვეიერი.

30 ივლისი მართლაც საზეიმო დღეა ქუთაისის ავტოქარხნის კოლექტივისათვის. ამ დღეს გაკეთდა ის ორი სასიხარულო ნივთიც, რომელთაგან ერთს აწერია № 1000 და მეორეს კი— ქუთაისი. მინდა წარმოვიდგინო ის სასურველი დღეც, როცა სამი — ოთხი წლის შემდეგ ათიათასობით ავტო-

შანქანა გამოვა ამ უდიდესი ავტოქარხნის ალაყაფის კარებიდან და ყველას დაამშვენებს წარწერა — „ქუთაისი“.

— მითხარით, — მივმართე ამხანაგ ბუკიას, — როგორ გამოუშვებთ ამდენ ავტომობილს, — გყავთ თუ არა საამისოდ მომზადებული კადრები?

— გვყავს და მერე როგორი მუშები! აღტაცებით მიპასუხებს დირექტორი. ახალგაზრდა მუშების ხსენებამ მას ბაგეზე სიხარულის ღიმილი აუნთო.

— ჩვენი ქარხნის მომავალი სწორედ ამ მგზნებარე ახალგაზრდობას აბარია. ისინი მოდიან ინსტიტუტებიდან, სახელოსნო სასწავლებლებიდან, კოლმეურნეობებიდან. სხვადასხვა პროფესიებს ეუფლებიან სწავლასმოწყურებული ახალგაზრდები. მათ მთელი გულით უყვართ ახალი წამოწყება, უყვართ ის ავტომობილი, რომლის ცალკეულ ნაწილებს წარმატებით აკეთებენ რაჭა-ლეჩხუმიდან, გურია-სამეგრელოდან, ქართლ-კახეთიდან, იმერეთის მრავალი სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდები. მათ ახლა კომუნისტური სულისკვეთებით ზრდის ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული თანაშემწე ლენინური კომკავშირი. მალე მოვესწრებით იმ დღესაც, როცა საბჭოთა ახალგაზრდობის ეს მრავალრიცხოვანი არმია საუკეთესო ქუთათური ავტომობილების გამოშვებით ასახელებს ჩვენს დიად სამშობლოს! — მეუბნება ამხანაგი ბუკია და კვლავ შთამაგონებლად განაგრძობს საუბარს ჩვენს საიმედო ახალგაზრდობაზე.

ერთ-ერთ თვალუწვდენ საამქროში შევედით. განუწყვეტლივ ზრუნავდნენ, მოძრაობდნენ, ლითონს ებრძოდნენ და იმორჩილებდნენ ნაირ-ნაირი კონსტრუქციის დაზგები.

თვალწინ გადაიშალა მომხიბლავი სანახაობა. ყველაფერს კარგად დაკვირვება და გულდასმით შესწავლა უნდოდა. გვიანი საღამო კი საამისო საშუალებას არ იძლეოდა. ვამჯობინე დილითვე დამეწყო საამქროს დათვალიერება. მსურდა მთელი დღეები დავრჩენილიყავი იმ მოწინავე ახალგაზრდობასთან, რომელმაც თავდადებული შრომით, სიყვარულით, უშურველად უნდა გამოსჭედოს საქართველოს უდიდესი ქარხნის დიადი მომავალი.

დაღამდა. ბინდმა დაფარა მაღლაკის ცა. სვეტებზე აციმციმდნენ ელნათურები. გზებზე კვლავ ავტომანქანების ხმაურობა ისმოდა. საამქროში კი, განუწყვეტლივ გუგუნებდნენ ავტოქარხნის შესანიშნავი დაზგები.

6. დღეები საამქროებში

მშვენიერი დილაა. ამომავალი მზის სხივები ეალერსება ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს. სდუმს მრავალი საუკუნის დიდებული ძეგლი. მტრის ურდოებს დაუნგრევია. მაინც სიამაყით აზიდულან ცაში და ახალ ქუთაისს უცქერიან მისი ხავსიანი კედლები. ეამთა მანძილზე ებრძოდა ქარ-ბუქი და წვიმა, ებრძოდა თოვლი და ყინული. ბევრგან წაშლილა მშვენიერი ფრესკები. ბევრგან დამტვრეულა ულამაზესი ქართული ჩუქურთმებიც.

ჩვენი წარსულის დიდების ნიშნად მოვიდა იგი ჩვენს დრომდე, და ასე დარჩება მარად და მარად. სადღა არიან მისი ნათელი გუმბათები, რომელთაც თავზე ეხურათ ცის სილაჟვარდე და ირგვლივ მტრედები შემოხვეოდნენ!.. ისინიც ნგრეულან ვერაგი მტრის მიერ, ნგრეულან ისე, როგორც მისი თანამოძმენი რბეულან და აოხრებულან მიტაცებულ მიწაზე.

მორბის მოლელავს ქაფმორეული რიონი. წუთით აჩერებს რბენას საყვა-

რელ ქუთაისთან, რომ ელექტრონის მშობლად გადააქციოს კაშხალთან შეგროვილი ტალღები.

შეუპოვარ რიონს მხოლოდ მაშინ ესმოდა ბაგრატის ტაძრის ქვათა ღაღადი, როცა ჩვენს სამშობლოს უცხო დამპყრობი მოადგებოდა და ერის დიდებას ემუქრებოდა. ნგრეულა დიდებული ძეგლი, მაგრამ მისი მშვენიერების წინ იზრდება და უფრო მშვენიერდება საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ახალი ქუთაისი.

უკვე 7 საათია. საამქროებისკენ იჩქარიან ავტოქარხნის მუშები და მშენებლები. მეც მათ მივყვები. უნდა გავიგო ჩვენი მგზნებარე ახალგაზრდობის ცხოვრება, შრომა და მისწრაფებანი.

სარკმელიდან შემოჭრილი მზის სხივი დაჰყურებს აკაკი წერეთლის სამშობლო სოფლიდან ჩამოტანილ მიწას ჩამომსხმელ საამქროში.

ერთ ჯგუფთან მივდივართ. სამნი არიან; ხუთმეტ-ხუთმეტი წლის ვაჟები. წულუკიძის რაიონის სოფელ კინჩხიდან მოსულან. ავტოქარხნის სახელოსნო სასწავლებელი დაუმთავრებიათ. ავტომობილის ზოგიერთი ნაწილის ყალიბს აკეთებენ.

— აბა, ერთი შეხედეთ, როგორი ბიჭებია! ტანით პატარები არიან, მაგრამ ამათ რომელი ოქრო შეედრება! ოღონდ სამუშაო მიეცით და მეტი არაფერი უნდათ. როცა აქ მოვიდნენ, წარმოების არაფერი გაეგებოდათ. ახლა კი სიჩქარის კოლოფსაც აკეთებენ. აი, მათი ნამუშევარიც! — მეუბნება ინჟინერი გიორგი კაკაბაძე და ხელით იღებს ახლახან ჩამოსხმული თუჯის დეტალს, რომელსაც მსხვილი ასოებით აწერია „ქუთაისი“.

— ეს პატარა ბიჭუნა,—განაგრძობს ამხანაგი კაკაბაძე, — წელამდე ძლივს მწვდებოდა, როცა ჩემთან მოვიდა კოლმეურნეობიდან. ბეღურას ჰგავდა, ახლა ისე გაიწაფა, შევარდენს ემსგავსება. მოდი და გაუსწარი! ილია კუხალეიშვილი გახლავთ, მართლა ცეცხლია, ცეცხლი!

— ესეც კიდევ ჩვენი ოქროა — გიორგი გუგულავა, გვარიც კარგი აქვს და სახელიც, საქმე ხომ სულ უკეთესია!

— აი, ეს ყველაზე პატარა რომ არის,

უდიდეს სიმხურვალეს უძლებს. როცა ყველა საამქროს ავამუშავებთ, ყოველდღე დაგვჭირდება 150 ტონა ასეთი ცეცხლგამძლე მიწა! — სთქვა ამხანაგმა კაკაბაძემ, რომელმაც სიყვარულით აღნიშნა საჩხერის მიწის განსაკუთრებული თვისებები.

ჩამომსხმელ საამქროში ქალიშვილთა ერთი ჯგუფი დავინახე. შეწითლებულ ლოყებზე მური გადაკვროდათ. დაკარწახებულ ხელებზედაც მური ეცხოთ ახლოს მივედი.

— ესენი კომკავშირელი ქალიშვილებია. მართლა სამაგალითონი არიან თავიანთი ცხოვრებით და მისწრაფებებით! — მეუბნება ინჟინერი კაკაბაძე და გულდასმით მიყვება, თუ როგორ მოვიდნენ ამ საამქროში ჩვენი სამშობლოს პატრიოტი გოგონები.

ქუთაისელი ეუჟუნა ჟვანია კადრების განყოფილებაში მუშაობდა მემანქანედ და საქმეთამმართველად. მან შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა და პირდაპირ წარმოებას მოაშურა. იგი პიონერის ჰასაკიდანვე იჩენდა თაოსნობას საზოგადოებრივ მუშაობაში. არის ერთ-ერთი აქტიური კომკავშირელი. როცა ავტოქარხანაში მოვიდა, გულდასმით შეისწავლა ყველა მუშის ცხოვრება და მუშაობა. უკვირდათ კიდეც, როგორ იმახსოვრებდა ამდენ სახელსა და გვარს ახალმოსული ქალიშვილი. ერთხელ მან ასეთი განცხადება წარუდგინა დირექტორს;

— „დიდად მოხარული ვიქნები, თუ კანცელარიაში მუშაობიდან გამათავისუფლებთ და წარმოებაში გადამიყვანთ. მართალია; აქაც დიდი საქმე კეთდება, აქაც თავდადებით შრომობენ და მუშათა კეთილდღეობაზე ზრუნავენ, მაგრამ მაინც წარმოებაში ყოფნა და ახალი პროფესიის შეძენა მირჩევნია. მინდა გავხდე მელითონე, მინდა უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღო ქარხნის მუშაობაში. გთხოვთ შემისრულოთ სურვილი და მეყალიბე მუშად გადამიყვანოთ ჩამომსხმელ საამქროში. ვეცდები ოდესმე გავხდე მოწინავე ოსტატი. არაფერს დავიშურებ დასახული მიზნის მისაღწევად“.

ეუჟუნას სურვილი მალე შეასრულა ქარხნის დირექციამ. ქართველმა კომკავშირელმა ქალიშვილმა პირველი მაგალით უჩვენა თავის ტოლებს გადასულიყვნენ დაწესებულებიდან წარმოებაში სამუშაოდ. ეუჟუნას მალე გამოუჩნდნენ მიმდევრები. ახლა ბევრ ახალგაზრდა ქალსა და ქალიშვილს ნახავთ გიგანტის საამქროში.

წარმოების ერთერთი ასეთი მოწინავე გოგონაა ზინა ბარანოვა. ისიც კომკავშირელია. რამდენიმე თვის წინათ ფოსტას დაატარებდა. ამ იოლ საქმეს სპეციალობის შესწავლა ამჯობინა. თავისი სურვილით მოვიდა საამქროში და ყალიბთა კეთებას შეუდგა.

წულუკიძის რაიონის სოფელ გუბიდან მოვიდა ავტოქარხანაში ახალგაზრდა ქალიშვილი ნათელა ცაგარეიშვილი. ჩამომსხმელ საამქროში მუშაობს კოლმეურნე გლეხის შვილი. რამდენიმე თვეა, რაც აქ არის და უკვე მოწინავე მეყალიბედ ითვლება. ბევრი ყალიბის გამკეთებელია მისი გამრჯე ხელები. ყოველგვარ რთულ და მძიმე სამუშაოს კისრულობს ეს შავთვალწარბა გოგონა.

საკოლმეურნეო შრომას იყო მიჩვეული, უყვარდა ყანა, ჩაის ბუჩქები, აბრეშუმის ჭიის მოვლა. ბევრჯერ ასულა თუთის ხეებზე ფოთლების მოსაკრეფად. არც ისე ადვილი იყო სათუთი ჭიის სამ-ოთხჯერ გამოკვება ყოველდღიურად. მისი სამუშაო განსაკუთრებით მძიმე იყო წვიმიან დღეებში, როცა ჭიის გამოსაკვებად სველი ფოთლების გაშრობა უხდებოდა. გოდრით მოიტანდა ნაწვიმარ ფოთლებს, აივანზე გაშლიდა, მზრუნველობით ახარებდა აბრეშუმის ჭიას.

ნათელას ჩაის პლანტაციებიც იზიდავდა. იგი ხალისით ეჯიბრებოდა ტოლებს ჩაის ფოთლების კრეფაში. თავზე ეხურა ჩალის ქუდი, წელზე პატარა კალათები ჰქონდა შემორტყმული, ორივე ხელით კრეფდა საქართველოს ჩაის ფოთლებს. სწრაფად მოძრაობდნენ მისი თითები მწვანე ბუჩქებზე.

ყოველ საქმეში ყოჩაღი იყო ნათელა. უყვარდა გარჯა, ოჯახის ქალობა და ეს სიყოჩაღე აქაც, ჩამომსხმელ საამქროშიც გამოჰყვა. შრომაში ხედავს გამარჯვებას კომკავშირელი ქალიშვილი. ბეჯითია, ცდილობს მალე შეითვისოს, რასაც უფროსები ასწავლიან.

გულმოდგინედ, დაუზარებლად აკეთებს ნაირნაირ ყალიბს. სამუშაო დღის დამთავრებამდე მური არ შორდება მის ნათელ სახეს. დადგება საამქროდან გამოსვლის ჟამი და ნათელაც გამოიცვლება. ჯერ მიჩენილ ადგილას დაალაგებს თავის ხელსაწყო იარაღებს, მერმე ხელ-პირს დაიბანს, თმას გაისწორებს და ისევ სუფთად, ღიმილით გამოვა საამქროდან შინმიმავალი პირცქრიალა ნათელა.

ამავე საამქროში ვნახე კომკავშირში ახალმიღებული გოგონა ირინა ურბანსკაია. იგი მუშის შვილია, ავტოქარხნის სახელოსნო სასწავლებელში სწავლობს. დიდი გამრჯეა პატარა ირინა. მისი ნაზი თითებიც შავი მიწითაა გათხუპნული. ფაქიზად, სუფთად აკეთებს ყალიბებს. უხარია, როცა ოსტატი მის ნამუშევარს მოიწონებს. ყოველმხრივ ცდილობს იყოს მოწინავე, კარგად აითვისოს თავისი საქმე, მეტი ცოდნა და გამოცდილება მიიღოს წარმოებაში.

გუზგუზებს ჩამომსხმელ საამქროს პირველი ღუმელი. უნდა ჩამოისხას თუჯი. უკვე შუადღეა. ყველაფერი მზად არის ცეცხლოვანი ნიაღვრის მისაღებად. ამწევ ონკანს ჯაჭვით უჭირავს ვეებერთელა კასრი. ღუმელის კარს აღებენ. მოდის უელვარესი ნაკადი. კასრი ივსება. ღუმელის კარიც იკეტება. თვალმომჭრელად ბრწყინავს ლითონის სითხე. ამწევ ონკანს იგი კასრით მიაქვს ნათელას და მისი მეგობრების მიერ გაკეთებულ ყალიბებთან... ორმა ვაჟკაცმა რკინის სარით გადააფერდა კასრი. ილვრება ცეცხლი. ნაპერწკლებს ისვრის თუჯის ღვარი. ებრძვის მიწას, მაგრამ მიწა არსად არ უშვებს დაქცეულ ლითონს. ცეცხლოვანი ნიაღვრით ივსება ყველა ყალიბი. ახლა უკვე მათ ზემოდან აყრიან ჩვეულებრივ მიწას ჩამოსხმული თუჯის გასაცივებლად. ცეცხლსაც ვეღარ ხედავთ. მიწას დამორჩილდა ლითონი. მისი მადანიც ხომ მიწის წიაღიდან არის ამოღებული!..

გავიდა რამდენიმე საათი. ლითონი გამკვრივდა და გაცივდა. აქა-იქ დარჩა წიდა, ლითონის ზედმეტი ნაწილაკი, რომელსაც სათანადო ხელსაწყო იარაღით აშორებენ. მოდიან ავტომანქანები, საამქროებში გადასამუშავებლად მიაქვთ აქ ჩამოსხმული ლითონი.

ლითონების სიმკვრივესა და სიმძლავრეს იკვლევენ ჩამომსხმელ საამქროსთან არსებულ ცენტრალურ ლაბორატორიაში. აი, აგუგუნდა მანქანა. მას ცალ-ცალკე გადაეცა ფოლადის, რკინისა და თუჯის ნაჭერი. გამოცდა უნდა დაიჭიროს ლითონმა. ცხადია, ამით გამოცდას იჭერენ მისი მდნობელი ღუმელებიც და ამ ღუმელთა მმართველი ადამიანებიც. ხომ შეიძლება ნედლეული კარგი იყოს, ღუმელიც შეუფერხებლივ ადნობდეს მადნეულს, მაგრამ ადამიანმა ვერ დაიცვას ტექნოლოგიური პროცესი! ანდა პირიქით, ადამიანი თავის მხრივ ზუსტად იცავდეს ყოველგვარ წესს, მაგრამ თვით წიაღისეული არ იყოს შესაფერისი, რომ მისგან მივიღოთ მაღალხარისხოვანი ლითონი! ორივე

შემთხვევაში სისწორეს ამოწმებს ლაბორატორია.

დიდ დაწოლას განიცდის შემამოწმებელ მანქანაში ჩადებული ლითონი. მოძრაობს ციფერბლატის ისარი. თავდაპირველად იგი 0-ზე იყო გაჩერებული და როგორც კი მანქანა ამუშავდა, თანდათანობით აიწია ზევით და ზევით... უმაღლეს ციფრთან მიახლოვებისას, გაისმა ტკაცუნის ხმა. ისარი უცებ ქვემოდ დაეშვა. ლითონი კი გატყდა, ვერ გაუძლო წნევას, მაგრამ გამოცდა მაინც ბრწყინვალედ დაიჭირა. შემოწმებამ მისი მაღალხარისხიანობა დაამტკიცა.

ნაირფერადი ხსნარია შუშის ქილებში. ფერთა ცვალებადობას აკვირდებიან აქ მომუშავე ქალები და ქალიშვილები. ყოველმხრივ ამოწმებენ ლითონს. უნდა გაიგონ მისი ქიმიური შემადგენლობა, აპარატურა ყველაფერს აჩვენებს. პიროვნების შეცდომას ზუსტად მომუშავე მანქანა ასწორებს. საჭიროა მხოლოდ მისი ჩართვა და მონაცემების დროულად ჩაწერა.

ერთი წელიწადია, რაც ამ ლაბორატორიაში სამუშაოდ მოვიდა ქვიტირელი ქალიშვილი კომკავშირელი სონია ყუბანეიშვილი. ადრე დილით ცხადდება ქარხანაში. მადნეულის პატარა ნაწილაკს ჩასდებს შუშის ქილაში, სათანადო ხსნარს დაასხამს და ყურადღებით უთვალთვალებს. — აი, რეაქციაც დაიწყო. სონია ფერთა ცვალებადობას იწერს ქილაზე აღნიშნული ციფრების მიხედვით. შემდეგ მეორე ქილაში ჩასდებს უკვე შესასწავლ ლითონს, უცვლის ხსნარს... და ასე გრძელდება ეს საინტერესო მუშაობა ყოველდღე, ყოველთვიურად.

რას იფიქრებდა ქვიტირელი ქალიშვილი, თუ იგი ოდესმე მაღლაკში ჩამოსხმულ ლითონს შეამოწმებდა ქუთათური ავტომობილის გასაკეთებლად! მან კარგად იცოდა ხელსაქმე, დიასახლისობა, ბალ-ბოსტნის მოვლა. ახლა ისე მარჯვედ დაუფლებია თავის ახალ პროფესიას, რომ ლითონის ბედის გადამწყვეტიც გამხდარა.

ამავე ლაბორატორიაში მუშაობს პავლოგრადელი კომკავშირელი ზინა მოროზოვა. სად არ ყოფილა, იმდენი ქალაქი უნახავს, რომ მათ სახელებსაც ვეღარ იხსენებს. დასავლეთისაკენ მიჰყვებოდა ძლევამოსილ საბჭოთა არმიას ფაშისტ ბარბაროსთა მიერ დაპყრობილი ხალხების განსათავისუფლებლად და როცა ომი დამთავრდა, ზინა მაღლაკს ეწვია. იგი მოწინავე ლაბორანტი გახდა. ამოწმებს ლითონის ხარისხს, მის სიმკვრივესა და სიძლავრეს ირკვევს. კარგი მუშაობისათვის ბევრჯერ აღუნიშნავთ წითელ დაფაზე ომგადახდილი რუსი ქალიშვილის გვარი და მისი საწარმოო მაჩვენებლები.

ორი წლის წინათ მოვიდა მაღლაკში ალექსანდრე ლომთაძე. მისი სამშობლო სოფელია მეორე-ტოლა.

სოფლად იგი კოლმეურნეობაში მუშაობდა. პატიოსანი შრომით ეხმარებოდა პატარა ოჯახს. ახლა ჩამომსხმელ საამქროშია. მეყალიბე მუშიდან ოსტატად დაწინაურდა. ცეცხლის ალში იჩენს ვაჟკაცობას რაჭის გრილ ნიავს მიჩვეული ახალგაზრდა. გავარვარებულ ღუმელებთან უნდა მოიპოვოს სახელი და დიდება. კარგად იცის კომკავშირელმა მეტალურგმა, რომ კეთილსინდისიერი შრომით, პროფესიის დაუფლებით და სწავლით გახდება იგი სამშობლოს სახელოვანი ადამიანი.

ახალგაზრდა ოსტატთა შორის მოწინავედ სთვლიან აგრეთვე შალვა ბარბაქაძეს. ისიც ლენინური კომკავშირის შვილია. არც ისე დიდიხანია, რაც დასტოვა ბორჯომის ხეობა, მაღლაკში მოვიდა, რომ მელითონე გამხდარიყო.

ჩამომსხმელ საამქროს მოწინავე ახალგაზრდობაზე კიდევ ბევრის თქმა

შეიძლება. თვითეულ მათგანზე ცალკე ნარკვევიც დაიწერებოდა.

ჩამომსხმელ საამქროს სული და გული არიან ახალგაზრდა ოსტატი ალექსი ფხაკაძე, გრიგოლ მარდალეიშვილი, კაპიტონ ნუცუბიძე, ალექსანდრე ფუთურიძე, ვარლამ ნიქაბაძე და ბორის მეკონდაძე. ისინი ლენინურ კომკავშირში იზრდებიან. ზოგი კოლმეურნეობაში მუშაობდა და სოფლიდან მოვიდა წარმოებაში, ზოგი სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა და ზოგიც კიდევ ქუთაისის საავტომობილო ტექნიკუმში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ გადამეტებით არ შეესრულებინოთ თავიანთი გეგმები.

ისინი ყალიბებს აკეთებენ. აქ კი ყალიბი ყველაფერია. საერთოდ, ამ საამქრომ უნდა გამოუშვას ავტომობილის 250-ზე მეტი სხვადასხვა სახის დეტალი. ბევრი მათგანი რამდენიმე ათეულ კილოგრამს იწონის, ზოგი კი ნახევარი კილოგრამიც არ გამოვა. დიდიც და მცირეც შესაფერ შრომას მოითხოვს. ყველა საჭიროა ავტომობილის გასაკეთებლად.

დაზგებთან და ღუმელებთან პირველად მისული ახალგაზრდები წინ ვერ წაიწევენ, თუ მას სწავლასა და შრომაში არ ეხმარებიან უფრო გამოცდილი ამხანაგები. ავტოქარხნის ახალგაზრდობა ამ მხრივ საიმედო ადამიანთა ხელშია. მათ ზრდიან, საწარმოო ცოდნით აიარაღებენ მოწინავე ოსტატები.

7. ჭაღარა მეტალურგი

მელითონე ახალგაზრდობის ერთ-ერთი საუკეთესო აღმზრდელი და გულისხმიერი მეგობარია ბოლშევიკი ინჟინერი, ქუთაისის ავტოქარხნის მთავარი მეტალურგი ნიკო ბორისაშვილი.

თერთმეტი წლის ბიჭუნა იყო ნიკო, როცა დასტოვა მშობლიური სოფელი მეჯვრისხევი და თავის ნათესავთან ერთად რუსეთს გაემგზავრა. ეს იყო პირველი მსოფლიო ომის წინ.

შორ გზას გაუდგა პატარა ნიკო. ვაგონის ფანჯრიდან გასცქეროდა რუსეთის მდუმარე ველებისა და ტრამალების უსაზღვროებას.

მოსკოვში ჩავიდა. პირველად მხოლოდ პურის სახელი იცოდა რუსულად. ერთი წელიწადი მოუნდა რუსული ენის შესწავლას. სასწავლებელში მიიღეს ნიკოლაი ბორისოვად და არა ნიკო ბორისაშვილად.

იფეთქა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ. თავისუფლების მზე ამობრწყინდა. მალე დაიწყო მძაფრი სამოქალაქო ომი. ნიკო ამ დროს მოსკოვში იყო. ბევრი გაჭირვება გადაიტანა ახალგაზრდა ჭაბუკმა. მისთვის უცხო როდი იყო სიძნელე და დაბრკოლება. რა უნდა შეხვედროდა კიდევ ისეთი, რომ დასახული მიზნისათვის გვერდი აევლო! ეს მიზანი კი სწავლა, მხოლოდ სწავლა, ცოდნის შეძენა იყო.

გავიდა ხანი... ნიკომ წარმატებით დაამთავრა მოსკოვის სამთო აკადემია. დადგა 1930 წელი. მან მუშაობა დაიწყო ქალაქ გორკის მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანაში, სადაც მთელი თხუთმეტი წელიწადი გაატარა. უშვებდა ავტომობილებს, ომის დროს კი—მტრის გამანადგურებელ ტანკებს.

გულწრფელად შეიყვარეს მუშებმა გულისხმიერი მეტალურგი. ისინი მას განსაკუთრებული მოკრძალებით, მუდამ პატივისცემით ეპყრობოდნენ. და როცა დადგა ნიკო ბორისაშვილის საქართველოში გამომგზავრების ჟამი, ბევრს დაწყდა გული საყვარელი ადამიანის გამოთხოვებაზე.

მოვიდა, ისევ იხილა საქართველოს დედაქალაქი. ეუცხოვა მისი ასფალტირებული ქუჩები, ამწვანებული პარკები, განიერი მოედნები. განა ასეთი ლამაზი და მშვენიერი იყო მაშინ

ჩვენი მშობლიური თბილისი, როცა ბოგებაშვილის „დედა-ენით“ გულგამთბარი მეჯვრისხეველი ბიჭი მოსკოვს მიემგზავრებოდა! არა... თბილისი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში აყვავდა და საბჭოთა საქართველოს მშენებლის, ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მზრუნველობით იქცა ქალაქ-ბაღად.

და როგორ არ უნდა აღგზნებულიყო ჭაღარა ქართველი მეტალურგი ნიკო ბორისაშვილი, როცა მან ხანგრძლივი განშორების შემდეგ, პირველად დადგა ფეხი თბილისის თბილ მიწაზე! აღტაცების ჟრუანტელით ძგერდა მისი გული. ისევ ინახულა საყვარელი გორი და სამშობლო სოფელი მეჯვრისხევი.

ახლა ნიკო ბორისაშვილი ქუთაისის ავტოქარხანაშია. მან უნდა აღზარდოს ქართველი მეტალურგების მთელი თაობა, ჩაუნერგოს მათ შრომისადმი სიყვარული, შეასწავლოს ფოლადის წრთობა, ლითონების დნობა და ჩამოსხმა. მამობრივ ზრუნვას, გულთბილ მიდგომას, კეთილშობილ დამოკიდებულებას იჩენს ეს ჭაღარა ადამიანი აღსაზრდელი თაობისადმი.

ყველას გულთან მიაქვს მისი სწორი და მართებული შენიშვნები. ახალგაზრდებმა იციან, რომ ძია ნიკოს არ უყვარს ბევრი ლაპარაკი. ამიტომ ყოველთვის მორიდებულნი, თავდაჭერილნი არიან მის წინაშე. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ კეთილსინდისიერად შეასრულონ ყველაფერი, რასაც მათ ასწავლის მელითონეთა ახალი თაობის მეგობარი და მასწავლებელი.

8. ძმები და მეგობრები

დაზგების განუწყვეტელი გუგუნი და ჩხრიალი გაისმის ავტოქარხნის საიარაღო საამქროში. ფეხს შემოდგამთ თუ არა, მაშინვე იგრძნობთ, რომ ახალი თაობის ნამდვილი სამჭედლოში ხართ. აქ უმთავრესად: სახელოსნო სასწავლებლებიდან მოსული ახალგაზრდები არიან. ახლა ისინი დაზგების გრუხუნში ვაჟკაცდებიან წარმოების მოწინავე ოსტატებად. სიცოცხლე, მგზნებარება, მიზნის სიცხადე, ყოველგვარი სიძნელის გადალახვის წყურვილი იკითხება მათ გამჭრიახ ცეცხლისმფრქვევ თვალებში. ამ ახალგაზრდობას უქმად არ ეკარგება არცერთი დღე. მეტი ცოდნა, გამოცდილება, არჩეული პროფესიის უფრო უკეთ დაუფლება მოაქვს მათთვის თითოეულ დღეს ამ დიდ ქარხანაში. ვნახოთ, გავიცნოთ ისინი.

შემოდგომის მიწურული იდგა. ჭირნახული უკვე აღებული ჰქონდა კოლმეურნე ვლადიმერ ბერიას. დარჩენილი იყო მხოლოდ მწვანე ხეებზე მსხმოიარე ოქროს ნაყოფი. უხაროდა გულრიპშის რაიონის სოფელ ვარჩეში მცხოვრებ ჭაღარას, რომ

ღამე ცვარ-ნამს აპკურებდა
ნაზ ლიმონებს მწვანე ხეზე,
დილა ცისკრით დაჰყურებდა,
ასხივებდა ნარინჯს მზეზე.
თურინჯი კი ყველა მხრიდან
ანათებდა, როგორც ალი.
შტოს სიმძიმით დაბლა ხრიდა
შუქციმციმა ფორთოხალი.
ხურმაც ყვითლად ინთებოდა,
ზოგან წითლად ჩაიფერა.
ძანდარინი მწიფდებოდა,
ხეს ხატავდა ქარვისფერად.
წინ ღელავდა ზღვა დიადი,
ხმაურობდა ზვირთი ლაღი.
ჩანდა, როგორც განთიადი
კოლმეურნის ოქროს ბაღი.

და ამ მშვენიერ ბაღში სამშობლოს ვაჟკაცებად გამოზარდა მამამ ორი კარგი ახალგაზრდა. ოქტომბერი იყო, როცა გზას გაუდგნენ ჭაღარა კოლმეურნის ვაჟები.

დილამ რიონის სადგურში მოუსწრო. მალე წყალტუბოს მატარებელიც ჩამოდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ

ისინი მაღლაკში იყვნენ. არაფერს ვიტყვით, თუ რა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე ამ უდიდესმა ქარხანამ.

— ჩვენ კომკავშირელები ვართ, ძმები, გვარად ბერიები. აფხაზეთიდან ჩამოვედით აქ სამუშაოდ. გვინდა ხელობის შესწავლა, მაგრამ გთხოვთ, თუ ეს შესაძლებელია, ერთ საამქროში მოგვაწყოთ ორთავე! — გულახდილად სთქვა შოთამ ავტოქარხნის დირექციაში და დინჯად ამოალაგა ჯიბიდან თავისი პირადი საბუთები.

— მაინც რა გირჩევნიათ, რომელ ხელობას უფრო ამჯობინებთ. ყოჩაღი ბიჭები ხართ და ყველაფერს მალე შეისწავლით! — თავაზიანად მიუგო დირექტორის მოადგილემ კადრების დარგში ინჟინერმა გიორგი კაკაბაძემ. იგი ღიმილით მიაცქერდა ერთად მდგომ ახალგაზრდა ძმებს, რომლებმაც შემოსვლისთანავე იგრძნეს გულთბილობა და ამხანაგური დამოკიდებულება.

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს. მათ სოფლად გაეგონათ, რომ ქარხნებში საერთოდ მუშაობენ ზეინკლები, ხარატები, მაგრამ თუ კიდევ სხვა სახელწოდების ოსტატებიც იყვნენ, ეს კი არ იცოდნენ. ამიტომ ორივემ ერთად, თითქოს შეთანხმებულად წარმოსთქვა: ზეინკლობა ან ხარატობა გვინდა ვისწავლოთ!

საიარაღო საამქროში ჩარიცხეს ძმები — შოთა და ვახტანგ ბერიები.

მიდიან დღეები. წარმოებას ეჩვევიან ძმები. შოთა ზეინკალი ხდება, ვახტანგი კი ხარატი. ერთმა ავტომანქანის სათანადო ნაწილების აწყობა ისწავლა, მეორემ კი მრავალგვარი დეტალის კეთება სახარატო დაზგაზე. სამი თვის მუშაობაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ორივე კარგად დაუფლებოდა არჩეულ პროფესიას. ისინი მუდამ ვადაზე ადრე ასრულებენ თავიანთ გეგმებს.

ახლა უნდა ნახოთ მათ მიერ მოვლილი დაზგები და ხელსაწყო-იარაღები. მტვერს არ აკარებენ, მუშაობის პროცესშივე სწმენდენ მათ, შესანიშნავ დაზგას, ხარატის ნება-სურვილს უმორჩილებენ უმტკიცეს ფოლადს მისი პირნალესი იარაღი.

დაზგის იმ ნაწილიდან, საიდანაც ლითონის ბურბუშელა ცვივა, განუწყვეტლივ მოჟონავს საცხები სითხე. სხვაფრივ არც შეიძლება იყოს. საცხები სითხე მუდმივ მოძრაობაშია, ზევით ადის და ისევ დაბლა ჩამოდის. ერთი წვეთიც არ იკარგება უქმად. ეს წაბლისფერი სითხე ავტომატურად ესხმება იარაღს მისი გახურების თავიდან ასაცილებლად. სწორედ ამ სითხის მეოხებით არის, რომ უფრო მჭრელი და ბასრია ლითონის მრანდავი ან მბურღავი იარაღი.

დამთავრდა სამუშაო საათები, მორიგ ცვლას აბარებენ თავიანთ დაზგებსა და ინსტრუმენტებს ძმები ბერიები. გაფრთხილებაც არ არის საჭირო. ყველამ იცის, თვალისჩინივით მოვლა, გაფრთხილება და პატრონობა უნდა უძვირფასეს დაზგებს, რომლებმაც ჩვენს სამშობლოს უნდა მისცენ ასიათასობით ქუთათური ავტომობილი.

ვრცელია საიარაღო საამქრო. მის განიერ შენობაში განლაგებულან კიდევ თერმიული, შემკეთებელ-მექანიკური და ელექტროშემდუღებელი საამქროები. ყველა მათგანს ჰყავს თავისი მოწინავე ადამიანები. მათი სათითაოდ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. დავკმაყოფილდეთ მხოლოდ უფრო რჩეულთა გვარების დასახელებით.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნდა კომკავშირელი ვლადიმერ თოთაძე.

ავტომატურმა დაზგამ შესცვალა მისი საბრძოლო ავტომატი. თოთაძე მოწინავე მღარავი გახდა. ქარხანაში მოსვლამდე იგი მხოლოდ თავის საბრ-

ძოლო იარაღს ფლობდა, ახლა კი საუკეთესო ხელსაწყო იარაღებს ამზადებს საიარაღო საამქროში.

ქარხანამ მისცა გასაქანი კომკავშირელ ამირან კოხიას მჩქეფარე ენერგიას. ამირანმაც საწარმოო სწავლაში გამოიჩინა თავისი ძალა და უნარი. იგი ასრულებს მხეხავის, ამკრეფისა და ხარატის სამუშაოს საამქროში. შეკითხვაზე, თუ რომელია მისი ძირითადი პროფესია, კოხია წუთით დადუმდება, მაგრამ ოსტატი მიაშველებს სიტყვას და მოსწრებულად გიპასუხებს: უნივერსალი!

ახლოს არიან ერთმანეთთან მაღლაკი და ქვიტირი. მეზობელი პოფლებია. გზადმიმავალი ქვიტირელს რომ შეხვდეთ გეტყვით: აგერ მივდივარ მეზობლისას. ეს მეზობელი კი ორი კილომეტრით მაინც არის დაშორებული. ამ სიშორეს არ გრძნობს ქვიტირელი კოლმეურნის შვილი გივი ჯავახაძე. გათენება იმიტომ უხარია, რომ ადრე დილით მივიდეს მაღლაკში. თითქოს მუხლში ქარი ჩადგომია, ჩქარი ნაბიჯით მიეშურება ქარხნისაკენ. თერმიულ საამქროში მუშაობს. ხუთმეტი წლის იყო, როცა მიიღო პირველი საწარმოო ნათლობა. პატარა გივი თავისი საქმის ოსტატი გახდა. მალე გაიზრდება, გაიწაფება და დაეაკაცდება. ამას ამტკიცებს თუნდაც მისი ხელფასი, რომელიც ბევრჯერ 2.000-მდე მანეთს აღწევს თვეში.

ჩემი ყურადღება მიიქცია კიდევ ერთმა პატარა ბიჭმა. დაზგას ძლივსღა სწვდება. ზოგჯერ ყუთსაც იდებს ფეხქვეშ რომ უფრო მოხერხებულად მიუდგეს მას. იგი სოფელ ფარცხანაყანევიდან არის. ხარატად იზრდება კომკავშირში ახალმიღებული აფრასიონ კისკეიძე.

— სკვინჩას ჰგავს, მაგრამ საქმეში ვეფხვია! — ხუმრობით ამბობს ინჟინერი კაკაბაძე.

— მუშაობით არ ძღება. რა რთული სამუშაოც არ უნდა მისცეთ, ადრე ჩაგაბარებთ, მოვა და ისევ ლითონს გთხოვს ახლის დასაწყებად. ინჟინრის ამ ენამახვილობაში გივი ჯავახაძის საუკეთესო დახასიათება ვიგრძენი. ჯერ კიდევ საამქროდან გამოსული არც კი ვიყავი, როცა საწყობთან შემხვდა პატარა გივი. იგი მართლაც ლითონის ახალ მარაგს თხოულობდა.

შევდივართ შემკეთებელ-მექანიკურ საამქროში. მრავალ მოწინავე ახალგაზრდას დაგისახელებენ ამ საამქროში. აქ არიან საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები, სწავლობენ და წარმოების ოსტატებად იზრდებიან ჩვენი სამშობლოს ღვიძლი შვილები. აქ არიან კომკავშირელები: ზეინკალ-მექანიკოსი — ბეჟან შათირიშვილი, მოწინავე ხარატები: ვიქტორ გვილავა, სერგო ნასარიძე, სტახანოვურად მომუშავე ვახტანგ გელაშვილი, შოთა დარახველიძე, კავკასიის დაცვის მონაწილე ვახტანგ ჟორჟოლიანი, ცნობილი—მჭედლები—ტყუბი ძმები—ბენია და მიხაკო—ჟორჟოლიანები, რომლებიც ერთი ბუდიდან ამოფრენილ შევარდნებს გვანან, და მრავალი სხვა მოწინავე ახალგაზრდა, რომლებიც ამ ქარხანაში აღიზარდნენ, ზოგმა კი რუსეთის სამრეწველო ქალაქებში ისწავლა ლითონის ჭედვა.

1947 წლის იანვარი იდგა. გარეთ თოვდა და ყინავდა, როცა მოსკოვის მატარებელს მიჰყვებოდნენ იაშა ქაჯაია და ოთარ დანგაძე. ორივენი თავიანთი სამშობლო სოფლების კოლმეურნეობებში მუშაობდნენ.

ქ. გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გამოცდილების შესაძენად მიდიოდნენ კიდევ საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული კომკავშირელი კოლმეურნე ახალგაზრდები.

ხუთი დღე დასჭირდათ ავტოების ქალაქში მისვლამდე. ზოგს თბილისიც არ ჰქონდა ნახული და პირდაპირ გორკში ყოფნა მოუხდა პირველად. გულთბილად მიიღეს დიდ ქარხანაში საქართველოდან ჩამოსული სტუმრები. კარგად მოასვენეს, ყველას მიუჩინეს თავთავისი ადგილი.

მეორე დილიდანვე დაიწყო საწარმოო პრაქტიკა. სამჭედლო საამქროში ამოჰყვეს თავი კოლმეურნე ბიჭებმა. გუზგუზებდნენ ვეებერთელა ქურები. ასეთი დიდი და საოცარი რამ მათ არაფერი არ ენახათ, არც ის გაეგონათ, თუ მსგავსი რამ არსებობდა ქვეყნად. ნახული ჰქონდათ მხოლოდ სოფლის პატარა სამჭედლო, სადაც პირავდნენ თოხებს, მამაპაპურად აკეთებდნენ წალდებს, სახნისებსა და ნალებს. ამ გიგანტში კი მჭედლის ნება-სურვილის მიხედვით აბრტყელებდა უზარმაზარ ცეცხლისმფრქვევ ლითონს რვატონიანი ურო.

თვეები დაჰყვეს ქ. გორკში. ისევ დაბრუნდნენ საქართველოში. ამწვანებული დახვდათ მშობლიური მიდამოები. ჰყვაოდა ბუნება. გაზაფხულის მწვანე ხანძარი ენთო მთებსა და მინდვრებზე. მერცხლებიც ჩამოფრენილიყვნენ და სასიამოდ ყღურტულებდნენ ძველ ბუდეებში.

ჩვენი ქვეყნის ლაღ ბუნებასავით ხარობდა უფროსი ოსტატი ვიქტორ ალბულიც, როცა მან სამშობლოში ჩამოიყვანა შრომაში გამოწრთობილი მჭედლები. ახლა იგი გულწრფელი პატივისცემით ახსენებს მის მიერ გამოზრდილ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებმაც გავარვარებულ ქურებთან ისწავლეს მომავალი ქართული ავტომობილის შემადგენელი ნაწილების გამოჭედვა.

აი, ამ ახალგაზრდობის მოწინავეთა პირველ რიგებშია კოლმეურნის შვილის, კომკავშირელ გრიგოლ პერტახიას ბრიგადა. მეთაური 19 წლისაა, მისი ორი თანაშემწე 17-17 წლისანი.

პერტახია ბრიგადირია. მას მხარში უდგანან უკვე მოწაფეები, გიორგი აბულაძე და იმედი ბედია. ორივე კომკავშირელია. გიორგი კასპელია, ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა. იმედი კი მართლა იმედი და ბედია. იგი გეგეჭკორიდან ჩამოვიდა. ცეცხლთან მებრძოლ ამ ცეცხლოვან ახალგაზრდებს მეტ სახელად კაფანდარებს ეძახიან. თავდადებული შრომით დრეკენ, იმორჩილებენ მხურვალე ლითონს, რომ ორმაგად და სამმაგად შეასრულონ გეგმა.

9. სამთა საუბარი

სამუშაო დღე მიიწურა. გაისმა საყვირის ხმა. ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ საამქროებიდან პირველი ცვლის მუშები. სამაგიეროდ, მათ ადგილს იკავებდა მეორე ცვლა. ისევ ხმაურობდნენ დაზგები და ჩარხები, ბოლავდნენ კვამლსადენები, არ ისვენებდნენ შესანიშნავი მანქანები.

— თქვენ აქ ბევრი შენობა ნახეთ, შეიძლება ზოგი მათგანი არც კი მოგეწონათ არქიტექტურული გაფორმებით. განა ასეთნი იქნებიან ისინი ორი წლის შემდეგ? არა. მათ სახეს შეუცვლით, მოვაპირკეთებთ, ლიმონისფრად შევღებავთ. თვალს მოხიბლავს ამწვანებულ ბაღში ჩასმული ავტოქარხნის ცქერა! — საუბარში ჩაერია პარტბიუროს მდივანი.

— ღამეც ლამაზი იქნება მომავალ მაღლაკში. ზაფხულობით, სიცხეების დროს, გრილი ნიავის შემოსაშვებად გახსნიან საამქროთა ასბესტ-ფანერის კედლებს. შორიდანაც კარგად დაინახავთ, თუ როგორ თვალმომჭრელად იელვარებს ღუმელებსა და ქურებში მოგუზგუზე ცეცხლის ალი. შუქზე გამოჩნდებიან იქ მომუშავე ადამიანთა სილუეტებიც, საამქროთა წინ იშრიალებენ კაკლის ხეები, ჩაივლიან ახა-

ლი ავტომანქანები. მართლა წარმტაცი და მიმზიდველი იქნება ეს სანახაობა ზაფხულის ღამით! — მხატვრულად ამიწერს საამქროთა მომავალ ღამის სურათებს ინჟინერი გაგარინი.

— მთელი საბჭოთა კავშირი მონაწილეობს ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობაში, — ამბობს ის, — დავიწყოთ თუნდაც უფრო ახლოდან, დასავლეთ საქართველოდან. წყალტუბო და ქობულეთი სილასა და ხრეშს გვაწვდიან, საჩხერის რაიონი — მიწას გვიგზავნის ლითონის ჩამომსხმელი ყალიბების გასაკეთებლად, ტყიბული გვასაზრდოებს ქვანახშირით, სოფელი ეკლარი კი უზრუნველყოფს თავისი სახელგანთქმული მოსაპირკეთებელი ქვით. მალე ამუშავდება საქართველოს მეტალურგების აკვანი — რუსთავი, საიდანაც მივიღებთ ფოლადს, რკინას, თუჯსა და ნაგლინს. ელექტროენერგიას გვაწვდის და მოგვცემს საქართველოს ენერგეტიკის ქსელი, დამატებით კი ჩვენი საკუთარი „თბოელექტროცენტრალიც“ გვექნება.

განსაკუთრებით დიდია მოსკოვის მონაწილეობა ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობაში. საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან ვიღებთ მანქანებს, დაზგებს, ჩარხებსა და ათასგვარ სათადარიგო ნაწილს. საჭირო მოწყობილობით გვამარაგებენ აგრეთვე ლენინგრადი და დნეპროპეტროვსკი. გვეხმარება ქალაქ გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაც. იქ შესაფერ ცოდნასა და გამოცდილებას იძენენ ჩვენი ქარხნის ახალგაზრდები. საშენი ხე-ტყე მოგვდის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან. სომხეთიდან მოვა ტუფი და სინტეტური კაუჩუკი. ერთი სიტყვით, მთელი საბჭოთა კავშირი იღებს მონაწილეობას მეოთხე სტალინური ხუთწლედის ერთ-ერთი დიდი მშენებლობის, — ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობაში.

— ახლა გავყვეთ მარტივი ათვლის ციფრებს და ისე წარმოვიდგინოთ ქუთაისის ავტოქარხნის მომავალი და მისი სიდიადე,—ამბობს ინჟინერი, — როგორც ვიცით, ქარხანამ ყოველწლიურად უნდა გამოუშვას ათასობით სატვირთო ავტომანქანა. დავუშვათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ერთად ჩავამწკრივეთ ეს ავტომანქანები ქუთაის-თბილისის გზატკეცილზე. თუ მათ ერთმანეთისაგან ხუთ-ხუთი მეტრით დავაშორებთ, მთელი ეს მანძილი მანქანებით დაიფარება. წლის განმავლობაში გამოშვებულ ქუთათურ ავტომანქანებს თავისუფლად შეეძლებათ დღეღამის განმავლობაში ბათუმში ჩაიყვანონ და იქიდან უკანვე დააბრუნონ თბილისის მთელი მოსახლეობა. დიდი იქნება საბჭოთა საქართველოს საავტომობილო მრეწველობის პირმშო — ქუთაისის ავტოგიგანტი, რომლის აგებაში ქართველ ხალხთან ერთად, მხურვალე მონაწილეობას იღებენ მოძმე ხალხის შვილები.

ავტოქარხნის სიდიადის წარმოსადგენად ავიღოთ თუნდაც მექანიკურისაამწყობლო საამქრო. მისი ფართობი 40 ათასი კვადრატული მეტრია, სიმაღლე კი 20 მეტრს აღემატება. თუ ამ საამქროს ოთ-ოთხი მეტრის სიმაღლისა და ოც-ოცი კვადრატული მეტრის მოცულობის ოთახებად დავყოფთ მისგან მივიღებთ ათიათას ოთახს. თუ ადამიანის საცხოვრებელი ფართობის მაქსიმუმად თითოეულ სულზე 10 კვადრატულ მეტრს ვივარაუდებთ, ამ საამქროში მოთავსდება 20 ათასი სული.

დიდძალი საშენი მასალა მიდის მშენებლობაზე. საერთოდ ავტოქარხნის ვეებერთელა საამქროებისა და მრა-

ვალსართულიანი საცხოვრებელი სახლების აგებაზე დაიხარჯება 300 მილიონი ცალი აგური და 400—ათასამდე კუბური მეტრი ხე-ტყე, 12 ათასი ტონა ლითონი! რიცხვები ადვილი სათქმელია, მაგრამ რიცხვებშიც უნდა დავინახოთ ჩვენი სინამდვილის სიდიადე.

10. ᲓᲐᲖᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

აი, დილაც! მზის სხივმა დამასწრო შესვლა ავტოქარხნის მექანიკურ-საამწყობო საამქროში. შუშის გამჭვირვალე სახურავიდან შემოჭრილა და შვიდფერად ციმციმებს შესანიშნავ დაზგებზე.

საყვირის ხმა გაისმა. სამუშაო დღე დაიწყო.

საიდან, რომელი კუთხიდან გავაშუქო ჩემი სამშობლოს მზის სხივებით გაშუქებული უდიდესი საამქრო! აქ არის ათასრვაასი დაზგა და არც ერთი არ გავს ერთმანეთს თავისი კონსტრუქციით და დანიშნულებით.

თვალი ვერ სწვდება ორმოციათასი კვადრატული მეტრის მოცულობის საამქროს. შორიდან შეხედვითაც დიდი მეჩვენებოდა. ახლოს ვნახე და თავისთავათ დაიბადა აღტაცების ჟრუანტელი. იგი მართლა უზარმაზარია. სიგრძით — 300 მეტრი, ხოლო სიგანით — 133.

ქუთაისის ავტო გიგანტში თვითონ გიგანტია მექანიკური საამწყობლო საამქრო. აქ აიწყობა, კონვეიერიდან ჩამოვა და სამშობლოს გზებისკენ გაეშურება

მაღლაკის ველზე შობილი
ქართული ავტომობილი.

ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანის ფიქრისა და შრომის შედეგად წარმოიშვება იგი! მის სხეულს შეედუღება რუსთავის ნაწრთობი ფოლადი და ზესტაფონის ფეროშენადნობი, მხარბეჭებს დაუმშვენებს რაჭა-ლეჩხუმის ფიჭვის ფიცრებისაგან შეკრული ძარა, თვლებს შემოეკვრება ჩვენივე რეზინის საფარი, მოტორს აუგუგუნებს ბაქოს ბენზინი.

ქართული ავტომობილის გაკვთებაში მონაწილეობას მიიღებენ ტყიბულის ქვანახშირი, საქართველოს მჩქეფარე მდინარეების თეთრი ნახშირი— ელექტრონი, რუსთავისა და ზაპაროჟიეს ლითონები. დაშქესანის მადნეული, ფეროშენადნობად მოტანილი ჭიათურის მარგანეცი, რაჭა-ლეჩხუმიდან და ბორჯომის ტყეებიდან მოზიდული ფიჭვები, გურია-სამეგრელოსა და აჭარა-აფხაზეთის ტუნგოს საღებავი ზეთი, და ფარცხანაყანევის წყალსადენიდან მიღებული ანკარა წყალი.

ყოველივე ამას. მხოლოდ ერთი მიზნის მისაღწევად, სამშობლოსათვის საჭირო ნივთის — ჩვენი ავტომობილის შესაქმნელად ეწაფება ქუთაისის ავტოგიგანტის სულისჩამდგმელი ადამიანი. იგი არ ზოგავს ძალ-ღონეს, რომ ოთხ წელიწადში შეასრულოს ხუთწლიანი გეგმა, ჩქარა მოუშოშოს ქვეყანას დიდი ომით მიყენებული იარები, კიდევ უფრო გააძლიეროს მშვიდობისმოყვარე ჩვენი სამშობლო, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიუძღვის ხალხთა მამა და მასწავლებელი — დიდი სტალინი.

ორ კილომეტრზე გაუშლია მკლავები მაღლაკის ველზე გაზრდილ გოლიათს. მაღლით გადაუფრენენ სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი სამოქალაქო თვითმფრინავები. თავს დაჰყურებს ბაგრატის ტაძრის მრავალსაუკუნოვანი ნანგრევი და იმერეთის ფირუზოვანი ცა. შორიდან უმზერენ მარადი თოვლით შეეერცხლილი კავკასიონის მწვერვალები. იქვეა სახელგანთქმული წყალტუბო, სამხრე-

თიდან დაჰყურებენ მესხეთის მთები
და საირმის მარადმწვანე ტყეები...
იზრდება ავტოქარხანა და ამ ზრდაში იბადება მისი დიადი მომავალი.
გიგანტის მშენებლად მოვიდა სამშობლოს სიყვარულით გულგამთბარი ახალგაზრდობა. იგი თავდადებული შრომით ამშვენიერებს იმერეთის ტურფა ქალაქს, სადაც

აციმციმებს შუქს აისი
ცის სარკმელის გაღებით,
შუქსაც უყვარს ქუთაისი
მისი ვარდის ბაღებით,
სად რიონის ფიცხი ჩქერი,
ნაპირს ედუდუნება,
თვალს კი არა, კენჭსაც ცქერით
ხიბლავს ტურფა ბუნება,
ბაგრატის მთას უმზერს დილა,
სხივმა შეაფერადა,
წინ მაღლაკი გადაშლილა
ავტოების კერადა.
აქ იმერელს უდგას გვერდით
ლეჩხუმელი, გურული.
გადათხარეს მიწის მკერდი,
შამბით გადაბურული.
აქ იბრძვიან რაჭველები,
ქართლელნი და კახელნი,
მიხდვრად არხის გამჭრელები,
კლდეში — მადნისმნახველნი.
აქ მოსულა საქართველოს
ყველა კუთხის მშრომელი.
ალამაზებს მთაბარ-მდელოს
გმირი დაუცხრომელი,
აქ გამოჩნდა კოლხის ნიჭი,
შიზანს აღარ ასცდება.
დგას ინჟინრად გლეხის ბიჭი,
მაძულს უვაქაცდება.
ქალაქს აგებს, ბაღს აშენებს
ქოხის ჭერქვეშ შობილი.
მალე ქუჩებს დაამშვენებს
ჩვენი ავტომობილი.
რკინას ასხამს ქვიტირელი,
ფოლადს — წყალტუბოელი,
მუდამ იყავ აქ პირველი,
ვინც დიდებას მოელი!
გამარჯვება გზაა ერის,
ხალხს სულ უნდა მაისი,
რიონის ხმით ქებას მღერის
ახლა თვით ქუთაისი.

აი, ავტომატური დაზგა აუშვა კომკავშირელმა შოთა ჯანელიძემ. სწრაფად აჩახჩახდა უახლესი — კონსტრუქციის ქმნილება. მან ერთ წამში გააკეთა თორმეტი სხვადასხვა ოპერაცია. ჩარხში იბრუნა პაწაწინა ლითონმა, მრავალი მოძრაობა გადაიტანა, და ბოლოს ავტომობილისათვის საჭირო ნაწილად იქცა.

პატარა დეტალია, ცეროდენა და ამდენი დამუშავება მოითხოვა! ასე იმოქმედებს ავტომატი მისი არსებობის მანძილზე. იგი ერთხელაც არ შეცდება თავისი მარადუცვლელი ამოცანის შესრულებაში.

მაგრამ ყველა ასეთი დაზგა როდია ამ საამქროში! აქ მრავალგვარი ავტომატური ჩარხია. მხოლოდ ზედმიბმული იარაღის ზომით თუ განასხვავებ მათ ერთმანეთისაგან.

გარინდებულან, დადუმებულან უზარმაზარ საამქროში ჩამწკრივებული დაზგები და ჩარხები.

დაზგების ლეგიონი ამოქმედების მოლოდინშია. ცემენტით დადუღებულან მაღლაკის მიწაზე, რომ სამუდამოდ აქ იდგნენ და იმუშაონ. ისინი უცდიან მთავარი კონვეიერის აწყობას. კონვეიერი ხომ მათი სარდალია, და როცა ამოქმედდება, დაზგებიც შეასრულებენ დაკისრებულ ამოცანას. მოძრაობაში იპოვის სიცოცხლეს უსულო საგანიც.

რა მომხიბლავი, რა გრანდიოზული იქნება, როცა ერთად დაიწყებს ჩხრიალს, ჩახჩახსა და გუგუნს ათასრვაასი დაზგა მექანიკურ-საამწყობლო საამქროში! იმოძრავებს კონვეიერი. ქარხნიდან გამოვა ახალახალი ავტომანქანების ლამაზი კოლონა. შენ გელოდება ჩვენი სამშობლო, პირველო ქართულო ავტომობილო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო აბაშიძე

დედა

★

მზე ჯერ კიდევ არ ასცილებოდა საკახეთო მთებს, რომ სოფლის თავდაღმართზე ცხენით გამოჩნდა მარიამ ქიტიაური. წაბლისფერი თავი ურჩად ეჭირა ცხენს, მაგრამ მარიამი ღონივრადა სწევდა სადავეს, თავს უმაგრებდა. ჩაიარა გრძელი ორღობე, კარმიდამოში მოფუსფუსე მეზობლებს მხიარულად მიესალმა.

— დილა მშვიდობისა, მზეს აუსწარით?

მშვიდობის დილა ნუ მოგიშალოს!— უპასუხეს, თან მიმავალს თვალი გააყოლეს. არ უკითხავთ, სად მიდიოდა, მიხვდნენ: კვირა დღეს, ჭრელი ხურჯინით და სადღესასწაულო ტანსაცმელით შვილის სანახავად მიიჩქაროდა.

ქიტიაური გასცდა სოფელს. სერებზე გადადიოდა და შემოსულ თავთავს გამოცდილი თვალით სიმძიმეს უსინჯავდა.

— კარგი პირი უჩანს მოსავალს,— ჩაილაპარაკა კმაყოფილმა და თავი მაღლა ასწია. მთის ჰაერისაგან შევარდისფერებული სახე ჭკვიანი, თაფლისფერი თვალები ახალგაზრდულ იერს აძლევდა. არ ეტყობოდა, რომ შუა ხანს გადაცილებული იყო. მხრებში ოდნავ მოხრილიყო. მნახველი მაშინვე იტყოდა; ან დიდ ჯაფას მოუხრია ან და ბევრ ფიქრსაო. მიმავალმა თიანეთის გზას მხარი აუქცია, იორის სანაპიროზე გავიდა თუ არა, ცხენი ოდნავ შეაყენა. ორივე ნაპირს გახედა. ფიქრიანი თვალები სამუშაოდ წამოსულ შვილს დაეძებდნენ. კარგა ხნის შემდეგ მოზრდილ ჯგუფს თვალი შეასწრო. ცხენის კისერთან გადაიხარა:

— აქ არიან, წაბლისთვალავ, აბა, კიდევ ვისწრაფოთ ცოტა! ცხენმაც თითქოს გაიგო, მარდი ფეხებით მდინარე გადასჭრა. მიმავალი მარიამი თანდათან არჩევდა იმ ჯგუფში არჩილს. შუაში იდგა, გაშლილ ქაღალდზე რაღაცას აჩვენებდა, ეტყობოდა დანარჩენნი ყურს უგდებდნენ. მარიამის დახახვაზე არჩილი ხალხს გაეცალა, აუჩქარებელი, თანაბარი ნაბიჯით დედას მიუახლოვდა და აკეცილ სახელოიანი მკლავი ჩამოსასვლელად მიაშველა. მარიამმა არ იუარა, შვილს მკვრივად ჩასხმულ მხარზე ხელი დააბჯინა და ცხენიდან გადმოვიდა და ჩაილაპარაკა.

— ვაი ბეჩავი, სიბერემ მძლია!

არჩილმა დედას შეხედა. შუბლთან თავშალი გადასწეოდა, თეთრი თმა დახვეული რგოლებივით ეწყო, შავ კაბაზე ჩამოშვებულ ნაწნავებშიც თეთრი თმები ეჭარბებოდა, მაგრამ მგზავრობისაგან გაწითლებული და შვილთან

შეხვედრისაგან გახარებულ სახეს სიბერე არ ეტყობოდა.

— ნუ წუწუნებ, დედი რა უნდა შენთან სიბერეს? — გაიცინა არჩილმა, თან საათს დახედა, რვა სრულდებოდა.

— ესე ადრიანად რად წამოხვედი.

— მე ამ დროს ყოველთვის შუა დღეს ვეძახი შვილო, — უთხრა მარიამმა ისეთი გამომეტყველებით, რომ კიდევ უნდოდა ეთქვა, შენთან წამოვედი, შენზე ფიქრმა და ჯავრმა არ მოძასვენა, რომ კვირაობითაც არ მოდიხარო. მაგრამ მარიამს თავისი გრძნობების გამომჟღავნება არ უყვარდა.

— ცოტა რამ ამოგიტანეთ დამზადებული და გაკეთებული, — და სახე ძზრუნველი იერით დაეფარა, იქვე ჭრელ ხურჯინს მიუბრუნდა, არჩილს იმისი მოხრილი მხრები მოხვდა თვალში, შორიდან წამოსული დედა შეებრალა, მაგრამ სწორედ იმ დროს ხელში შერჩენილი ნახაზის გასწორება მოაგონდა. როცა მარიამი შემობრუნდა, შეატყო, რომ არჩილი იმ ნახაზის გარდა აღარაფერზე ფიქრობდა. შუბლი შეეკრა, ლურჯი თვალებით პირდაპირ და ცივად იცქირებოდა; ამიტომ სწორად მოყვანილ სახის ნაკვთებს სიმკაცრის იერი მიჰყვებოდა, ლოყაზე ჭრილობის ნაწიბური მოუჩანდა.

ჩემი შვილი ამ დიდ სამუშაოს გადაუყლაპავსო, გაიფიქრა მარიამმა, ჩამოვედი, არ უკითხავს — რა მოსავალს მოველი, ან როდის უნდა მოიმკას და გაილეწოს. ქიტიაურმა მწყრალად შეხედა არჩილის ნახაზს, — რომ არ მესწავლებინა, ჩემი სახლკარის კარები გამოკეტილი არ იქნებოდა, აქამდე უცოლშვილოდაც არ დარჩებოდა, კოლექტივში მუშაობის შემდეგ მამასავით მაშვრალი მკერდით დაბრუნდებოდა, და ვახშმობისას პირსავსე ჯამთან, გვიამბობდა, თავის ტოლებში რომელმა მეტი იმუშავა, — რას ამბობ ბეჩავო თავო, — ფიქრისათვის თავს დაემდურა მარიამი, — ბავშვს გაუშაგრებელ თითებში მე თვითონ ქალამს ვაჭერინებდი, უცოდინარი ასოებს ჩავჩიჩინებდი. გული მიგრძნობდა, დიდ საქმეს ჩააბარებდნენ... მართლაც და დიდია ეს საქმე, გადამხმარ, გაყამირებულ მიწას, რომელსაც ცის ნამის მეტი არაფერი ღირსებია, ადამიანის ხელმა გული უნდა დაულბოს და წყალი საიდან სად უნდა მიაწვდინოს. იმათში ჩემი არჩილიც გაერევა, კარგად იმუშავებს, დაიბარებენ და ფშავში გაზრდილ ჩემს ბიჭს მადლობისათვის ხელს გაუწვდიან.

მარიამი ფშაველ დათიასთან მივიდა რომელიც არჩილს სამუშაოდ ჰყავდა წამოყვანილი, სთხოვა როგორმე საუზმისათვის დაეყოლიებინა, თვითონ კი მწვანეზე გაშალა ყველაფერი არჩილისათვის საგანგებოდ გაკეთებული და გამოქცხვარი, მაგრამ რაკი შეამჩნია, რომ შვილს იმისაკენ არც გაუხედავს, ხმამაღლა ისე წაიბუტბუტა, რომ არჩილს გაეგონა: — საქმის დღე როდია დღეს, თორემ მე საქმეს ვინ დაშასწრებდა!

არჩილმა დედას გაუღიმა, როგორც ულიმიან ხოლმე ბავშვს, როცა უნდათ რამე დაუთმონ, ან და როგორმე დააჯერონ:

— ჩვენ საქმეს, დედაჩემო, კვირა და უქმე არ ეკითხება. ხშირად ისიც კი გვაწუხებს, რომ შეღამება ხელს გვიშლის მუშაობაში.

ახლოს მივიდა და უყურადღებოდ მიხედ-მოხედა ყველაფერს იმას, რისთვისაც მარიამმა ღამე თეთრად გაათენა და უთენებლივ წამოიღო. მაგრამ ამან ქიტიაური მაინც არ დააცხრო. სწრაფად მიტრიალდა დანარჩენებისაკენ.

— მიირთვით, მიირთვით იორის კალმახი და ჩემი გამოხდილი არაყი, უფრო მეტ საქმეს შეგაძლებინებთ!

მაგრამ მარიამის მიპატიჟება აღარ უნდოდათ. იმათ გარშემო მაღალ ბალახს მთის მზე აშრობდა და ჰაერს ისე ამსუბუქებდა, ვერავის გაეგო, რა იყო მიზეზი, რომ ისე მსუბუქად სუნთქავდნენ და მადიანად შეექცეოდნენ. არჩილს კი ისევ ის ქაღალდი ეჭირა ხელში, გვერდით ინჟინერს რაღაცაზე ცხარედ ეკამათებოდა. უკვირდა მარიამს, ძალიან უკვირდა, მაგრამ თავს მაინც ინუგეშებდა:

— დიდი აქვს სამუშაო, დიდი. ხუმრობა ხომ არ არის, გაგიჟებული იორი დაიმორჩილო!

და ადამიანების გაგებაში გამოცდილი თვალები აქეთ-იქით მიატარ-მოატარა, უნდოდა გაეგო, არჩილს მუშაობაში ყველა თუ ისე თანაუგრძნობდა. მოშორებით ახალგაზრდა მუშასაც კი მოხვდა მარიამის თვალები, ეტყობოდა უხერხულობა იგრძნო, თავი დაღუნა და მარიამის მზერა აიცდინა. არც ეს მოეწონა ქიტიაურს. შუბლი შეიკრა. რას ძარიდებს ნეტავ თვალს, რატომ პირდაპირ არ იცქირება, გულში აუგი ხომ არაფერი აქვსო, მაგრამ მალე ისევ თავი დაარწმუნა: ადამიანს გულის ფიქრს როგორ გაუგებ, მკერდ ქვეშ იმიტომ ძევს, რომ თავის წადილი არ შეატყობინოსო. ფეხზე წამოდგა, რადგან არჩილი ფეხზე იდგა და სათადარიგო განკარგულებას იძლეოდა.

მერე დედას მიუახლოვდა, ორივემ ერთად ჩაიარეს იორის პირას. მაღალი იყო მარიამი მაგრამ შვილი მთელი თავით ჭარბობდა, ოცდათორმეტი წლისა იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ ცხოვრებას უკვე მოესწრო, სახე სიმკაცრით დაეხაზა, მკერდზე სხვა ორდენებთან ერთად წითელი ვარსკვლავი უბრწყინავდა, ლოყაზე კი ნაჭრილობები მიჰყვებოდა და იმის მარილიან სახეს უფრო ამშვენებდა.

— დიდი სამუშაო გაქვთ დაწყებული, შვილო, — გამოელაპარაკა მარიამი და მოშორებით გაშლილ საგამოკვლევო ჯგუფის იარაღებს დაეცქერა. — ამით უპირებთ ჩვენს იორს დამორჩილებას? — მარიამმა უნდობლად გაიღიმა.

— დედაჩემო, — თავი ასწია არჩილმა, — სადაც ახლა შენ დგეხარ, ავაშენებთ ნახევარი კილომეტრის სიგრძის ჯებირს. ეს უზარმაზარი კედელი დაგროვებს წყალს და დაერქმევა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი წყალსაცავი.

მარიამმა ჭკვიანი თვალები ოდნავ ძოხუჭა, ჯებირის სიგანე და სიმაღლე წარმოიდგინა. არჩილმა კი ისევ განაგრძო:

— პალდოში ავაშენებთ მეორე წყალსაცავს, მხოლოდ უფრო პატარას, ძოვაწყობთ ისე, რომ აქედან პალდომდე მხოლოდ საჭირო რაოდენობის წყალი წავიდეს. იქიდან ის წყალი გაივლის კლდეში უჯარმის ფერდობებზე გადაირბენს და გაჰყვება, უწყლო ველებზე გაივლის და უსარგებლო გადამხმარ მიწას ვაზიან და ხეხილის ბაღებად გადააქცევს.

— დაილოცოს იმისი ფიქრი, შვილო, ვინაც ეგ პირველად გაივლო გულში. მე კი ველარ მოვესწრები...

— მოესწრები, დედაჩემო, მოესწრები! არჩილმა მხარზე ხელი დაადო, — შენი წაბლისთვალათიც ბევრჯერ ჩაივლი. ეს დამთავრდება 1950 წელს.

— 1950 წელს? — გაიმეორა მარიამმა და ხელზე დაითვალა, — სამ წელიწადში?

— ჰო, დედაჩემო, არჩილმა გულიანად გაიცინა, — იმიტომ აღარ უნდა დამემდურო, კვირაობით სანახავად რომ აღარ მოვდივარ.

შემდეგ მარიამს დიდხანს აღარ დაუცდია, შვილმა წასვლისას მანქანა ძესთავაზა, მაგრამ დედამ უარის ნიშნად თავი გადააქნია, სიცილით უთხრა:

— ჩემს წაბლისთვალას ნალებზე ქანგი მოედებაო.

ფიქრისაგან დამძიმებული გულით წამოვიდა, მაგრამ თანდათან გზამ ყველაფერი გადააავიწყა. „ან რა გეწუხების, ჩემო თავო, — დაარწმუნა თავი მარიამმა. შვილს ელოდი. ომიდან უვნებლად ჩამოგვიდა, იმიტომ არის, გული ახალგაზრდასავით რომ გერჩის“. და დიდწიფლის ხესთან ცხენი შეაჩერა. ახედ-დახედა ხეს „აი ამასაც მთელი ტანი დაშაშრული აქვს ხნოვანებისაგან. მაგრამ, ეტყობა, სიბერეს გულთან არ იკარებს, მწვანე ხასხასა ტოტები ამოუყრია.“

მოსახვევის ყურები გადაიკეცა და ბუნების სილამაზეს თვალში შეხედა.

*
* *

მზე თითქმის გადახრაზე იყო მისული, როცა მარიამმა თავისი ალაყაფის კარი შეაღო. გაოფლიანებული ცხენის ავშარა ხელში ეჭირა. წინ მიუძღოდა, კარებთან შედგა, თვალი გადაავლო ჯერ მოხარატულ აივნიან ქვიტკირის სახლს, მერე ფართოდგაშლილ კარმიდამოს. ხმაურობაზე ჩეროდან ძაღლი გამოძვრა, შეიყეფა, ეზო-ყურეს პატრონის ჩამოსვლა გააგებინა, მარიამს ტანით კაბის კალთაზე გაეგლისა: მწვანე ბალახიანი ეზო ფრთაგაშლილ ქათმებით და იხვებით დაიფარა. მარიამმა შეატყო, რომ ყველაფერი რიგზე დახვდა. ნაოჭიან ქვედა კაბის კალთაზე ხელი შეივლო და ცალ ხელში ხურჯინით ქვის კიბეს აჰყვა, კარებთან კიდევ ერთხელ გადაიხედა. სიამაყით უყურებდა დოვლათით სავსე ოჯახს.

ხუთმეტი წელი იყო, რაც მარიამს ქმარი მოუკვდა, მარტო დარჩა და, როგორც თვითონ ამბობდა: იმის შემდეგ კაციც და ქალიც ორივე მე ვარო. მაგრამ სახლკარს არც ერთის ხელი არ შოჰკლებია. იმიტომ იყო, რომ მარიამი კიბიდან ასეთი სიამაყით იყურებოდა. ახალგაზრდა იყო, როცა ამ სახლში შემოიყვანეს. ეს გრძელი-ფილაქნიანი აივანი პირველად ქმართან ერთად გაიარა. ვაჟკაცის სუნთქვა ეყურებოდა, გრძნობდა: ქმარს კედელივით მაგარი მკერდი იმიტომ ჰქონდა, რომ მარიამს ბავშვური მხრები უნდა მიეყრდნო გასამაგრებლად.

— ეს სახლი მოძველებულია, უნდა შევაკეთოთ, — უთხრა ალერსიანი დაბალი ხმით თედო ქიტიაურმა. მარიამმა ქმარს მაშინ პირველად შეხედა თვალებში და თავისი სხივიანი თაფლისფერი თვალებით უხმოდ გააგებინა, რომ მხარში ამოუდგებოდა. იმის შემდეგ მზეს ცოლ-ქმარისათვის არასოდეს არ აუსწრია. მარიამიც ყოველთვის ქმრის გვერდით იყო. იქვე ფუსფუსებდა, ან ყანას მარგლიდა, ან კიდევ ბოსტანსა სთოხნიდა. ზამთრის ღამეებში კი ბუხართან თითისტარის ბზრიალი და საჩეჩელის ხმა მოისმოდა, ფარდაგებს ქსოვდა და განახლებული სახლის კედლებს თავისი ნახელსაქმარით ამშვენებდა.

მარიამს შვილები არ შერჩა. მწუხარების დროს ხშირად ბაღში გავიდოდა, ხეს ამოეფარებოდა და ორივე ხელს წაიშენდა:

„რა ვარ, რა, გეთაყვათ, ისე მიშობია, არ დამიკვნესია, ისე ვმარხავ ცრემლი არ წამომსვლია, იქნებ — ცრემლს ეს სატიალო გული გაელბო და მოშშვებოდა“.

მაგრამ გულის ხერხიც იცოდა მარიამმა, შრომითა და გარჯით ერეოდა.

„გული პატარაა, ძალღონე უნდა მოერიოს, დარჩენილებისათვის უნდა ვიცოცხლო, რომ ჩემი ვაებით და მწუხარებით არ შევაწუხო“.

იმიტომ იყო, თავს ძალას რომ ატანდა, რათა მწუხარებას გამრჯელი ხელი არ მოედუნებინა.

ერთხელ სამკალიდან ქმარი დაბრუნდა, ნამგალი კარებთან მიაყუდა და

სიცხიანი სხეული არეული ნაბიჯით ტახტთან ძლივს მიიტანა. ოფლიანს მინდორში ჩასძინებოდა. ლომივით კაცი ნიავს დაემტვრივნა, გვიან მოვიდა ექიმი. თედო განიერ ტახტზე სასიკვდილოდ იყო მიკრული, მაგრამ სიკვდილს არ ნებდებოდა, მთელი ღამე ქშიხავდა, ბორგავდა იმისი კვნესისაგან მთელი ღამე, ეზოში ძაღლი ალმასა თათებით მიწასა სთხრიდა. გათენების ხანს მარიამის კალთას შეახო ხელი და გალურჯებული ბაგეებიდან უფრო ამოიკითხა, ვიდრე გაიგო: არჩილს და ნაამაგარ ოჯახს აბარებდა.

ჩაიბარა ოჯახი მარიამმა, იგრძნო: ზურგის მისაყრდნობი გადაეგრა. ახლა საჭირო იყო, მარტოდდარჩენილი ქალი ცხოვრებას არ გადაეღუნა. ეს იცოდა მარიამმა, ამიტომ ამბობდა: — გული საგულიდან ამოვიგდეო. მიწას მუხლები ღონივრად დააბჯინა, ცხოვრებას პირდაპირ თვალში ჩახედა.

ღამე კი, როცა მწუხარება შეაწუხებდა, წამოდგებოდა ალმასასთან ერთად ვრცელ კარმიდამოს შემოივლიდა, ბაკში საქონელს დახედავდა, თუ კი სადმე სიბნელეში ხმაურობა მოესმებოდა, ძაღლს გაუსევდა, ყველა ხედავდა, შავებში ჩაცმული მაღალი ქალი კაცის ლანდივით დადიოდა. როცა მწუხარებამ გაუარა, წესრიგს დაჩვეულ მარიამს ცხოვრება არც ერთი წუთით, არ შეუცვლია; სწორედ იმავე დროს, როცა ქმარი გადიოდა საძუშაოდ, თვითონ გააღო ჭიშკარი, თოხით ხელში კოლექტივში გაემართა.

თუ კი ვინმე სიბრალულით რამეს ეტყოდა, მარიამი წელში გასწორდებოდა. თაფლისფერ ფართო თვალებში სიამაყე ჩაუდგებოდა და ეტყოდა: — რადა ვარ მარტო, მეზობლები გაუყრელ ძმებივით გარს მახვევიანო.

მუშაობის შემდეგ სახლში მოუთმენლად მიიჩქაროდა. არჩილი ქალაქში სწავლობდა, ხშირად სწერდა დედას წერილებს. განიერ ტახტზე ჩამოჯდებოდა მარიამი და ძილის პირას, არჩილის მოწერილ ასოებს — ხმამაღლა სთვლიდა.

ერთხელ ქალაქიდან ამბავი ჩამოუტანეს: შენმა შვილმა ყველაზე უკეთ დაიცვა დიპლომი ინჟინერი გახდაო. ველარ დამალა მარიამმა სიხარული, გარეთ გავიდა და ბაღში იმ ხეებს, რომელთა ძირში სულ მუდამ მწუხარებაზე მოსთქვამდა, ახლა სიხარული გაუნაწილა, კარ-მიდამოს შეატყობინა.

როცა უთენებლივ კოლექტივში მივიდა, ყველამ შეატყო, რომ სიხარული სანთელივით ენთო მის თაფლისფერ თვალებში.

*
* *

ამის შემდეგ მარიამმა ერთიორად უმატა შრომას, მაგრამ ერთ დღეს ზარივით გაისმა სოფელში ხმა: გერმანია წაძოსულა საომრად, მოდის, თან სიკვდილი მოაქვს, სწვავს და ანგრევს, რაც კი რამ ხვდებაო. ხალხმა საბჭოსთან მოიყარა თავი, დედაშვილიც იქ მივიდნენ.

„ამ ომმა დედისერთა არ იცის, ყველა წავა ვისაც კი მკლავი უჭრისო“, მარიამის ყურამდისაც მისწვდა ეს ხმა. შვილს გადახედა, არასოდეს ენახა ასეთი. სიფიცხისაგან სახე ალეწოდა, ლურჯი თვალებით კი დაფიქრებული იყურებოდა. მარიამი მიხვდა, შვილი შორს წასასვლელ გზაზე რომ ფიქრობდა, არჩილიც მიხვდა, რისთვისაც უცქეროდა დედა ასე. იმედიანად გაიცინა, ანუგეშა, მაგრამ მარიამმა მოსახვევის ბოლოები პირთან აიკეცა, თითქოს გულიდან დაძრული მწუხარება, რისხვა და დარდი ერთადარეული გარეთ არ უნდა გამოუშვასო.

საღამო ხანს კი არჩილი ტოლებთან ერთად გააცილა, მაგრამ მარტოდდარჩენილმა მარიამმა მწუხარების ხერხი

იცოდა, იცოდა, რომ უნდა ეშრომნა და ახლა მარტო არჩილისათვის კი არა, ყველა იმათთვისაც, ვინც ბრძოლაში მხარში უდგნენ მის შვილს. ისიც იცოდა, რომ იმისთანები ბევრნი იყვნენ, ამიტომ მარიამის ძარღვიანი ხელი კალოზე ფიწალს უფრო ღონივრად ეჭიდებოდა, მაგრამ როცა კოლექტივი პურით სავსე ტომრებს გადაუწყვდა, მარიამი თავს გააქნევდა: რად მინდა მარტოს ამდენი პური, იქ გაუგზავნეთ, ბებრძოლი ვაჟკაცები არიან, ბევრი უნდათო.

საღამოს ხანს კი მარიამის თითებში ისევ მარდად ტრიალებდნენ წინდის ჩხირები, ფრონტზე გადასაგზავნად ამზადებდა მატყლის წინდებს, ყელსახვევებს.

ერთხელ შვილისაგან წერილი მოუვიდა — ჰოსპიტალში ვწევარ, დაჭრილიო. მარიამი სიშორის გამო იქ ვერ წავიდა, მაგრამ თბილისის ჰოსპიტალში დაჭრილების ნახვა მოუნდა; ჭრელ ხურჯინში ჩააწყო ყველაფერი, რაც კი არჩილისათვის ემეტებოდა და შავებში ჩაცმულმა მაღალმა ქალმა ჰოსპიტლის გრძელი პალატა ჩაიარა. პირველად ხედავდა ტაჯიკის სახეს, ყირგიზის თვალებს, მაგრამ ყველასთან საჩუქრებით იხრებოდა, თავზე ხელს უსვამდა. იცოდა: ესენიც შორიდან იყვნენ წამოსულები და ამათი დედებიც, როგორც თვითონ, სიშორის გამო აქეთ ვერ ჩოდიოდნენ.

*
* *

ომის დამთავრება სოფელს ისევ რადიომ გააგებინა. მარიამი სიხარულისაგან ჯერ გაშეშდა, მერე კი ცრემლი ნიაღვარივით წასქდა. პირველად ტიროდა მარიამი არასოდეს უტირნია. უკვირდა, ამდენი ცრემლი სად ჰქონდა დაგროვილი.

სოფელმა ისევ იმ რადიოსთან მოიყარა თავი. მარიამმა შეხედა ყვავილებზე დაყრდნობილი მოხუცები სახეებ-რულს ფეხზე დაეყენებინა. აჟრიალებულ ბავშვებს და მზისაგან დამწვარი ცოლების გახარებულ სახეებს თვალი შეავლო, თავისთვის ჩუმად წაიბუტბუტა

— საქვეყნო სიხარულს გაულბია ეს საქვე გული, ამდენი ხნის დაგროვილი ვარამი წყლად უქცევია, ეს არის გულს ცრემლად რომ სწურავსო.

მალე არჩილის ჩამოსვლის დრომ მოაღწია. გადმოსასვლელზე მთელი სოფელი შეეგება. არჩილი დედის წინ იდგა მომღიმარი და გამარჯვებული. გულზე წითელი ვარსკვლავის ორდენი უკრიალებდა. ლოყაზე კი პატარა ნაჭრილობები მოუჩანდა. დედას მოეჩვენა, თითქოს ეს ნაწიბური უფრო მეტ ვაჟკაცურ ფერს აძლევდა. როცა მარტო დარჩნენ, ახლოს მივიდა:

— რა ორდენია, შვილო, ეს? — და თაფლისფერი თვალები დააშტერა.

— წითელი ვარსკვლავი, დედაჩემო, — უპასუხა შვილმა და გაჩერდა და შემდეგ მოკლედ უამბო: — სწორედ იმ დროს, როცა მტერმა ხიდზე ფეხი შემოდგა, გადმოსასვლელი ავაფეთქე. გაჩუმდა.

მარიამს კიდევ უნდოდა გაეგო, რა უთხრეს მაშინ, როგორ შეაქებ, მაგრამ ლაპარაკში მეტად ძუნწობდა არჩილი. დანარჩენს თვითონ მიხვდა დედა: „ვიცი, ალბათ ყველაზე დაფიქრებული იდგომებოდა, — ალეწილ სახეზე გულის პასუხს შეატყობდნენ, ამოწეული მკერდით კი გაიგებდნენ, როგორი უშიშარიც არის ჩემი შვილი, ამიტომ დაავალებდნენ დიდ საქმეს, რა საჭიროა თავის ქება. ამის მამამაც ასე იცოდა, ქვეყნის საქმე რომ გაეკეთებინა, მაინც იტყოდა:—მე რა გავაკეთე, იმდენი არაფერიო“.

ხაჭრილობებზე კი აღარაფერი არ უკითხავს შვილისთვის.

*
* *

არჩილი კარავიდან გამოვიდა, ჩამოშვებულ ხის ტოტებიდან გახედა ცას, რიჟრაჟის ღრუბლები სჩანდნენ, მაგრამ ალაგ-ალაგ მოწმენდილი და მზიან ამინდსა ჰპირდებოდა ქვეყანას. კმაყოფილებით გაშალა ხელები, გაივარჯიშა, ტკბილი ძილის შემდეგ ხალისი იგრძნო, და სახეზე მკაცრი ნაკვთები გაეშალა. დილა ყოველთვის ასეთ ხასიათზე აყენებდა. ეს იყო მიზეზი, რომ გრძელ სამუშაო დღეს ყოველთვის ხალისით ეგებებოდა.

გზა გრძელი ჰქონდა გასავლელი. საგაძოკვლევო ჯგუფის მუშაობა უნდა დაეთვალიერებინა. გვერდით მთისა და ბარის კარგი მცოდნე ფშაველი დათია მიჰყვებოდა. არჩილი მაღლობზე შედგა, ღრმად შეისუნთქა დილის ჰაერი და გვირილით მოფენილ მწვანეზე ფეხის გადადგმა დაეანა, გაიცინა:

— დათი, ხედავ, სიკვდილისათვის ომში კაციც არ მენანებოდა, აქ კი ყვავილებსაც ვუფრთხილდები, — თან დათიას გადახედა, მაგრამ ჭაღარა თავი ძირს ჩაეკიდნა ფშაველს, რაღაცას ფიქრობდა.

— დათი, თავი რას ჩაგიღუნია? გაიხედ-გამოიხედე, რა დილაა!..

— ეჰ, დალოცვილო, უსწავლელი თავი მაღლა მეჭიროს, თუ დაღუნული მქონდეს, რა ბედენაა! — და დათიამ მთის კაცის ჯანმრთელი სახე არჩილს გაუსწორა.

— რას ამბობ, კაცო? — გაჯავრდა არჩილი, — აქ რა უნდა უსწავლელობას? ყველაფრის ბატონ-პატრონი აქ შენა ხარ. ყველა ხის ტოტები ზეპირად იცი. შენი უსწავლელობით მთა გადაგისწორებია და ბარშიაც ჩასულხარ, მთელ მთიანეთში წყარო არ არის, რომ არ დაგელიოს. უსწავლელობამ შეიძლება ქალაქში წიგნთან მიგაწუხოს, აქ თავაწეული უნდა დადიოდე, როგორც კი შეშვენის მდიდარ მასპინძელს.

დათიამ გაიხედ-გამოიხედა. ეტყობოდა არჩილის ლაპარაკი ჭკუაში დაუჯდა. ჩასუქებულ სახეზე კეთილი თვალები აუციმციმდნენ და ქალამნიანი ფეხი ისე ღონივრად გადაადგა, — ტყის ბილიკზე ფხვიერი შავი მიწა გაიშალა. სოფლის გზას აჰყვნენ, არჩილს ეს ადგილები მკრთალად ახსოვდა. მაგრამ მოაგონდა, რომ აქ გზაჯვარედინზე, გაბოლილსვეტებიანი ნადუქნარი იდგა. სალაპარაკოდ თავმოყრილი გლეხები იმის დირეზე ჩამოსხდებოდნენ ახლა კი სწორედ იქ სოფლელი ქალი შუშის მაღალ ვიტრინასა სწმენდდა.

სოფლის ორღობეში კოლექტივის და საბჭოს თავმჯდომარეები მხარდამხარ ცხენებს მიაჭენებდენ მინდვრებისაკენ.

არჩილი შედგა... რკინის დაფაზე ამოიკითხა: სოფელ №-ს კოოპერატივი „განთიადი". სკოლის შენობაც შეცვლილი და გალამაზებული მოეჩვენა.

— ყველაფერი აქვს ახლანდელ სოფელს, რას იტყვი, დათი?

— კიდევაც რომ ყველაფერი გვაქვს! უწინ, სანამ სიკვდილის პირზე არ მივიდოდა ავადმყოფი, ექიმის მოსაყვანად როდი ვინძრეოდით. შორს იყო, თიანეთიდან ამოგვყავდა. ახლა კი ცოტა რამეზე გავითხლარშებით. მაშინვე ექიმი თავს დაგვადგება და რა წამალი გინდა, სასთუმალთან არ გავიჩინოთ!

არჩილმა ერთსართულიან ქვიტკირის სახლს მიაქცია ყურადღება. მწვანე ხეებში ლამაზი აივანი მოსჩანდა. სახლამდის ცაცხვის ხეივანი მიჰყვებოდა. ყველა ხის ძირში ფუტკრის სკა იდგა. წინ პატარა ეზო ყვავილებით

იყო დაკვალული. სახლის უკან ფართო ადგილი სიმინდსა და კარტოფილს ეჭირა, მაგრამ არჩილს ბაღჩისათვის არ შეუხედავს. რა არის მიზეზი, ეკითხებოდა თავისთავს, რომ თითქოს ბედნიერებისათვის აშენებულ სახლში დარაბები მიხურულია და ასე კარგად-მოვლილ კარ-მიდამოში ადამიანების ჩამი-ჩუმი არსად ისმისო.

ფიქრი ხმაურობამ შეაწყვეტინა. ბაღჩაში თითქოს ვიღაცის ხელმა სიმინდის ღერო გადატეხა. არჩილს აქეთ-იქით გახედვა არ დასჭირდა. იქვე, ღობის პირას, ქალი იდგა. თოხის ტარისათვის წაევლო ხელი, ეტყობოდა წელში ახლა გამართულიყო, ლოყები მზისაგან ჰქონდა ალეწილი. თმები ოქროსფერად უბრჭყვიალებდა. დაღლისაგან და ცნობისმოყვარეობისაგან ალისფერი ბაგეები ოდნავ გაეხსნა. არჩილმა პირდაპირ შეხედა. მაგრამ არც ქალს მოურიდებია თავი, უცქეროდა ნაცრისფერი მშვიდი თვალებით. არჩილმა ჩაიარა, მაგრამ სწორედ იმ დროს ახალგაზრდა კაცი დაინახა მკვრივადჩაცმული სხეულის ნაკვთებით, როგორიც ხვდებიან მთიან ადგილებში. იდგა და დაფიქრებული ქალის მუშაობას მისჩერებოდა. არჩილს ვერ გაეგო, ამის დანახვა ეწყინა თუ გაუკვირდა. მიდიოდა და თავისთავს ეკითხებოდა: რად უნდა სწყენოდა? ვინ არის ის ქალი? არჩილისათვის სულ უცხოა. ან რა იყო გასაკვირალი, რომ ოთხი წლის ომის შემდეგ ქალი თოხით მუშაობდეს, მაგრამ რად უყურებდა უქმადმდგომი ჯანღონით სავსე ვაჟკაცი ქალის შრომას? აქ კი ჯავრობდა, ბურტყუნებდა არჩილი; გაიხედა, დათია უკვე გორაზე ასულიყო. ეტყობოდა, სამუშაოდ წამოსულ ჯგუფს დაეძებდა.

არჩილმა იმ დღეს ყველა სამუშაო უბანი დაიარა, დაღლას, როგორც ყოველთვის არა გრძნობდა, მაგრამ ის კი იგრძნო, თითქოს საათის ისრები იმ დღეს ნელა მოძრაობდნენ. ამაზედაც გაჯავრდა არჩილი, მაგრამ, რაც მეტს ჯავრობდა და მეტს მუშაობდა, ნაცრისფერი თვალები უფრო მეტად აგონებდნენ თალიკოს თავს.

* * *

საღამო ხანს დამცხრალმა მზის სხივებმა მთის ფერდობები შეაწითლეს. დილის შემდეგ მიყუჩებული სოფელი ხელმეორედ ახმაურდა, ორღობეებში, სახლებისკენ მისასვლელ ბილიკებზე კოლექტივიდან მომავალი ხალხის ფეხისხმა მოისმოდა. ფერდობებზე შეფენილი ნახირი ბღავილით ეშვებოდა ძირს. არჩილიც მიდიოდა და თან წინმიმავალ მწყემსმა წკრიალა ხმას აუწია. წყალთან ვიღაცას მოურიდებლად შეუქო თვალები და თმები. არჩილმა გაიფიქრა, რომ ეს, საღამოს ქება, უსათუოდ ნაცრისფერ თვალებს ეკუთვნოდა.

ხევზე გადავიდა წყლის დასალევად. შორიდანვე შეამჩნია დახრილი ქალი სურას ავსებდა. გადმოწეული თმები უშლიდნენ, სახე კარგად გაერჩია. ახლოს მივიდა, ნაცრისფერი თვალები იცნო. მხოლოდ ალეწილი სახე ნიავს დაეცხრო. არჩილმა სურა გამოართვა, თან უყურებდა: შავ დახრილ წამწამებში ნაცრისფერი თვალები ქურდულად იხედებოდნენ. გული არჩილს ზვიადი ჰქონდა, მთის კაცისა; თუ ადამიანისაგან სამაგიერო განწყობილებას არ ელოდა, თავი ყოველთვის შორს ეჭირა, ახლა კი სურა დაუბრუნა და მოურიდებლად უთხრა:

— შენი თვალების ფერმა გამაკვირვა.

— მერე ჩემი თვალების ფერის საზომად აქ როდი ხარ გამოგზავნილი,— უთხრა ქალმა და მობრუნდა წასასვ-

ლელად, მაგრამ ხევზე გადმოსული ყმაწვილი კაცი დაინახა.

— აქა ვარ, მიტო, აქა! — დაუძახა, იქვე დადგა და შესაგებებლად გაეშურა. მომავალი უკვე ხევზედ გადმოვიდა. გაუბედავი ბავშვის ნაბიჯით მოდიოდა ბრტყელ მხარბეჭიანი ვაჟკაცი, ყველა გადმოსადგმელ ნაბიჯს ფეხით ზომავდა.

არჩილი უხმოდ მისჩერებოდა. იმის ამოწეულ მაღალ მკერდს, რომელზედაც ორდენის ნიშნები იყო ჩარიგებული და ხორბლისფერ სახეზე ლამაზად გაწყობილ ნაკვთებს თვალმოუშორებლივ უყურებდა.

— დიახ, ჩემი ძმაა, კამარაული, — და არჩილს ბავშვის სიამაყით გადახედა. მაგრამ იმის შეკრულ შუბლზე და შუბლქვეშიდან ნაღვლიანად გამომზირალ ლურჯ თვალებში იმდენი თანაგრძნობა დაინახა, რომ წეღანდელი უკმეხობა ინანა, ახლოს მივიდა.

— უსინათლოა,—ჩაიჩურჩულა ძლივს გასაგონად.

უსინათლო არტილერისტი ამასობაში ახლო მოვიდა. იგრძნო, რომ თალიკოს გარდა კიდევ ვილაც უნდა ყოფილიყო, და ფართოდგახელილი შავი თვალები ცივად მიაგორ-მოაგორა, თალიკოს რაღაც უთხრა ჩუმად. და-ძმა მობრუნდნენ წასასვლელად.

არჩილს კამარაულის ვაჟკაცობაზე ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი, თვალი გააყოლა მიმავალ-და-ძმას.

„თავის ქვემეხთან, გაიფიქრა არჩილმა, ალბათ ძილისათვისაც კი ენანებოდა თვალის მილულვა. ას კილომეტრს ვინ იცის, ისე გაივლიდა, მუხლს არ ჩახრიდა დასასვენებლად. ახლა კი ახალ ფეხადგმულივით სხვას მიჰყვება“. მაშინ გაიგო არჩილმა, უქმად რად უყურებდა ვაჟკაცი ქალის შრომას სიმინდში. იმასაც მიხვდა, თალიკოს სახეზე ალეწილ სიხარულს ნაცრისფერი თვალები სიმშვიდით რატომ ანელებდნენ და იქვე მორგვზე ჩამომჯდარ დათიას მიუბრუნდა.

— ჰა, რას, იტყვი დიფრ... იცნობ ამ ყმაწვილს?

— როგორ არ ვიცნობ, — უპასუხა დათიამ, — მაგის მამა გიორგი კამარაული აქაური მასწავლებელი იყო შვილის დაბრუნებას ველარ მოესწრო, არც იცოდა, რომ იმ სატიალო წამალმა წაართვა თვალში სინათლე! — ფშაველმა თვალებზე მომდგარი ცრემლი ჩუმად პერანგის სახელოთი შეიმშრალა და დაფიქრებულ არჩილს ძუნძულით გაჰყვა.

*
* *

გიორგი კამარაული მღვდლის შვილი იყო. მამამისმა თვითონაც არ იცოდა წარმოშობით საიდან იყო. ღვდლად გამწესების შემდეგ ფშავში დაიმკვიდრა საცხოვრებელი ადგილი. შვილსაც ანაფორა შესთავაზა, მაგრამ გიორგიმ ჯიუტად გადააქნია თავი. რუსეთში სტუდენტობაზე ოცნებობდა. ერთხელ სცადა ბედი, მაგრამ მისმა სუსტმა ჯანმრთელობამ პეტერბურგის ნისლს ვერ გაუძლო, უკან დაბრუნდა, გვიან ძეირთო ცოლი, თითქმის ნახევარი ცხოვრების გზა გავლილი ჰქონდა. სასკოლო საქმეს მოანდომა თავისი ახალგაზრდობა. მისი ცხოვრება სამჯერ შეარყია სიხარულმა. ერთი, როცა სკოლა ააშენეს სოფელში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და გიორგიმ ჯერ კიდევ ნესტიან კედლებში პირველად მისცა გაკვეთილი, მეორე: როცა დამსახურებული მასწავლებლის სახელწოდება მიიღო, მესამე კი, როცა დიდი სამამულო ომი დამთავრდა. ორი შვილი ჰყავდა, უფროსი მიტო, შავგვრემანი, უშიშარი და გულჩათხრობილი, უმცროსი — თალიკო ლამაზი ნაცრისფერთვალებიანი, დაუდგრომელი და მუდამ

მხიარული. ადრე მოუკვდა ცოლი, ბავშვების აღზრდას თვითონ შეუდგა გატაცებით. ზამთარში, როცა თოვლის ზვინები ჩამოწვებოდა, დიდ ბუხრის პირას იჯდა გიორგი, აქეთ-იქით პატარა სკამებზე ჩამომსხდარნი, მამის მუხლებზე ხელდაყრდნობილნი მიტო და თალიკო მისჩერებოდნენ, მამა სემინარიის ამბებს უამბობდა. ასწავლიდა ვაჟა-ფშაველას ლექსებს. აჩვენებდა ვაჟას გამოცლილ ჯიხვის რქას. ბავშვები ატყობდნენ, მამა პოეტის მეგობრობით ამაყობდა: სხვა დრო იყო წინათ, დიდი პოეტი მთის მწირ მიწას ებრძოდა, ლუკმა პური რომ შეეჭამაო, იტყოდა ხშირად.

მიტოს ბავშვობიდანვე ასწავლიდა თოფის ხმარებას, წამოიზარდა, ნაბადწამოსხმული გიორგი უღრან ტყეში სახადიროდ თვითონ გაუძღვა. მიტო მაღალ, გამხდარ მამას გაკვირვებული მისჩერებოდა. ნადირის მოლოდინში შავი თვალები ნაპერწკლებად ეკვესებოდა. მერე კი ღრიალით მომავალ დათვის დანახვისას ის თვალები მშვიდდებოდნენ, თითქოს ნადირის ღრიალს დასცინოდნენ.

— მტრის ღრიალმა როდი უნდა შეგაშინოს, — ეტყოდა შვილს, — იმის ბაქი-ბუქს პატარა რკინის გული მოერევა.

შვილები სასწავლებელში გაისტუმრა, მარტოდარჩენილმა სკოლის საქმე არ იკმარა, კოლმეურნეობის ფუტკარიც ჩაიბარა. ხშირად ამბობდა: მაგათი ბზუილი შრომისათვის მახალისებს, მაღლიანი ნესტარი აქვთო.

*
* *

მაგრამ ომის ხმამ მთა და ბარი შეარყია.

გიორგიმ პირმშო და სიცოცხლე მიტო მატარებლის საფეხურამდე თვითონ მიაცილა და წასვლის დროს კიდევ ჩასჩურჩულა:

— მტრის ღრიანცელმა როდი უნდა შეგაშინოს იცოდე, იმას პატარა რკინის გული მოერევა!

მიტოც მამის სისხლი და ხორცი იყო. ღრიალით წამოსულ მტერს მისი თვალები დასცინოდნენ, ჩაუქრობლად გუგუნებდა მისი ქვემეხი და ბოლში შეხვეულ შავგვრემან სახეზე წარბი არასოდეს არ ეხრებოდა.

ბუდაპეშტთან თვალები დაუზიანდა, ჰოსპიტალში იწვა, მამასთან წერილს სხვას აწერინებდა: მე მტერი ვერაფერს დამაკლებს, კარგად ვარო...

გიორგიც ისევ ისე ამხნევებდა: შენ იყავ კარგად, მე რა გამიჭირდება კაჟივით ვარო. მაგრამ კარგად და კაჟივით არც ერთი მათგანი აღარ იყო. მიტოს ორივე თვალში სინათლე ეკარგებოდა. გიორგის კი სიბერეში ერეოდა ის ავადმყოფობა, რის გამოც პეტერბურგიდან ახალგაზრდობაში ჩამობრუნდა და ხშირად ლოგინში იწვა.

ომი დამთავრდა, ავადმყოფი კამარაული ქვეშსაგებიდან წამოიჭრა. სანადირო თოფი კიდევ დასცალა და ჯიხვისრქა კიდევ ასწია. ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

მიტო დაბრუნდა. მთელი სოფელი შეეგება, უხმოდ უკოცნიდნენ უსინათლო თვალებს, მის მკერდზე ჩარიგებულ ორდენებს შესცქეროდნენ, არაფერს ეკითხებოდნენ...

*
* *

არჩილი ხშირად მიდიოდა კამარაულებთან, მიტო მიეჩვია მისი მანქანის ხმას.

— თალიკო, მოდის, — უთხრა დასნელი ხმით.

— მოვიდეს, გენაცვალე, ჩვენც აქა ვართ.

ახლოს მივიდა თალიკო, ძმას ხუჭუჭი თმები გადაუწია და ლამაზად მოყვანილი მკლავები მხრებზე ნაზად შეშოხვია. უხაროდა თალიკოს, რომ ძმაც მის მოლოდინს ინაწილებდა, თან მახქანიდან გადმოსულ არჩილს მისჩერებოდა. დამწვარ სახეზე ეტყობოდა, რომ მუშაობით გული ჰქონდა მოჯერებული. კმაყოფილი და წელში გამართული გადმოვიდა; თალიკოს თვალებმა მისი სახიდან ერთ წუთს ძმის სახეზე გადაირბინეს. შეადარა: მიტოს მზეგადაცლილი სახე არჩილთან შედარებით ფერნაკრავად მოეჩვენა. ლამაზად მოყვანილ პირთან ფიქრიანი ნაოჭები შეამჩნია. გული ეტკინა, ძმას ხელმეორედ მოეხვია. მერე წელში გასწორდა. გემოვნებით შეკერილ ჭრელ კაბაში კარგად აგებული სხეულის ხაკვთები გამართა, უბრალოდ ჰქონდა გადავარცხნილი წაბლისფერი თმები, მომავალ* არჩილს ცერად უმზერდა, ნაცრისფერი თვალები კი პირდაპირ მისჩერებოდნენ და აღარ უსაყვედურებდნენ — შენ აქ ჩემი თვალების საზომად ვინ გამოგგზავნაო. მოსულს შეეგება, მალე მიტოს ყურთასმენას დის მხიარული სიცილი მისწვდა. ყური დაუგდო, ასე იცინოდა თალიკო მიტოს წასვლამდის. ასე იცინოდა ბავშვობისას, როცა მიტო დანაშაულზე მოუსწრებდა, და ბაღში დასდევდა დასაჭერად. „ალბათ თვალებიც ისევე უბრწყინავენ როგორც უწინ ბუხრის ცეცხლისაგანო“, გაიფიქრა მიტომ, დის სახის შეხედვა მოენატრა, ბაგეებთან ფიქრიანი ნაოჭები გაუმრავლდა არ იცოდა, უნდა სწყენოდა თუ გახარებოდა თალიკოს მხიარული სიცილი, მაგრამ არჩილმა თან მსუბუქი და სასიამოვნო განწყობილება მოიტანა, ასე სჩვეოდა ყველგან. სადაც არ უნდა ყოფილიყო, იმის გავლენა სჭარბობდა. მიტოს გვერდით დაჯდა, გააგებინა, რომ მანქანებმა უკვე დაიწყეს გადმოზიდვა სამგორის სხვადასხვაუბნებზე საამშენებლო მასალისა და მანქანა იარაღებისაო.

ესინათლომ თავი გადააქნია.

— მიტო, ხომ იცი? — არჩილმა ორივე ხელი დაუჭირა და ისევ განაგრძო: — სამგორის სარწყავი სისტემა შესაძლებლობას მოგვცემს აყვავებულ ბაღებად, ვენახებად ბოსტნებად გადავაქციოთ სამი ათას შვიდასს ჰექტარზე მეტი, ამჟამად ცარიელი, ურწყავობისგან გამხმარი მიწა.

თალიკო უხმოდ, განაბული მისჩერებოდა ხან ერთს და ხან მეორეს. არჩილს ლურჯი თვალები სხივებითა ჰქონდა სავსე, მიტოს კი ბაგეებთან ფიქრიანი ნაოჭები უსწორდებოდა და უძრავი გახელილი თვალებით შორს იცქირებოდა, თალიკო გრძნობდა, რომ მას იმ დროს ამ დიდი სამუშაოს ერთხელ მაინც დანახვა ენატრებოდა.

— დიდი აქვს ჩვენს ქვეყანას მაჯისცემა! — ჩაილაპარაკა მიტომ და სახეზე შეეტყო, რომ კარგ ხასიათზე დადგა. უნდოდა თალიკოს ისევ ისე გაეცინა, ნანობდა, როგორ გაივლო გულში ის ფიქრი, რომ არ იცოდა თალიკოს სიხარული სწყენოდა თუ გაჰხარებოდა.

არჩილმა უთხრა, ახალ უბანზე გადავდივარ სამუშაოდო. ისიც დაატანა, რომ უბნებში აპირებდა მანქანით წასვლას და თუ მიტო დათანხმდებოდა, დილაზე ერთად წავიდოდნენ. იმ დროს თალიკოს სუნთქვაც კი აღარ მოისმოდა. მიხვდა უსინათლო, რომ მას არჩილის წასვლა აწუხებდა, რითიმე უნდოდა გაერთო, ორივეს დაავალა: ბექობიდან საძოვარზე წასულ ცხენისთვის გადაეხედათ. თალიკო ადგა, წინ წავიდა, ეზოს გასცდა თუ არა შედგა, არჩილი აუჩქარებელი ნაბიჯით მიჰყვებოდა, დაფიქრებული იყო, მაგრამ თალიკოს ასეთი უფრო მოსწონდა იგი. — მის მაღალ შუბლს და ლურჯ თვალებს ფიქრი უფრო უხდებაო. თითქოს მიხვდა იმასაც, რომ სწორედ იმ დროს, თა-

ლიკოზე ჰფიქრობდა იგი, ამან ისე გაუხსნა გული სასიხარულოდ, რომ მზად იყო, გვირილებით მოფენილ მწვანეში თავი ჩაერგო და ესუნთქა განუწყვეტლივ, როგორც ეს ბავშვობაში იცოდა ხოლმე. ახლოსმისულმა არჩილმა თალიკოს ხელი წაავლო, მაგრამ ქალი გაუხლტდა, მწვანეზე დაჯდა. კაბა ისე მოხდენილად და უბრალოდ გაისწორა, რომ არჩილმა ყურადღება მიაქცია, გაეღიმა. ეტყობოდა გაუკვირდა, ასეთი წვრილმანიც კი შეამჩნია. დაფიქრებული იყო თალიკო, გრძელი თითებით ბალახსა სწიწკნიდა.

— რაზე ფიქრობდი ახლა, თალიკო? — ჰკითხა არჩილმა და თვალებში ჩაჰხედა, თან გაიფიქრა: თუ ახლა პასუხს დააგვიანებს, ჩემი წასვლა უნდა აწუხებდესო.

მოულოდნელი შეკითხვისაგან თალიკოს სახე შეუფაკლდა. პასუხის ნაცვლად ჩამოშლილი წაბლისფერი თმები გადაიწია და მისმა ნაცრისფერმა თვალებმა და გამჭვირვალე სახემ პირდაპირ უპასუხეს არჩილს: „შენზე ვფიქრობდი, შენ წასვლაზე. უშენოდ დარჩენა არ შემიძლიაო“, მაგრამ სიტყვებით კი სულ სხვა წამოსცდა.

— მე ბევრი რამ მაქვს საფიქრებელი, — და თვალი მოარიდა, რომ არჩილის მზერა აეცდინა.

— მე კი შენზე ვფიქრობდი, — უთხრა არჩილმა, თავზე ხელი გადაუსვა ჩამოშლილი თმები იმასაც უნდოდა გადაეწია, მაგრამ თალიკომ თავი შეარხია, ხელი აიცდინა.

— მე თუ წავალ, შენც წამოხვალ, თალიკო.

სულგანაბული მისჩერებოდა ქალი, უნდოდა დაუსრულებლივ გაემეორებინა ის ორი სიტყვა არჩილს. თვითონ კი ხმა არ ამოეღო. გადაღმა სერებს მისჩერებოდა. ყველაფერს ლურჯი ბინდი ედებოდა, თითქოს ყველაფერს არჩილის თვალების ფერი ჰქონდა.

— ჩვენ ორივენი ერთად წავალთ, — დაიწყო კიდევ არჩილმა. — მე დიდი საქმე მაქვს, თალიკო, ძალიან დიდი.

თალიკოს მაშინ გაახსენდა უსინათლო ძმა, აჩქარებული გული გაეკაწრა, გადაუქანდა.

— მერე მესამე? მერე მიტო? — უნდოდა ეკითხა, მაგრამ მოწოლილმა ცრემლებმა არ დაანებეს სიტყვის თქმა. არჩილმა კი ისევ განაგრძო.

— ჩვენ ორივენი ვიშრომებთ დიდი ქვეყნისათვის. მე შორიდან დაღლილი მოვალ, ხშირად გათენებამდის ვიმუშავებ, მაგრამ შენი მშვიდი ძილი და შავი გრძელი წამწამები სიხალისეს მომცემენ, რომ არასოდეს დავიღალო.

— მე ვერ წამოვალ! — გაისმა თალიკოს მტკიცე ხმა.

არჩილი მიხვდა, მაგრამ მაინც მიზეზი გამოკითხა.

— მე უსინათლო ძმისათვის დავანებე სწავლას თავი, — თალიკოს თვალებში ცრემლებმა გაიელვეს.

არჩილი ფეხზე წამოდგა. თალიკომ სახეზე ჭრილობის ხაზი შეამჩნია.

— მიტოსთვის ასეთი თავგანწირვა არ არის საჭირო.

— თავგანწირვა ძმას როდი დაეყვედრება, — თითქმის დაიყვირა თალიკომ და სიფიცხემ ალმურივით გადაუარა.

ყოველთვის, დათმობის დროს, მოუთმენელი, ფიცხი არჩილი თანდათან მშვიდდებოდა. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ მტკიცედ უთხრა თალიკოს:

— სწორედ მიტოსთვის არის საჭირო აქედან წასვლა. ყველა ეს ადგილი ბავშვობას აგონებს. ხევის წყალში ისევ ისე ძველებურად ბანაობს, მაგრამ ღონიერ მკლავებს მაინც უმწეოდ ასავსავებს. ხშირად დამინახავს, ფერდობიდან მზის ამოსვლას ელოდება. ალბათ ასე იცოდა უწინ. ახლა კი წვალობს შენც მოგწყინდება ყველაფერი ეს, თალიკო. ამას მიხვდება მიტო და ეს მისთვის კიდევ მეტი უბედურება იქნება, ამიტომ ორივენი უნდა წახ-

ვიდეთ აქედან. შენ ჩემთვის ბევრჯერ გითქვამს, რომ მიტოს ნაწერებს აღტაცებაში მოუყვანიხარ, ეს საკმარისი იქნება უსინათლოსთვის, ამით იცხოვრებს.

თალიკო ფართოდგახელილი თვალებით მისჩერებოდა, უხაროდა, რომ არჩილი ისეთი ჭკვიანი იყო. ვერ წარმოედგინა, თუ ვინმე არ დაიჯერებდა მის სიტყვებს; ეტყობოდა თვითონაც უჯეროდა, აღარ ეწინააღმდეგებოდა ქალაქში წასვლაზე, იმიტომ რომ, როცა არჩილმა წაბლისფერი, ჩამოცვენილი თმები გადაუწია, თალიკოს ხელის მოსაშორებლად თავი აღარ შეურხევია და აღარც განზე გაუწევია.

*

* *

როგორც გადაწყვეტილი ჰქონდათ, არჩილი და მიტო ლილოსკენ უნდა წასულიყვნენ. ამიტომ არჩილმა გარიჟრაჟისას კამარაულების ალაყაფის კარი შეაღო, იცოდა მიტო ფეხზე დახვდებოდა, ხშირად ჰქონდა მისგან გაგონილი:

— რა ვქნა, მამალი შეიშმუშნება თუ არა, აღარა მძინავს, ფრთა-ფრთას შემოჰკრავს ქანდარიდან გადმოსაფრენად, მე ჩაცმული უკვე ფეხზე ვხვდები — მაგრამ არჩილმა მიტო კარმიდამოში ვერ ნახა. მიხვდა, სადაც უნდა მოეძებნა. მტკიცედ გადასწყვიტა როგორმე მიტოც დაეთანხმებინა, რადგან უბედურ შემთხვევას იგი გულჩათხრობილად და ჯიუტად გადაექცია. ყველაფერს დინჯად ზომავდა, თავისი სურვილით. არჩილმა ისიც იცოდა, რაც თალიკოს ახარებდა ან აკვირვებდა, მიტოს ხშირად ის არც კი ესმოდა.

ტყის ბილიკით არჩილი ფერდობზე ავიდა, იქიდან კარგად შეამჩნია: მიტო ყველაზე მაღალ ადგილზე ასულიყო. რაც უახლოვდებოდა, არჩევდა, სამხედრო ტანსაცმელი ეცვა, ბრტყელი მჭიდროდ შემოკრული ქამარი, განიერ მხარბეჭს უფრო უჩენდა. დაძაბული იდგა, ეტყობოდა ცდილობდა ეწინააღმდეგებოდა ამომავალი მზე როგორმე თვალებთან მოსწვდომოდა. ფეხის ხმაზე შემობრუნდა. რაკი მიხვდა, რომ ვიღაც იმის მიმართულებით მიდიოდა, გადმოვიდა ჩამოსასვლელად ეტყობოდა არ უნდოდა დილის სამყოფელში ვინმე შეიღო, რომ მისი და ფერდობის საიდუმლო ვისმე სცოდნოდა. გადმოსვლისას უხერხულად შეტორტმანდა, წამწამები აახამხამა და რაკი არჩილის ფეხისხმა იცნო, ხმამაღლა გაიცინა.

— რას იცინი, მიტო? — დაუძახა არჩილმა და ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— უბრალო რამემ გამაცინა! — თან ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. არჩილმა სახეში შეხედა, თითქოს პირველად უყურებდა, სხვანაირი ეჩვენებოდა კამარაული, მზეგადასულ ხორბლის ფერ სახეზე ამომავალი სხივები ზოლებად აჩნდა, მთელი სიმაღლით იდგა წელში გაშლილი. არჩილმა უსინათლო არტილერისტი პირდაპირ მდგომ თეთრთავა მწვერვალს შეადარა, და დაგვიანებით, შეეკითხა:

— რად გაიცინე?

— გამეცინა, სიცოცხლეს როგორ ვუფრთხილდები, მუხლები ყოველ უხერხულად გადადგმულ ნაბიჯზე თითქოს შიშისაგან მითრთის. იქ კი, არჩილ ბრძოლის დროს, უფრო ჯანმრთელი უფრო ბედნიერი ვიყავი, სიცოცხლეს ჩალად არ ვაგდებდი.

— ჰაშინ სხვა დრო იყო, მიტო, სიცოცხლე შენი ქვეყნის გადასარჩენად გემეტებოდა.

— ეგ ვიცი, არჩილ! — შეაწყვეტინა მიტომ, — შენ ის მითხარი, ჩემს მდგომარეობაში აქ რაღაც-ღა დავკანკალებ სიცოცხლეს!

— იმისათვის, რომ გადარჩენილი ქვეყნის მაჯისცემა მოისმინო, რომელზედაც ამაგი გაქვს გაწეული. გეცოდინება, ნაამაგარს და ნაშრომს ყველა-

ფერს უფრო სათუთად, უფრო გულით ეკიდები კაცი.

— ვიცი, არჩილ! ავადმყოფობის დროს ეჭვიანი გავხდი, — სინანულის ხმით დაიწყო უსინათლომ. — დროდადრო ჩემს თავს გაბზარულ ჭურჭელს ვადარებდი, რომელშიც წყლის ჩასხმა აღარ შეიძლება. თუ უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ, მეგონა, ეს მარტო დამსახურებისათვის იყო. სულ იმას ვფიქრობდი, ოდესმე ამ ჭურჭელს შეორის სუნი ასდინდებოდა.

— არასოდეს, მიტო, — თითქმის დაუყვირა არჩილმა, — შენი გულით, შენი აზრებით, შენი დიდი საქმით, აუვსებელი ჭურჭელი ხარ, რომელიც გაიბზარა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ცეცხლი, სიყვარულისა და შრომისა ამ ადგილს ისევ გამოლესავს.

— არჩილ, თუ სიკვდილზეც ვიფიქრე, მეპატიება, ცოტა ვიცხოვრე, მაგრამ როგორც სიცოცხლის, ისე სიკვდილის უფლებაც მოვიპოვე. ჩემი ცხოვრება ისეთი არ იყო, როგორიც ზოგიერთებისა, რომლებსაც დედამიწაზე სამოცი-ოთხმოცი წელი უბარბაცნიათ და ილიასი არ იყოს, სიცოცხლისათვის საფლავის ქვაზე, გამვლელ-გამოვლელისათვის შენდობა მოუთხოვიათ. მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც სიცოცხლე მწადიან და ისე ძალიან, რომ როდესაც დაუსრულებელ სიბნელეში მზის ნატამალს ვარჩევ, სიხარული ტანს მისუსხავს.

— ეს ცოტაა, მიტო! — ცივი ხმით შეაწყვეტინა არჩილმა. იგი იმ წუთს პირწავარდნილი დედა იყო.

— მე მჯერა, შენ ახლაც გაქვს აზრი, ნაპოვნი სიცოცხლის გასაგრძელებლად. — არჩილმა შეატყო, ლამაზი სახე უსინათლოს ახალი შუქი სიწითლით დაეფარა, მიხვდა, რომ მისი გულისძგერას ხელით შეეხო.

— რა გავაკეთო, არჩილ, დეკანა და შვრიას ერთმანეთისაგან ვგავარ-გავარჩევ?

— მიტო! მე ვიცი, ომამდე კალამი გიჭრიდა, შენზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, ისიც ვიცი, — ახლაც სწერ.

უსინათლო მძიმედ სუნთქავდა. ახლო მივიდა, არჩილს მხრებზე ხელები მოუთათუნა, იქიდან სახეზე აიტანა. ხელის შეხებით უნდოდა სახეც წარმოედგინა.

— მიტო, თუ შენი ვაჟკაცობით გააკვირვე თანამებრძოლები, ახლა ხალხს იმ გმირულ ბრძოლებზე მოუთხრე.

თავდახრილი უგდებდა ყურს კამარაული. იმ მიტოს აღარა ჰგავდა ფერდობზე, რომ დახვდა არჩილს — სახეზე შემოხვეული ყინულით, ეს ყინული მზესავით დაედნო არჩილის სიტყვებს, წყლად ექცია, გულთან ჩაეტანა, და უსინათლოს გული იმედისა და ცხოვრებისათვის ჩარხივით დაეტრიალებინა. არჩილსაც დავიწყებოდა პირობა თალიკოსა და მიტოს ქალაქში წაყვანისა, გახარებული იყო, კამარაულს სამეგობროდ გული რომ გაუხსნა, მაგრამ უმალვე შეეცვალა სახე, საათს დაჰხედა, წასვლა გაახსენა.

მალე ორივეს ფართო ტყის გზაზე მსუბუქი მანქანა მიაქროლებდა. მიტომ იგრძნო საბადურის ტყე, ახსოვდა, რომ აქ წიფელის ხეებს სქელი ტანი გზაზე ჰქონდათ გადმოზნექილი და ტოტები აქეთ-იქით მარტო იმიტომ ჰქონდათ გადაშლილი, თითქოს მგზავრისთვის ცის სილურჯე დაენახვებინათ და მოეწონებინათ.

მიტოს ეყურებოდა ტყის შრიალი, ზეაწეული სათვალებიანი სახე ულიმოდა.

— არჩილ, იმაზე უფრო არაფერი მიყვარდა, როცა ამ უზარმაზარ წიფლნარს შემოდგომა შეაწითლებდა. მთე-

ლი ტყე მაშინ წითლად ენთო. ალბათ ახლაც ასე იქნება.

არჩილს განსაკუთრებით დაენანა უსინათლო, გული აემღვრა და საუბრის სხვა საგანზე გადატანა სცადა, მაგრამ მიტომ არ დაანება, ორივე ხელი დაუჭირა და გაუბედავი დაბალი ხმით განაგრძო:

— არჩილ, ჰოსპიტალში ყოფნისას რუსის ქალი შემხვდა, თვალის ექიმად მუშაობდა, მე უკვე ვეღარა ვხედავდი, იმიტომ ვერაფერს გეტყვი, როგორი სახე, ან როგორი თმა ჰქონდა, მაგრამ იმის ხელების სილამაზეს და ხმის მიმზიდველობას იმდენად ვგრძნობდი, ხშირად დოსტაქარის მშვენიერი ხელები ხელში მეჭირა და დახრილი ქალის ალერსიანი ხმას ყურს ვუგდებდი. ის იმდენად მამშვიდებდა, მზად ვიყავი ოცდაოთხი საათი ამ ყოფაში გადაბმულიყო. შენ მართალი ხარ, მე ახლა იმ ხელებზე ვწერ. მგონია აუგად არავინ ჩამითვლის ბრძოლის კვამლისაგან ალანძულ, მაგრამ მშვენიერ ხელებზე რამე რომ დავწერო. ახლაც მწერს წერილებს, — განაგრძო სიჩუმის შემდეგ უსინათლომ, — მაგრამ ეჭვიანი გავხდი, არჩილ, ასე მგონია მისი გრძნობა მარტო სიბრალულითაა გამოწვეული ეს კი ყველაზე უფრო მეტად მოქმედობს. იმიტომ ვერიდები და პასუხსაც ხშირად ვუგვიანებ.

არჩილი გრძნობდა მიტოს სიმართლეს, ხმას არ იღებდა. ამასობაში მანქანამ თბილისი გადასჭრა და მარტყოფის გზაზე დაუხვია.

გაზაფხულზე სამგორის მშენებლობის ერთერთი უბანი მდინარე იორის გადასაკვეთად ემზადებოდა. სამუშაოებზე მოხრილნი ვერა გრძნობდნენ ცხელი მზის მხურვალებას, რომელიც თავკისერს უწვავდა. დავიწყებოდათ ისიც, რომ სამხარის დრო დიდი ხანია გადასულიყო. განუწყვეტლივ ისმოდა ოსტატების გამწყრალი ხმები, სამუშაოთა მწარმოებლების სწრაფი ნაბიჯები, ხშირად, ეს ყველაფერი მასალით დატვირთული მანქანების ხმაურობით იფარებოდა და იორის სანაპიროები ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს სკამიდან დაძრული ფუტკარი დაბზუის ნექტარის საშოვნელადო. არჩილიც იქ იყო, იმათთან ერთად მუშაობდა, მზისაგან დამწვარ სახეზე მღელვარება ეტყობოდა, მაგრამ ერთ სამუშაოდან მეორეზე სწრაფად და უხმაუროდ ინაცვლებდა ადგილს, თუ სადმე დაუდევრობას შეამჩნევდა, უმალვე იქ გაჩნდებოდა, კუშტი, შეკრული სახით უსაყვედურებდა, რა სამუშაოც არ უნდა ყოფილიყო, აჩვენებდა როგორ უნდა გაკეთება.

არჩილმა საათს დახედა. რამდენიმე წუთი აკლდა სამუშაოს დამთავრებას, კანტორაში შევიდა.

მაგიდას მიუჯდა და სანამ ღამის ბინდი ღია სარკმელში არ შეეპარა, თავი არ აუწევია. გვერდით პატარა მაგიდაზე საჭმელი იყო დაწყობილი. არჩილს არ ახსოვდა, როდის ან ვინ შემოიტანა, მაგრამ საჭმელსაც ისეთი ხალისით მიუბრუნდა, თითქოს ამის ლოდინში დააღამაო. მადიანად შეექცეოდა, ეტყობოდა, იმ დროს მეტზე აღარაფერზე არ ფიქრობდა. ადგა, გარეთ გავიდა, ნათელი ღამე იყო. ცის დასავლეთან იდგა მთვარე. დინჯად დასცქეროდა ადამიანების ნამოქმედარს. არჩილმა იცოდა, რომ ასეთი ღამე სხვა დროს გულს გაუხსნიდა, ახლა კი თითქოს ვერაფერს გრძნობდა, უყურებდა ღია კარვებს, რომელშიაც პირაღმა იწვნენ ვაჟკაცები, იმათი ფშვინვა მოისმოდა, ძილს და მოსვენებას ეშურებოდნენ, წამუშევარი ხელები აქეთ-იქით გადაეშალათ. არჩილმა იცოდა, რომ ხვალ დილით ეს ხელები იქ დაგროვილ მასალას ეკვეთებოდნენ პირველი საძირკველის ჩა-

საყრელად. კმაყოფილებით გაიღიმა და მთელი დღის ნამუშევარი დაძაბული ტანი დაჭიმა, კუნთები აამოძრავა.

წინ წავიდა. კარგა მანძილი გაიარა, თალიკო და მიტო გაიხსენა, დიდი ხანია არ ენახა, მაგრამ რატომღაც არა სწუხდა, ნაწყენები იქნებიანო, გაიფიქრა ერთხანს.

უძილობა იგრძნო, უკან დაბრუნდა კანტორაში ტახტზე მიწვა. მალე ნაფიქრი და ნაგრძნობი მთელი დღის მუშაობისა: ცემენტი, აგური, რკინა, კარავებში მწოლიარე მუშები და ნაწყენი თალიკო და მიტო ერთად აირივნენ, ჩათვლიმა, მაგრამ კარების ჭრიალზე თვალი გააბილა, წამოიწია. აღარ ახსოვდა, ეძინა თუ არა. ოთახში დათია იდგა. უხერხულად იღიმებოდა, უდროოდ რომ შეაწუხა. ეტყობოდა უკან აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ არჩილი ფეხზე წამოდგა.

— მოდი, მოდი, დათი, შენ ამ დროს უსაქმოდ და უამბოდ არ მოხვიდოდი.

— არ ვიცი, არჩილ, შენ ამას საქმეს დაარქმევ თუ უსაქმობას, მაგრამ მე მაინც მწადია გითხრა, — მორიდებით უთხრა ფშაველმა, — ერწოში ვიყავი, კამარაულებთან შევიარე, — დათიამ ხელში ნაბდის ქუდს დაუწყო წვალება. არჩილი უხმოდ მისჩერებოდა. — უსინათლოს ქაღალდი მოსვლია, — განაგრძო ისევ, მთავრობა რუსეთში აგზავნის სასწავლებლად, ებარგებოდნენ, გემდურებიან, არჩილ, — და ჭაღარა სქელი წარბებიდან ცერად შეხედა არჩილს. ამ გამოხედვამ რატომღაც უფრო შეაშფოთა.—ცოტა რამა თქვეს, მაგრამ სიტყვები რა ბედენაა, მე თვითონ შევატყე!

— მერე შენ რა უთხარი?—ჩაეკითხა არჩილი და პასუხის მოლოდინში რაღაც წიგნი სწრაფად გადაფურცლა.

— მე შენი საქმისა რა ვიცი, არჩილ, მაგრამ, რაც ჩემი უსწავლელობით გაგეგება, რაც ვიცოდი და მოვახერხე, ისე ვუთხარი, დიდი საქმე აწევს კისერზე — მეთქი.

— ამ ხნის განმავლობაში დღეც და ღამეც რომ ვმუშაობდი, არ უთხარი?— შეაწყვეტინა არჩილმა გაჯავრებით.

— მე კი ვუთხარი, შვილო, მაგრამ გულნაწყვეტ კაცს სიტყვებით როდი დააჯერებენ, როგორც ხეს წყალი და ნამი ასულდგმულებს, ისევე დაჩაგრულ ადამიანს ფერობა და სითბო აცოცხლებს.

— მართალი ხარ, დათი, — გაიღიმა არჩილმა, თან მხარზე ხელი დაარტყა, — უსწავლელობას ნუ, იმიზეზებ, სიბრძნეცა და სიმართლეც, რაც კი ცხოვრებას სჭირდება, კარგად გაქვს შესწავლილი.

დაავალა, სასწრაფოდ შოფერი გაეღვიძებინა.

გარეთ გამოსვლისას არჩილს ღამჯსულ სხვანაირი დახვდა, ჩამუქებული იყო იორის ჭალა, ნესტსა და სიგრილეში თითქოს პირქუშად იყურებოდა. არჩილმა ცას ახედა. დაცხრილული ღრუბელი პირბადესავით ეფარებოდა მთვარეს. როგორც სჩანდა, წვიმა იყო მოსალოდნელი. ხვალინდელი დღის აღტაცება ამით თითქოს გაუნელდა. დაღვრემილი იჯდა მანქანაში და როგორც სჩვეოდა, თავის წლოვანებასთან შედარებით დიდსა ჰგავდა.

მგზავრობამ კი უსიამოვნო განწყობილება მალე გაუქარწყლა. დიდმა სამუშაოებმა აგრძნობინეს კიდევ, რომ ამ უკაცურ ადგილების მშენებელს მოცლა არ ექნებოდა და არც შეიძლებოდა ვინმე დამდურებოდა. ამასობაში მანქანა ცაცხვის ხეივანში გაჩერდა. დაკეტილი კარები ხმაურობით გაიღო. ვილაცამ გამოიხედა, ძაღლი გააჩუმა, კარები კი ღია დატოვა. ფანჯრებში სინათლე გაჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ არჩილმა მიტოს ოთახის კარები ფრთხილად დაარახუნა. თან აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, იმის მოლოდინში,

რომ ერთერთი კარებიდან თალიკო გამოვიდოდა, სიხალისე იგრძნო.

— ძობრძანდით, — დაიძახა უსინათლომ ოთახიდან ზრდილობიანად.

არჩილმა მის ხმაში სიცივე იგრძნო, მაგრამ ეტყობოდა, არაფრად ჩააგდო.

— ღამურასავით სიარულისათვის ნუ დამეძდურები, მიტო, — შესძახა მხიარულად.

— ჩემთვის ღამემ და დღემ დიდი ხანია თავისი მნიშვნელობა დაკარგეს, — უთხრა უსინათლომ, ხელი გაუწოდა, ჰკითხა როგორ მიდიოდა მშენებლობა. არჩილმა თავისებური გატაცებით უამბო ყველა წვრილმანიც კი, თან ისიც დააყოლა, რომ ხვალ მიტოს და თალიკოს წაიყვანდა, აჩვენებდა, თუ როგორ ჩაუყრიდნენ საძირკველს პირველ წყალსაცავს.

— მე ვერ წამოვალ, არჩილ, — უთხრა მიტომ. — ბოსკოვს ვაპირებ წასვლას, თუ რამე შემთხვევამ ხელი არ მომიცარა, — და უსინათლოს გახელილი თვალები არჩილს დააშტერდა. არჩილმა იგრძნო, რომ შემთხვევად მან არჩილის მოსვლა იგულისხმა, გაჩუმდა, შეიძლება მართალიც იყოს, გაიფიქრა თავისათვის და გაწყვეტილი ლაპარაკი ვერაფრით ვეღარ გააგრძელა. — თალიკოსი კი არ ვიცი, შეიძლება წამოვიდეს, — დაარღვია სიჩუმე მიტომ. არჩილი მიხვდა: ამ ხნის განმავლობაში უსინათლო დაზე ფიქრობდა. არაფერი უთხრა.

მიტო წამოდგა თალიკოს დასაძახებლად, დიდ ხანს არ გაუვლია, ოთახში თალიკო შემოვიდა, უსიტყვოდ გაჩერდა კარებთან, არჩილს სალამი მისცა. ეტყობოდა, ხელის ჩამორთმევას არ აპირებდა, არჩილი თვითონ მიუახლოვდა. თალიკომ მოდუნებულად გაუწოდა ხელი.

თალიკო გამხდარიყო. მოკუმული, დადუმებული ბაგეებით იდგა და თითქოს უსიტყვოდ ეკითხებოდა, რა გინდა, რათ მოხვედიო. საფეთქელთან ჩამოშლილი პატარა თმები ისევ ისე ეურჩებოდნენ და, როგორც წინათ, — თალიკოც ისევ ისე ისწორებდა. არჩილს დამაჯერებელი იერი თანდათან გადაეცალა.

ეტყობოდა, უსინათლომ უხერხულად იგრძნო თავი, ოთახიდან გავიდა. არჩილმა ახლა ამოიღო ხმა, თალიკოსთან ახლოს მივიდა:

— გასამართლებლად ვერც ერთ სიტყვას ვერ ვიპოვი, თალიკო, იმიტომ მწადდა წამოსულიყავი ჩემს სამუშაოზე. მინდა ჩემმა საქმემ უსიტყვოდ გამამართლოს შენთან, გაგაგებინოს, რამდენი უძილო ღამე გამიტარებია.

თალიკომ ჩამქრალი ნაცრისფერი თვალები არჩილს გაუშტერა.

— მე არ წამოვალ! — უთხრა თალიკომ ჩუმიცე ხმით და პირდაპირ თვალებში შეხედა.

— რატომ, თალიკო?... განა ისე დავიგვიანე? — ჰკითხა არჩილმა სულ სხვანაირი დაბალი ხმით. — მე კი, როცა აქეთ მოვდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, საერთოდ არსად, არასოდეს არ ვიგვიანებდი.

— არჩილ... — შეაწყვეტინა თალიკომ, — არ წამოვალ იმიტომ, რომ ჩემი წასვლა მიტოსთან ერთად გადაწყვეტილია. საჭირო აღარ არის იმაზე კიდევ ვილაპარაკოთ, რაც არ მოხდება. მეშინია ჩემი თავის, ვიცი, არამც თუ გაგამართლებს შენი დიდი საქმე, აღტაცებაშიც მომიყვანს და შეიძლება მოვალეობა და გადაწყვეტილებაც კი დამავიწყოს. — თალიკოს ღიმილი დააჩნდა, ისევ განაგრძო. — შენ კი უჩემობას, როგორც აქამდე, ისევ შენი საქმე შეგაძლებინებს. შენი მოსვლით, ალბათ, გრძნობ მიტო ეჭვიანობს, ნუ გაამტყუნებ, მიტოს ჩემს მეტი არავინ ჰყავს ჩემს ადგილს იმასთან ვერავინ დაიჭერს! — და ნაცრისფერი თვალებით პირდაპირ შეხედა. არჩილმა შეამჩნია: მოვალეობისა და გადაწყვეტილების მეტი იმ თვალებში აღარაფერი

დარჩენილიყო. ხმა არ ამოუღია სარკმლისაკენ გაიხედა. გარიჟრაჟის შუქი მოსჩანდა. არჩილი ადგა წასასვლელად, თალიკოს დაჰპირდა, უსათუოდ რომ ინახულებდა მიტოს.

*
* *

ივრის ხეობაში ხალხმა დილიდანვე იწყო დენა. მათი სხვადასხვანაირი სადღესასწაულო ტანსაცმელი მოწმობდა, რომ სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ წამოსულები. ხევსურების მოზრდილი ჯგუფი ერთად მოდიოდნენ, სიცხის მიუხედავად მძიმე შალის ჩოხები ეცვათ, გულზეამოქარგულ ფერად მძივებს და გრაგნილ ჯვრებს მზე უბრჭვიალებდა, შორიახლოს ქალები მოჰყვებოდნენ. ჭრელწინდებიანი დიდი ფეხებით მხიარულად მიარღვევდნენ მტვერს, თან მიმავალ მგზავრებს წითური სახეებით აშტერდებოდნენ და უღიმოდნენ.

ერთ-ერთ ჯგუფში მიჯირითობდა თავისი წაბლისთვალათი მარიამ ქიტიაურიტ. მოსული ხალხი მშენებლობის ირგვლივ იყრიდა თავს. ნაცნობები ერთმანეთს ესალმებოდნენ, ახალ ამბებს ყვებოდნენ, ხშირად კი მარიამისაკენ იხედებოდნენ, ნაცნობები განსაკუთრებული მორიდებით აძლევდნენ სალამს. უცნობებს ჩუმად აჩვენებდნენ, რომ ეს მშენებლობის უფროსის დედა იყო. მარიამიც გრძნობდა ამას, მაგრამ თითქოს არაფრად მიაჩნდა, იმისი ყურადღება არჩილისადმი იყო მიპყრობილი. სადაც არ უნდა წასულიყო, იმის მაღლააწეულ შავგვრემან სახეს ყველგან ხედავდა. გვერდით რაიკომის მდივანი ედგა. მარიამმა ისიც კარგად დაინახა, რომ თბილისიდან ჩამოსული მანქანიდან მთავრობის წარმომადგენლები გადმოვიდნენ. არჩილს უბრალო ამხანაგური ღიმილით მიუახლოვდნენ, არჩილმაც უკაცურ ჭალაში, როგორც თავის საკუთარ სამყოფელოში, ისე უბრალოდ მიიღო სტუმრები. ამის დანახვაზე მარიამს სიხარულით გული განივრად გადაუქანდა. თუ მწუხარების მორევა იცოდა, სიხარულს ძნელად უმკლავდებოდა. თვალებთან ცრემლი იგრძნო და ჩუმად, მოსახვევის ყურით შეიმშრალა, თედო მოაგონდა

„რა იქნებოდა, შენც მოსწრებოდი,— ფიქრობდა ქიტიაური. — გენახა შენი ქალამნიანი პატარა ბიჭი, რომელიც კოფოზე თავს ძლივს იმაგრებდა, ახლა იმის გაკეთებულ საქვეყნო საქმეს რამდენი ხალხი მოუყვანია“.

ფიქრი ნაცნობების მოახლოვებამ შეაწყვეტინა. რამდენიმე კახელმა ხელი ჩამოართვა.

— ძაან ბიჭი გაგიზრდია, მარიამ, — უთხრა ყველაზე ხნიერმა კახელმა და მარიამს მოურიდებლად დაუწყო ცქერა. აათვალიერა ფშაველი ქალი, რომელიც სხვებისგან არაფრით განსხვავდებოდა, განიერი ქვედა წელი ეცვა, დაკოჭრებული ხელები ჰქონდა.

— როგორ ასწავლე ამდენი, რომ ასეთ დიდ საქმეს დასჭიდებია?

— მე რაი ვიცოდი, გიორგი, მისთვის რომ მესწავლებინა. მთავრობამ გამოზარდა, მე მარტო გარჯასა და პატრონობას ჩავჩიჩინებდი.

ამაღლებულ ადგილიდან ახალგაზრდის მქუხარე ხმა ისმოდა:

— მარადიული სიცოცხლე უბრუნდება სამგორის ველს. უახლოესი ათი წლის განმავლობაში იგი უხვი მოსავალით მოამარაგებს ჩვენს ქვეყანას. ამიტომ სამგორის მშენებლობისათვის მზად არის მთელი ჩვენი დედაქალაქი მთელი ქართველი ხალხი.

სიტყვა დაამთავრა. არჩილი ირგვლივ იყურებოდა. ხედავდა, როგორ მაღლა შეემართა ყვითელთმიანი თავები ხევსურის ქალებს და ფართო ხელებით

ტაშს უკრავდნენ. ქალაქიდან მოსულ სტუმრებს და კახეთიდან ამოსულ, შავგვრემან სახეებს მისჩერებოდა, ძაგრამ ამ ხალხში უცებ თალიკოს წაბლისფერი თავი გამოარჩია. ნამდვილად ის იყო და ისევ ისეთი, როგორიც პირველად ნახა.

სიამოვნებისაგან სახე ჰქონდა ალეწილი და პატარა ტუჩები ოდნავ გაეხსნა. მხოლოდ ახლა საფეთქელთან ჩამოშლილი თმების გასასწორებლად არ ეცალა, ტაშს უკრავდა. გვერდით მიტო ედგა მხედრული იერით, იმასაც სახეზე კმაყოფილება ეხატა.

არჩილი მიხვდა, თუ რამ მიიყვანა და-ძმა, ისიც შეატყო, ამ დიდმა საქმემ შეარიგა და უყურადღებობა ეაავიწყა. ეს იყო მიზეზი, რომ მიტინგი მორჩა თუ არა, არჩილმა ხლვასავით გაშლილი ხალხი გაარღვია, წინ წავიდა, კამარაულებს მიუახლოვდა. იმის სიხარულისაგან ალმოდებულ სახეს ოდნავი სიამაყის იერიც ემჩნეოდა.

მიტოს და თალიკოს რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვა უთხრა, მერე შუაში ჩაუდგა, წინ წაიყვანა.

მთავრობისა და რაიონის წარმომადგენლებმა დაწნულ რკინის ბადეში ნიჩბებით ცემენტის ხსნარი ჩაყარეს, უსინათლოც მიუახლოვდა, დაიხარა და რამდენიმე ნიჩაბი იმანაც ჩაუშვა.

არჩილმა სტუმრები გააცილა, მერე დედასთან მივიდა და კამარაულებთან ერთად ეაიყვანა.

— აი დედაჩემი, უნდა გაგაცნოთ! — უთხრა მხიარულად. — პურის მოყვანაში შრომაქელებს ედავება. ვაშლისა და მსხლის მოვლა-შერჩევაში ბადალი არა ჰყავს, გულით და ავკარგიანობით კი ნამდვილი ოთარაანთ ქვრივია.

— რად შემადარე, შვილო, უბედურ დედას? — გაიცინა მარიამმა და დაძმას მორიდებით ხელი გაუწოდა.

უსინათლოც იღიმებოდა, მაგრამ აღელვებას, დაღლას, ეტყობოდა, სახე ისე მოეთენთა, რომ იმის ადგილზე თალიკოს მხიარული გამომეტყველება უმალვე ზრუნვით შეეცვალა. ასლის მივიდა, ჩუმად უთხრა, რომ იქვე კარავთან დადგმულ ტახტზე მოესვენა. მიტოც დათანხმდა, კარვისკენ მიმავალ და-ძმას მარიამმა სინანულით სავსე სახე დიდხანს ვერ მოაცილა. ხმას არცერთი არ იღებდა.

— დაილოცოს მაგისი ქალობა, რომ ძმას ასე თავს დასტრიალებს, — დაარღვია სიჩუმე მარიამმა.

— დედაჩემო, იმ უსინათლოს, თალიკოს მეტი არავინა ჰყავს, მარტოა, — უთხრა ჩუმად არჩილმა.

— რას ამბობ, შვილო, მაგის მადლიან საქმეს იმდენი მადლიერი ჰყავს ჩვენს ქვეყანაში, რომ მარტო არავის დაახარჩუნებს! — შეაწყვეტინა მკვახედ მარიამმა.

— მე მზრუნველობაზე ვლაპარაკობ, რაც უსინათლოსათვის არის საჭირო, ამიტომ თალიკომ პირად ბედნიერებაზე ხელი აიღო, და ძმას მიჰყვება რამდენიმე წლით.

გამოცდილმა ქიტიაურმა არჩილის ხმაში გაღიზიანება და დარდი შეამჩნია.

— მესმის, შვილო, მეც მაგ მზრუნველობაზე ვლაპარაკობ, ნაამაგარ ვაჟკაცისათვის ზრუნვასა და ამაგს არავინ დაიშურებს. — უთხრა ალერსიანი ხმით, მაგრამ არჩილი მოუთმენელი საქმიანი სახით უცქეროდა დედას. მარიამი შვილში თავისთავსა სცნობდა. გრძნობდა, რომ არჩილი ამ უხმო მზერით დედას პირდაპირ ეკითხებოდა, ვინ გამოჩნდებოდა ისეთი, რომელიც უსინათლოს მოსკოვში წაჰყვებოდა და ისეთივე მზრუნველობას გამოიჩენდა როგორსაც თალიკო. მარიამმა პასუხის ნაცვლად შვილს თვალი აარიდა.

არჩილი და-ძმისაკენ გაემართა. სკამზე ზურგმიყრდნობილი უსინათლო არ განძრეულა, მარტო ნახევრადმილეულ თვალები გაახილა. თალიკომ კი, რომელიც აქამდე მშენებლობას უმზერდა,

ნაცრისფერი მშვიდი თვალებით პირდაპირ შეხედა არჩილს. არჩილი დაფიქრებული იდგა, შუბლთან ჩაყოლებული ნაწიბური განსაკუთრებით მოუჩანდა და თავის წლოვანებასთან შედარებით დიდსა ჰგავდა. სამივეს დაბნეულობა ეტყობოდა, ამიტომ იმათ ერთად ყოფნას თანდათან სიხალისე ეკარგებოდა. ეს არც მარიამის გამოცდილ თვალს გამოჰპარვია. შორიდან კიდევ გაუგო შვილს ფიქრი და რაღაც ახალმა გადაწყვეტილებამ სახე უმალვე შეუცვალა. სწრაფი, მხნე ნაბიჯით გამოემართა.

— შვილო! — შესდგა არჩილის გვერდით, თან მღელვარების დასამალავად მოსახვევი გაისწორა. — დღევანდელმა დღემ, ასე მგონია, ორი შვილი კიდევ შემმატა. დღეის შემდეგ, მიტოს მე გავუწევ დედისა და დის მაგიერობას, მართალია, ცოტა ვიცი, ცოტა გამეგება, მაგრამ თუ სასწავლებლად მოიწადინებს წასვლას, იქაც გავყვები.

არჩილმა კუნთმაგარი, დედის ალერსს შეუჩვეველი ხელი [illegible] ასწია და მარიამს მოხრილ მხარეზე შემოჰხვია.

— დედაჩემო, შენ მაგით იმის თქმა გინდა, რომ მაშინ თალიკო ჩემთან დარჩება!

გაიცინა და გამხიარულებულ სახეზე ჭრილობის ნაწიბური თითქმის გაუქრა. მაგრამ ლაპარაკი უსინათლომ შეაწყვეტინა:

— არჩილ, მე კი დღევანდელმა დღემ თითქოს თვალებში შუქი ჩამიყენა და სიცოცხლე ხელმეორედ დამიბრუნა. დღეს ისე ცხადად ვხედავდი შენგან დაწყებულ უზარმაზარ სარწყავ სისტემას. ახლა კი ისე ნათლად ვხედავ ფშაველ მოხუც ქალს, რომელმაც ბევრი იცის, ბევრი გაეგება, კეთილი გული აქვს და შრომისაგან დაკოჟრებული ხელები.

უსინათლომ მკლავების ფათურით მოსძებნა მარიამი და მის მოხრილ მხარზე საამბოროდ დაიხარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაჩაგურ აბოვიანი

სომხეთის წყლული[1]

★

აღასი

დაე, გამგონი არ გაბოროტდეს და ხელიც არ აღაპყროს აღასის საცემრად. სხვებსაც აქვთ ასეთი ბოროტი ენა, ასეთი ბოროტი ენა სხვა ადამიანებსაც აქვთ, მაგრამ აღასისთანა კარგი ხასიათი, კეთილი გული და სული ცოტას თუ ექნება. უკვე წლოვანი გამხდარიყო, ოც წელზე მეტი ხნისა იყო, მხოლოდ მშობლების წინაშე უმანკო კრავივით იქცეოდა. არასოდეს მათი სიტყვა არ გაუტეხნია, არასოდეს იმის პირიდან მწარე სიტყვა არავის გაუგონია, თვალს რომ თვალში გაუყრიდა, უმალვე მიხვდებოდა მათ საწადელს და მზად იყო თავი გაეწირა, რათა შეესრულებინა მათი სურვილი. სოფლელები ყველანი იმის მზით იღიმებოდნენ, იმის თავს ფიცულობდნენ. ყველას თვალი მისკენ ჰქონდა მიპყრობილი, მას ასხამდნენ ქებასა და ხოტბას, იმას ლოცავდნენ. ვისმეს თუ რაიმე განსაცდელი შეემთხვევოდა, ან რაიმე დარდი შეიპყრობდა, აღასი თავს დასდებდა მისთვის. პირიდან ლუკმას იღებდა, სხვას მიაწოდებდა. საკუთარ მინდორ-ველს, საკუთარ საქონელს ისე არ ჰპატრონობდა, როგორც მეზობლისას. მამასახლისის შვილი იყო, ღარიბ-ღატაკის ამხანაგი. ობოლი თუ მოადგებოდა იმის კარს, სუფრას გაუშლიდა, ან საფულეს გაუხსნიდა, ვისაც გუთანი არა ჰქონდა, თავისას ათხოვებდა; ვისაც ხარი, ან მეხრე არა ჰყავდა, საკუთარს უგზავნიდა, ვისაც ფული არა ჰქონდა მუშის დასაქირავებლად, რათა ვაზი გაესხლა, ორმოები ამოეთხარა, დაემარხა, ან წალამი გამოეტანა, თითონ პირველი მიიჭრებოდა დასახმარებლად, სოფლის ბიჭებს შეკრებდა და იმათ საქმეს აკეთებდა დაუპატიჟებლად, უთხოვნელად, და როცა ვენახის პატრონი მივიდოდა თავის მამულში—სახტად რჩებოდა, იმის მზეს ლოცავდა და დიდიხნის სიცოცხლეს სთხოვდა მეუფეს; ბევრი მშობელი ნეტარებას უთვლიდა იმის მშობლებს, რომ ასეთი კეთილი შვილი ჰყავდათ. სადაც ღრეობა-ქეიფი ან სუფრა გაიშლებოდა, ის სუფრის თავში იჯდა, ქეიფისა და მხიარულების სულისჩამდგმელი ის იყო.

მისი ლერწამისებური ტანი, შავი თვალები, კალმით დახატული წარბები, შეუდარებელი იყო... მისი მოთაფლული ენა, ტკბილი ხმა, განი-

---

1 მიმდინარე წელს შესრულდა ასი წელი ხაჩატურ აბოვიანის დაღუპვიდან. ხ. აბოვიანის უდიდესი ნაწარმოებია პატრიოტული რომანი „სომხეთის წყლული", რომელიც ერთერთი პირველი ნაბიჯია სომხურ ლიტერატურაში ხალხური ენის დამკვიდრებისათვის, მასში ასახულია სომეხი ხალხის მწვავე ტკივილები და მისი მტკიცე რწმენა სომხეთის უკეთესი მერმისისადმი.

ვბეჭდავთ ნაწყვეტებს ამ რომანიდან.

ერი მხარ-ბეჭები, მაღალი შუბლი და ოქროსფერი ხუჭუჭი თმა—კაცს გონებას უკარგავდნენ, მნახველი უმზერდა, მზერით ვერა ძღებოდა. ფანდურს აიღებდა თუ არა ხელში—ქვას, ღრეს, ხეს, ლოდს, სიცოცხლეს ჩაჰბერავდა, ენას ჩაუდგამდა. მართალია, მზეს პირისახე დაეწვა მისთვის, ფერი გამოეცვალა, მაგრამ გაცინებისას — როცა თვალ-წარბს გახსნიდა, ისე გეგონებოდა—ვარდი გაიფურჩქნაო, პირისახიდან ნათელს აფრქვევდა. მისი თოფის ტყვია არასოდეს უნაყოფოდ არ ჩაივლიდა. კეთილი გულის პატრონი იყო, ტყუილ-უბრალოდ ფრინველს არ მოჰკლავდა, ჭიანჭველას არ გასრესდა...

ისეთი ღონიერი იყო, კაცს რომ ქამარში ხელს ჩაავლებდა, წიწილივით მაღლა აიტაცებდა, შემოატრიალებდა ჰაერში და ისევ ძირს დაუშვებდა. ცხენზე შეჯდომის დროს ხელს რომ აღაპყრობდა, ცხენი დაიზნიქებოდა ხოლმე და ზურგს მიუშვერდა. ხუთი კაცი რომ მისეოდა, ადგილიდან ვერ დასძრავდა. კამეჩს, ან ხარს ხანჯალის ერთი მოქნევით თავს ისე მოაგდებინებდა, რომ ხანჯლის წვერი მიწაში ჩაისობოდა. ბევრჯერ ოც უწმინდურს ხმლის ქარქაშით განდევნიდა. უწმინდურებს იმისი სახელის გაგონებაზე ნაღველი უსკდებოდათ. ზოგჯერ, ჩხუბის დროს—იმის ხმას გაიგონებდნენ თუ არა, ბუზივით გაიფანტებოდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და ისე მიიმალებოდნენ. მეტ სახელად ასლან ბალასის ეძახდნენ. ხელებშებოჭილი უწმინდურთა შორის რომ გაგეშვა, თავის გადარჩენას მაინც მოახერხებდა.

მაგრამ ამდენი გასაოცარი თვისებების მქონე ის ბავშვთან ბავშვი იყო, დიდთან — დიდი. ხანის, შაჰის წინ ისე წარსდგებოდა, ისეთ პასუხს გასცემდა, რომ გეგონებოდათ მეფის შვილიაო.

სიცილი და მხიარულება მის სახეს არ სცილდებოდა, წმინდა, [illegible] და, დამშვიდებული სინდისი, [illegible] სული, მისი თითოეული სიტყვა—ძვირფასი განძი იყო ადამიანისათვის. ბევრ დედას თვალი რჩებოდა, რომ იგი თავის სიძედ გაეხადა, თავს შემოვლებოდა.

მთელი სოფელი ისე იყო მისდამი სიყვარულით აღზნებული, რომ სიმღერაც კი გამოეთქვათ მასზე, თვითონ მღეროდნენ და ბავშვებსაც ასწავლიდნენ ამ სიმღერას.

ალასი და სარდრის ფარეშები

... უკვე შუადღე იყო. სიცივეს ძვალი გასტეხოდა, თბილოდა. მთა და ბარი ვერცხლისფრად ლაპლაპებდა, ბრწყინავდა. ამ დროს, ვინც ქანაქერში ამოვიდოდა, იტყოდა: პირდაპირ სამოთხეში მოვხვდიო.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა მზეზე გამოსულიყო. ბანებსა და ერდოებზე ისხდნენ, ქეიფობდნენ, ღრეობდნენ. ახლადმოსულს ეგონებოდა, თითქოს ამ ხალხს არასოდეს არც დარდი ჰქონია და არც მწუხარება, თითქოს თითოეულ მათგანს ას-ასი თუმანი ჯიბეში უდევსო, ერთი ჯგუფი ფერხულში იყო ჩაბმული, მეორე ნაწილი სიმღერით აყრუებდა მთა და ბარს, მესამე კიდევ ბანს აძლევდა და ასე... აქ ზურნას უკრავდნენ, იქ წრელახტსა თამაშობდნენ, ფალავნები ერთი მეორეს ექიშპებოდნენ და მკითხავები ქაღალდსა შლიდნენ. პატარა ბავშვები ბურთაობდნენ, დამალვიას ან ომობანას თამაშობდნენ. დაირის, ღოლისა და ზურნის ხმას ქვეყანა გაეყრუებინა.

აღასისაც ქეიფი გაეთავებინა, დამკვრელთა დასტა წინ წამოემძღვარა,

ერთი ათიოდე ცხენოსანით მოვიდა, სოფლის შუაგულში გაიარა, მიდიოდა კალოებისაკენ, სწორ მინდორზე, წისქვილებთან, რომ თავისი შნო ეჩვენებინა ჯირითში. ისე მიდიოდა, როგორც უფლისწული. დიბა-ატლასის ჩოხა-ახალუხით, თოფი—მხარზე, ხმალი—გვერდზე, სავაზნე—წელზე, მწვანე შარვლით, ქალაღაიას ხელსახოცი ყელზე მოეხვივნა. ნულაური შავი ფაფახი გვერდზე ჩაეკეცნა, ოქროსფერი თმები ჰქონდა. აბრეშუმისებური გრძელი ულვაშები ყურებამდე გადაეგრიხნა. ყველა იხიბლებოდა მისი სილამაზით და ვაჟკაცობით. სოფლელებმა დაინახეს თავიანთი აღასი და ტაში ტაშს შეჰოჰკრეს, ჩამოუარეს, ერთმანეთს გადასძახეს, მიულოცეს აღასის და სიმღერა დააგუგუნეს: „აღასიჯან, თავს შემოგევლეთ, ამ ჯამით დავლევთ შენს სადღეგრძელოს, იცოცხლე და იხარე დიდხანს. წადი, ჩვენც ახლავე გეახლებით“.

ყველა კუთხიდან მოისმა აღასის სადღეგრძელო. კეთილშობილი ,ახალგაზრდაც სალამსა და სადღეგრძელოზე ზრდილობიან პასუხს ღიმილით და ალერსიანათ აძლევდა.

შორიდან მოსჩანდა გმირი აღასის ჯირითი: ქორივით მიაჭენებდა თავის რაშს. ხანდახან გაჭენებული ცხენიდან გადმოხტებოდა, ან ცხენის ზურგზე ცალი ფეხით შედგებოდა, უნაგირზე შეხტებოდა, მიწას დასწვდებოდა. — ზოგჯერ ამხანაგს ისე ააცლიდა ქუდს, რომ ის ვერც კი გაიგებდა. ზოგჯერაც უნაგირზე ორი ფეხით შემდგარი მიჰქროდა ჰაერში. ნეტა იმ თვალს, რომელიც ამ დროს უყურებდა აღასის და სტკბებოდა — სიამოვნებასა გრძნობდა; აქაიქ გაისმოდა შეძახილები: „ჭირიმე შენი, აღასი-ჯან, შენ გენაცვალე! ნეტავი დედა შენს, რომ შენისთანა შვილი შობა. ალბათ ათასმა წლებმა უნდა განვლონ, რომ კვლავ იშვას შენისთანა ყოჩაღი ახალგაზრდა“. ტაშიცემითა და სიცილ-ხარხარით გეიქეთ-ლენ სეირის მაყურებელნი.

უეცრად, ამ ქეიფისა და ღრეობის დროს, გაისმა სამწუხარო ამბავი, თითქოს მეხი გავარდა, ან ზეცა ჩამოინგრა, ან ზარბაზნის გრიალმა დააყრუა მთა და ბარიო: „წაიყვანეს, მოიტაცეს, ვისაც ღმერთი გწამთ, მოდით, მომეშველეთ, მიპატრონეთ. ჩაძქოლეთ, შემომიცვივდნენ, ოჯახი დამიქციეს — თვალის სინათლეს მტაცებენ, გულს მიღადრავენ. დაე, მოდით ერთი, მიშველეთ, ვინც ხართ ქრისტიანები. ეს რა ცეცხლი დატრიალდა, ეს რა გენია გაგვიჩნდა... ვაიმე, მზე და მთვარე დამიბნელდა. ამას რას ვხედავ... ხმალი და ხანჯალი გაგიტყდეთ. თქვენი გზა და კვალი ნარ-ეკლით შეიმოსოს. ვაი ჩემ თავს! ვაი ჩემ მოსწრებას!.. რომელ წყალში გადავარდე? რა ჯანდაბას მივცე თავი?.. მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს, დამთხარეთ თვალები! დამჩიჩქნეთ, ბუდიანად ამომთხარეთ... მომტაცეს გულისვარდი!.. მიშველეთ!.. ღმერთო!.. ეს რა ცეცხლი დამატყდა თავზე? ღმერთო, მიიღე ჩემი სული, აღარ მინდა აღარ, ერთი სული არ მოგიცია? დაე ესეც შენი იყოს. მიშველეთ, მიშველეთ. ზეცავ, ჩამოინგერ მალე და ქვეშ მომიყოლე. შეგირცხვეთ ნამუსი, შეგირცხვეთ ქუდი, თუ ერთი ხელი არ გაანძრიოთ და დამეხმაროთ, შეგირცხვეთ ვაჟკაცობა: რას გაშეშებულხათ? რამ გაგაქვავათ? თაგუიჯან, შენ გენაცვალე, თავს შემოგევლე... თაგუი... შენს სახელს ვენაცვალე... თაგუიჯან, შენი ჭირიმე... მაგ დიდრონ მაყვალა თვალებს დავენაცვლე! თვალის ჩინივით იმიტომ გამოგზარდე, რომ ამ დღეში ჩავარდნილიყავი?.. დაე, მე მომკლან... ეგ ხანჯალი მე ჩამცენ გულში... დაე, შენ ფეხქვეშ მომკლან მეც, შენ ფეხქვეშ დავლიო სული... დაე, მე დავიმარხო... და, შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ საცა უნდა იქ წაგიყვანონ... ნეტა შენი გაჭირვება არა ვნახო და მე კი თუ გინდ ჯოჯოხეთმა შეთანთქოს“...

ამ საზარელ ხმაურობაში ერთი კაცი თათრულად სტუქსავდა, ხმამაღლა უყვიროდა, რომ ხმა ჩაეწყვიტნა. „აბა, ხმა გაჰკმინდე, შე კუდიანო, შე ძაღლის შვილო, შენა... ურჩობა რას გიშველის, სარდარის ბრძანებაა. თქვენი ქალი უნდა წავიყვანოთ... მას მივგვაროთ, რა სათქმელი გაქვთ, ან რა შეგიძლიათ: სარდარის ბრძანებას მთაც კი ვერ აღუდგება წინ. თორემ თქვენ ვინა ხართ, ან რას წარმოადგენთ?“

ხალხს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, ყველა მიხვდა, თუ რა ამბავი დატრიალდა, სარდარის ფარეშები მოსულიყვნენ, ქალის გასატაცებლად. ვინ გაბედავდა კრინტის დაძვრას? ყველიერი გლოვის დღედ გადაიქცა. ბავშვები ტირილით გაიქცნენ შინისაკენ, ქალებმაც კარები მაგრად ჩაიკეტეს და მაჭრის ქვევრებში ჩაძვრნენ, ან სხვენებზე დაიმალნენ, ან კიდევ ბზის და თივის ზვინებში გაიყუჩნენ. ბევრმა გაიწია დასახმარებლად, მაგრამ ვის რა შეეძლო! სარდარის ბრძანების შეუსრულებლობას ვინ გაბედავდა. საკმარისი იყო, ვისმეს კრინტი დაეძრა, მის სახლ-კარს მაშინვე გადაჰბუგავდნენ. თვითონ კი სიცოცხლეს გამოასალმებდნენ, ოჯახის წევრებს ამოუჟლეტდნენ. ღმერთმა ნურავის აღირსოს საზიზღარი მტრის ხელში ჩავარდნა! კაცმა თავი რომელ ქვას ახალოს? როგორც მოესურვებოდათ, ისე მოექცევოდნენ. სამართალი არ არის, კანონი არ არის და სომხის ხალხიც მსხვერპლად ეწირება ამ უსამართლობას: ქალს იტაცებენ, ვაჟიშვილი მიჰყავთ და ხშირად ამაჰმადიანებენ კიდეც. ზოგს თავსა სჭრიან, სწვავენ, აწამებენ. არც სახლია მისი, არც კარი, არც საქონელი, არც შვილი და არც ცოლი. საკვირველი ის იყო, რომ ასეთ შემაძრწუნებელ დროს ეს ხალხი კიდევ მხიარულობდა და პირზე ღიმილი მოსდიოდა.

როგორცა ვთქვი, ასამდენ ... ეყარა თავი, კედელს ამოფარებოდნენ და გულხელდაკრეფილნი შესცქეროდნენ ამ საზარელ სურათს. ტირილგოდებას მოეცვა ქვეყანა, ფარეშები გაცოფებული ძაღლებივით იღრინებოდნენ, ბევრჯერ თოფებს უმიზნებდნენ, მზად იყვნენ სასროლად, მაგრამ, რამდენჯერაც გარეკავდნენ, ხალხს, ის დამფრთხალი ცხვრებივით კვლავ თავს მოიყრიდა ხოლმე. აუწერელი იყო საცოდავი დედის მდგომარეობა, მიწას და ნაცარს იყრიდა გაწეწილ თმებზე, ღაწვებს იკაწრავდა ფრჩხილებით, სისხლიანდებოდა. წიწილადაკარგულ კრუხივით ერთი კუთხიდან მეორეს ეხეთქებოდა, ხელებს თავპირში იცემდა, სახეს იკაწრავდა. ისე მოქანცულიყო, ისე დაოსებულიყო, რომ აღარც მუხლში ღონე შერჩენოდა, აღარც თვალში სინათლე და აღარც პირში ენა, გამხეცებული ფარეშები უმოწყალოდ სცემდნენ თავსა და გვერდებში, სცემდნენ მუშტით, თოფის კონდახებით, მაგრამ დედა მაინც არ შორდებოდა თავის ლამაზ გოგონას.

— თაგუი, თაგუი, ქვეყნის თვალო თაგუი, მთელ ქვეყანაზე ულამაზესო, დაუჭკნობელო ყვავილო, რა ენა უნდა იყოს, რომ შენი სილამაზე, — სიტურფე ასწეროს.

სავსე მთვარესავით ნათელმოსილი პირისახე, რომელიც მზესავით ანათებდა და ვარდივით ბრწყინავდა, ახლა თეთრი პირკალივით გაციებულ-გაფითრებულიყო. მისი ცისფერი თვალები, რომლებიც მნახველს სწვავდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ—ახლა კეფაში ჩასძრომოდნენ, დახუჭულ-მიმქრალიყვნენ...

— თაგუიჯან... ჩემო დედისერთა შვილო თაგუიჯან, ანგელოზივით ალალ-მართალო, შენ გენაცვალოს დე-

დის ორთავ თვალები, რას დადუმებულხარ, თვალები რატომ აგიპყრია ზევით, ჩემო უმანკო შვილო, რას ხედავს ჩემი დასამიწებელი თვალები?..

თაგუის შავი წარბები, ლამაზი ცეცხლგამჩენი თვალები, ბროწეულისებური ლოყები, წვრილი, კალმით დახატული ტუჩები, ნათელი შუბლი, მარმარილოსებური ცხვირი, ბულბულის ენა, მისი ოქროსფერი ყელი. დიახ, ყველა ეს გაყინულიყო, გაქვავებულ-დამუნჯებულიყო... არამი ხელი, როგორც კი შეეხო მას, იგი მაშინვე ჩაიფერფლა... ფარეშებმა ვერც კი მოასწრეს გოგონას კარამდე მითრევა, რომ იგი სწრაფლ ჩაიკეცა, მოდუნდა, დაკლული ქათამივით დაიფრთხრიალა და კისერგადაგდებული დაეცა. ოქროსფერი თმების ნაწილი პირისახეზე კადაჰფარებოდა, დანარჩენი აწეწილ-აბურდული გაეშალა დედამიწაზე... ერთი ფუნთუშა ხელი გულზე ედო, მეორე კი ძირს მიწაზე გაეშალა. ნერწყვგამშრალი, სუნთქვაშეკრული უგონოდ გაშხლართულიყო საბრალო გოგონა...

მაშ რა ექნა, მანამდე იმის ყურს ერთი მწვავე სიტყვა არ გაეგონა, იმის თვალს ერთი მწარე დღე არ ენახა, იმის პირისახეს არავის ბილწი ხელი არ მიჰკარებოდა, ვარდივით გაფურჩქვნილი, იასავით გაზრდილიყო, ჯერ ფეხი ქვისთვის არ წამოუკრავს, თითში ეკალი არ შერჭობია. თხუთმეტი წლისა იყო, მაგრამ ჯერ მის უმანკო სულსა და გულს ქვეყნის ავ-კარგი არ უგრძვნია. იმის ტოლ-ამხანაგი გოგოები მალი-მალ ერლო-ბანებზე გამოიშლებოდნენ ხოლმე, ის კი დედის გვერდს არ მოშორებია, ქსოვდა, ჰქარგავდა, ჰკერავდა, ან სახლსა და კარს უვლიდა, საქონელს პატრონობდა. ფრინველს რომ მის თავზე გადაეფრინა, ის შიშისაგან აკანკალდებოდა, ცახცახს დაიწყებდა. შევარდებოდა ოთახში და გულგახეთქილი დაიმალებოდა, თავის აჩრდილისაც-კი ეშინოდა. დედას რომ თითი წამოსტკენოდა, საცოდავი პირდაპირ ბალაბანზე [illegible] ბალახზე დაჩოქილი ღმერთს ევედრებოდა დედის განკურნებას. მათხოვარის დანახვაზე, ლამის თავისი ლუკმა მიეცა, რათა მასაც დაელოცა იგი. ბაღში მიდიოდა იმ დროს, როცა ღამე და დღე ჯერ კარგად არ იყო გაყრილი. ბრუნდებოდა მაშინ, როცა უცხო ფეხი უკვე შეწყდებოდა. თუ ვისმეს უნდოდა მისი დანახვა, უეჭველად ხეს ან კლდეს უნდა ამოჰფარებოდა, ისე დაენახა მალულად და დამტკბარიყო მისი სიკეკლუცით, სიმშვენიერით. ყვავილებსაც კი უხაროდათ, როცა იგი ფეხს ადგამდა მათ, ისინი მხიარულად იშლებოდნენ—იფურჩქნებოდნენ. ბატკანს რომ ნაზ ხელს გადაუსვამდა ზურგზე, ეგონა ადამიანის ხელი კი არა, ანგელოზის ხელიაო. ბევრჯერ მის მუხლებზე ჩაეძინებოდა, იმის სურნელოვანი ხელით ცვრიან ბალახს აკანტუნებდა. ყოფილა შემთხვევა, გოგონას ჩასძინებია ბაღში, ხის ან ხეივნის ქვეშ, ყვავილნარის მინდორზე, თუთის ხის ქვეშ, პატარა მდინარის ნაპირზე და, როცა მას ეძინა—გეგონებოდათ—ციური ნათელი იყო მიმოფენილი ირგვლივ, ზოგჯერ იმის ძილის დროს დედა ფეხაკრეფით მიუახლოვდებოდა მას, ან თავს კალთაში ჩაიდებდა, ან დაახურავდა, პირჯვარს გადასწერდა, რომ ტკბილად სძინებოდა, დაესვენა. ნანას უმღერდა. საღამო ჟამს კი ფრთხილად გამოაღვიძებდა, რათა დედაშვილი ერთად ხელითა და ყვავილების თაიგულებით დატვირთულნი სახლში დაბრუნებულიყვენ. გოგონას ერთ ხელში იის თაიგული ეჭირა ხოლმე, მეორეში ვარდისა და ის მაშინ სწორედ ანგელოზი გეგონებოდათ. საღამოს ნაზი სიო მის პირისახეს, მის ოქროსფერ თმებს არ შორდებოდა, უალერსებდა. სულ უნდოდა, რომ მის

ირგვლივ ენაცარდნა, მასთან ყოფილიყო, ბულბულს თავის სანუკვარი ვარდი დავიწყებოდა და, მუდამ ცდილობდა ამ მზეთუნახავ ქალისთვის ემღერნა, ეკვნესა, დამტკბარიყო იმის სიყვარულით. ხანდახან, როცა იკი დაიწყებდა სიმღერას, გეგონებოდაო ანგელოზები გალობენო.

ნეტა რომელი ერთი ჩამოთვალო? იმისი თითოეული მიხვრა-მოხვრა, თითოეული სიტყვა, მზერა, თვალის დაბამბამება ან ტუჩის შეთამაშება—პირდაპირ სასწაული იყო. ცეცხლოვანი თვალები, ბაგენი, ალისფერი ლოკები, ოქროსფერი თმა, ლერწამ ტანი, უმანკო ღიმილი, თეთრი ბროლივით ყელყური და კბილები. — მნახველს პირდაპირ აგიჟებდა. მართლა გულქვა ადამიანი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი ანგელოზის უბედურება ენახნა და ცრემლად არ დაღვრილიყო, გული არ ასტოკებოდა, თავ-პირში არ შემოერტყა, გრძნობა არ დაეკარგა, მუშტი არ მოემარჯვებინა. მაგრამ ამ სოფლის გლეხობა გაქვავებული იდგა, კრინტს არ იღებდა, მდგომარეობას შერიგებოდა.

ფარეშებმა, როგორც კი დაინახეს, ლედაშვილი უკვე კარგა მოიქანცნენ, არაქათი გამოელიათ და კრინტს აღარ ძრავენნ, გადასწყვიტეს ორივენი შეესხათ ცხენებზე და ისე წაეყვანათ, მოეშორებინათ ამ არე-მარეს. ცხენები მოიყვანეს კარებთან და ის ის იყო ადგილს უმზადებდნენ ორივეს, როცა უეცრივ ჰაერში ხანჯალმა გაიელვა და ერთი ფარეშის თავი დაენარცხა მიწაზე და დაიწყო ლულლული, ამას ჯერ ხმა არ ჩაეწყვიტა, რომ მისმა მეორე ამხანაგმაც იგივე იგემა. „აღასი, რა ჰქენ; ჩვენი ოჯახი დააქციე, აღასი, შეჩერდი, შეიბრალე შენი მოხუცებული მამა, მთელი ოჯახი ლედიან-ბუდიანად ტყვეთ წახვალთ, ცოდო ხარ... ღმერთო, ეს რა რისხვა დაგვატეხე

თავზე. ყოვლისშემძლე დიდო წმიდა გიორგი, წმიდა კარაპეტ, შენ დაგეხმარე. ბიჭებო, აბა დაიკარგეთ აქედან, წადით მალე, რომ თქვენი ნიშანწყალი არსად ჩანდეს. ერთერთმა გაირბინეთ მაძასახლისთან, აი, დაექცეს მას ოჯახი, შხამად შეერგოს ღვინო და ქეიფი იმასაც და ქედხუდებსაც. კაცო, რადროს ქეიფი და ღრიანცელია... ეი, ბიჭო, ვათო, გაიქე, მალე, გაფრინდი, აცნობე ეს ამბავი, აგერ საცაა მოვლენ და ჩვენ ყველას საპყრობილეში ჩაგვყრიან. აღასი, აღასი, აი არ დაბრმავდე შენ, აღასი, გაიქეცი, მალე გაიქეც, მაგ ძაღლებს თავი გაარიდე. მოშორდი საჩქაროდ აქაურობას ეგ რა ჰქენი? ეგ რა ჩაიდინე? რად ამოგვიქოლე სახლის კარები, რად დაგვიქციე ოჯახი, შე საწყალო, აღასი“...

მაგრამ თოფი და ზარბაზანი რომ დაგეცალა სულ ერთია, აღასი ვერაფერს გაიგებდა, ისე გაშეშებულიყო, გაქვავებულიყო. სისხლი თვალებში მოსწოლოდა, გმირი ახალგაზრდა სწორედ ასეთ დროს ელოდა. მისი სურვილი იყო, რომ თავის მკლავის და ხანჯლის ძალა ეჩვენებინა. მაშ რაღა ღღისთვის ატარებდა ხმალ-ხანჯალს? ჯირითის ადგილზე მოესმა, რომ სოფელი აფორიაქდა და მაშინვე აქეთ გამოსწია. „ბიჭებო, იქ რაღაც ამბავია, წავიდეთ მალე, ყველიერი ჩაგვიშხამესო“, — სთქვა და მოახტა ცხენს. ლომივით შეიჭრა ბრგე ვაჟკაცი. ორს რომ თავი მოჰკვეთა. დანარჩენებმა ხმლები იშიშვლეს, მაგრამ, აღასიმ რომ ერთი დაიღრიალა, ყველა იმ წამსვე გაქვავდა: „ჯოჯოხეთის მაწხალებო, ვინ გამოგგზავნათ აქ, ვისზე ხართ ეგრე გაცოფებული? თვალებს დაგჩიჩქნით, ეხლავე მოშორდით, თორემ წიწილასავით იფრთხრიალებთ ჩემს წინ, სანამ ეს მარჯვენა მიჭრის, აქედან თქვენ ერთ ძაფსაც ვერ წაიღებთ“. სთქვა და ერთს მხარი ჩამოა-

თალა, მეორეს კი ნაწლავები გადმოაყრევინა, დანარჩენმა ექვსმა, დაინახეს რა ეს მდგომარეობა, ცხენებს მოახტნენ და სწრაფად გაჰქუსლეს ერევნისკენ.

„მოდი, შენ პირისახეს ენაცვალოს აღასი, მოდი თაგუიჯან, ჭირიმე შენი, მაშინ აღასი მკვდარი უნდა იყოს, ძვლები ჩამპალი და დამიწებული ჰქონდეს, რომ შენს ერთ ლამაზ ბეწვს ვინმე შეეხოს, უბრალოდ ხელი გახლოს... ვაი ჩემ თავს, ჩემ სიცოცხლეს, როგორ გაციებულა, როგორ უმოძრაო გამხდარა. თაგუიჯან, შენი ჯანის ჭირიმე, აჰა, ჩემი სული, დაე, მე მოვკვდე შენ იცოცხლე, გაახილე თვალები დედაშენს ყელს ნუ გამოსჭრი“, — ალერსიანად ეუბნებოდა მოსიყვარულე ახალგაზრდა და თან ცხარე ცრემლებს აფრქვევდა.

წყლის მოსატანად წავიდნენ. აღასი კი გულხელდაკრეფილი გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე. მიახლოვებას ვერა ბედავდა, ხელით შეხების უფლებას არ აძლევდა თავის თავს, დედას გადახედავდა, დედა კიდევ ხმას არ იღებდა. ეზოში კი დახოცილთა გვამები ეყარა, გარეთ სულიერი ადამიანი აღარა სჩანდა, ყველა გაქცეულ-გაპარულიყო, მთა-ღრეში გასახიზნავად, რომ თავი გადაერჩინათ სარდარის შურისძიებისაგან. ... ძალლების ღმუილი, მამლების ... ქათმების ... ეუბნებოდნენ აღასის, რომ ისიც სასწრაფოდ მოშორებოდა ამ არე-მარეს. წასულიყო ბამბაკს, თბილისს, ან რუსთა ქვეყანაში. „ამ მხარეს შენი მზე უკვე ჩაესვენა... ტყვია და შენი ჯანი... სანამ ხალხის მოძრაობა შეწყვეტილია, აღვირი ხელთა გაქვს, მუხლებში ძალა შეგწევს და პირში სული გიდგას,—მალე გაიქეცი, წადი, მოშორდი აქაურობას. დარჩე, თუ წახვიდე — სულ ერთია, თქვენი ოჯახი მთლიანად ამოიჟლიტება... შენი თავი მაინც გადაარჩინე... მამაშენს ხომ შენს მეტი არავინა ჰყავს, წადი, თავს უშველე, ბიჭო, სარდარს ფარეშები მოუკალი, ცოტა რამ ხომ არ ჩაიდინე. მაგ სისხლს შენ მოგთხოვენ — გაზღვევინებენ, მათი პატრონები ახლა გაცოფებული, დაგეშილი ძაღლებივით შენსკენ გამოილაშქრებენ. რაღას გაქვავებულხარ, რას ელოდები, ვიღას უყურებ? რამდენი ცხენი გყავს, შენც იარაღასხმული ხარ, ერთ ლუკმა პურს საცა იქნება იშოვი, გაიქეცი მალე!“

თარგმანი: **არტ. დავითიანისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან სულავა

მთებში

★

ეს მშობლიური მთებია, მხრები რომ გათეთრებიათ,
რაც კი რამ მიოცნებია, მათ შევადარო მეღირსა,
შორს, ღრუბლები რომ მიდიან, — მთის მწვერვალების კიდეა
და იქ ტაძარი ჰკიდია, როგორც დაცემა მეხისა.

წინ ბილიკია გართხმული, მივყვები ფიქრში გართული
და მთები წამომართული ჩემს გულის ძგერას ახშირებს,
ღრუბლები ისევ მიდიან... მთაზე ტაძარი ჰკიდია,
მასზედ ოცნება ხიდია, ამ მთებთან რომ მაკავშირებს.

იკურთხოს მისი მარჯვენა, ვინც სიდიადე გვაჩვენა, —
აქ ეს ტაძარი აშენა და მთებს დააწყო თაღები;
— მიყვარს,
სამშობლოს მთებია!
თუმც მხრები გათეთრებიათ, —
მაინც ვერ მიჰკარებია მათ მტერთა ბაირაღები!

დგას ჩაფიქრებით მხცოვანი, ტაძარი ათასწლოვანი,
გზა მიუყვება კლდოვანი, ღრუბლები შორით წასულან.
ამ ცაადაღმართულ კლდეებზე. მთებსა და სიმაღლეებზე
ვერც სიკვდილს აუღწევია, ვერც დავიწყება ასულა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიკარპე კაკაბაძე

დიმიტრი მეორე

ტრაგედია ხუთ მოქმედებად

★

მოქმედება პირველი

ტფილისი. ქეჩა კათალიკოსის სახლის წინ. ზოგი სახლის წინა პირი დაზიანებულია. ცისკრის ჟამია. ერთ კუთხეში სხედან მათხოვრები. შემოდიან ქალაქის მოურავი და კარისკაცნი. მოქმედება სწარმოებს 1285 წელს.

I კარისკაცი—ზიანი არ აქვს უნეტარეს მღვდელთმთავრის ბინას.
თუმცა, თვენც ხედავთ, ამ უბანში მიწისძვრისაგან
მრავალი სახლი დანგრეულა.

II კარისკაცი— ცოცხალი სულიც
ურიცხვი არის დაღუპული.

I კარისკაცი— ჩემს ცხოვრებაში
ბევრჯერ მსმენია ცხარე ბრძოლის გადახდის შემდეგ
ველზე დამდგარი კვნესა, ურვა დაჭრილთა, მაგრამ
იქ ცნობილია ყოველივე უბედურების
მიზეზი,—თითონ უგნურება და ცოდვა კაცთა,
აქ კი ეს რისხვა მშვიდობიან ერს თავს დაატყდა
მოულოდნელად, აუხსნელად. ქალნი და ბავშვნი
თავის საკუთარ და საყვარელ ჭერით, კედლებით
დაგლეჯილები სულსა ლევენ ცის მიმართ კითხვით.

II კარისკაცი—გადარჩენილნიც უსახლკაროთ სიკვდილს ნატრობენ.

მოურავი—ქალაქი დიდად დაზარალდა. ეს გულს მიღონებს,
მაგრამ მაშფოთებს უფრო მეტად ადამიანთა
გაუტანლობა. ავაზაკნი ამ მძიმე ჭირში
დაზარალებულთ შესევიან. ისინი საპყრებს,
რაც ბედისაგან შერჩენიათ, მასაც სტაცებენ...
მე, მტაცებლების და ქურდების მოსათრგუნავად—
მოვიღებ ძალას და ავკვეთავ უწესოებას.
თქვენ კი, რაც ნახეთ კარისკაცნო, რაც განიცადეთ
სვემალალ მეფეს მოახსენეთ დაუფარავად...
თუმცა მას გული აქვს კეთილი და ერის მცირე
უბედურებაც გულში დიდად შთაებეჭდება, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, მაინც გირჩევთ, მოახსენეთ სულ ყოველივე,
ერის ზრახვებიც გაუმხილეთ ხალხი ჩურჩულებს,
თითქოს ეს რისხვა განგებისგან მოვლენილია
საშინელ ცოდვის ნაყოფად და უნეტარესის
კათალიკოსის ქადაგება ყველას სწყურია.

(შემოდიან მიწისძვრით დაზარალებულნი).

I დაზარალ. — ო, მოურავი!..
II დაზარ. — კარისკაცნი!
I დაზარალ. — მივმართოთ თხოვნით!
მ ო ურ ა ვ ი — ვინ ხართ, რა გინდათ!
I დ ა ზ ა რ ა ლ — ჩვენ ვართ მიწისძვრით დაქცეულნი.
მ ო ურ ა ვ ი — აქ რად წანწალებთ. დაუბრუნდით კვლავ თქვენს ნანგრევებს—
მე გირჩევთ ქვები დარჩენილნი არ გაგეფანტოთ,
თორემ, მერწმუნეთ, აქ მის ფასსაც ვერას მიიღებთ.
I დ ა ზ ა რ ა ლ. — გაქვს ცივი გული, მოურავო.
მ ო ურ ა ვ ი — რად საყვედურობთ?
I დ ა ზ ა რ ა ლ. — გადასახადის ასაკრეფად გაქვს გრძელი ხელი
და დახმარების გაღების დროს კი ხელმოკლე ხარ!
მ ო ურ ა ვ ი — აჰა, გამოჩნდა სხვა კილო თქვენს მეტყველებაში;
მე ვხედავ მალე უგუნურ ბრბოდ გარდაიქცევით.
და, მაშინ ერთი ავი სიტყვა ჩამოგდებული
თქვენ შორის — ყველას ამბოხების ენებით ალაგზნებს.
ახლავ მიხედეთ თქვენს ნანგრევებს, ცალკ-ცალკე განახავთ.
I დ ა ზ ა რ ა ლ. — ცალ-ცალკე ჩვენ გვაქვს წრუწუნას ხმა, არმოსასმენი,
ერთად კი ჩვენი სიტყვა ისმის ზარივით მძლავრად.
მ ო ურ ა ვ ი — თქვენს ზარზე უფრო სუვალავს ჩემს გულს ეს მდუმარება
მათი. თქვენ ვინ ხართ? თქვენც დაგენგრათ კერა და ჯავრობთ?
I გ ლ ა ხ ა — ჩვენ გლახაკნი ვართ.
II გ ლ ა ხ ა — რაც არ გვქონდა, რას დავკარგავდით.
III გ ლ ა ხ ა — რას დაგვინგრევდა ცა, ან მიწა.
მ ო ურ ა ვ ი — მაშ, აქ რათ ზიხართ?
I გ ლ ა ხ ა — სვემაღალ მეფეს ვეგებებით, როგორც გვენიშნა
გამობრძანდება ამ ფოლორცით.
მ ო ურ ა ვ ი — რად ელოდებით?
II გ ლ ა ხ ა — მას მუდამ ახლავს მოწყალება.
მ ო ურ ა ვ ი — თქვენც დაჩვეულნი,
მისგან სიბრალულს, გათავხედდით.
I კ ა რ ი ს კ ა ც ი — უკვე თენდება.
უძილო ღამის შემდეგ ერი გამოტის შფოთით.
II კ ა რ ი ს კ ა ც ი — მღვდელთა მთავარიც გამობრძანდა.
მ ო ურ ა ვ ი — აქეთ შეჰხედეთ,
სადუნი. დიდი ათაბაგი თავის ამალით
გამოფენილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I კარის კაცი — ო, მე ვატყობ ის შეეყრება
სალაპარაკოდ კათალიკოსს.
მოურავი — ამბობენ, ორივ
გულდაკოდილნი ბრძანდებიან მეფეზე.
II კარისკაცი — დიახ.
მოურავი — მე შეეყრები ადუნს.
I კარისკაცი — ჩვენ კი აწ წარვდგეთ კარზე.

(მოურავი და კარისკაცნი მიდიან).

I დაზარალ — უფლისგლახებო, მართლა აქ ჩამოიკლის მეფე?
I გლახა — კი.
I დაზარალ — საიდან იცით?
I გლახა — მაშ, სხვა რა გვეკითხება — ღმერთმა მოწყალე მეფე მოგვივლინა და მისი გზის მარჩიელები ვართ.
II დაზარალ. — მაშ, ჩვენც აქ დავხვდეთ.
IV დაზარალ — ნუგეში და წყალობა ვთხოვოთ
III დაზარალ — აქ მოუყაროთ თავი ყველა ჭერდაქცეულებს.
II გლახა — რაო? გესმით, ესენიც აქ უნდა დახვდნენ!
II გლახა — (I გლახას) ეჰ, რად გაამხილე ვისაც უცდით, შე უტვინო, თუ ესენი შეგვეცილნენ, რა წყალობა გვერგება!..
I დაზარალ — გშურთ ჩვენთვის თანაგრძნობა?
I გლახა — მაშ, თქვენ რომ გლახები არა ხართ, რა ხელი გაქვთ მოწყალებაზე?
I დაზარალ. — ჩვენ ოჯახები დაგვექცა.
I გლახა — ეს ცოდვით მოგვივიდათ, თქვე უბედურებო.
II დაზარალ — გესმით, გლახები შანს გვიგებენ.
I დაზარალ — გვეცადრება თქვენგან შანის მოგება მათხოვრებო, როდესაც ჩვენი ნაოფლარით გაპურებდით!..
II გლახა — კარს რომ მოგვიხურავდით, ისიც გაიხსენეთ — ყველაფერი იწერება: სიავეც და სიკეთეც.
III გლახა — კი, — ულვთო კაცს ბეწვიც; არ მოწყდება.
IV გლახა — ამპარტავნებამ დაგღუპათ, თქვე, საცოდავებო — შეინანეთ ცოდვები!
II დაზარალ — ხედავთ — რა შხამი ჰქონიათ გულში გლახებს!
I დაზარალ — ჩვენ მშრომელები ვართ, ქვეყანა ჩვენით იდგა, თქვენ კი მუდამ ცოდვის ბარგი იყავით.
I გლახა — რაო? ეს ქვეყანა თუ დგას, კიდევ გლახებს უმადლეთ, ჩვენი ლოცვით არის, რომ აქამდე არ დაქცეულა.
II გლახა — ჩვენ უფალმა ყვავილს შეგვადარა, რომელიც არ შრომობს, არცა ქსოვს, მაგრამ ღვთისაგან სიმშვენიერით იმოსება.
III გლახა — განარისხეთ ღმერთი ამპარტავნებით და თქვენი შრომის ამაოებაც დაგანახათ.
I დაზარალ — ქვეყანა თუ ცოდვით შეიძრა, თქვენს მწყალობელ მეფეს ეკითხოს და ზოგიერთ ბატონებს — ჩვენი ბრალი არ არის.

II გ ლ ა ხ ა — მეფე დიმიტრიმ მოწყალებით გამოისყიდა ყოველივე, — თქვენ
კი მცირე ცოდვებითაც წაწყდებით.
I გ ლ ა ხ ა — ჩვენ მაინც ვეველრებით ღმერთს თქვენზე გულმოდგინეთ,
ოღონდ, თითონაც მოინანიეთ ცოდვები, თქვე უბედურებო.
I დ ა ზ ა რ ა ლ — ჩვენ გლახებიდან მიველოდით აქ თანაგრძნობას,
ლოცვას, ცრემლს, ნუგეშს, მაგრამ ვხედავთ კაცთმოყვარება.
ამათ საკუთარ ჭირის წამლად მხოლოდ ჰქონიათ.
II დ ა ზ ა რ ა ლ — ჩვენ აქ მოვიხმობთ ახლა ყველა დაზარალებულს.
III დ ა ზ ა რ ა ლ — და მოვახსენებთ ჩვენს სიმწარეს — მეფეს,
I დ ა ზ ა რ ა ლ — წავიდეთ!

(დ ა ზ ა რ ა ლ ებ უ ლ ნ ი მიდიან)

III გ ლ ა ხ ა — ეს ორი დღეა ვერვინ იცლის ჩვენ შესაწყალად,
ჯანი სიმშილით მოდუნდა და ყელიც გვიშრება.
IV გ ლ ა ხ ა — თავბრუ გვესხმის და ვერ ვლოცულობთ გულშეჯერებით.
II გ ლ ა ხ ა — დაიცათ, ხედავთ კათალიკოსს და დიდ სპასალარს?
I გ ლ ა ხ ა — მობრძანდებიან, ვგონებ, აქეთ, ორივ, ისინი.
III გ ლ ა ხ ა — ხალხსა მოშორდნენ და გამოყვნენ ვინმე ბანოვანს.
II გ ლ ა ხ ა — ნუთუ ამათგან მოწყალებას ვერას მივიღებთ?

(შეშოდიან კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ა ბ რ ა ჰ ა მ, ს პ ა ს ა ლ ა რ ი — გ ო დ ე რ ძ ი, ზ ე ნ თ ა
და ორი მ ო ნ ა ზ ა ნ გ ი)

გ ო დ ე რ ძ ი — მიწის შეძვრისგან ნატამალად ქცეულ ტაძარში
მარტო შენ გნახეთ უვნებლადა... შენ ლოცულობდი.
და ჩუმად, უხმოდ ვკითხულობდით მშვრეტელნი შენნი:
ხორცშესხმული ხარ, თუ ნათელი... მაგრამ, როდესაც
კარისკაცებმა შენს მახლობლად ბავშვის ცხედარი
აიღეს,ისე დიდი ურვა აღმოგხდა მაშინ,
რომ შენი ზარით დაიფარა ყველას გოდება.
ა ბ რ ა ჰ ა მ — შემდეგ კი სდუმხარ და ძრწოლისგან გასავათებულს
გიყურებთ, როგორც დამცხრალ ციაგს. თუმცა ტანჯვაშიც
გაუგებარი რაღაც მადლი გიმშვენებს სახეს.
ზ ე ნ ა თ ა — მწუხარებისგან, უწმინდესო, მღვდელთა მთავარო,
ახლა ფერფლი ვარ დარჩენილი... უფლის მიმართ კი
ლოცვის მაგიერ აღშფოთება აღმეგზნო სულში...
ოჰ, ვით ანგელოსს, მეც რომ მომცა გზა ზესკნელისკენ,
ცაში ჯოჯოხეთს მივიტანდი ჩემი სულით და
ვეტყოდი მტვერი უმცირესი ქვეყნის შემქმნელს, რომ
საქმენი მისნი სასტიკია და საშინელი.
ა ბ რ ა ჰ ა მ — უფალს ყოველგან ესმის. გვითხარ, რამ აგაშფოთა?
ზ ე ნ ა თ ა — შენ მშვიდ გონებით მეტყველებ, მე მხურვალე გულით.
ერთმანეთისთვის ჩვენი ენა უცხო იქნება.
ა ბ რ ა ჰ ა მ — უნდობელ ეჭვებს ბადებს სასოწარკვეთილება,
მას ნუ ეძლევი.
ზ ე ნ ა თ ა — განმეძარცვა მე ყოველივე,
ვით ხეს ზამთარში.
ა ბ რ ა ჰ ა მ — ზამთრისაგან გაძრცვნილი ხენი
ახალ სამოსელს მოისხამენ გაზაფხულითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცისათვისაც ასე მოაქვს დრო და ჟამს ხვედრი...
ყვავილობს გული ჰასაკისა შესაფერად და,
თუმცა ყოველი ყვავილი კაცს უჭკნება, მაგრამ
მარადის ახალს მოელის და ხარობს იმედით...

ზ ე ნ ა თ ა — ჩემთვის იმედი გაჰქრა,—ახლა იგი სიცრუეც
ველარ მპირდება მის მაგიერ, რაც დამეღუპა.

ა ბ რ ა ჰ ა მ — შენ კაცთა იმედს სთვლი სიცრუედ?

ზ ე ნ ა თ ა — დიახ, მეუფევ!

ა ბ რ ა ჰ ა მ — საღვთო წერილშიც გოდებს ბრძენი, რომ ყოველივე
ამ ქვეყნიერი ამაოა, — წარმავალია,
მაგრამ, ვინც დაგმობს ამ ქვეყნიურს, ცა უნდა სწამდეს,

ზ ე ნ ა თ ა — ღმერთი მწამს, მაგრამ ვხედავ — იგი უმოწყალოა.

ა ბ რ ა ჰ ა მ — თვინიერება ახლავს რწმენას..

ზ ე ნ ა თ ა — ტანჯვას — გოდება!

ა ბ რ ა ჰ ა მ — გამიხსენ წყლული, ეგებ ვპოვო მისთვის მალამო...

ზ ე ნ ა თ ა — ადამიანის თანაგრძნობა რად მარგებს, როცა
ღმერთმა გამწირა?

გ ო დ ე რ ძ ი — შენ, ასულო, ძლიერ მაკვირვებ,
ჯერ თავს მალავდი ჩვენს წინაშე დუმილით, ახლა
კი საუბარით ხდები უფრო გამოუცნობი,
ვიდრე დუმილით... ბოლოს ვეჭვობ: ხომ არ გაწუხებს.
შენ ცოდვა რამე.

ზ ე ნ ა თ ა — არა, მხოლოდ ბედით დევნილი
მოველ უფალის წმიდა სახლში, სადაც თქვენ მპოვეთ,
და სწორედ მაშინ, როს აღვიგზენ სასოებით და
ნათელ იმედებს ვამყარებდი წმიდა უფალზე,
მან დამატეხა თავს ისეთი რისხვა, რომ ახლა
მისგან მოტეულს ვასაჩივრებ კაცთა წინაშე.

ა ბ რ ა ჰ ა მ — სჩანს, შენ გონება დაგიბინდა დიდმა ტკივილმა,

გ ო დ ე რ ძ ი — ვით შვილდი ისრებს, — ისვრი გულისგამპობელ სიტყვებს,
მაგრამ გვიმალავ ვინაობას...

ზ ე ნ ა თ ა — პატიოსანნო,
ნუ თუ სახელი ჩემი უფრო ნათელყოფს თქვენთვის
ჩემს ვინაობას, ვიდრე თითონ წყლული გულისა.

გ ო დ ე რ ძ ი — ჩვენ ვხედავთ, რომ ხარ შემოსილი ძვირფასი ლარით,
თან გახლავს წყვილად უძვირესი ზანგი მონები,
მეტყველებაშიც გაწრთვნილი ხარ... აშკარად გატყობ
ვინმე უფალის ასული ხარ და გვსურს გავიგოთ
რომელ დიდგვარის ძირი წახდა ჩვენს სამეფოში,
ვისი ნაყოფი დაჭიანდა, ასე საზარლად
რომ თავისსა ბედს უფალს ყვედრის?

ზ ე ნ ა თ ა — კარგი, თუმცა თქვენ
ჩემს უბედობის წისქვილზე ხართ წყალის დამსხმელი,
მტრები ხართ, მაინც გეტყვით ჩემსა თავგადასავალს.

გ ო დ ე რ ძ ი — ჩვენ ვართ, ასულო, შენი მტრები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ბ რ ა ჰ ა მ — რა სათქმელია!
ზ ე ნ ა თ ა — მე ვარ ასული აბულეთის, დიდი-უფალის-ძის
ანდუყაფარის.
ა ბ რ ა ჰ ა მ — ვინ? კიდევ სთქვი...
ზ ე ნ ა თ ა — ზენათა მქვიან.
გ ო დ ე რ ძ ი — ზენათა!
ზ ე ნ ა თ ა — რისთვის მზომავთ თვალით, ასე გულდასმით
დიდ ათაბაგის საქმეებს რომ დაჰკვირებოდით,
ჩვენი სამთავროს დარბევას და გვარის მოსპობას
არ დააცლიდით.
გ ო დ ე რ ძ ი — მისი საქმე მეფეს ვაცნობეთ,
იგიც სასწრაფოდ ჩამობრძანდა და თითონ განსჯის.
ზ ე ნ ა თ ა — ჩვენ თავს დაგვესხა ათაბაგი მოულოდნელად,
იხელთა ჟამად სამეფოდან მეფის შორს ყოფნა,
თქვენ კი უფლისგან დატოვილნი ქვეყნისმომვლელად
რას აკეთებდით? უმოქმედოთ დადექით განზე.
გაიგეთ ჩვენი დარბევა და არ მოგვეშველეთ,
სანამ სამთავრო იმ უწყალომ არ მოაოხრა.
გ ო დ ე რ ძ ი — თქვენზე თავდასხმას სადუნისგან არ მოველოდით,
პირიქით, ერთდროს ჩვენ გვესმოდა, რომ ათაბაგი
შენ გთხოულობდა თავის პირმშო ვაჟისთვის ცოლად
და, გვესმა, თითქოს ანდუყაფარ კიდეც დათანხმდა.
ზ ე ნ ა თ ა — თუ ეს თანხმობა ყოფილიყო, ვერც რა დაშლიდა.
გ ო დ ე რ ძ ი — საშინელ მიზეზს ასახელებს.
ზ ე ნ ა თ ა — მით აგამხედრათ?
ვიცი, მან გითხრათ, რომ მეფე და მე გავმიჯნურდით.
ა ბ რ ა ჰ ა მ — დიახ. მხოლოდ თუ მის ნათქვამში არის სიმართლის
ნატამალი, ნუ დაგვიფარავ.
ზ ე ნ ა თ ა — როგორ დავფარავ,
უნეტარესო, ცეცხლი ბნელში არ იმალება.
მეფე დიმიტრის სიყვარულმა გამაგებინა,
რომ მიწაზედაც გვევლინება მადლი ზეცისა...
ასე, სიწმინდით, ვგრძნობ დიმიტრის და მისდამი ჩემს
გრძნობას სახელი თქვენ დაარქვით.
ა ბ რ ა ჰ ა მ — ცოდვა გერევა.
სული მაღლდება სიწმინდეში, ასულო, არა
აღტაცებული ტრფიალებით, არამედ კეთილ
საქმეებით.
ზ ე ნ ა თ ა — თუ ტრფიალება გვაბიწიერებს,
მაშინ ჩემს გრძნობას მოუძებნეთ სულ სხვა სახელი,
რადგან დიმიტრის მოგონება მასპეტაკებდა...
მე, სუსტს, გამაჩნდა იგი ძალად კეთილისთვის და
ახლაც მაშფოთებს ღმერთზე მისთვის, რომ ამა ქვეყნად
რაც კეთილია, ჯვარს ეცმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ბ რ ა ჰ ა მ — ვწუხვარ, ასულო,
რომ შეგბარვია მღრღნელი ჭია მშვენიერ ნაყოფს.
მაგისთვის ცოდვა ეკითხება შენსა აღმზრდელსაც...
მაგრამ დღეს ჩვენში, სავალალოდ, ყველა მთავრები
დიდის ხალისით ფურცლავენ ძველ წარმართულ წიგნებს,
მოშაირეებს გარს იკრებენ და რყვნიან შვილებს
ცრუ მაგალითით. შენ გემჩნევა ცრუ განსწავლება.

ზ ე ნ ა თ ა — მასწავლებელი ჩვენი არის აგრეთვე ბედიც...

ა ბ რ ა ჰ ა მ — გირჩევ არ აყვე ბოროტებას, სენს, — დროსმოტანილს,
ვით მრუდე ხის ჩრდილს გაღუნულსა ვეღარ გავმართავთ,
ისე ჟამისგან გარყვნილ შვილებს ვერ გავასწორებთ,
სანამ თვით ღმერთი არ მომართავს კეთილად დროსა.
კმარა აწ ჩემგან დარიგება, ახლა მე გკითხავ
თქვენი დარბევის ამბავს, იმის მიზეზს ვიძიებ.
სადუნი ჩვენთან აცხადებდა, თითქოს თქვენს ოჯახს
მეფე დიმიტრი პირდებოდა ათაბაგობას
და ერთმეოდა მის ძეს, ხუტლუს, მამის ღირსება.

ზ ე ნ ა თ ა — ბოროტს ენა აქვს ნამდვილ ზრახვის დასაფარავად.
თქვენ თუ სადუნი გინდათ იცნოთ — შეხეთ მის საქმეს. —
როგორ მზაკვრულად მოგვისია თავის ძე — ხუტლუ.
ჯერ, თავდასხმამდე, ვერაგებმა იმ ჩვენს მოსაზღვრე
ტყეებში იწყეს ნადირობა და ჩემი მამა
ანდუყაფარი მიიტყუეს ღიდის პატიჟით.
მან ცნო მუხთლობა და განშორდა, სახლში მობრძანდა,
მაგრამ აღმოჩნდა მოწამლული მუხანათთაგან
და განუტევა სული თვისი მოსვლისთანავე.
მეორე დღეს, კი ოდეს ყველა ნათესავები
ძაძითმოსილნი თავს იყრიდნენ ზარით, გოდებით,
მიცვალებულის პატრონისა დასატირებლად,
ასეთ ვარამში თავს დაგვატყდა ლაშქარით ხუტლუ,
გასწყვიტა მთელი ჩვენი გვარი, ცეცხლში გახვია
ციხე-დარბაზი და მოედვა დაბა-სოფლბსა.
მე კი ბედისა დახმარებით ცოდვის დუღილში
ჩავკიდე ხელი ჩემს ერთადერთ ძმასა კახაბერს
ჯერეთ უსუარს, ჩვენს სამთავროს თვალისსინათლეს.
ავიღე ხმალი მამისაგან ფიცით დათქმული
და შენახული თავის ერთადერთის ძისათვის
გადასაცემად. იგი ხმალი უბოძებია
მისი მამისთვის დიდსა თამარ მეფეს და არის
მოსილი მრავალ გამარჯვების შარავანდედით...
სამოსლის და იმ ხმალის მეტი არა ვიძიე
და გამოვქანდი კრიახებით, ტყით, ჯაგნარებით,
რომელთა შორის ლაპლაპებდნენ მტრისა თვალები...
იმ საზიზღართა დევნისაგან ხსნა არა სჩანდა.
გამიწყდა გზაში მცველნი, სხვები დამიუძლურდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს არ შემრჩა მე არავინ, გარდა ამ ორის
მონა ზანგისა. ო, ესენი, ახლა ქვებივით
გარინდებული აქ რომ დგანან, მაშინ იმ ჭირში
იგერიებდნენ ჩვენზე მოსულ კაცებს და მხეცებს.
გაუცვდათ თავის იარაღი, მაგრამ იმ ჟამსა
წამოღებული კახაბერის სახელზე ხმალი
არ მოიხმარეს მოკრძალებით, როგორც სიწმიდე.
მთელ გზაში ბრძოდნენ ცეცხლის მსგავსად აღზევებულნი.
იჰ, მაშინ იმ გზას მე ვგრძნობდი ვით ჯოჯოხეთის ხიდს
და, როცა ბოლოს, შემთხვევით, თუ ბედისა ბრუნვით,
საშიშროებას გამოვცდით და შორს, მთის წვერიდან
ეს არემარე ვიხილეთ, ამ ქალაქის კედლებს
ღრმა სასოებით შივესალმეთ, ვით დედის კალთას
და ძალმიხდილნი გამოვცოცხლდით.

ა ბ ა რ ა ჰ ა მ — ნურას მიაწერ
ბედს და შემთხვევას. ჩვენს ცხოვრებას მართავს ღვთის ნება
და მის წყალობას დაუხსნიხარ.

ზ ე ნ ა თ ა — არა, მეუფევ,
ღმერთი შორს არის და კაცთათვის არა სცალია.
ჩვენ უფრო ახლო ვართ ჭიასთან.. მხოლოდ ეს მიკვირს,
რად შექმნა ღმერთმა კაცი, რისთვის მისცა გონება
ნაწილი თავის ბუნებისა და მით ეს ჭია
აავსო ურვა სატანჯველით აუტანელით...
შენ მეუბნები, რომ განგებამ აქ მიწინამძღვარა...
მაშინ რად დამხვდა ამ ქალაქში ასეთი ზარი,
რომ აბულეთის ორნი ძენი, ჩემნი ბიძანი,
უებრო გმირნი, მიწვეულნი ყაენის კარზე,
იმავ სადუნის ჩაგონებით მსოფლიოსმპყრობელს,
ყაენს, სიკვდილით დაუსჯია?... და აღარ დაგვრჩა,
შინაც და გარეც სადუნისგან ამოწყვეტილებს,
შურისმგებელი ნათესავი?

ბ ო დ ე რ ძ ი — ეს არ გაცნობეს,
რომ იგი, ჰამად ყაენი, ბევრ უწყალობისთვის
მეფე დიმიტრის სიძემ, დიდმა ბუღამ და, მასთან
შეფიცებულმა ნოინებმა საბლით მოაშთვეს?
აწ კი, დიმიტრის ჩარევით და ხელისშეწყობით
არღუნი დაჯდა მონღოლების ტახტზედ ყაენად
და მეფე განძით და დიდებით აზვავებული
მობრძანდა თავის სამეფოში.

ზ ე ნ ა თ ა — დიახ, გავიგე
და მაშინ გული მომიბრუნდა საქართველოს კენ.
უბედურს ცოტა ყოფნის საზრდოდ სასოებისა...
თუმცა სიმწარე ამოწყვეტილ ნათესავებზე
არ დამცხრობია მაგ საამურ ამბით, პირიქით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ქვეყნიური იმედები ადამიანებს
გზნებას მატებენ ძვირფას მკვდართა დასატირებლად...
მაგრამ იმ ჭირში მაგ ამბავით ფრიად გავმხნევდი,
ჩემი პატარა კახაბერი წმიდა ტაძარში
შესავედრებლად შევიყვანე და დავაჩოქე
დიდ აბულეთის თვლებით შემკულ ხატის წინაშე...
შევთხოვდი უფალს იმ პატარა ძმისთვის სიცოცხლეს,
რომელიც ერთადერთი დარჩა გვარის ძირფესვად.
ოჰ, რა აღგზნებით მიყვარდა ის, რა სასოებით!..
ის მავიწყებდა ყოველ ჯავრს და ამაზე დარდსაც,
რომ ქალადა ვარ გაჩენილი, თითქოს, რაც ღმერთმა
ამით დამაკლო, ვპოულობდი მის არსებაში...
თუმც ჯანით იყო უსუსური, ხშირ-სენიანი,
მაგრამ ვით კეთილ ნაყოფისა გამომღები ხე
ცუდ ნიადაგის მიზეზითა დასჭკნება უმალ,
ან სულ გახმება, ბოროტ ნაყოფს კი ვერ მოისხამს,
ესე მას, გმირადშობილს, სნება სულს ვერ უცვლიდა.
იყო მდაბალი, ღვთის მოშიში, კაცთა მოკრძალე,
მაგრამ ყოველი სიცრუისა და ბოროტების
წინაშე — იგი ერთი ასად იქცეოდა და
ჰასაკით ბავშვი ზვავდებოდა ვით ბუმბერაზი.
ასეთის ყრმისთვის ვლოცულობდი და, მაშინ, ოდეს
მეათე ცაში ვგრძნობდი ჩემსა აპყრობილ ხელებს,
ფეხქვეშ შეიძრა ნიადაგი. დედამიწისა...
ტაძრის კედლები შეირყა და ზედ მოხატული
წმიდა სახენი კანკალით და ზრიალით დასქდნენ,
იმატა რყევამ, ნგრევისგან ავარდა მტვერი...
მე ძმას დავხედე, არ სუნთქავდა ის... მაგრამ მის ჭკვდარ
ბაგეზე ჯერეთ ცოცხალ-იყო უბიწო ლოცვა
და მაშინ შეშრცხვა ჩემი ლოცვის, სასოების და
უღვთო ქვეყანაც შეშეცოდა...

ა ბ რ ა ჰ ა მ — წრფელ მორწმუნესგანც
მსმენია, ზოგჯერ სიმწარეში ღვთის საყვედური.
დიდ სიმძიმილში კაცს პასუხი არ ეთხოვება,
რადგან დროებით უბინდდება გონება... მაგრამ
მე მაინც გეტყვი, რომ შენ გიპყრობს ამპარტავნება.
ჩვენებრ ცოდვილად თვლი უფალს და მოინანიე
ცილისწამება განგებაზე.

ზ ე ნ ა თ ა — სიბრძნით მაღალნო,
რაში არის ეს დაბინდება ჩემი გონების,
ან რომელია სინამდვილე... როდესაც ტაძრის
ნანგრევში ვპოვე უვნებლადა ჩემი თავი და,
აგრეთვე ხატი, ჩემს წინ ისევ ბრწყინვალედ მდგარი,
პირველად განცდილ საშინელის თავზარის შემდეგ
შემიპყრო ერთმა ფიქრმა, თითქოს, რასაც გარშემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავდი, იყო მოჩვენება ავის სიზმარის...
და, საშინელის სიზმარისგან განსაღვიძებლად,
ისევ განვაგრძე ლოცვა წმიდა ხატის წინაშე....
მაგრამ იმ ჟამს თქვენ შემობრძანდით და დოსტაქრებმაც
ასწიეს ჩემი პატარა ძმის უსულო ტანი
და მაშინ მივხვდი, რომ იმედის შემობრუნება
იყო გონების დაბნედით, რომ სინამდვილეში
მიტოვებული არის ღვთისგან ეს ქვეყანა და...
გოდება გვმართებს უბედურებს...

(შემოდის ხუმარა)

ა ბ რ ა ჰ ა მ — ჟამისა ქროლით
შენი გულიდან ეს მძვინვარე შავი ღრუბელი
გადაიყრება და იხილავ ცას, მადლით სავსეს,
მხოლოდ ერიდე ჭირთ აღმოთქმას, ვისაც ენა აქვს
მრავალმეტყველი, მას ახსოვდეს, რომ პირში უზის
ჯერ სხვისი, მერე თვისის თავის მომტყუებელი.

ზ ე ნ ა თ ა — მე კი ვგრძნობ სუსტობს მეტყველება დიდ განსაცდელში,
ჩემი ურვა ვერ გამოითქმის.

გ ო დ ე რ ძ ი — მეფის ხუმარავ,
ვისთან მოსულხარ?

ხ უ მ ა რ ა — მეუფესთან, და — მომეწონა,
მეტყველებაზე რაც მან ბრძანა, მეც დავუმატებ:
ყოველი ბრძენი ჩვენში საქმეს იქიდან იწყებს,
რომ ჯერ საკუთარ ენისათვის ლაგამსა სჭედავს.

გ ო დ ე რ ძ ი — თქვენ კი ხუმარებს ლაგამი სულ არ გაგაჩნიათ.

ხ უ მ ა რ ა — ამისთვისაც გვჭირს ეს ბედი — სხვებს სიცილით ვბერავთ,
თითონ კი ცრემლით ვიგუდებით.

გ ო დ ე რ ძ ი — ამ ჭირში მეფეს რად არ ართობ?

ხ უ მ ა რ ა — ის ერის ზარალს ეცნობა, მე კი
დიდმა სადუნმა გამომგზავნა აქ მღვდელმთავართან.

ზ ე ნ ა თ ა — ვინ, ცოდვის ზვავმა?!

ხ უ მ ა რ ა — დარიგება სურს შენგან სადუნს,
არა ვარ ღირსი მე თქვენს შორის ვმოციქულობდე
მაგრამ, რადგანაც ეს პატივი მზრდის ჩემივ თვალში,
აღარ დავშვრები, სანამ თქვენ არ შეგყრით ორივეს,
ვით მზე და მთვარეს.

ზ ე ნ ა თ ა — და არ იცით, რომ ის მურტალი
ვერ შეიღირსებს დარიგებას!

ხ უ მ ა რ ა — ეს კარგად ვიცი,
იგი ეშმაკის მოვლენილი არის ამ ქვეყნად.

ზ ე ნ ა თ ა — თუ ასე იცნობ, რად მოდიხარ მისგან? ო, როგორ
აპატარავებს პატარა კაცს პატივის ძებნა!

ხ უ მ ა რ ა — ეჰ, ასულო, მოვალეობა კაცს მრავალ სიბილწეში აკვრევინებს ცხვირს მე განა სადუნს კათალიკოსთან მოვეგზავნებოდი, მაგრამ მეფის ნებას დავემორჩილე.

ზ ე ნ ა თ ა — იმ მეფეს დიმიტრი არ ერქმევა.

ხ უ მ ა რ ა — არც ერთი მონა არ არის ეგზომ მოკლებული საკუთარ ნებას, როგორც მეფე. განა დიმიტრი დღეს სადუნს [illegible] მიიღებდა, მაგრამ ქვეყნის საჭიროება ავალებს.

ზ ე ნ ა თ ა — უკულმართად ფიქრობ.

ხ უ მ ა რ ა — მეტს მოგახსენებ, სადუნმა და მისმან ძემ ხუტლუმ ამ ბოლოს დიდის აბულეთის ოჯახი ამოსწყვიტეს. ამ სახლის უკანასკნელი სანთელი ზენათა აქ თურმე ბუდიდან ამოგდებულ ხოხობივით დაწიაქობს მთელ ერს იმ ასულზე უდუღს გული, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ დიდნიც და პატარანიც იმ ასულს გასწირავენ და სადუნის ბადეში მოაყოლებენ.

ზ ე ნ ა თ ა — მათ სინდისი არ მიუსწრებს დანაშაულზე?

ხ უ მ ა რ ა — ეჰ, ახლანდელი ადამიანი სინდისს წინ უსწრებს. სინდისი ძილში თუ წამოეწევა ვისმე და სიზრმად მოეჩვენება, თორემ საქმეზე ვერავის ვერ უსწრებს... ჩემს თავზედაც გეტყვი: ხუმარას მეძახიან და მთელი ქვეყნის უზნეობას დავცინი, მაგრამ მეც ისე გავწირავ ზენათას, როგორც ეს მღვდელმთავარი და სხვა, ყველა პატიოსანი პირნიც.

ზ ე ნ ა თ ა — გასწირეთ;— ის იბრძოლებს.

ხ უ მ ა რ ა — რა უნდა იყოს მისი ბრძოლა!

ზ ე ნ ა თ ა — მას ბრჭყალებიც აღმოაჩნდება. უწმინდესო, შენ შეეყრები სადუნს? მიპასუხე ამ კაცის შესარცხვენად. მას ხომ მხოლოდ შეჩვენებას ეტყვით?!..

ა ბ რ ა ჰ ა მ — ის არის მძლავრი მფლობელი და, მე, ვით ერის მწყემსს, ვალად მძევს მის წინაშე მოთმინება.

ზ ე ნ ა თ ა — უძლურის წინაშე მეტი ვალი არ გძევს, მეუფევ?!

გ ო დ ე რ ძ ი — ხუმარავ, მართლაც გჭირდება შენ ლაგამი პირში. ასულს, ისედაც დამწვარ გულზე, მდუღარეს ასხამ.

ხ უ მ ა რ ა — მისი ბრალია — ვისაც გული დამწვარი აქვს, ის
ნუ ეკარება სიმართლის მთქმელს, რადგანაც ტკბილი
მალამო მხოლოდ მატყუარას აქვს მზად ენაზე,
და მკურნალი კი, ჭეშმარიტი, ავადმყოფისთვის
მწარე ნივთთაგან ამზადებს მის წამალს.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი — რა კეთილ
წამალს უმზადებ ვისაც იმედს უწურავ, ეს თვით
ზენათა არის.

ხ უ მ ა რ ა — ოჰ, რა ბრძანეთ!

ზ ე ნ ა თ ა — ვერ მიცან? მცირე
ჟამის წინ ენა წყლიანობდი სამოთხის მსგავსსა
ჩვენს დარბაზში.

ხ უ მ ა რ ა — შენ თუმცა ახლაც სამოთხეს გევხარ,
მაგრამ, დღე მანგი მწუხარებით დაღამებულხარ!...
არ მეგონა, თუ სამოთხესაც აქვს დღე და ღამე.

ა ბ რ ა ჰ ა მ — რადგან სადუნი დარიგებას ჩემგან მოითხოვს,
გრწამდეს, ასულო, მას გავკიცხავ, არ დავუფარავ
ჩემს გულისწყრომას იმ ცოდვათა დადუღებისთვის,
რაც აბულეთზე მიავლინა. მხოლოდ გახსოვდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი ამცირებს ამპარტავანს. ღვთისგან ყოველი
ხვედრი მიიღე, თვინიერად.. მეფეს თუ ნახავ,
თავმდაბლობითა თაყვანი ეც და ღვთის დადებულ
ზღუდეს შენ მასთან ახლო მისვლით ნუ გადალახავ.
ნუ ააღელვებ, ნურას ეტყვი განსაძვინვებელს.
იყავ უბიწო, ვით ტარიგი.

ზ ე ნ ა თ ა — მე ვარ მორჩილი
ჩემი წმინდათა მოწოდების და გულით მინდა
იმ საყვარელთა სიკვდილისთვის ვიძიო შური
ბოროტ სადუნზე და ხუტლუზე. ამისთვის მზად ვარ,
თუნდაც ეშმაკად ვიქცე, შევყვე ჯოჯოხეთში მათ
წაწყმენდილ სულებს და ამ ხელით ცეცხლი შევუნთო.

ა ბ რ ა ჰ ა მ — თვინიერება შენს სულს კიდევ არ ეკარება.

ზ ე ნ ა თ ა — მე გკითხე, რად არ ესმის ციურს ჩემი გოდება,
შენ კი მიწიერ მეფესთანაც მიკვეთავ ჩივილს.

ხ უ მ ა რ ა — (ჩუმად ზ ე ნ ა თ ა ს) განგებ არ გიცან, მოხერხებით, რომ გა-
მეფრთხილე,
სადუნს გადაჰყავს მის მხარეზე მთავრები, ცდილობს
მათი შესყიდვით მეფე შენგან გაანაპიროს.

(ხმამაღლა),

ციურ მეუფის წინაშე კაცს რაც ევალება,
ეს უკეთ იცის მღვდელმთავარმა და მას ერწმუნე,
ხოლო მე ვიცი მიწიერი მეფის ბუნება,
ამისთვის ახლა მივალ მასთან და მოვახსენებ
შენს ყოველ ამბავს.

გ ო დ ე რ ძ ი — მეფე რადგანაც გამობრძანდა,
მეც ვეახლები.

ა ბ რ ა ჰ ა მ — გადაეცი ჩემგან კურთხევა.
მე მრევლს მივხედავ, ასულო, შენ გწყალობდეს ღმერთი!

(ს ა თ ა ლ ი კ ო ს ს ეგებებიან ბერები და მიდის. მეორე მხარეზე მიდიან ს პ ა ს ა ლ ა რ ი
და ხ უ მ ა რ ა)

ზ ე ნ ა თ ა — უფალო, რადგან მომისაჯე ვნება, წამება
ჩემი ხორციელ არსებისთვის აუტანელი,
დამტოვე სრულსა სიბნელეში და დამემალე:
დამემალე შენ არა ღრუბლით და არა ზეცის
დაუსაბამო მანძილითა, არამედ ყოველ
უკუნეთების სიშორეებს ამოეფარე
ამ ქვეყანაზე გაჩენილი უსამართლობით...
რადგან ამხადე მე თავიდან ძლიერი მადლი,
აწ ჩემგან, როგორც ჭურჭლისაგან
გადმოიღვრება კიდეც ქვეყნად უსუსურება...
რადგან ბოროტი ჩემი მტრები, ყოვლადვე ბილწნი
გადააქცია ძლიერ შოლტად ჩემს დასასჯელად,
უსამართლობას მიეც ძლევა ჩემს სიმართლეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის სიმწრითა ვუკბენ მე შოლტს შენგან მოქნეულს.
გადავიქცევი შურისგებად და, რადგან, ვით ქალს
არ მაქვს ძალა და ჭური გარდა ფრჩხილის და კბილის
ვიბრძოლებ ჩემი დედაკაცურ უძლურებითა.
ფრჩხილს მოვიკაზმავ, კბილებიდან შუქს ამოვფენ
გამოვპეპლდები ჰაეროვან მშვენიერებათ
და მგრძნობელობით მივუდგები მეფე დიმიტრის,
უყვარვარ მას და აღვაფეთქებ ტრფიალებითა.
მის მარჯვენშია მძლავრი ხმალი და მას მოვიმხრობ
აღსამართავად მტრებზე, ხოლო რადგან ბოლომდე
მეფის მარჯვენის სრულად დასასაკუთრებელად
და მოსათრგუნად არა მაქვს სხვა არარა ძალა
ვიხმარ ძალად ჩემს დედაკაცურ არარობას...
გამოვიყენებ მე ამისთვის პირმოთნეობას,
და ჩემს ხორციელ სილამაზეს სიცრუის გვირგვინს...
რაც ბოროტებით და ყოველგვარ ბიწიერებით
ამ ქვეყნად სიტკბო იშოვება, მე მოვიპოვებ...
ძლირ ხმლის შიშით ამოვიგებ კაცთაგან ლიქნას,
ქებას, დიდებას ხმის კანკალით ჩემზე წარმოთქმულს.
და, რასაც მომგვრის მე სიცრუე ცოდვითა სიტკბოს
ვიცხებ მალამოდ დამწვარ გულზე.

I გ ლ ა ხ ა — ეჰ, რით დაჭრილა ეს კაკაბი გულშემზარავად რომ ჭახჭახებს.

II გ ლ ა ხ ა — შენ, ჰეი, რა წყალმანკი გჭირს შენს ჭირთან, რომ ხმამაღლა ლაპარაკობ?

III გ ლ ა ხ ა — კარგ ფერ-ხორცზედ ხარ და დიდებულად გაცვია, რა ეშმაკი გაწიაქებს!

IV გ ლ ა ხ ა — ამპარტავნობა კაცს აჯახირებს.

III გ ლ ა ხ ა — ვაი — თუ ცოდვა გაყივლებს!

ზ ე ნ ა თ ა — თქვენ კი რა გახარებთ?

II გ ლ ა ხ ა — ჩვენი სიმართლე.

ზ ე ნ ა თ ა — ცრუობთ!

II გ ლ ა ხ ა — კეთილნი ვართ და მით ვცოცხლობთ.

I გ ლ ა ხ ა — ჩვენ ღმერთით ვხარობთ და კეთილნიც მისგან ვართ.

ზ ე ნ ა თ ა — თქვენ ცრუობთ თქვენი ღმერთით. თქვენ სიკვდილის შიშით აგრძელებთ თქვენს გაჯახირებას!

I გ ლ ა ხ ა — ვილოცოთ ამ ქალისთვის, რომ არ წაწყდეს.

II გ ლ ა ხ ა — ვილოცოთ ამ ქალისთვის, რომ არ წაწყდეს.

III გ ლ ა ხ ა — სახით მაინც ანგელოსს არა ჰგავდეს!

II გ ლ ა ხ ა — ლამაზია?

I გ ლ ა ხ ა — ნეტავ შენ ბრმა არ იყო და დაგანახვა.

III გ ლ ა ხ ა — ეჰ, ეშმაკისაა სილამაზე.

I გ ლ ა ხ ა — ვილოცოთ.

IV გ ლ ა ხ ა — ლამაზიცაა და დედუფლად ჩაცმული.

III გ ლ ა ხ ა — ეჰ, ალბათ, ეშმაკი შეუჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I გ ლ ა ხ ა — ვილოცოთ, რომ არ წაწყდეს!

II გ ლ ა ხ ა — ვილოცოთ!

(შემოდის ხ უ მ ა რ ა)

ხ უ მ ა რ ა — ასულო, მეფე მიწის ძვრისგან დაზიანებულებს შველიდა თავის დოსტაქრებით. ისეთ ჭირში იყო, ძლივს გავუბედეთ ენის დაძვრა, მაგრამ რა გაიგო, რომ მრთელად ხარ, მეტად ეამა.

ზ ე ნ ა თ ა — მე მრთელად ვარ?!

ხ უ მ ა რ ა — ჩვენ სწორეთ იმ დროს მივედით, როდესაც ტაძრის ნანგრევიდან გამოტანილი ვაჟი მოასულიერა. იმ ვაჟისგან გაეგო, თითქოს შენ ნგრევაში იყავ მოყოლილი და მწარედ ეჭვობდა, მაგრამ მოვახსენეთ, რომ ჯანმრთელად ხარ.

ზ ე ნ ა თ ა — იმ ნანგრევიდან გაიტანეს მკვდარი ჩემი პატარა ძმა და არ ვიცი სად წაიღეს. ო, ის მკვდარიც კი უძვირფასესია, სად არის? მის სიცოცხლეზე გულის დაწყვეტამ ცხედარი დამავიწყა, ნეშტი მაინც არ დამეკარგოს.

I გ ლ ა ხ ა — ეჰ, საწყალს პატარა გასრესია კედლებში.

II გ ლ ა ხ ა — თურმე ტყუილად არ სტიროდა.

III გ ლ ა ხ ა — ანგელოსი უყვარს უფალს და მიიღო, ვილოცოთ მისთვის.

IV გ ლ ა ხ ა — ჩვენ ვილოცებთ მისთვის, შე საცოდავო, მოვინანიებთ, რომ ამპარტავნობა დაგწამეთ, კეთილო დედუფალო!

I გ ლ ა ხ ა — მის სულს შევავედრებთ უფალს.

ზ ე ნ ა თ ა — თქვენი ლოცვა სისულელეა.

I გ ლ ა ხ ა — რათა?

ზ ე ნ ა თ ა — განა თქვენ ილოცებთ ისე მხურვალეთ, როგორც ჩვენ იქ ვსასოებდით! გამეცალეთ, დადუმდით!

I გ ლ ა ხ ა — ჩვენი ლოცვა სჭრის.

ზ ე ნ ა თ ა — გამეცალეთ, გულს ნუ მიმღვრევთ, ყოვლადჭირიანებო! იმდენ მკვდრებში სადმე ეგებ დამარხეს! მე გადავთხრი მაშინ ყველა საფლავს, ჩემი მონები დამეხმარებიან!

ხ უ მ ა რ ა — მოითმინე, ზენათა! შენი ძმა იქ ტაძარში შენს გვერდით იყო?

ზ ე ნ ა თ ა — ჰო, ერთად!

ხ უ მ ა რ ა — მაშ, ის პატარა ვაჟი, რომელიც მეფემ მოასულიერა, ეგებ შენი ძმა არის?.. ნამდვილად ის არის!

ზ ე ნ ა თ ა — რა სთქვი? რას ნიშნავს შენი სიტყვა? მეუბნები—მეფემ ის გააცოცხლა?

ხ უ მ ა რ ა — არა, ის მკვდარი არ ყოფილა, მხოლოდ გულწასული იყო. დოსტაქრები ერთ ადგილზე აღებდნენ ხელს და ამბობდნენ, რომ იქ რაღაც მოხვედრია და დაბრუშებულა.

ზ ე ნ ა თ ა — ის ბავშვი?

ხ უ მ ა რ ა — აი, მეფე მობრძანდება, სპარსალარი ახლავს. ო, სპასალარმა ისე კეთილად ილაპარაკა შენზე, ისე სათნოებით, რომ გული ამიდუღდა. სჩანს მიუთითა სადაც ხარ და მეფე შენსკენ მობრძანდება.

ზ ე ნ ა თ ა — მე ისევ გკითხავ... რა მითხარი, რომელი ბავშვი მობრუნდა?

ხ უ მ ა რ ა — აი, მოჰყავთ პატარა ვაჟი, ის კახაბერი არ არის?

ზ ე ნ ა თ ა — სად?
ხ უ მ ა რ ა — სპასალარსა ჰყავს გულზე არქმული, მეფეც ხელს ჰკიდებსო.
ზ ე ნ ა თ ა — კახაბერის სამოსელია.
ხ უ მ ა რ ა — მაშ, ის ყოფილა!
ზ ე ნ ა თ ა — ცოცხალია!?
ხ უ მ ა რ ა — ხომ ხედავ, სახე მოაბრუნა აქეთ, შენ შემოგცინის, ხომ ის არის?

(მ ო ნ ე ბ ი შეტორტმანდებიან მისაგებებლად. შემოდიან მ ე ფ ე, ს პ ა ს ა ლ ა რ ი, მ ე ფ ი ს მ ო ა ხ ლ ე, შ ე მ ო ჰ ყ ა ვ თ პ ატარა ვაჟი კ ა ხ ა ბ ე რ ი).

დ ი მ ი ტ რ ი — პატარავ, აი, ხედავ შენს დას, რად ეჭვობდი, რომ
ის დაგეღუპა! ახლო მიდი და ეამბორე,
რად ერიდები, სიხარულით გაშეშდა იგი.
ზ ე ნ ა თ ა — არ ღირს-ვარ, მეფევ!
დ ი მ ი ტ რ ი — ზენათა, შენ თითქოს არ გჯერა, რომ ძმა მოგგვარე!
ზ ე ნ ა თ ა — დიახ, მეფევ, ვხდავ საკვირველს.
მ ე ფ ე — მე ვნახულობდი მიწისძვრისგან დაშავებულებს.
იქ თვალს მაპყრობდნენ სულთმობრძავნი სასოებითა,
ვით მაღალ უფალს, დიდი ფასს დებდნენ ჩემს თანაგრძნობას,
მე კი ვერაფრით ვერ ვშველიდი უბედურებს და
ჩემს მაღალ მეფურ ხარისხს ვგრძნობდი ფუყე დიდებად.
ამ მწარე გრძნობის აშორება უნდოდათ, ალბათ,
ჩემგან მოყმეებს და მთხოვდნენ, რომ დაშავებულნი
საკუთარ თვალით არ მენახნა. მოყმენი ამით
ზრუნავდნენ ჩემი სიმშვიდისთვის, მაგრამ მე კაცთა
სიკეთეს ვხედავ არა ძლიერთ მოფერებაში,
ვისაც ნამდვილად უნდა მეფის პატივისცემა, —
უძლურთა ტანჯვა და სალმობა გაიზიაროს.
იქ, იმ უბედურთ შორის ვნახე ეს ვაჟი, ვიცან,
მკვდრისფერი ედო, ექიმები თავს დავახვიე,
გულშემოყრილი აღმოჩნდა და გამოვაბრუნეთ.
ასე, საცდელის არდაკლებამ ზოგი კეთილი
ნაყოფი მოგვცა.
ზ ე ნ ა თ ა — ახლა ვხედავ, რომ ყველაფერზე
დიდი განძია სულგრძელობა.
დ ი მ ი ტ რ ი — შენს მწარე ბედში
ზენათა განძად სულგრძელობის აღიარება
კეთილად გამხელს. წმინდა იყო შენი სიცილი,
ცრემლიც წმინდა გაქვს.
ზ ე ნ ა თ ა — გულს მიმძიმებს ულირსი ქება.
დ ი მ ი ტ ი რ ი — ქების მოსმენა უმძიმს მხოლოდ ქების ღირსს.
ზ ე ნ ა თ ა — არა...
ჩემს ნამდვილ სახეს უცქერ სიმწრით
ხ უ მ ა რ ა — ოჰ, როგორ არა,
ქებას ულირსნი ეძიებენ
გ ო დ ე რ ძ ი — მე კი მეგონა,
ასულო, რა წამს შენს პატარა ძმას იხილავდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალტაინდებოდი შვებით... რა გწყლავს? ეგებ გგონიათ,
რომ ეს ვაჟი არ არის მრთელი?

ზ ე ნ ა თ ა — არა, ბატონო!
სულმოკლეობას ვნაღლობ ჩემსას.

კ ა ხ ა ბ ე რ ი — ზენათა, იცი?
აქ ჭრილობა მაქვს შეხვეული.

ზ ე ნ ა თ ა — გტკივა?

კ ა ხ ა ბ ე რ ი — სულ არა.
იმ ტაძარში ისე ვიდექ, როგორც მითხარით.
მერე თუ რამე დაგიშავეთ, არ მახსოვს, დაო...

ზ ე ნ ა თ ა — მეც არ გემდური... მაგრამ ოდეს მკვდარი მეგონე,
კახაბერ, ძვირად დაგაფასე და ახლა ვხედავ...
მე და შენ, იცი, რა ვართ, ორი პატარა მტვერი...
ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით ქვეყანა ვიწროდ
შემოვისხტეთ და გარეთ დაგვრჩა ჭეშმარიტება...
და მოვემწყვდიეთ ჩვენს პატარა ვიწრო ნაჭუჭში.
ვწვალობთ, კახაბერ, მე მრცხვენია უსუსურობის.
შენ ჯერ არ გესმის ჩემი სიტყვა, ჯერ პატარა ხარ,
მაგრამ, ვაი თუ ვერასოდეს ვერ გაიგო, რომ
ჩვენი სიცოცხლე არარაა, გარდა იმისა,
რასაც მოვუტანთ მსხვერპლად მაღალ ჭეშმარიტებას...
ოჰ, თუ სულმოკლე დარჩი ჩემებრ!..

კ ა ხ ა ბ ე რ ი — რა გამწუხარებთ?
თუ გეშინიათ, ბოროტ კაცად არ გავიზარდო?
არა, ზენათა, აკი ზოგჯერ მტუქსავდით, რომ ვარ
ჭარბად კეთილი და მართალი... მე კი პასუხად
მოგაგონდებით, რასაც თითონ მიკითხავდით ძველ
ბერძნულ წიგნებში.

ზ ე ნ ა თ ა — იმახსოვრებ შენ კარგად სიტყვებს,
ზოგი ფრინველიც იმახსოვრებს სიტყვებს, კახაბერ!

კ ა ხ ა ბ ე რ ი — მე ვიმახსოვრებ მტრის თარეშსაც ჩვენს ქვეყანაში
და მეჩქარება გავიზარდო!

ზ ე ნ ა თ ა — რად გეჩქარება?
უსუსურია უთმინარი.

კ ა ხ ა ბ ე რ ი — კეთილ ნაყოფსაც
ახლავს სიმწარე მკვახობაში და თავის სიტკბოს
მოსაპოებლად იზრდება და, თუმც უსულია,
ისიც პირს იქცევს მზისკენ ადრე დასამწიფებლად...
რად გიკვირთ, მე თუ ღმერთს ვთხოვ ადრე ძალას.

დ ი მ ი ტ რ ი — მადლიან
დღეზე გაჩენილს გავს ეს ვაჟი.

ზ ე ნ ა თ ა — ო, თუ თქვენ მოგწონთ
მეფევ, მაშ ჩემი სიყვარული ბრმა არ ყოფილა.

დ ი მ ი ტ რ ი — ძევ, მე მიამბეს, ეს ხმალი რა მოწიწებითაც
წამოგიღიათ, გეჩქარება მისი ტარება!?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ხ ა ბ ე რ ი — დიაღ, მე ვნატრობ მის შესაფერ ღირსებას, მეფევ.
მ ე ფ ე — უღირსის ხელში ის ხმალი მეც დამენანება.
დიდმა თამარმა მიუბოძა ის შენსა პაპას,
ოდეს გიორგი, პაპაჩემი, ძე თამარისა,
ლაშქარს პირველად გაჰყვა ომში დასაგეშებლად.
მაშინ ის ჯარი მოულოდნელ მარცხისგან იხსნა
შენმა პაპამ საარაკო გმირული საქმით
და მე დღეს ამ ხმალს დაგილოცავ შენ მის შვილიშვილს,
ხუტლუ ბუღასგან აოხრებულს, ობლად დაშთენილს.
უმწეოს. ვიცი რა მზაკვრულად დაგესხათ ხუტლუ, —
ვით უპატრონო ქვეყანაში იმძლავრა მხეცად,
თითქოს არც მეფე იყოს აქ და არც ცაში ღმერთი.
ალბათ, შენც მისთვის გეჩქარება გაზრდა,—ამ ხმალით
მშობელთა სისხლი ამოიგო.
კ ა ხ ა ბ ე რ ი — ამ ხმალით, მეფევ
ვერ მივუგებ ჩემს ოჯახის მტრებს.
მ ე ფ ე — მაშ, რისთვის გინდა?
კ ა ხ ა ბ ე რ ი — წმიდა თამარმა ჩემს წინაპარს ის ჩააბარა
თავისი სახლის დასაცავად და ის მხოლოდ თქვენ
გემსახურებათ.
დ ი მ ი ტ რ ი — შენს გაზრდას მე თუ ვერ მოვესწარ?
კ ა ხ ა ბ ე რ ი — თამარის სახლად საქართველო მაინც დარჩება.
დ ი მ ი ტ რ ი — ვით სუფთა ბავშვი გულუბრყვილოთ ლაპარაკობ, თუ...
შენ რა იმედით იქადები, თუნდაც ოდესმე
ასეთი დიდი ვალით ხმალის ხელში აღებას?
ჯერ ხარ ჰასაკით უსუსური და შენს კუნთებში
როგორ ჰპოულობ ამის ნიშანს?
კ ა ხ ა ბ ე რ ი — მე მაქვს სიმართლის
იმედი მეფევ, იგი მომცემს ძალას.
დ ი მ ი ტ რ ი — სიმართლე
იცი რა არის?
კ ა ხ ა ბ ე რ ი — ის, მრწამს, მეფევ, მკვდრებსაც აღადგენს.
დ ი მ ი ტ რ ი — შენ, ყრმაო, უნდა გაიზარდო, თუ მადლი სუფევს
ზოგჯერ ქვეყანა გვეჩვენება არარაობად,
ხოლო, როდესაც რჩეულ ძეზე ჩვენ ვცნობთ და ვხედავთ
ნიშანს მადლისას, მაშინ გვჯერა, რომ არის ღმერთი
და არის კაცი.
ზ ე ნ ა თ ა — არ ღირს-ვარ ამ ბედნიერებას.
ა, ეს გლახაკნი, აქ რომ ჩუმად გარინდებულან,
მე შევაშფოთე წელან ძრწოლით... განა ამ საპყრებს
ჩემზე მეტი არ დაუკარგავთ? მაგრამ მათ ყოფნით
სიბრძნე და ძალაც, კეთილად ცნონ შემოქმედება.
დიდად ხედავენ ქვეყანას და თავის თავს კნინად.
მე კი ყოველი მადლი დავგმე განსაცდელის ჟამს.
მხოლოდ ახლა ვგრძნობ, როცა ბედმა ძმა დამიბრუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უბადრუკი იქნებოდა ღვთის ქმნილება, რომ
სამყაროს ღერძი იყოს მხოლოდ ჩემი ცხოვრება...
ჰოი, გლახაკნო, თქვენ მართალი იყავით, ოდეს
ამპარტავანი მიწოდეთ მე, ეს მანკი მახლავს
და ვინანიებ ცოდვას და ვერ გავიწმინდები,
რადგანაც სულით გავჩენილვარ ამპარტავანად...
მაგრამ მერწმუნეთ, ღვთის გლახაკნო, ვით ბნელ ხვრელიდან
ქვეწარმავალნი მოილტვიან მზის სხივებისკენ,
ისე ვისწრაფით ჩვენც ზვიადნი კეთილისკენ და
მეც მაცხოველებს სიკეთე, ვით მზე ქვეწარმავალს...
და ვით ერთ ვინმე ცოდვილისთვის ილოცეთ ჩემთვის...
ილოცეთ, რათა ამის შემდეგ ასე საზარლად
სულმოკლეობა ნუ შემიპყრობს უბედობაში...
ამას მისთვის გთხოვთ ღვთის გლახებო, რომ ცეცხლზე მწვავეთ
დამწვა სირცხვილმა თქვენს წინაშე... თქვენ მე თვალს მიხელთ.

I გ ლ ა ხ ა — არა, კეკლუცო დედუფალო. შენ მაღალი ხარ.
განგებ იმდაბლებ თავს.

II გ ლ ა ხ ა — შენ ორი თვალით გვიყურებ,
მაგრამ ბრწყინვალებ ურიცხვი თვალმარგალიტებით.

ზ ე ნ ა თ ა — გრძნობა რომ ჰქონდეს ქვებს, ზვიადთან დაბნელდებოდნენ,
თქვენთან კი თვალებს გაახელდნენ უბრალო ქვებიც.

III გ ლ ა ხ ა — (მეოთხეს) თითო მათგანი, თითო გლახას გაამდიდრებდა.

ზ ე ნ ა თ ა — რაზედაც წუთის წინ ვსტიროდი, უფლის გლახებო.
ვნეტარებ ახლა და მაინც გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის.

I გ ლ ა ხ ა — ვილოცებთ შენთვის, დედუფალო.

II გ ლ ა ხ ა — ვილოცებთ გულით!

ზ ე ნ ა თ ა — წელან ვდრტვინავდი ძმის სიკვდილზე, ახლა კი იგი
მრთელი მომგვარა მე ყველაზე ჩემთვის საყვარელ
ბატონის ხელმა. ო, ასეთი ბედიერება
ჯერ ქვეყანაზე არცერთსა ქალს არ ღირსებია...
ბედნიერება კი ფრთხილია და სულმოკლეა.
ის არის მეტისმეტად თავის მოსიყვარულე.
ალბათ, მე მისთვის გთხოვთ თავხედად, რომ ტანჯულებმაც
ჩემთვის ილოცოთ, თუმცა ესეც არის აღთქმაში,
რომ თქვენი ტანჯვა ძვირფასია ჩემს სიხარულზე,
რადგან მიწიერ სიხარულს ფლობს სიცრუე, ხოლო
ჭეშმარიტება ცრემლებით ზრდის უჭკნობელ წალკოტს.
და მეც, გლახაკნო, თქვენს ედემში მინდა შემოსვლა,
მაგრამ მაშეშებს გზის სიძნელე.

I გ ლ ა ხ ა — სიკეთით მოხვალ.

ზ ე ნ ა თ ა — სიკეთე სუფევს ქვეყანაზე საქმით, მე კი დღეს
მხოლოდ ზეიმით ავგზნებულვარ, მაგრამ სიკეთედ
თუ მოწყალება ჩაითვლება მსურს წრფელი გულით
გავიღო თქვენთვის საჩუქარი, აი, გლახებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქათქათებულ სამკაულებს და ბეჭდებს ვიძრობ,
ყელიდან ვიხსნი მარგალიტებს, გიბნევთ, აკრიბეთ...
ეს ფასუთქმელი მოსასხამი მოოქვილია
იაგუნდებით და ლალებით, დედისგან დამრჩა...
უყვარდა თქვენთვის მოწყალების გაღება და მე
ამაზე დიდსა ნათელს მის სულს ვერ დავაყენებ!
აგრე, დაჭგლიჯეთ, გაიყავით, ნუ გერიდებათ...
ეს თქვენს ნაღველში ერთი წვეთი სიხარულია,
ჩემთვის კი იქცა ნეტარების ზღვად ეს გაცემა.
ხელიდან ხელში ნუღარ ართმევთ ერთიმეორეს,
ნუ გაშმაგდებით, კიდევ მოგცემთ, ჰა, ეს მძივები,
დიდნი ალმასნი, საფირონი და ზურმუხტები
წაიღეთ, ამით მე ვმდიდრდები, თქვენ გაღარიბებთ.
ეს ყველაფერი გავეც ცაში ამოსაგებად,
რადგან მიწიერ ჩემ სიცოცხლეს მხოლოდდამხოლოდ
ძმის აღზრდას ვწივარ, ვალი მიწვევს გეთხოვებით და
გზას გავუდგები ყოვლისაგან ღარიბი, მაგრამ
მდიდარი ღმერთის იმედით.

გოდერძი — სად მიხვალ, ასულო?

ზენათა — მთიელ ძიძასთან კლდოვან ქვაბში.

გოდერძი — სად, უდაბურში?

ზენათა — იქ არწივს გავზრდი.

მეფე — კეთილთათვის მე აქ მაქვს ბინა.
მთებში კი სოროს ვაძებნინებ ბოროტებს.

ზენათა — მე აწ
დამიცხრა ცეცხლი შურისგების... და მინდა უფლის
ანაბრად ვჭედო ძმისა ბედი.

დიმიტრი — აგრე ჰშველიან
თავს უპატრონო ქვეყანაში.

ზენათა — ვშიშობთ, მეფეო,
ჩვენი მიზეზით სამეფოში მძლავრი მტრებისგან.
შფოთი აგიტყდეს... მივალთ, რომ თქვენ მშვიდობა დაგრჩეთ.
ვინ იცის, ეგებ საკუთარი ჩვენი საცდელით
იქ კლდეში უფრო მძლავრი ფრთები შევისხათ, ვიდრე
აქ მფარველობით გაგვიჩნდება. თუ ჩემს ძმას ღვთისგან
ჩასახული აქვს ბუნებაში არწივის ძალი,
იმ ქვაბში ჩემი მზრუნველობით წამოეზრდება
ფრთები და ბრჭყალნი შესაფერი მისი ბუნების...
და თავის ჟამიც დაუდგება.

დიმიტრი — ქვაბში განდგომით
როგორ აღზრდი ვაჟს უკეთესად, ვიდრე კაცთ შორის.
არა, მე ვხედავ შენ აქედან შიში მიგდენის.
შენ გგონია, რომ მტრებისაგან მეფე ვერ გიხსნის.
ო, მართლაც, დღემდე ძალას ჩემსას მტერი ბოჭავდა
და მრავალ ცოდვას ვითმენდი ჩემს სახელმწიფოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან სიკეთის აღივებას ძალა სჭირდება,
ბოროტება კი კაცთა შორის თავისით იყრის....
მაგრამ ავიშვი მე დღეს ხელი და გავემზადე
ხუტლუს საქმეთა განსაკითხად,

ზ ე ნ ა თ ა — ჰოი, მეფეო!
ვერ ვინეტარებ ჩემი მტრების განკითხვით, რადგან
ხუტლუსდაგვარი უმსგავსონი ისე გამრავლდნენ
ჩვენში, რომ ხუტლუს სიკვდილითაც ჩემი თვალები,
იმავე წუთში მისი ასლის დამნახველები,
ველარ იგრძნობენ ამ ქვეყნიდან მისსა გაქრობას.
მე გაურბივარ არა თვითონ ხუტლუს, საზიზღარს,
მაშინებს არა ავადმყოფი, არამედ, სენი.
მსურს გავიხიზნო ქვაბში, რადგან სასტიკი ჭირი
ზნეობის მღრღნელი ემუქრება წაწყმედით მთელ ერს.
ვესავ, ოდესმე, იმ ქვაბიდან ხიდი ვიპოვო
შესაერთებლად სხვა კეთილად დარჩენილებთან,
რომ დიდის ღმერთის შემწეობით ერთად გავჭედოთ
ჭური. რადგან ხორცს დაწყლულებულს მალამო ჰკურნავს,
სულს კი — მახვილი.

დ ი მ ი ტ რ ი — რა მადლი გმოსავს,
რომ შენ მთის ქვაბშიც განდევნილი ატარებ მედგრად
ქვეყნის წინაშე უმაღლეს ვალს. სჩანს დიდ აბულეთს
თავის სასახლე აუგია საკვირველ სიბრძნით,
რომ მის დაქცეულ დარბაზისგან გადარჩენილა
საუნჯე თითონ დიდ დარბაზზე უძვირფასესი.
ამქვეყნად ყველა მიწიერი ბურჯი იქცევა,
მაგრამ ვინც თავის საქმეს ფუძედ სიმართლეს უდებს,
ყოველგვარ ქვაზე მედგარია, არა თუ სახლი,
მთლად სამეფონი დროთა ბრუნვით აღგვილან, მაგრამ
თუ კი ოდესმე მათ ჰქონიათ წმიდათა-წმიდა,
თავისი აღთქმის მემკვიდრენი არ გაჰქრობიათ.
მხოლოდ თათართა სახელმწიფო ინგრევა ისე,
რომ მის ნანგრევზე არასოდეს მუხლს არ მოიყრის
არც სიბრძნე, არცა სათნოება თანაგრძნობითა.
ყოველ ზღუდეთა და ნაგებთა დამაქცეველნი
თითონ აგებდნენ მხოლოდ კაცის თავთა ყორეებს.
არამქონენი მაღალ აზრის და სიწმინდისა
წასაწყმენდელად დაეძებდნენ სხვის სალოცავებს.
სიბრძნეს ესხმოდნენ ვერაგობით, კეთილს — მზაკვრობით,
პატიოსნებას და ღირსებას შიშითა ხრწნიდნენ,
მაგრამ ღვთის მადლით სძლია ბოლოს კეთილმა ბოროტს,
დღეს ლანდად იქცა სათათრეთი უწყალო ურდო.
გახეთქა იგი ჩანერწყვილმა უზომოდ ცოდვამ,
იწყო სიკვდილით გაზმორება.

ზ ე ნ ა თ ა — ო, თუ სიზმარში
არ მესმის ეს ხმა სანატრელი, თუ ჭეშმარიტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოწყდა მტერი, მაშ ყაენად რად დააბრძანეს
არღუნი, მას რად ეძახიან მსოფლიოსმპყრობელს!

დ ი მ ი ტ რ ი — არღუნი არის დღეს უძლური ლანდი წარსულის
ცხელ ეგვიპტედან ჩრდილოეთის ცივ ბნელეთამდე,
ყველა მეფენი, სულთანნი და თითონ ნოინნი
შევთანხმდით, ჩემი თაოსნობით, ბოროტ ჰამადას
შემდეგ ყაენად გვეცნო არღუნ, ერთის პირობით, —
თათრის კირთიდან სამუდამოდ გავთავისუფლდეთ.
ამ საქმისათვის შევაერთეთ ჩვენი ლაშქარი.
თათრის ურდო კი დავასუსტეთ.

გ ო დ ე რ ძ ი — დიახ, ასულო,
უზომო მადლით ცა გაგვეხსნა.

ზ ე ნ ა თ ა — მაშინ თითონ მზეც
კეთილის ჟამის გვირგვინითა აღმობრწყინდება
და მე, ქვაბიდან, დილას ყოველს მივეგებები
გალობით, როგორც ცის ფრინველი... თუმცა ნაღველი
კვლავ შეერევა ჩვენს სიხარულს იმ უბედურთა
ძოგონებით, ვინც ადრე გაჰქრა... სხვათა ცოდვისთვის
რად დაისაჯენ კეთილები?

დ ი მ ი ტ რ ი — კეთილს ვცნობილობთ
გაღებულ მსხვერპლით. მხოლოდ მიკვირს, შენ რად აცხადებ,
რომ ნათელ დღეებს შეეყრები ქვაბიდან? ისევ
ქვაბში რა ფიქრით იხვეწები!

ზ ე ნ ა თ ა — ამ აზრით, რომ თქვენ
ბევრი სხვა ვალი გაქვთ ჯერ ქვეყნის მოსაბრუნებლად
და ჩემზე ზრუნვას ვერ გატვირთებთ, თან აშკარად ვჰვრეტ,
შეჰურვილია მტერი ისე ეშმაკის ხერხით,
რომ ამ დროებით გაცლა მიჯობს... ოღონდ ჩემი ძმა
განსაცდელისგან დავიხსნა და შევურიგდი აზრს,
სიცოცხლე მსხვერპლად დავდვა ქვაბში... მეფევ კეთილო,
სასხლში მიყივის მშობელთა ხმა, გადავარჩინო
მათი დიდების სამოძირო.

დ ი მ ი ტ რ ი — რა საშიშია
ბოროტის ხელი, როცა თავი მოკვეთილია

(გამოჩნდებიან გლახაკები)

I გ ლ ა ხ ა — ო, გაგახაროს ღმერთმა, მეფევ, ღმერთმა გიშველოს!
II გ ლ ა ხ ა — იბედნიერე, ნეფევ, ყველა კაცზე კეთილო.
III გ ლ ა ხ ა — შენი სულისთვის გახსნილია სამოთხის კარი!
დ ი მ ი ტ რ ი — რად მლოცავთ ასე გულმოდგინედ
I გ ლ ა ხ ა — უხვი წყალობა
მოიღე დღეს ჩვენ გასაძღომად.
დ ი მ ი ტ რ ი — მე რად მიმადლით.
ის გიბოძათ ამ ბანოვანმა.
IV გ ლ ა ხ ა — ახლა გავიგეთ
რომ ეს ბრძანდება დედოფალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III გლახა — მადლისთვის გლოცავთ.
გვიბოძა შენი სიკეთიდან.
გოდერძი — ცდებით, გლახაკნო!
I გლახა — დედოფალია ეს ახალი!
IV გლახა — ახლა მოგვესმა.
I გლახა — ბევრსაც ყბედობენ ფოლორცებში.
IV გლახა — ზოგნი რეგვენნი
როშავენ, თითქოს ამ ცოდვებით შეიძრა მიწა.
I გლახა — ზოგნი გლახაკნიც, დღეს წყალობით გალაღებულნი
ახლა წყევლიან უმადურად ამ ასულს მისთვის,
თითქო ზედმეტის საჩუქარით მან სპეტაკი სულნი
გლახაკთა მისცა ცდუნებასა შემოუწერელს...
გარყვნა გლახაკნი და სინდისის ხმაც მოისყიდა,
რათა საჯდომზე დაჯდეს ქებით უწესოების...
და სახავენ მას ეშმაკისგან მოვლინებულად,
მრავალის მახით, მთელი ერის წასაწყმედათა.
ზენათა — ო, მტრები თურმე თავის ისარს როგორ შხამავენ
I გლახა — მხოლოდ ჩვენ გლოცავთ და გადიდებთ, მხურვალეთ გლოცავთ.
დიმიტრი — არა, გლახებო, ეს არ არის ჩემი მეუღლე.
I გლახა — გვიკვირს, უფალო, რად დასჭირდათ ჩვენთან ცრუობა?
IV გლახა — ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ შეგფერის შენ ეს მეუღლედ.
გულკეთილია, მოწყალეა!
I გლახა — მას გულით ვლოცავთ!
დიმიტრი — დასალოცავიც არის. მე თქვენ გწყალობდით მხოლოდ
ჩემი ნარჩენით, ნასუფრალით, ჩემს გასართობად.
ამ ასულმა კი გლახაკთათვის გაიღო მთელი
თავის საუნჯე და მიანდო ღმერთს თავისთავი.
უფლის გლახებო, დღემდე თუ მე გასაჩუქრებდით,
დღეს თქვენ პირაქეთ, ბევრად მეტი მიძღვენით ამით,
რომ სათნოებით აგზნებული სული მანახეთ!
გადარეული მადლით, როგორც სამოთხის წყარო
და თქვენ ილოცეთ, რომ მე მეფეს მაღალმა ღმერთმა
არ დამიშრიტოს არც ძალა და არც ნებისყოფა
ასეთ კეთილთა დასაცავად, ცილისწამებას
ნუ მოისმენთ, ნურც იმეორებთ თქვენი პირითა.
I გლახა — ვილოცებთ ღმერთთან ამ ასულის გადასარჩენად.
II გლახა — შენს მტრებს დავსწყევლით, ჩვენო, კაცადნაწილო მეფევ

(შემოდის შიკრიკი)

გოდერძი — ეს რა ხმაურობაა?
შიკრიკი — მიწისძვრით დაზარალებულნი თავს იყრიან, დრტვინავენ, მათ
ვერ აკავებენ, მეფესთან შეყრას მოითხოვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ი მ ი ტ რ ი — ბალის წინ მოედანზე გაუშვას მოურავმა ,იქ შევეყრებით. კათალიკოსიც მობრძანდეს.

შ ი კ რ ი კ ი — იმერეთიდან ჩამობრძანდა მხცოვანი მეფე დავით ნარინი.

დ ი მ ი ტ რ ი — ჩემ დიდ ბიძას ქალაქის ბჭესთან შეეგებები, მოამზადეთ თეთრი ტაიჭი.

(შ ი კ რ ი კ ე ბ ი მოდიან).

დ ი მ ი ტ რ ი — შენ კი ზენათა, სპასალარი გაგიძღვება და შენი ამალით ჩემს დარბაზში წაბრძანდით. მე იქ სამართალს სწორს და შეუპოვარს გავმართავ ქვეყნის მტრებზე. სასწორის რომელიმე მხარეს არ დავდებ ჩემსა სიყვარულს, ან სიძულვილს გადასახრელად! და განაჩენსაც შევასრულებ.

ზ ე ნ ა თ ა — შენსა ბრძანებას ვემორჩილები, მაგრამ მუხლი მეტად მძიმდება, რადგან სატანამ წინ მრავალი მახე დამიგო.

დ ი მ ი ტ რ ი — უსუსურია მათი ქსელი.

ზ ე ნ ა თ ა — მე მაინც მინდა კიდევ დავფიქრდეთ...

(ზ ე ნ ა თ ა, კ ა ხ ა ბ ე რ ი და მ ო ნ ე ბ ი აპირობენ წასვლას)

დ ი მ ი ტ რ ი — (მსახურს) მოასვენე ეს ჩემს დარბაზში.

(ყ ვ ე ლ ა ნ ი მ ი დ ი ა ნ)

ფ ა რ დ ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლ. ჭიაურელი

ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორია

(ი. ბ. სტალინის წიგნის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნებიდან ათი წლისთავისათვის)

„ამხანაგ სტალინის მიერ შექმნილი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი ისტორიული პერიოდის განზოგადოებას და უძვირფასეს განძს მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერებაში, რომლის დაუფლების გარეშე შეუძლებელია მტკიცედ შეიარაღება საბჭოთა კავშირში კომუნიზმის საქმისათვის, მთლიანად კომუნიზმის საქმისათვის შემდგომ საბრძოლველად“.

ვ. მ ო ლ ო ტ ო ვ ი.

★

ათი წლის წინათ გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინის კლასიკური შრომა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“.

ამ წიგნმა ფართო პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში და მთელი მსოფლიოს მშრომელთა შორის. ათობით მილიონი საბჭოთა ადამიანები ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლისას მიმართავენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლიდან განვლილი ათი წლის მანძილზე მისი საერთო ტირაჟი 34 მილიონ 219 ათას ეგზემპლარამდე ავიდა. ამ წლების განმავლობაში მარქსიზმ-ლენინიზმის ეს თვალსაჩინო ნაწარმოები ჩვენს ქვეყანაში 200-ჯერ გამოიცა. სსრ კავშირში იგი 62 ენაზეა გადათარგმნილი. მრავალმა ხალხმა, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციამდე არ გააჩნდა თავისი დამწერლობა, მშობლიურ ენებზე — ავარულ, ლეკურ, კუმიხურ, ოირატულ, ხაკასურ და სხვ. ენებზე — მიიღეს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი. უცხოეთის ენებზე ეს წიგნი 43-ჯერ გამოიცა.

ამ შესანიშნავი წიგნის გამოქვეყნება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა კავშირის იდეურს ცხოვრებაში. ამ განთქმული წიგნის გამოსვლით ჩვენმა პარტიამ პირველად მიიღო ახალი მძლავრი იდეური იარაღი — ბოლშევიზმის ნამდვილად მეცნიერული ისტორია. ამხანაგ სტალინის წიგნი გახდა მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნით ჩვენი კადრების შეიარაღების მძლავრი საშუალება.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლამ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში მარქსისტულ-

ლენინური პროპაგანდის ახალ ჯერარნახულ გაქანებას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებამ შეაიარაღა პარტია პარტიის წევრების, საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის სფეროში მუშაობის გაშლილი პროგრამით. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ამ ისტორიული დადგენილების შესაბამისად პარტიულმა ორგანიზაციებმა გარდაქმნეს პარტიული პროპაგანდის მთელი საქმე. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას საფუძვლად დაედვა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებამ ბოლო მოუღო კუსტარულობასა და არაორგანიზებულობას პარტიულ პროპაგანდაში. გაუმჯობესდა ბეჭდვითი პროპაგანდა. გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდება კონსულტაციები მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, სტატიები და ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პარტიის ისტორიის საკითხებზე. წაკითხულ ლექციათა ბეჭდვა აიძულებს ლექტორებს უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ ლექციებს, ამას კი ლექტორთა მუშაობა უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს. გარდაიქმნა და გაუმჯობესდა პარტიული კაბინეტების მუშაობაც. კონსულტაციები გახდნენ მძლავრი დამხმარე საშუალებები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთათვის. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ამ დადგენილებამ ამასთან ერთად ჩვენი კადრების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლების მთავარ მეთოდად დააწესა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლა.

პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ფართოდ გაიშალა და ღრმად დაინერგა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის დახმარების ერთერთი მთავარი ფორმა — პროპაგანდის ლექციური სისტემა. ლექციებს პარტიის თეორიის, ისტორიის, პოლიტიკის საკითხებზე დიდი ადგილი უჭირავთ მთელს საპროპაგანდო მუშაობაში: ლექციები უმთავრესად იკითხება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ცალკე თავებსა და თემებზე, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებებზე.

ამხანაგ სტალინის შრომის — „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ — გამოსვლამ გარდატეხა მოახდინა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს კადრების თეორიული და პოლიტიკური ზრდის საქმეში.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსმა“ დაუფასებელი დახმარება გაუწია უწინარეს ყოვლისა იმ ჩვენს კადრებს, რომლებიც ეწევიან თეორიულ და საპროპაგანდო მუშაობას, დაეხმარა ამ კადრებს, როგორც მათი საკუთარი თეორიული ჩამორჩენილობის დაძლევაში, აგრეთვე საპროპაგანდო მუშაობის სათანადოდ ამაღლების საქმეშიც.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ თვალსაჩინო მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან ძირფესვიანი გაუმჯობესება შეიტანა პარტიული და საბჭოთა კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის დაყენებაში.

პარტიული კადრები და საბჭოთა ინტელიგენცია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დახმარებით ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნას და იმსჭვალებიან კიდევ უფრო მეტად ურყევი რწმენით ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის ისტორიული სიმართლისადმი. ამხანაგ სტალინის წიგნი ეხმარება საბჭოთა ინტელიგენ-

ციას შეიცნოს მშრომელთა აღზრდის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ამოცანები, იგი ეხმარება მშრომელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, შეიგნოს სოციალისტურ გარდაქმნათა უდიდესი მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში.

დიდი სამამულო ომის დღეებში ამხანაგ სტალინის გენიალური წიგნი მასებს ძალღონეს მატებდა და ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენას უნერგავდა. ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურება ეს არა მარტო საბჭოთა ხალხის სამხედრო გამარჯვებაა, არამედ ესაა ბოლშევიკური იდეოლოგიის გამარჯვება ფაშიზმის კაცთმოძულეობის იდეოლოგიაზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შთაგონებულმა საბჭოთა კავშირის ხალხებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაიცვეს თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ღირსება და თავისუფლება. საბჭოთა კავშირის უმაგალითო გაძარჯვებამ დიდს სამამულო ომში მთელი მსოფლიოს წინაშე გამოამჟღავნა ჩვენი სოციალისტური სისტემის უპირატესობა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის უპირატესობა.

ომმა დაგვანახვა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს კადრებს შეუძლიათ დიდი და რთული ამოცანების გადაწყვეტა, თუ ისინი დაუფლებული არიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონთა მეცნიერებას. ომმა დაგვანახა ჩვენი პარტიის მიერ ჩატარებული აღმზრდელობითი შუშაობის უდიდესი მნიშვნელობა. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსმა“ თვალსაჩინო როლი შეასრულა ამ აღმზრდელობითს მუშაობაში. სახალხო მეურნეობის, კულტურისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ყველა დარგის ხელმძღვანელმა კადრებმა, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებმა ღირსეულად გაუძღვნეს ომის მკაცრ განსაცდელს და მდგომარეობის სიმაღლეზე აღმოჩნდნენ.

საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება სამამულო ომში მოწმობს საბჭოთა წყობილების სიცოცხლის უნარიანობას, ჩვენი პარტიის პრინციპებისა და იდეების დიად მაორგანიზებელ და გარდამქმნელ ძალას, რომლებიც ასე გენიალურადაა დასაბუთებული სტალინის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“.

„საკ კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ სტალინური სიღრმითა და სიბრძნით მოგვითხრობს ბოლშევიზმის მეცნიერულ ისტორიას, ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიას, ანზოგადოებს ჩვენი პარტიის მიერ განვლილ გზას, მე-19 საუკუნის 80-იანი წლების პირველი მცირე მარქსისტული წრეებისა და ჯგუფებიდან ბოლშევიკების დიდ პარტიამდე, რომელიც ხელმძღვანელობს მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსმა“ განაზოგადა გიგანტური გამოცდილება კომუნისტური პარტიისა, რომელმაც შეძლო ემეთაურნა შუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლისათვის, მოეხდინა კაპიტალიზმის დამხობა და სოციალისტური საზოგადოების აგება.

იდეური შეიარაღების სიმდიდრით და რევოლუციური გამოცდილების მრავალმხრივობით ჩვენს პარტიას მართლაც ტოლი არ გააჩნია მთელს მსოფლიოში. და, თუ ჩვენი ქვეყანა, რომელიც ცარიზმის დროს ითვლებოდა ერთერთ ჩამორჩენილ ქვეყანად, რეაქციის ერთერთ დასაყრდენად, ახლა გახდა ძლევამოსილი სოციალიზმის ციხე-სიმაგრე, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა სამშობლო, მოწინავე ტექნიკის, მოწინავე კულტურის ქვეყანა, — ამას უნდა ვუ-

მადლოდეთ უწინარეს ყოვლისა რევოლუციის გეხიოსების — ლენინისა და სტალინის მიერ გამოზრდილ ბოლშევიკების პარტიას.

ბოლშევიკურ პარტიას აქვს უმდიდრესი ისტორია, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან. ბოლშევიკების პარტიამ თავისი გზა განვლო სამი რევოლუციის: 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქარცეცხლში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ „არის ისტორია ცარიზმის დამხობისა, მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა, ისტორია სამოქალაქო ომის დროს უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციის განადგურებისა, ისტორია ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისა“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“). და თუ ბოლშევიკებმა შესძლეს სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოეტარებიათ პროლეტარიატი. ეს აიხსნება იმით, რომ ლენინ-სტალინის პარტია იყო ახალი ტიპის პარტია, ოპორტუნიზმისაგან თავისუფალი, შემთანხმებელთა და კაპიტულანტთა მიმართ შეურიგებელი მებრძოლი პარტია პროლეტარიატისა, ნამდვილად რევოლუციური პროგრამითა და ტაქტიკით, რკინისებური ცენტრალიზებული ორგანიზაციითა და დისციპლინით, — პარტია, რომელსაც უნარი შესწევს გადასწყვიტოს სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დიადი რევოლუციური ამოცანები.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლასთან დაკავშირებით პარტიულ პროპაგანდის დაყენების შესახებ „საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებაში მითითებულია, რომ ჩვენი პარტიის ისტორია იყოფა სამ ძირითად ეტაპად.

პირველი ეტაპი — ბოლშევიკური პარტიის შექმნისათვის ბრძოლა, რომლის შესახებაც მოთხრობილია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ I — IV თავებში, დაიწყო გასული საუკუნის 80-90 წლებში, გრძელდებოდა 1912 წლამდე, როცა ბოლშევიკებმა მოიწვიეს კონფერენცია პრაღაში და საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ პარტიად. ამ წლებში ჩვენი პარტიის ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი გახდა ბრძოლა ბოლშევიკების პარტიის, როგორც ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის, ისეთი პარტიისა რომელსაც უნარი ექნებოდა დაერაზმა ძალები ცარიზმისა და მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების დასამხობად, სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. ამ პერიოდში ლენინმა და სტალინმა თავიანთ შრომებში მოგვცეს რევოლუციური მარქსისტული პარტიის, როგორც ახალი ტიპის პარტიის, იდეოლოგიური, ორგანიზაციული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლები.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ განსაკუთრებული სიცხადითა და სიღრმით გვიჩვენებს, თუ როგორ ყალიბდებოდა ეს ახალი ტიპის პარტია, როგორი იდეური საფუძვლები განსაზღვრავდნენ ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ჩამოყალიბებას.

ამხანაგ სტალინის შრომის უდიდესი თეორიული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ისტორიული თვალთახედვით მოცემულია თეორიული დასაბუთება იმ ახალისა, რაც შეიტანა ლენინის გენიამ მარქსიზმის საგანძურში. ეს წიგნი სტალინური თეორიული სიღრმითა და სიცხადით გვიჩვენებს, თუ როგორ თანმიმდევრულად სჭედდა ლენინი ბოლშევიზმის უძლეველ იდეურ იარაღს, როგორ უყრიდა ლენინი იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საფუძვლებს ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა II ინტერნაციონალის ძველი რეფორმისტული პარტიებისაგან, როგორ დაიცვა ლენინმა მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები.

ყველაფერი ეს იყო დიდი ისტორიული სამზადისი ბოლშევიკური პარტიის — ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად.

ენგელსის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა იწყეს სოციალური რევოლუციის პარტიებიდან სოციალური რეფორმების პარტიებად გადაგვარება, და თვითეული ამ პარტიათაგანი გადაიქცა თავისი პარლამენტალური ჯგუფის დამატებად. ლენინი და სტალინი ხედავდნენ, რომ პროლეტარიატს ესაჭიროებოდა არა ასეთი პარტია, არამედ სულ სხვა, ახალი მარქსისტული პარტია, რომელსაც უნარი ექნებოდა წინ გაძღოლოდა მუშათა კლასს სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გზაზე. და ასეთ პარტიას აგებდნენ ბოლშევიკები და ააგეს კიდეც ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით.

„მთელი ისტორია ბრძოლისა „ეკონომისტებთან", მენშევიკებთან, ტროცკისტებთან, ოტზოვისტებთან, ყველა ჯურის იდეალისტებთან, თვით ემპირიოკრიტიკოსებამდე,—ნათქვამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში",—იყო სწორედ ასეთი პარტიის მომზადების ისტორია. ბოლშევიკებს უნდოდათ შეექმნათ ახალი, **ბოლშევიკური** პარტია, რომელსაც შეეძლებოდა ყოფილიყო ნიმუში ყველასათვის, ვისაც უნდოდა ჰყოლოდა ნამდვილი რევოლუციური მარქსისტული პარტია. ბოლშევიკები ამზადებდნენ ასეთ პარტიას უკვე ძველი „ისკრის" დროიდან. ისინი ამზადებდნენ მას შეუჩოვრად, დაჟინებით, ყველაფრის მიუხედავად". მასთან ძირითადი და გადამწყვეტი როლი მომზადებაში შეასრულეს, როგორც ეს გვიჩვენა ამხანაგმა სტალინმა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში", ლენინის შრომებმა. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?" იყო ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიური მომზადება. ლენინის წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" იყო პარტიის ორგანიზაციული მომზადება. ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" იყო ჩვენი პარტიის პოლიტიკური მომზადება. ვ. ი. ლენინის კლასიკური შრომა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" იყო ჩვენი პარტიის თეორიული მომზადება.

სტალინის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" გვაძლევს ლენინის ამ ნაწარმოებთა მწყობრ, ღრმა დახასიათებას. შეიძლება ითქვას, რომ არსად და არასოდეს არ ყოფილა ასეთ სიმაღლეზე აყვანილი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, როგორც ესაა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში"; „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დაუფასებელი მნიშვნელობა აგრეთვე ისიცაა, რომ ის აღვივებს თეორიისადმი მისწრაფებას, აღ-

ვიძებს ინტერესს ჩვენს კადრებში პირველწყაროებისადმი — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის თხზულებათა შესწავლისადმი.

თავისი შრომის მეოთხე თავში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მთლიანი და სისტემატური განმარტება. ამხანაგმა სტალინმა დაგვანახა, თუ რა უდიდესი თეორიული სიმდიდრე დაიცვა ლენინმა მარქსიზმის გადაგვარებულებთან და რევიზიონისტებთან ბრძოლაში. მეოთხე თავი გვასწავლის შევიცნოთ საზოგადოების განვითარების კანონები, ის გვაძლევს კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე საწარმოო ძალთა და ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის განვითარების სურათს. ეს თავი მთელი მეცნიერული დამაჯერებლობით ცხადჰყოფს, რომ სწორედ წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე დაფუძნებული სოციალისტური საწარმოო ურთიერთობანი შეესაბამებიან საწარმოო ძალთა იმ დონეს, იმ მდგომარეობას, რომელსაც უკვე მიაღწია კაცობრიობამ. მეოთხე თავი მეცნიერული დამაჯერებლობით ადასტურებს ჩვენ ქვეყანაში შექმნილი ახალი სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის უძლეველობას, — სოციალიზმის ქვეყნის — სსრ კავშირის უძლეველობას. ამხანაგი სტალინი თავის წიგნში გვაძლევს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძვლების გენიალურ განმარტებას. განაზოგადა რა ყველაფერი ის, რაც შეიტანეს მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა დიალექტიკური მეთოდის მოძღვრებასა და მატერიალისტურ თეორიაში, ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიზმის გიგანტური გამოცდილების საფუძველზე ახალ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსისტული ფილოსოფია, განავითარა იგი შემდგომში, როგორც მეცნიერული კომუნიზმის თეორიული საფუძველი, განსაკუთრებული ოსტატობით გამოააშკარავა ორმა კავშირი მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიასა და კომუნისტური პარტიის პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობას შორის. ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებულის სიძლიერით ხაზი გაუსვა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პარტიულობას, მის კავშირს მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლასთან, კომუნისტური პარტიის რევოლუციურ საქმიანობასთან მის ორგანიულ კავშირს. ბოლშევიზმის ამ დიდი ტრადიციიდან ყოველგვარ გადახვევას მოყვება ბურჟუაზიული ობიექტივიზმი, იგი მკვდარ, მშრალ დოგმად აქცევს ფილოსოფიას.

ამხანაგ სტალინის გენიალურმა ნაწარმოებმა — „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების, საბჭოთა ინტელიგენციის ყველა რაზმების იდეურ-თეორიული ჰორიზონტის გაფართოებაზე და ახალ ლიანდაგზე დააყენა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პროპაგანდის მთელი საქმე. მან ბოლშევიზმის ახალი მძლავრი იდეური იარაღით შეაიარაღა პარტია და საბჭოთა ხალხი, მარქსიზმ-ლენინიზმის შუქით გაასხივოსნა თანამედროვეობის უაღრესად აქტუალური პრობლემები.

სტალინის შრომა „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელიც ერთერთ თავად შევიდა მის წიგნში, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალია.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეორე ეტაპი — ბოლშევიკების პარტია პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში, რომლის შესახებ მოთხრობილია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ V — VII თავებში, — მოიცავს პერიოდს დამოუკიდებელ პარ-

ტიად ბოლშევიკების ჩამოყალიბების დაწყებიდან 1917 წლამდე, როცა პარტიის მეთაურობით მუშათა კლასმა ულარიბეს გლეხობასთან ერთად, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა მხარდაჭერით დაამხო მემამულეთა და ბურჟუაზიის ხელისუფლება და დაამყარა საბჭოების ხელისუფლება. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეორე ეტაპის მთავარი შინაარსია ბოლშევიკების პარტიის ბრძოლა მუშათა კლასის ფართო მასების დარაზმვისათვის ცარიზმისა და მემამულეთა და ბურჟუაზიის ხელისუფლების დასამხობად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასასვლელად, ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში საბჭოების ხელისუფლების დასამყარებლად.

ამავე პერიოდში ჩვენი პარტია დაუღალავად ანვითარებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიასაც.

1905 — 1907 წლების რევოლუციის გამოცდილებით ლენინი და სტალინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბურჟუაზია აღარ წარმოადგენდა რევოლუციურ ძალას და, როგორც წესი, ბურჟუაზიამ იწყო შეთანხმება მემამულეებთან და საზოგადოების სხვა რეაქციულ ფენებთან და, რომ ამიერიდან ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატი შესძლებს და უნდა შეძლოს კიდეც იყოს ყველა რევოლუციურ-დემოკრატიული ძალების ჰეგემონი და ბელადი.

მენშევიკები, წარმოადგენდნენ რა საერთაშორისო ოპორტუნიზმის ნაირსახეობას, რუსეთის პირობებში უარყოფდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიას. აქედანაა მათი ლიკვიდატორული დამოკიდებულება მუშათა კლასის პარტიისადმი.

პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ საკითხის მარქსისტულ-ლენინური დაყენების ძალა უწინარეს ყოვლისა ძდგომარეობს კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ მეცნიერულად დამუშავებულ მოძღვრებაში. რომელიც ძირფესვიანად გამორიცხავს სოციალიზმში კაპიტალიზმის „მშვიდობიანად შეზრდის“ ოპორტუნისტულ იდეას.

დიდი რევოლუციური მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას, რომ მუშათა კლასს შეუძლია განახორციელოს თავისი ისტორიული მისია, მხოლოდ მაშინ, თუ იგი გახდება გლეხობის, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა ხელმძღვანელი.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეორე ეტაპის პერიოდში თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ განვითარებულ ახალ ძიზანდასახულობას მარქსიზმის მოძღვრებაში ბურჟუაზიულ და სოციალისტური რევოლუციების თანაფარდობაზე, ლენინისა და სტალინის თეორიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდის შესახებ სოციალისტურ რევოლუციაში.

ამავე პერიოდში პარტია იარაღდება ლენინისა და სტალინის დაუფასებელი მოძღვრებით, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ომის, მშვიდობიანობისა და რევოლუციის საკითხებზე ბოლშევიკური პარტიის თეორიითა და ტაქტიკით, სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ მოძღვრებით. ლენინისა და სტალინის მიერ შემუშავებულ იქნა აგრეთვე ბოლშევიკური პროგრამა ნაციონალურ საკითხზე. ჩვენი პარტია აღმოჩნდა ერთადერთი პარტია, რომელსაც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ გააჩნდა მწყობრი, მკაფიო მარქსისტული თეორია ნაციონალურ საკითხზე, გადმოცემული ამხანაგ სტალინის ისეთი კლასიკურ შრომაში, როგორიცაა „მარქსიზმი და ნა-

ციონალური საკითხი“, და ლენინის კლასიკურ წერილებში „ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ და „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“.

თვალსაჩინო მოვლენა ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ ცხოვრებაში, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მის პოლიტიკაში იყო 1917 წლის აპრილში ლენინის მიერ წამოყენებული ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, ლოზუნგი პარლამენტური რესპუბლიკიდან საბჭოთა რესპუბლიკაზე გადასვლის შესახებ, რომელიც საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმა იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში. ამ ლოზუნგმა დარაზმა მაშინ მასები საბჭოების ხელისუფლების მოსაპოებლად. ჩვენი პარტია რომ არ ყოფილიყო შეიარაღებული ამ ლენინური თეორიით, ლენინის ამ დიდმნიშვნელოვანი თეორიული აღმოჩენით, ჩვენ ვერ შევძლებდით საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ამგვარად, ბოლშევიკების პარტიამ, ლენინ-სტალინის პარტიამ მოამზადა და მოახდინა ოქტომბრის რევოლუცია. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით იწყება ჩვენი პარტიის ახალი მესამე ეტაპი, რომლის შესახებ მოთხრობილია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ VIII—XII თავებში.

ბოლშევიკების პარტია, რომელმაც განვლო ბრძოლის ხანგრძლივი და სახელოვანი გზა, გახდა მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს ხელმძღვანელი პარტია. ამ პერიოდში პარტიის წინაშე წამოიჭრნენ კიდევ უფრო რთული ამოცანები: საჭირო იყო გარეშე და შინაურ მტრებისაგან საბჭოთა ხელისუფლების არა თუ მარტო დაცვა, არამედ მისი განმტკიცებაც, მისი უძლეველად გადაქცევაც.

ბოლშევიკების პარტია მშრომელთა ყველა მტრის წინააღმდეგ მძიმე ბრძოლაში სწყვეტდა ამ ისტორიულ ამოცანებს. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მუშებმა და გლეხებმა გაანადგურეს შინაური და გარეშე მტრები სამოქალაქო ომის წლებში. ჩვენი ქვეყნის შიგნით გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, პარტიისა და ხალხის მტრებთან — ტროცკისტებთან, ბუხარინელებთან და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან ბრძოლის პირობებში, ბოლშევიკების პარტია გადავიდა სახალხო მეურნეობის აღსადგენად მშვიდობიან მუშაობაზე, განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, მილიონობით გლეხური მეურნეობები გადაიყვანა კოლმეურნეობათა გზაზე, სოციალიზმის გზაზე. ჩვენი ქვეყანა უმოკლეს ისტორიულ ვადაში გახდა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, მსხვილი სოციალისტური მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყანა. ეს მსოფლიო ისტორიული გამარჯვება განმტკიცებული იქნა 1936 წელს საბჭოების საგანგებო VIII სრულიად საკავშირო ყრილობის მიერ მიღებული სტალინური კონსტიტუციით.

ამგვარად, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის ბრძოლა გახდა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მესამე ეტაპის მთავარი შინაარსი და ძირითადი ამოცანა. და ეს ამოცანა პარტიამ გადაწყვიტა. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, „უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენების დამთავრებისა

და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში“

ჩვენი პარტიის ისტორიაში მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. ომის წლებში, ისე როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ბოლშევიკური პარტია გახდა საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა. „პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ძალღონე, დაუმორჩილა რა ყველა ჩვენი ძალები და საშუალებები მტრის განადგურების საქმეს“ (სტალინი). ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შექმნილმა მძლავრმა სოციალისტურმა სახელმწიფომ გაუძლო ომის ყველა განსაცდელს. ჩვენი ხალხისა და ყველა სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხის დაუძინებელი მტერი — გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმი მთლიანად განადგურებული იქნა ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმიისა და ჩვენი დიდი ხალხის გაერთიანებული ძალღონით.

*
* *

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ მკაფიოდაა ნაჩვენები მარქსისა და ლენინის მოძღვრების განუყრელი ერთიანობა, მთლიანობა და მემკვიდრეობითობა. ამხანაგ სტალინის წიგნი ცხადჰყოფს განუყრელ კავშირს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საფუძვლების, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისა და პარტიის ისტორიის შორის.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლით ლიკვიდაციაეყო პარტიის ისტორიის სწავლებისა და ლენინიზმის სწავლების შორის მანამდე არსებულ საზიანო გათიშულობას.

ლენინიზმი წარმოიშვა და განვითარდა მარქსიზმის საფუძველზე, მან შეაიარაღა ბოლშევიკების პარტია საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის დროშით, მისცა პარტიას შესაძლებლობა გარკვეულიყო ვითარებაში, წინასწარ განეჭვრიტა მოვლენათა მსვლელობა, შეეცნო არა მარტო ის, როგორ და საითკენ ვითარდებოდნენ მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საითკენ განვითარდებოდნენ ისინი მომავალში.

ბოლშევიკების პარტიისათვის, მისი ბელადების — ლენინისა და სტალინისათვის მარქსიზმი არასოდეს არ ყოფილა დოგმა, არამედ ყოველთვის იყო სახელმძღვანელო მოქმედებისათვის. პარტია, გამოდის რა მარქსიზმის არსიდან, აკონკრეტებს, აზუსტებს, გადასინჯავს მარქსიზმის ცალკეულ დებულებებს, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ახალ ისტორიულ ვითარებაში, მოძველებულ დასკვნებსა და დებულებებს ცვლის ახალი დასკვნებითა და დებულებებით, რომლებიც შეესაბამებიან ახალ ისტორიულ პირობებს, მარქსიზმის სულისკვეთებით დამოუკიდებლად სწყვეტს ისტორიის მიერ წამოყენებულ ახალ ამოცანებს.

ამ შემოქმედებითი, რევოლუციური მარქსიზმის განხორციელებას წარმოადგენს ი. ბ. სტალინის მიერ შექმნილი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“.

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, რომ ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთადერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსისტულ თეორიას და რომლებმაც გაამდიდრეს იგი ახალ გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

და სწორედ იმიტომ, რომ ლენინმა და ლენინელებმა წინ წასწიეს მარქ-

სისტული თეორია, ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, მარქსიზმს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მარქსიზმს".

ამხანაგი სტალინი გადმოგვცემს რა თავის წიგნში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გაშლის ბაზაზე პარტიის ისტორიას, გვიჩვენებს, თუ რა გიგანტური იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარეს ლენინმა და ბოლშევიკებმა მანამდე, სანამ პარტია დამოუკიდებელ მარქსისტულ პარტიად, ახალი ტიპის — ბოლშევიკების პარტიად ჩამოყალიბდებოდა.

მარქსიზმ-ლენინიზმი განუყოფელ მთლიანობაშია მოცემული „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში". თვით მარქსისტულ-ლენინური თეორია მოცემულია როგორც თეორია, რომელიც ვითარდებოდა და მდიდრდებოდა პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე.

ბოლშევიზმი წარმოიშვა ყველაზე მოწინავე, ყველაზე რევოლუციური თეორიის — მარქსიზმის თეორიის მტკიცე ბაზაზე. ლენინმა და სტალინმა, ბოლშევიკების პარტიის შემქმნელებმა და ბელადებმა, მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ბოლომდე ერთგულებმა, სასიკვდილო მახვილი ჩასცეს ოპორტუნისტებს II ინტერნაციონალიდან, რომლებიც ცდილობდნენ მარქსიზმის ცოცხალი რევოლუციური სულის გაყალბებას, დამახინჯებას, — და მუშათა კლასის ინტერესების გამცემლური პოლიტიკისადმი მის შეგუებას. ლენინმა და სტალინმა დაიცვეს მარქსიზმი, როგორც რევოლუციური თეორია, განავითარეს იგი შემდგომში და აამაღლეს მისი მნიშვნელობა.

ბოლშევიკებმა, ამხანაგ სტალინის მეთაურობით დაიცვეს რა და განავითარეს და განახორციელეს ცხოვრებაში მარქსიზმ-ლენინიზმი, გაანადგურეს ტროცკისტები, ბუხარინელები და ხალხის სხვა მტრები, რომლებიც ცდილობდნენ ლენინური გზიდან აეცდინათ პარტია, ჩაეკლათ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასსა და მშრომელებში თავიანთი ძალღონისადმი რწმენა, დაენერგათ მათში სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისადმი რწმენის უქონლობა. ამხანაგმა სტალინმა შეაიარაღა პარტია, მუშათა კლასი და ყველა მშრომელი სოციალიზმის გამარჯვებისადმი ურყევი რწმენით.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" თანმიმდევრულად, ყოველ ეტაპზე, გვიჩვენებს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიის ბრძოლას ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ. ამ წიგნის ფურცლები წარმოადგენენ ილუსტრაციას სტალინის სიტყვებისას: „პარტიის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ეგუებოდა ჩამორჩენილებს, არ ეშინოდა წინააღმდეგობების გზით სვლისა და ყოველთვის ინარჩუნებდა წამყვანი ძალის პოზიციას".

*

* *

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლით ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელი მსოფლიოს მშრომელებმა მიიღეს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია, მათ მიიღეს უდიდესი თეორიული ძლიერების იდეური იარაღი, იარაღი, რომელიც წინ წასწევს მსოფლიოს რევოლუციურად გარდაქმნას.

ამხანაგ სტალინის მიერ შექმნილი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურ-

სი“ არის მეცნიერული კომუნიზმის მთლიანი, დამთავრებული ნაწარმოები. მასში განმარტებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, როგორც ერთიანი და ჩამოყალიბებული მოძღვრება, რომელიც მოიცავს ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის სფეროებს, სტრატეგიასა და ტაქტიკას, მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და თეორიულ საფუძვლებს.

განვლილი 10 წლის მანძილზე საბჭოთა ადამიანების უდიდესი რაოდენობა დაეუფლა ბოლშევიზმს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის საფუძველზე. ეს წიგნი დაეხმარა მილიონობით საბჭოთა ადამიანებს აეთვისებიათ მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, კიდევ უფრო მტკიცე გახადა მათი რწმენა ლენინ-სტალინის სამართლიანი საქმისადმი.

სტალინის შრომის გამოქვეყნებამ დასაბამი მისცა ახალ მძლავრ იდეურ-პოლიტიკურ ზრდას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. შემდგომმა წლებმა დაგვანახეს, რომ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ უდიდეს როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, საბჭოთა ხალხის ბრძოლაში მის დაუძინებელ მტრებთან.

საბჭოთა ადამიანები, სწავლობდნენ რა ბოლშევიკების პარტიის გმირული ბრძოლის გზას, ეცნობოდნენ რა იმას, თუ როგორ დასძლია პარტიამ უდიდესი დაბრკოლებები თავისი რევოლუციური საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე, — მორალურ მხარდაჭერას პოულობდნენ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ მძიმე ბრძოლებში. შემთხვევითი როდია, რომ დიდი სამამულო ომის დღეებში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მრავალი ჯარისკაცისა და ოფიცრის, ზურგის მრავალი მშრომელისა და საბჭოთა სამშობლოს ერთგულ შვილების — პარტიზანების — განუყრელი თანამგზავრი იყო.

სტალინის შრომა ბოლშევიკური პარტიის დიად მონაპოვართა მატიანეა. ის გვაიარაღებს ახალი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად, ნათელი შუქით ასხივოსნებს ახალ პერსპექტივებს. ის მოგვითხრობს ბოლშევიკების პარტიაზე, როგორც გარდამქმნელთა და ნოვატორთა პარტიაზე, როგორც თავისი სამშობლოს ნამდვილ პატრიოტთა პარტიაზე, მუშათა კლასის ინტერესების, მშრომელთა ძირითადი ინტერესების ერთადერთ გამომხატველ პარტიაზე.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ უნერგავს საბჭოთა ადამიანებს პატრიოტიზმისა და საბჭოთა ნაციონალური სიამაყის გრძნობას, სიყვარულს ლენინ-სტალინის პარტიისადმი, რომლის ხელმძღვანელობით შექმნილია დიდი სოციალისტური სახელმწიფო.

პარტია დაუღალავად ეწევა პროპაგანდას საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებისას, რომლის ამაფრთოვანებელი ძალა რაზმავს საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმის საზეიმოდ ახალი დიადი საქმეებისათვის. საბჭოთა პატრიოტიზმი დიდი მამოძრავებელი ძალაა. სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, საბჭოთა მშრომელების ის სოციალისტური შეგნებულობა, კანონიერი სიამაყე მსოფლიოში პირველი სახელმწიფოს მოქალაქეებისა, რომლებმაც ააგეს სოციალიზმი და შეუპოვრად მიდიან კომუნიზმისაკენ. — კომუნიზმის მშენებელთა შემოქმედებითი ენერგიის დაუშრეტელი ზრდის წყაროა. საბჭოთა პატრიოტიზმის აღმავლობაში თვალსაჩინო გამოხატულებას პოულობს ჩვენი ადამიანების სულიერი ზრდა.

მუშები, გლეხები, გონებრივი შრო-

ბის მუშაკები უმტკიცებენ თავიანთი სიყვარულის ძალას სამშობლოს არა მყვირალა სიტყვებით, არამედ შეგნებული სამშობლოს საკეთილდღეოდ პატიოსანი, თავდადებული შრომით ესენი არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და შემოქმედნი, რომლებიც თავდაბალი და ყოველდღიური საქმიანობით ანხორციელებენ კომუნიზმის იდეებს.

„ჩვენი ინტელიგენცია, კულტურის მუშაკები, მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანები, როგორც არასოდეს, გამსჭვალული არიან საბჭოთა პატრიოტიზმით, — ამბობდა ვ. მ. მოლოტოვი მოხსენებაში ოქტომბრის ოცდაათი წლისთავზე. — შემთხვევითად როდი შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ახლა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი ეკუთვნის იმ მწერალთა კალამს, რომლებიც გრძნობენ თავიანთ განუყოფელ იდეურ კავშირს კომუნიზმთან. ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმი აფრთოვანებს ყველას შთამაგონებელი შრომისაკენ, სამშობლოსათვის გმირული ბრძოლისაკენ, მაღალი იდეური შემოქმედებისაკენ“.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა გამოააშკარავა ნაკლოვანებები იდეოლოგიურ ფრონტზე. პარტიამ გამოამჟღავნა ინტელიგენციის ზოგიერთ ჩამორჩენილ ნაწილს შორის დასავლეთისადმი ქედის მოხრის განწყობილება და მკვეთრი პრინციპული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა წარსულის ეს მავნე გადმონაშთი. შეუძლებელია ნამდვილ საბჭოთა მოქალაქედ ყოფნა, თუ არ განთავისუფლდი დასავლეთისადმი, ხრწნადი ბურჟუაზიული კულტურისადმი მონური მორჩილებისა და ქედისმოხრის სამარცხვინო გადმონაშთებისაგან.

სსრ კავშირის ადამიანთა ნაწილის შეგნებაში კაპიტალისტური ჩარჩენების არსებობის წყაროს წარმოადგენს არსებობა ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა, რომლებიც ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შეგნებაზე, გაავრცელონ რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთები და ხელი შეუწყონ მას.

ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებაზე და მწერალთა კრებაზე ამხანაგი ჟდანოვი ამბობდა: „ბურჟუაზიულ სამყაროს არ მოსწონს ჩვენი წარმატებანი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მეორე მსოფლიო ომის შედეგად სოციალიზმის პოზიციები განმტკიცდა. სოციალიზმის საკითხი დღის წესრიგშია დაყენებული ევროპის ბევრ ქვეყანაში. ეს არ მოსწონთ ყველა ჯურის იმპერიალისტებს, მათ ეშინიათ სოციალიზმისა, ეშინიათ ჩვენი სოციალისტური ქვეყნისა, რომელიც ნიმუშს წარმოადგენს მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის. იმპერიალისტები, მათი იდეური მსახურნი, მათი ლიტერატორები და ჟურნალისტები, მათი პოლიტიკოსები და დიპლომატები ყოველნაირად ცდილობენ ცილი დასწამონ ჩვენს ქვეყანას, არასწორად აჩვენონ იგი და ცილი დასწამონ სოციალიზმს“.

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხის გიგანტური შემოქმედებითი სამუშაოები მიმდინარეობს მსოფლიო ასპარეზზე მომხდარ ძალთა გადაჯგუფების პირობებში: ერთის მხრით გაიზარდნენ სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები, მეორეს მხრით—დასუსტდნენ იმპერიალიზმის ძალები. გამწვავდა ბრძოლა სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიებს შორის, ბრძოლა იმპერიალისტების ცდების წინააღმდეგ შემოიტანონ თავიანთი გამხრწნელი იდეები საბჭოთა კავშირში.

პარტია ჩვენგან მოითხოვს დავიცვათ ლენინიზმის იდეის სიწმინდე და არცერთი წუთით არ შევასუსტოთ ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის

ყოველგვარ გამოვლენასთან. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა ატარებდეს მებრძოლ ხასიათს, რომ იგი გამსჭვალული იყოს ბოლშევიკური პარტიულობითა და პრინციპულობით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილებები ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ, კინოფილმ „დიდი ცხოვრების" შესახებ, დრამატიული თეატრების რეპერტუარის შესახებ, ოპერა „დიადი მეგობრობისა" და სხვათა შესახებ, ახალი ძალით მიაპყრობენ ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა ყურადღებას იდეოლოგიური მუშაობის საკითხებისაკენ, ჩვენი კადრების იდეოლოგიური და თეორიული დონის შემდგომი ამაღლების ამოცანებისაკენ.

ჩვენი კადრების იდეოლოგიური მუშაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1947 წელს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებით ჩატარებულ ფილოსოფიურ დისკუსიას გ. ალექსანდროვის წიგნზე — „დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ისტორია", და ახლახან ჩატარებულ ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიადსაკავშირო აკადემიის სესიას, მიძღვნილს მდგომარეობისადმი ბიოლოგიურ მეცნიერებაში.

ლენინ-სტალინის პარტიამ, მკვეთრად გააკრიტიკა რა უიდეო შემოქმედება ავტორებისა, რომლებისთვისაც უცხო იყო კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმე, უზრუნველჰყო პირობები ნათელი და ნიჭიერად დაწერილი, მაღალიდეურობით გამსჭვალული, ჩვენი თანამედროვეობის მართლად ამსახველი ნაწარმოებების შესაქმნელად. საბჭოთა ადამიანები ელიან ლიტერატურისა და ხელოვნების ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც მკაფიოდ და ღრმად ასახავენ სინამდვილეს, დახატავენ დიდ საბჭოთა ხალხის ბრძოლასა და შრომაში, — მთელი სიმაღლით დაგვანახვებენ მათ, რომლებიც მეთაურობენ მასებს კომუნიზმის გმირულ გზაზე.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება იდეოლოგიურ საკითხებზე აფრთოვანებს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს კომუნიზმის დიადი ეპოქისათვის ღირსეული ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად.

მარქსისტულ-ლენინური იდეის ცხოველმყოფელობა და უძლეველობა, მაორგანიზებელი და გარდამქმნელი როლი დასაბუთებულია პარტიის მთელი ისტორიით. ისინი შემოწმებულია საბჭოთა ხალხის გამარჯვებით დიდ სამამულო ომში და ომისშემდგომი წარმატებებით. ლენინიზმის ცოცხალ განხორციელებად. ბოლშევიკების პარტიის იდეის გამარჯვების განხორციელებად ამართულია ჩვენი სამშობლო კაპიტალისტურ სამყაროში როგორც შეშმარიტი დემოკრატიის მნათობი და მშრომელთა დასაყრდენი, როგორც შუქურა, რომელიც ყველა ქვეყნის მშრომელებს გზას უნათებს თავისუფლებისაკენ.

საბჭოთა სახელმწიფო პირველია მსოფლიოში, სადაც მეცნიერებამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა: „დააკვირდით ჩვენს ირგვლივ ქვეყნებს: განა ბევრს ნახავთ თქვენ მმართველ პარტიებს, რომლებსაც აქვთ სწორი ხაზი და ატარებენ მას ცხოვრებაში? ნამდვილად რომ ითქვას, ასეთი პარტიები არ არიან ქვეყნად... მხოლოდ ჩვენმა პარტიამ იცის, საით წაიყვანოს საქმე, და მიჰყავს იგი წინ წარმატებით. რას უნდა უმადლოდეს ჩვენი პარტია ამ თავის

უპირატესობას? იმას, რომ იგი წარმოადგენს მარქსისტულ პარტიას, ლენინურ პარტიას. იგი უნდა უმადლოდეს იმას, რომ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებით. ეჭვს გარეშეა, რომ სანამ ჩვენ ვრჩებით ამ მოძღვრების ერთგულნი, სანამ ჩვენ ხელთ გვიპყრია ეს კომპასი—გვექნება წარმატებანი ჩვენს მუშაობაში". („ლენინიზმის საკითხები", გვ. 702, მეათე ქართული გამოც.).

იმ დროს, როცა დასავლეთის ბურჟუაზიული და ცრუ-სოციალისტური პარტიები ცხოვრობენ უპერსპექტივოდ, ჩაფლულან კრიზისის ქაოსში და ველარ ხედავენ გზას იმისათვის, რომ თავი დააღწიონ ჭაობს, ბოლშევიკურ პარტიას მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრების დროშით, ლენინ-სტალინის ყოვლისდამძლევ იდეათა დროშით, სოციალიზმის ქვეყნის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიყავს საბჭოთა ხალხი წინ კომუნიზმისაკენ.

კომუნიზმისათვის ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის ხალხები, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა მილიონები ხელმძღვანელობენ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მოძღვრებით, სტალინის გენიალური „საკ. კ. პ. (ბ)ისტორიის მოკლე კურსის" იდეებით.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლის შემდეგ ამხანაგი სტალინი შემდგომში ანვითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას. მის მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე, დიდი სამამულო ომის დროისა და ომის შემდგომი პერიოდის შრომებში მოცემულია ახალი მსოფლიო ისტორიული მოვლენებისა და ამბების განზოგადოება. ეს შრომები წარმოადგენენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" პირდაპირ გაგრძელებას და შეადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურის ოქროს ფონდს.

ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომი აიარაღებს და ამდიდრებს ყველა ქვეყნის კომუნისტებს საკ. კ. პ. (ბ) გიგანტური გამოცდილებით, ეხმარება მათ მეცნიერული სოციალიზმის შუქით გააშუქონ თავიანთი ბრძოლა, იქ პოულობენ ისინი ბოლშევიკური პარტიის ყველა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ნიმუშებს.

საზღვარგარეთული ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა, იხელმძღვანელეს რა ამ დიადი იდეებით, მოიპოვეს ისტორიული წარმატებები. იქ კი, სადაც მუშათა მოძრაობის ესა თუ ის მოღვაწენი გვერდს უხვევენ ლენინიზმს, ისინი სერიოზულ ზარალს აყენებენ სოციალიზმისა და დემოკრატიის საქმეს.

*

* *

ჩვენმა ხალხმა ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი და ახლა დიდი სტალინის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმით მიემართება კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა ხალხი ერთობლივად და ორგანიზებულად დაირაზმა ახალი სტალინური ხუთწლედის გასახორციელებლად. ის მუშაობს მედგრად და თავდადებულად, ესმის რა, რომ ჩვენ მოგვიხდება კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოს ძალა და ძლიერება, მთლიანად გამოვიყენოთ საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალები ჩვენი კეთილდღეობისა და კულტურის ახალი არნახული აყვავებისათვის.

ამ დიდი ამოცანებისათვის ჩვენი კადრები უნდა იყვნენ მტკიცენი, არ უნდა ეშინოდეთ სიძნელეების, გაბედულად უნდა მიისწრაფოდნენ ამ სიძნელეთა გადასალახავად და დასაძლევად. საბჭოთა ადამიანები უნდა იყვნენ განათლებულნი, მაღალიდეურნი, საბ-

ჭოთა წყობილებისადმი უანგაროდ თავდადებულნი.

ასეთ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების აღზრდის საქმეში დაუფასებელ როლს ასრულებს ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი".

საერთაშორისო რეაქციას სძულს საბჭოთა კავშირი იმიტომ, რომ იგი ახალი საბჭოთა ეპოქის დროშაა, მშრომელი კაცობრიობის გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურია. საერთაშორისო ვითარება მთელი თავისი დაძაბულობით გვიკარნახებს აუცილებლობას ყოველმხრივ ძლიერად ჩვენი კადრები საზოგადოებრივი განვითარების კანონთა მტკიცე ცოდნით. ამ მხრივ განსაკუთრებით იზრდება ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კადრების მიერ ბოლშევიზმის მძლავრი იდეური იარაღის — ი. ბ. სტალინის კლასიკური შრომის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ღრმად შესწავლისა და ათვისების მნიშვნელობა.

---

10. „მნათობი", № 10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

სანდრო შანშიაშვილი

★

სანდრო შანშიაშვილი მაშინ მოვიდა ქართულ მწერლობაში, როცა ჩვენი პოეზიის კორიფეებს დამთავრებული ჰქონდათ თავისი შემოქმედებითი გზა და თქმული ყველაფერი, რისთვისაც მოწოდებული იყვნენ. ამრიგად ახალგაზრდა პოეტს, თუ მას ძალა შესწევდა, რომ უფერულ ეპიგონად არ დარჩენილიყო, უნდა გაეკვლია საკუთარი გზა და ახალი სიტყვა ეთქვა.

სანდრო შანშიაშვილმა თავიდანვე მიიქცია ყურადღება. მის პირველ ლექსებიდანვე სადაო არ გამხდარა ის აზრი, რომ ქართულ პოეზიაში გამოჩნდა ახალი და ჯანსაღი ძალა.

დამწყებ პოეტს, რომელსაც გააჩნია ბედნიერი შესაძლებლობა მომავალში საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს, ცოტად თუ ბევრად დაკვირვებული თვალიც თავიდანვე შეამჩნევს მისთვის საზასიათო თავისებურობას. დაე, ჯერ მას არ ჰქონდეს საჭირო სიღრმე, ლექსი დაუხვეწელი და მღვრიე იყოს ხმა ჯერ კიდევ დაუწმენდელი ექნეს, მაგრამ თუ ამოძახილი თავისებური აქვს, თქვენ უკვე გრძნობთ მას პერსპექტივაში და მის ხმას მიყურადებული ხართ.

შანშიაშვილმა გაამართლა ის იმედი, რომელიც ორმოცი წლის წინათ მასზე დამყარებული ჰქონდა ჩვენს მკითხველს.

მისი ლექსების პირველი კრებული, პატარა წიგნი უბრალო ყვითელ ყდაში, გამოვიდა სახელწოდებით „სევდის ბალი“. მაშინ შანშიაშვილი სრულიად ახალგაზრდა იყო, ჯერ კიდევ ქართული გიმნაზიის მოწაფე, მაგრამ ჩვენთვის, ვინც მხოლოდ ვიწყებდით კითხვას და ის-ის იყო გვეღვიძებოდა ინტერესი პოეზიისადმი, ამ პატარა წიგნის ავტორი უკვე იყო პოეტი, რომელიც ჩვენს გულსა და გონებას ახალს ეუბნებოდა და ვისკენაც ჩვენი გულისყური მიპყრობილი იყო.

ქართველმა მკითხველმა, განსაკუთრებით ახალმა თაობამ, თავისი გულის ტკივილების გამოხატულება პოვა ახალგაზრდა შანშიაშვილის ლექსებში და ამიტომ იყო, რომ ის ერთბაშად მიიღო თავის პოეტად.

სანდრო შანშიაშვილის პირველი წლების ლექსები თავისუფალი არ ყოფილა უცხოეთის პოეზიის გავლენებისაგან, მაგრამ ამ შემთხვევებშიაც ამჟღავნებდა ის საკუთარი გზის მოძებნის უნარს.

შანშიაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელია ჯანსაღი სულისკვეთება. მისი პოეზია, უმეტეს შემთხვევაში, სათავეს იღებს იმ წყაროდან, რომელსაც ხალხურობა ეწოდება. შემოქმედების მასაზრდოებელი ეს ცხოველმყოფელი ძალა ადრევე ახასიათებდა შანშიაშვილს როგორც პოეტს.

ახალი ქართული თეატრის ისტორიაში შანშიაშვილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

სანდრო შანშიაშვილის კალამს ეკუთვნის თუთხმეტი ორიგინალური პიესა და თითქმის ამდენივე თარგმნილი. ამ პიესებთან დაკავშირებულია ახალი ქართული თეატრის აღორძინება და განვითარება. წლების მანძილზე მან, თითქმის ერთმა, შესძლო ესაზრდოებინა ჩვენი სცენა და ამოევსო ის ნაპრალი, რომელსაც ორიგინალური რეპერტუარის უქონლობა იწვევდა. მხატვრული ღირსებით შესაძლოა ყველა მისი პიესა თანაბარი არ იყოს, მაგრამ ყველას ახასიათებს სცენის შესანიშნავი ცოდნა და ნოყიერი ქართული სიტყვა.

საქართველოში არც ერთი კუთხე არაა, სადაც არ დადგმულა და არ იდგმებოდეს შანშიაშვილის პიესები. ქართველი ხალხის საყვარელ გმირზე, არსენა ოძელაშვილზე, არა ერთ ქართველ მწერალს დაუწერია პიესა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სახე არავის გამოუკვეთია მხატვრულ ფორმაში ისე მძაფრად, როგორც სანდრო შანშიაშვილს.

ნაყოფიერად მუშაობდა და მუშაობს სანდრო შანშიაშვილი პროზის დარგშიაც. მის კალამს მრავალი მოთხრობა, ზღაპარი და ნარკვევი ეკუთვნის. მოთხრობა „ამბოკარი" ქართველი გლეხის საყვარელი წიგნია.

ყველაზე უფრო აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შანშიაშვილი ყოველთვის კვალდაკვალ მიჰყვებოდა ცხოვრებას, არ ჩამორჩებოდა თანამედროობას. შანშიაშვილის ნიჭი, მთელი მისი შესაძლებლობა განსაკუთრებით გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან. თავის ლექსებში, პოემებში, პიესებში ის უმღეროდა და უმღერის ჩვენი ქვეყნის აღორძინებას. მრავალ ლექსში პოეტი უმღერის აყვავებულ სამშობლოს და ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

სამამულო ომის წლებში შანშიაშვილი—მწერალი პირნათლად ასრულებდა თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას. მისი ლექსები ხალხს მოუწოდებდა ბრძოლისკენ და სამშობლოს ღირსების დაცვისკენ.

ორმოცი წელიწადია, რაც ერთგულად ემსახურება ხალხს სანდრო შანშიაშვილი. ის არა მარტო თავისი შემოქმედებით, ფიზიკურადაც ჯანსაღია, სავსეა შთაგონებით და კიდევ დიდხანს შესძლებს განაგრძოს პატიოსანი და საპატიო შრომა, რომელსაც აქამდე ეწეოდა. ვისაც ბევრი მისცა ბუნებამ, მას ბევრიც მოეთხოვება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხ. ჭიაურელი
სსრკ სახალხო არტისტი

მოსკოვის სამხატვრო თეატრი

★

— სამხატვრო თეატრში იყავით?

ახალგაზრდობის დღეებიდანვე მახსოვს ეს კითხვა, რომლითაც ვხვდებოდით ხოლმე ყველა იმას, ვინც მოსკოვიდან თბილისში ჩამოდიოდა. განა შეიძლება მოსკოვში იყო და სამხატვრო თეატრი არა გქონდეს ნახული?

განა მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, სტუდენტი, მუშა ან მასწავლებელი, რომელსაც არ განეცადოს სიამოვნებისა და სიხარულის დიდი გრძნობა იმ თეატრალური ბილეთის მიღების დროს, რომელზედაც მფრინავი თოლია იყო გამოხატული?

სამხატვრო თეატრის დარბაზში მაყურებელი ეძებდა — და პოულობდა კიდევაც — რუსი ხალხის დიდი კულტურის საუკეთესო ტრადიციების საკვირველ ჰარმონიულ შეთავსებას თანამედროვეობის ცოცხალ პრობლემებთან.

სამხატვრო თეატრის სცენიდან მოისმოდა რუსი დიდი მწერლების—ჩეხოვის, გორკის, ლ. ტოლსტოის, საუკეთესო საბჭოთა დრამატურგების ვ. ივანოვის, კ. ტრენევის, ა. აფინოგენოვის, ლ. ლეონოვის და სხვათა სიტყვები. აქ მათ მიერ შექმნილი სახეები ღრმად და კრისტალურად—ნათელ ფორმებს ღებულობდნენ გენიალური · რეჟისორების სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ შექმნილ სპექტაკლებში.

რუსული სიტყვა კი? როგორი ნათელი ფერებით და ჭეშმარიტად მუსიკალური ელერადობით მოისმოდა იგი ამ სცენიდან.

მაგრამ, რასაკვირველია, ყველაზე მეტად აღელვებდა და აღაფრთოვანებდა სამხატვრო თეატრის მაყურებელს ის, რომ თეატრი მოუწოდებდა წინსვლისაკენ და მოწინავე რუსი ინტელიგენციის საუკეთესო მისწრაფებებს გამოხატავდა. ეს მისწრაფება — არ ჩამორჩეს ცხოვრებას — ამ საუცხოვო თეატრს დღესაც არ დაუკარგავს. ამიტომ არის ასეთი დიდი და კეთილშობილი ის სიხარული, რომელსაც აძლევს სამხატვრო თეატრი მაყურებელს, და ასეთი მხურვალეა სიყვარული ამ თეატრისადმი, და გული სავსეა სიამაყით, რომ ეს თეატრი—ჩვენი თეატრია.

როდესაც სამხატვრო თეატრი ჩამოდიოდა საგასტროლოდ თბილისში,—ეს კი არც თუ ისე იშვიათად ყოფილა—ჩვენს დედა-ქალაქში თითქოს ხანგრძლივი დღესასწაული დგებოდა. ყოველი ჩვენთაგანი, — და მეტადრე თეატრისა და კინოს მუშაკები, — დიდის აღელვებით, მოუთმენლობით და მოწყურებულნი ველოდებოდით მის ჩამოსვლას. სამხატვრო თეატრის სპექტაკლებზე თითქოს სცე-

ნიური ხელოვნების ახალი საიდუმლოება იხსნებოდა ჩვენს წინ. ცხოვრების სიმართლის მომხიბლველობა, რომლითაც გაჟღენთილი იყო თეატრის დადგმები, მთელს ქართულ ხელოვნებაზედაც ვრცელდებოდა. ეს იყო სკოლა, რომელშიაც სწავლობდა ყველა, — ისინიც კი, ვინც ამას არ ამჩნევდნენ.

ამ თეატრის ყოველი ჩამოსვლა საქართველოში სტოვებდა შესანიშნავ კვალს ჩვენს ნაციონალურ ხელოვნებაზე. მათი გასტროლების შემდეგ ვატყობდით, თუ როგორ უმჯობესდებოდნენ ჩვენი სპექტაკლები, როგორ იცვლებოდა ჩვენი აქტიორების თამაშის მანერა. ტექნიკური პერსონალიც კი სხვანაირად გამოიყურებოდა, რადგან მათაც შეიცნეს სამხატვრო თეატრის ის შესანიშნავი თვისება, რომ ყველა, კაპელდინერის ჩათვლითაც, სპექტაკლის ნამდვილი და პასუხისმგებელი მონაწილეა. თვით მაყურებელიც უფრო მომთხოვნი ხდებოდა და თავის მხრით გავლენას ახდენდა თეატრზე.

მაგრამ სამხატვრო თეატრი უშუალოდაც ახდენდა გავლენას. სამხატვრო თეატრის საუცხოვო სკოლა გაიარეს ქართული თეატრის ისეთმა ოსტატებმა, როგორიც იყო მარჯანიშვილი, მღებრიშვილი, მჭედლიშვილი, აგრეთვე ფალავა — ახლა თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორი თბილისში. მათ შესძლეს დაეძლიათ ის ცრუკლასიკური ტენდენციები, რომელიც მანამდე ნაწილობრივ არსებობდა ქართულ თეატრში და გადმოიტანეს მისწრაფება ცხოვრების სიმართლისადმი. სამხატვრო თეატრის ამ ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ა. წუწუნავა — ახლა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თბილისის თეატრის მთავარი რეჟისორი.

სამხატვრო თეატრის გავლენა მუდამ ამდიდრებდა ქართულ თეატრს, ხელს უწყობდა რესპუბლიკის სცენიური ხელოვნების იმ [illegible] გაფურჩქვნას, რომლითაც კანონიერად ამაყობს ქართველი ხალხი. და განა მარტო ქართული თეატრი განიცდიდა სამხატვრო თეატრის ცხოველმყოფელ გავლენას?

რუსეთში შექმნილი, რუსული კულტურის საფუძველზე აღმოცენებული, ჩვენს საბჭოთა ეპოქაში სამხატვრო თეატრი გადაიქცა მთელი ჩვენი მრავალეროვნებიანი ქვეყნის სიამაყედ.

სამხატვრო თეატრი, მისი ხელმძღვანელები და აქტიორები ყოველთვის და ყველგან თეატრალური ცხოვრების ცენტრად იქცეოდნენ. ასე იყო სამამულო ომის დროსაც, როდესაც სამხატვრო თეატრის წამყვანი ჯგუფი თვითონ მათ მიერ არჩეულ თბილისში ცხოვრობდა. საქართველოში ისინი იყვნენ საპატიო და ძვირფასი სტუმრები. დიდი სტუმართმოყვარეობით მიიღო ისინი საქართველომ და სტუმრებმა უხვად გადაუხადეს სამაგიერო ჩვენს ხალხს. ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე იმ ქარიშხლიან დღეებში ვლადიმერ ივანეს-ძე ნემეროვიჩ-დანჩენკოსთან. ხანგრძლივი და შინაარსით სავსე იყო ჩვენი ბაასი, დიდის ყურადღებით ვუსმენდით ხოლმე სცენის უდიდესი ოსტატის, გენიალური რეჟისორისა და ხელოვნების უბადლო მცოდნის დაფიქრებულ და მრავალმეტყველ სიტყვებს. ჩვენი სტუმარი უხვი იყო. ის გვამდიდრებდა თავისი ღრმა აზრებით. გულდასმით და სერიოზულად იხილავდა იგი ჩვენი კულტურული ცხოვრების ყველა დეტალს, გვეხმარებოდა სიტყვით, რჩევა-დარიგებით. დიდი ყურადღებით სინჯავდა იგი ჩვენს კინო-სურათებს, ეცნობოდა აქტიორებს, ასწავლიდა მათ. რუსთაველის თეატრში იგი ამზადებდა დადგმას. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ვლადიმერ ივანოვიჩთან მუშაობა ამ თეატრისათვის

საუკეთესო, დაუვიწყარი და საუცხოვო სკოლა იყო.

მე ეს ჩემს თავზედაც განვიცადე. ბედნიერება მხვდა წილად სამხატვრო თეატრის კორიფეებთან ახლოს ყოფნით; ეს იყო ჩემთვის სასიხარულო და დაუვიწყარი წუთები. უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ კინო-სურათ „გიორგი სააკაძეში“ მოისმის კაჩალოვის ხმა, განუმეორებელი და მომხიბლავი ხმა, რომელიც ახლაც შეგვიძლიან მოვისმინოთ, მაშინ როდესაც კაჩალოვი ცოცხალი აღარ არის.

მაგრამ, განა მართალია, რომ ეგ ჩვენს შორის არ არის? მართალი გითხრათ, მე ახლაც ვერ დამირწმუნებია ჩემი თავი იმაში, რომ აღარა გვყავს კაჩალოვი, სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, მოსკვინი...

შედიხარ სამხატვრო თეატრში და თითქოს გრძნობ მის დამაარსებლებს აქვე, შენს ახლოს, შენს გვერდით. და განა გორკის მხურვალე აზრი არ ცხოვრობს ამ სცენაზე? განა ჩეხოვი არ იპყრობს ისევ ძველებურად ჩვენს გულებს ამ დარბაზის თაღების ქვეშ?

სატინი — სტანისლავსკის შესრულებით, მოსკვინი — „თევდორე მეფეში“ უკვდავი, უჭკნობი სახეებია — სხვანაირად ვერც ვიტყვით, თეატრმა უკვდავჰყო ეს სახეები, მათაც უკვდავება მიანიჭეს თავის თამაშით ამ თეატრს. განა ამ საუცხოვო ოსტატებმა თან წაიღეს თავისი დიდი ხელოვნება? ვუყურებთ სამხატვრო თეატრის ახლანდელ სპექტაკლებს, სცენაზე სხვა შემსრულებლები არიან, მაგრამ განა ჩვენ არ გვესმის კაჩალოვის ინტონაცია? განა ჩვენ არა ვგრძნობთ ნემიროვიჩ-დანჩენკოს აზრს, რომელიც განსახიერებულია სპექტაკლში? სტანისლავსკის — ბერ შექმნილ მიზანსცენას, მოსკვინის მიერ განსახიერებულ ჟესტს?.. მემკვიდრეობით გადასცეს მათ თავიანთი ოსტატობა, თეატრის დიდი ტრადიციები სამხატვრო თეატრის მეორე თაობას, ახლანდელ მის ოსტატებს.

სამხატვრო თეატრის აქტიორების წინაშე ახლა დგას უფრო კეთილშობილი, უფრო რთული ამოცანა, ვიდრე ეს იდგა ნახევარი საუკუნის წინ ამ თეატრის დამაარსებლების წინაშე. ახლანდელ მესვეურებს მართებთ არა მარტო დაიცვან, და შეინახონ წარსულის დიდი ტრადიციები, არამედ უფრო უნდა გააუმჯობესონ, განავითარონ, უფრო აამაღლონ ის დიდებული ოსტატობა, რომელიც ამ შესანიშნავ სცენაზე გაიფურჩქნა.

ახალი საბჭოთა გმირი ელოდება თავის განსახიერებას სამხატვრო თეატრის სცენაზე. ეს არის ჩვენი დროის ადამიანი, სტალინური ეპოქის გმირი, ახალი მორალის მატარებელი, მშრომელი, აღმშენებელი, შემოქმედი. დარწმუნებული ვართ რომ სამხატვრო თეატრის ახლანდელი კოლექტივი შესძლებს ამ დიდი შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტას. თავის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის დროს სამხატვრო თეატრმა ბევრ რამეს მიაღწია — იგი გახდა მსოფლიოში საუკეთესო და პირველი თეატრი. მას უფრო უკეთესი მომავალი ელის: იგი უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის საუცხოვო მომავლის საუკეთესო თეატრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი თარგმანების განხილვა*

★

ჰ. ჰაინეს ლექსები

ჰაინრიხ ჰაინეს ლექსები, თარგმნილი ხ. ვარდოშვილის მიერ, მეორედ გამოსცა „საბჭოთა მწერალმა". თავის დროზე ამ წიგნს სათანადო შეფასება არ მიუღია, თორემ მისი მეორე გამოცემა, ეჭვს გარეშეა, სხვა სახით მოგვევლინებოდა და ბევრი სამწუხარო შეცდომაც თავიდან აცილებული იქნებოდა.

ისეთი პოეტის გადმოქართულება, როგორიც ჰაინეა, რა თქმა უნდა, დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მთარგმნელს, როგორც სჩანს, ეს გარემოება გათვალისწინებული ჰქონია და საკმაო ჯაფაც გაუწევია, რათა მკითხველისთვის შესაფერი თარგმანი მიეწოდებინა. შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ ეს ამოცანა დამაკმაყოფილებლად გადაუწყვეტია ხ. ვარდოშვილს. მსუბუქად იკითხება და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს სიყვარულის თემისადმი მიძღვნილი სიმღერების საგრძნობი ნაწილი, მაგრამ თარგმანების კრებულში შეტანილი ლექსების შედარება მათ დედნებთან ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ ხ. ვარდოშვილს უშუალოდ დედანი არ განუცდია.

ცხადია, ყოველთვის არაა საკადრებელი, რომ მთარგმნელი იმ ენას ფლობდეს, საიდანაც სთარგმნის, მაგრამ პოეტური ქმნილების გადმოღება ერთი ენიდან მეორეზე ამ პირობის გარეშე მაინც სახიფათოა, ხოლო სრულფასოვანი შესატყვისის შექმნა ამ გზით თითქმის შეუძლებელია.

ამის გამო ხ. ვარდოშვილის თარგმანი ხშირად ვერ გვაგრძნობინებს ჰაინეს სტილსა და თავისებურებას, ჰაინეს სიტყვის მოქნილობას და ძალას, ჰაინეს ლექსების სინატიფეს და ღრმა ღირებულებას, ჰაინეს ჰუმორის სიმძაფრეს და გამიზნულობას. ესეც არ იყოს, ზოგიერთი ლექსის თარგმანში ისეთი შეცდომებია დაშვებული, რომლებიც დედანის აზრს ამახინჯებენ.

ამიტომაც არა მარტო გაზვიადებულია, არამედ საფუძველს მოკლებულია წიგნის რედაქტორის კ. გამსახურდიას განცხადება წინასიტყვაობაში იმის შესახებ, რომ ხ. ვარდოშვილის მიერ „მრავალი საუკეთესო ლექსი შესანიშნავადაა ქართულად თარგმნილი".

რამდენიმე მაგალითი იკმარებს ამის ნათელსაყოფად.

„სილეზიელი ფეიქრები", ჰაინეს ერთერთი შესანიშნავი ლექსი, გარკვეული ტენდენციის მქონეა, რაც მხედველობიდან გამოპარვია როგორც მთარგმნელს, ისე რედაქტორს.

ამ ლექსით ჰაინე სილეზიელი ფეიქრების 1844 წლის აჯანყებას გამოეხმაურა და მაშინვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იმავე წელსვე ფრ. ენგელსი ინგლისის საზოგადოებრივობას აწვდის ამ ლექსის ინგლისურ თარგმანს. თარგმანს შენიშვნაც თან მიაყოლა ენგელსმა, სადაც ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სიმღერა პრუსიელთა 1813 წლის საბრძოლო მოწოდებას უპირისპირდება. ეს მოწოდება იყო: „ღმერთთან ერთად მეფისა და სამშობლოსათვის".

„სილეზიელ ფეიქრებში" ჩაქსოვილი ჰაინეს ომახიანი წყევლა არა მარტო გაძლიერებულია სამგზისი კრულვის სახელწოდებით, არამედ სამი გარკვეული გზითაც მიიმართება: ღმერთის, მეფის და ცრუ სამშობლოს წინააღმდეგ.

ჰაინე წყევლის ღმერთს, რომელსაც ამაოდ ევედრებოდნენ მშრომელი ფეიქრები: „Rin Fluch dem Gotte, Zu dem wir gebeten". ქართულად კი გვაქვს: „კერპი, რომელსაც თაყვანს ვცემდით — იყვეს წყეული".

ჰაინე ასი წლის წინათ არაფრად აგდებდა ღმერთის აუგად ხსენებას, ახლა კი მთარგმნელს რატომღაც მიუჩქმალავს ლექსის ეს გამახვილებული მხარე. აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაზე ამ ლექსის რამდენიმე თარგმანი მოიპოება, მათ შორის ზოგიერთი — 50 — 60 წლის წინათ შესრულებული. ეს ძველი თარგმანები სწორედ

---

* მორიგ ნომრებში ჟურნალ „მნათობის" რედაქცია სისტემატურად განიხილავს საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხოეთის ლიტერატურის ქართულ თარგმანებს.

იმით გამოირჩევიან, რომ არც ღმერთი, არც მეფე და არც ცრუ სამშობლო მათში მოხსენებული არ არის. კლასობრივი შეზღუდულობა ან ცენზურის პირობები აიძულებდა ამ დროს მთარგმნელებს განზრახ შეეცვალათ „მწარე ადგილები“.

მინაევი, მაგალითად, თავის თარგმანში ღმერთის დაწყევლის ნაცვლად ბედისწერას წყევლის. მეფეს სრულიად არ ახსენებს და წერს „წყევლა მას, ვინც მხოლოდ მდიდრებს იცავსო“. ცრუ სამშობლოსაც ის ვერაგი ქვეყნით ცვლის. სამწუხაროდ, ხ. ვარდოშვილის თარგმანი, ამ შემთხვევაში, ზოგი რამით ენათესავება მინაევის თარგმანს.

გერმანულ დედანში განსაკუთრებით სიძლიერით გამოირჩევა მეოთხე სტროფი, რომელშიც ცრუ სამშობლოს წყევლის პოეტი. ქართული თარგმანი ამის ნაცვლად რომელიღაც „იმ ქვეყანაზე“ გველაპარაკება და არა მარტო აბუნდოვანებს, არამედ აზრს უკარგავს ჰაინეს მიერ მკვეთრად და განსაზღვრული მიზნით ნათქვამ სიტყვებს. სხვათაშორის, ამ სტროფის მეორე სტრიქონი ქართულ თარგმანში ასე იკითხება: „უმსგავსოება სადაც მეფობს სვე-ბედნიერი (?)“. ამ უხერხულ გამოთქმას, ცხადია, არაფერი არა აქვს საერთო ორიგინალთან.

სუსტადაა თარგმნილი საყოველთაოდ ცნობილი სიმღერა „ლორელაი“. ქართული ტექსტი არ წარმოადგენს კომპოზიციური მთლიანობით შეკრულ პოეტურ ნაწარმოებს. ორიგინალის 4 და 5 სტროფი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ჰაინეს მიხედვით მენავე ხედავს კლდეზე გადმომდგარ თვალწარმტაც ქალწულს და ამავე დროს ესმის მისი მომჯადოებელი სიმღერა, რომელიც მას მშმუნვარებით იპყრობს. ქართულ თარგმანში ეს გადასვლა აღარ გვაქვს და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ლორელაი ცალკე მღერის, მენავე კი თავისთვის ზის ნავში მარტო და რაღაც სევდას შეუპყრია, ე. ი. არა ჩანს ლორელაის სიმღერის ზემოქმედება მასზე. ამის შემდეგ, ცხადია, გაუგებარი ხდება და მიზანს ვერ აღწევს ლექსის დასკვნითი სტრიქონები იმის შესახებ, თუ რა „ჰქნა ლორელაიმ თავისი სიმღერებით“.

ამ სიმღერის ბოლო სტროფში ჰაინე ეპიკური თხრობის სიდინჯით გადმოგვცემს თავის განწყობილებას:

„მე მგონია, რომ ტალღები დაბოლოს
მენავესაც და მის ნავსაც ჩანთქავენ...“

თარგმანში კი უფრო სასოწარკვეთილების ხმა ისმის:

„აჰ, ტალღები ჩასძირავენ
ჰაბუკ მცურავს თავის ნავით...“

ცუდადაა აგრეთვე თარგმნილი პატარა, მაგრამ ჰაინესთვის დამახასიათებელი სარკაზმით აღსავსე ლექსი „გაფრთხილება“, ჰაინე მიმართავს თავის მეგობარს: „მე არასოდეს არ გირჩევ, რომ ასეთი ენით ელაპარაკო ხალხს ხუცებისა და ყოვლისშემძლე დიდებულების შესახებ“.

თარგმანში კი ვკითხულობთ:

„მე არასოდეს არ გირჩევ — ხალხზე
ილაპარაკო ასეთი ენით,
მოიხსენიო ხუცები ცუდად
და საპატიო პოტენტატენი“.

აქ არსებითი განსხვავებაა: ჰაინე ურჩევს მეგობარს, რომ ხალხის წინაშე ცუდს ნურაფერს იტყვი ხუცებისა და დიდებულების შესახებ, რადგან, როგორც მომდევნო სტროფშია განმარტებული ბრბოს გრძელი ყურები აქვს (ე. ი. ის, სულერთია, ვერაფერს ვერ გაიგებს), ხოლო დიდებულებს გრძელი ხელები აქვთ (ე. ი. მათ ყველგან მიუწვდებათ ხელი), ხუცებს კი გრძელი ენა, — ე. ი. ლაპარაკის მეტი უფლება და ამათთან სიტყვითაც ვერაფერს ვერ გააწყობო.

ჰაინეს სარკაზმი სავსებით იკარგება თარგმანის მესამე სტროფში, რომელიც ასე იკითხება:

„ო, მეგობარო, დაიღუპები,
თავადებს მეტად გრძელი აქვთ ხელი,
ხალხს კი ყურები უფრო უგრძესი,
ხუცებს — ენები, ჭორის მეტყველი“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „პოტენტატი“, რაც მონარქს ან მბრძანებელს ნიშნავს, არც ქართულ და არც რუსულ სალიტერატურო ენაში არ იხმარება ამჟამად და ჩანს, მხოლოდ რითმისთვის არის ამ ლექსის თარგმნაში მოტანილი.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ეს უკვე ვრცელი მიმოხილვის საგანს შეადგენს.

დასასრულ, არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ წიგნის წინასიტყვაობას, რომელიც სწორ წარმოდგენას ვერ შეუქმნის მკითხველს ვერც ჰაინეს პიროვნებაზე და ვერც მის შემოქმედებაზე.

არაფრის მეტყველია ჰაინეს დახასიათებისთვის, ისიც პატარა წერილში, კ. გამსახურდიას ფრაზები: „სისადავისადმი ტრფიალმა არაერთხელ გადაიტყუა იგი (ჰაინე) უბრალოების ტყეში“, ან „ბოლოს ჰაინე დაეშვა მოლიპულ გზაზე“, ან „1834 წლიდან ჰაინე ჯვარდაუწერ-

ლად ცხოვრობდა ევგენია მარატთან. ამ ქალმა უკანასკნელი სენტიმი დასტყუა ხელგაშლილ პოეტს“, ან კიდევ „უკურნებელი პესიმიზმით დადაღულია ამ პერიოდის „ნესტლიხე ფაპრტ (უნდა იყოს: ნეპტლიხე ფარტ. ვ. კ.), ამ პოემაში ქრისტედ მოაქვს თავი პოეტს“.

ამ' უკანასკნელ დებულებაზე საგანგებოდ ღირს შეჩერება. ჯერ ერთი „ღამეული მგზავრობა“ პოემა კი არ არის, არამედ ლექსია, და ამ ლექსში არც კი უცდია ჰაინეს თავი ქრისტედ გამოეცხადებინა. მართალია, ჰაინე ამბობს, სიზმრად ვიხილე, თითქოს მაცხოვარი ვიყავიო, მაგრამ ამ სიტყვების თქმამდე თავის სიზმარს ორჯერ ხაზგასმით „საშინლად სულელურს“ უწოდებს.

მე-15 გვერდზე ჩამოტანილ შენიშვნაში (რომელშიც სხვათაშორის, ათიოდე ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომაა გაპარული), ↑ გამსახურდია აღნიშნავს, რომ ხ. ვარდოშვილის თარგმანი შეწამებულია ჰ. ჰაინეს თხზულებების შტუტგარტელ გამოცემასთან. ამ შეწამების საქმეს მეტი გულისყურით რომ მოჰკიდებოდა წიგნის რედაქტორი, უეჭველია, გაცილებით ნაკლები შეცდომები იქნებოდა ხ. ვარდოშვილის თარგმანებში.

უმჯობესი იყო „საბჭოთა მწერალს“ ჰაინეს შემოქმედების უკეთ მცოდნესთვის მიენდო როგორც განსახილველი წიგნის რედაქტორობა, ისე მისი წინასიტყვაობის დაწერა.

ვ. კუპრავა.

გი დე მოპასანის ნოველათა ახალი თარგმანი[1]

„სახელგამმა“ გამოსცა ფრანგი კლასიკოსის **გ ი დ ე მ ო პ ა ს ა ნ ი ს** ნოველათა ახალი თარგმანი, რომელიც შესრულებულია თ. **ს ა ხ ო კ ი ა ს** მიერ. წიგნი კარგადაა გაფორმებული და შეიცავს ოცდაორ ნოველას, რომელთა სისტემატიზაცია, სამწუხაროდ, მთარგმნელს არ მოუხდენია არც მწერლის მსოფლმხედველობის ზრდა-ჩამოყალიბების, არც თემატიკისა და არც ჟანრების მიხედვით. ამიტომ მკითხველს არ რჩება ნათელი წარმოდგენა მოპასანის, როგორც ნოველისტის, შემოქმედებითი გზის განვითარების შესახებ.

მოპასანის შემოქმედებითი მომწიფების ხანა 80-იანი წლებია, როდესაც, პარიზის კომუნის გმირული დაღუპვის შემდეგ, გამბეტას მეთაურობით მთავრობას სათავეში ჩაუდგა ოპორტუნისტული ჯგუფი. მოპასანის სინამდვილე — ეს თავგასული თაღლითობისა და გამყიდველობის სინამდვილეა, ადამიანთა ურთიერთობას მოგების ინტერესი განსაზღვრავს; გამორჩენის სურვილი — აი რა ასულდგმულებს, რა ამოძრავებს მათ სოფლად და ქალაქად. და ამ მამონის სამსხვერპლოს სწირავენ ისინი უფაქიზეს გრძნობას — სიყვარულსაც კი: სატრფოს სიყვარულს, ძმის სიყვარულს, მოკეთის სიყვარულს. მოპასანი ხედავს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობა მორალურად ამახინჯებს, ასახიჩრებს ადამიანს და ხშირად უქმ პირუტყვად აქცევს მას. მწერალი, ირონიანარევ ჰუმორით შეიარაღებული, თავგანწირვით ებრძვის ამ საზოგადოებრივ ჭირს, ებრძვის დაუნდობლად, ებრძვის თავდავიწყებით და უთანასწორო ჭიდილში ბოლოს თითონაც იღუპება.

აი ამიტომაც არის, რომ მოპასანი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ტანჯვა-ვაების მხატვარია, მისი გმირების გალერეა — ეს მორალურად დასახიჩრებული, ხშირად ფიზიკურადაც კი გადაგვარებულ ადამიანთა მწკრივია, რომელთა უბედურებას მწერალი თუმცა ვერ შერიგებია, მაგრამ სრულიად უძლურია შვება მოუტანოს.

ძნელი და რთული ამოცანაა მოპასანის ფსიქოლოგიური ნოველის ამეტყველება უცხო ენაზე. ამისათვის მთარგმნელს მოეთხოვება გადმოსცეს არა მარტო დედანში მოთხრობილი ფაბულა, არამედ მწერლის ენის იდიომატიკური სიმდიდრე, მხატვრული სახეები და ის ფსიქოლოგიური ნიუანსები, რომელნიც ზევით მოვიხსენეთ.

დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ თ. სახოკია სწორედ ასეთ მთარგმნელთა რიცხვს ეკუთვნის. მისი ფრაზა ყოველთვის გამართულია, ელასტიური და რიტმიული, იდიომებით ნაჯედი, ლექსიკა — მდიდარი და მრავალფეროვანი. მისი თარგმანისდა მიხედვით შეიძლება მოვიყვანოთ არა ერთი მაგალითი, სადაც ფრანგული იდიომი აზრით შესატყვისი ქართული იდიომითაა გადმოცემული, და შევადგინოთ კიდეც ფრანგულ-ქართული იდიომების საკმაოდ გრძელი სია, ასე, მაგალითად, ბებო მალუარის შესახებ დედანში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: „ქალი ისე გრძნობდა თავს, თითქოს მოჯადოებული ყოფილიყოს“ (პატარა კასრი).

მთარგმნელმა ამ ფრანგულ იდიომს მოუნახა ქართული შესატყვისი: „დედაკაცი რცხილასავით მაგრად იყო“.

ასევე იქცევა მთარგმნელი სხვა შემთხვევაშიც: „დიდი ხანია თვალი ეჭირა“—(„პატარა კასრი“) . „უკანმოუხედავად მოჰკურცხლავდნენ“ („პატარა კასრი“). „დღემ ტაატით გაიარა“. („დაბრუნება“). „წელებზე ფეხს იდგამდნენ“ („დაბრუნება“). „მკვდარსაც კი ფეხებს გააქნევინებდა“ („ტუანი“). „ტყუილად იმედი ნუ გექნება“. („პატარა კასრი“) და სხვა.

თარგმანის დედანთან შედარების შედეგად გამოირკვა, რომ ყოველი მხატვრული სახე და ბამოთქმა თარგმანში ორგანულადაა დაკავშირებული ორიგინალთან და უშუალოდ დედანიდან გამომდინარეობს. მთარგმნელი ამჟღავნებს დიდ მხატვრულ გემოვნებასა და ტაქტს, რომელიც აუცილებელია სახეთა სათანადო სტილისტური ელფერის შესარჩევად, მწერლის მხატვრული ხერხების თავისებურებათა გადმოსაცემად. მაგალითისათვის ავიღოთ ბუნების აღწერა.

მოპასანი სულ რამდენიმე შტრიხით აღწერს ბუნებას. სიტყვების ასეთივე სიძუნწით, უაღრესი ლაკონური ფორმით გადმოცემულია იგივე სურათი თარგმანში. მაგ.: „ზღვა თავის მოკლე და თანაბარ ტალღებს უტყლაშუნებს სანაპიროს. პატარა, თეთრი ბამბისჭულა ღრუბლები, ქარის მიერ გამორეკილები, ჩიტებივით სწრაფად მისცურავდნენ დიდი ლაჟვარდი ცის თაღის ქვეშ; ხოლო სოფელი, ოკეანისკენ დაქანებულ ველის ხევში მოქცეული, მზეს ეფიცხება“. („დაბრუნება“). სურათი სულ სამი წინადადებითაა გადმოცემული, მაგრამ ფაქტიურად ნათქვამია გაცილებით უფრო მეტი:

„მზიანი ამინდია, ზღვა არ ღელავს და მოკლე თანაბარ ტალღებს ალერსიანად უტყლაშუნებს დაქანებულ ნაპირს. ქრის ნიავი, რომელიც სწრაფად ჯგუფჯგუფად მიერეკება თეთრ, ბამბისჭულა ღრუბლებს მაღლა ცის ლურჯი თაღის ქვეშ. ოკეანისაკენ დაქანებული ველის ერთ-ერთ კალთაზე გადაშლილა სოფელი, რომელსაც მზე უხვად უგზავნის თავის ცხელ სხივებს“. აი იგივე სურათი დეტალიზებული.

მოპასანი, როგორც ყოველი დიდი ოსტატი, სურათის გადმოსაცემად ყოველთვის პოულობს მთავარ შტრიხს, რომლის გამოყენებაც საშუალებას აძლევს მას ერთი წინადადებით მრავალი სთქვას. მთარგმნელიც კარგად გრძნობს ფრანგი მწერლის ლაკონიზმს და ცდილობს არც ერთი ზედმეტი შტრიხი არ მოუმატოს მწერლის მიერ დახატულ სურათს, არ გააწყალწყალოს მისი ნაჯერი ფერები. ცხოველი ფერებითაა აგრეთვე გადმოცემული მეორე სურათიც „მკრთალი ქაფის ზოლები, ტალღების მჭრელ აურაცხელ კიდეთა შავ წვერებს რომ გადმოსდებიან, წყლის ზედაპირზე მოქანავე [illegible] ტილოს ნაფხრეწებსა ჰგვანან“. („ოვერდეტაპ“).

თარგმანში კარგად არის გადმოცემული გლეხთა უწყინარი ჰუმორი, მათი ტლანქი ფამილარობა, კარგადაა დაცული მათი ლექსიკის სპეციფიკა. მაგ.: მიკიტანი ტუანი ცოლს ეფერებოდა: „ჩემო დედალო, ჩემო ხონჩავ“. გააფთრებული ძალუა ტუანი ლოგინადჩავარდნილი ქმარს წამდაუწუმ უსაყვედურებს. „მე ისიც მეყოფა, რომ ამ უსაქმურ და დასივებულ ტახუნას ვაჭმევ“.

მთარგმნელი საუცხოოდა გრძნობს უცხოურ ფრაზის ინტონაციას და მას სათანადო ქართული ადეკვატით გადმოსცემს. მაგ: მიკიტანი შიკო მიმართავს ბებო მადუარს: „Cet ferme vous n'voules toujours m'la vendre?“ ქართ. თარგმანი: „თქვენი ფერმა არა და არა უნდა მომყიდოთ?“.

რა თქმა უნდა დედანში არავითარი „არა და არა“ გამოთქმა არ არის, მაგრამ სწორედ ეს თითქოს უმნიშვნელო „არა და არა“ გადმოსცემს ჯიუტი შიკოს დაჟინებას, მის ჩაციებას. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ფრაზაზედაც „უბედურებაა, მა რა არის, მის ხანში ასეთი სენი დასჩემდეს!“

სწორედ ფრაზა „მა რა არის“, რომელიც დედანში სიტყვა-სიტყვით არ არის მოცემული, ზუსტად გადმოსცემს შიკოს ცრუ გულშემატკივრობას.

როგორც ვხედავთ, სასაუბრო სტილი, ლექსიკა და ინტონაცია ორგანულადაა დაკავშირებული გმირის ფსიქიკასთან და ამიტომ მთარგმნელს დიდი სიფრთხილე მართებს მათი ზუსტი ასახვისათვის.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მწერლის ენის რიტმიულ სტრუქტურას.

დიდი მწერლის პროზა ყოველთვის რიტმიულია. იგი ხან ლაღად მიედინება გარკვეულ ჩარჩოებში, ხან ლირიკულ გადახვევებში, სწრაფად იცვლება და წყვეტილი ხდება. ავიღოთ შემდეგი ნაწყვეტი: „როდესაც გაზაფხულის პირველი მშვენიერი დღეები დგება, როცა დედამიწა იღვიძებს, მწვანით იმოსება, ჰაერის სურნელოვანი სითბო ჩვენს კანს ელამუნება, შედის გულმკერდში და თითქოს თვით გულშიც კი გაატანს-ო, ამ დროს მოგვივლის ხოლმე რაღაც ბუნდი სურვილი განუსაზღვრელი ბედნიერებისა, მოგვინდება სირბილი, უგზოუკვლოდ სიარული, ხიფათები და თავგადასავალი, მოგვინდება, შესმა გაზაფხულისა“ („გაზაფხული).

ამ ლირიკულ ნაწყვეტებში ფრაზის ინტონაცია, რომელსაც რიტმიული სტრუქტურის წყო-

ბა განსაზღვრავს, თანდათანობით იშლება, კულმინაციას „ო, ამ დროს მოგვივლის“ ფრაზასთან აღწევს, ხოლო შემდეგ კი ისევ რიტმიულ ტაქტებად ეშვება აბზაცის დასასრულისაკენ.

თედო სახოკია საუცხოოდ გადმოსცემს მოპასანის პროზის რიტმიულ ქარგს, მის შინაგან სტრუქტურას, მაგრამ ამ გადმოცემას იგი არ სწირავს ქართული ენის ბუნებრივ რიტმსა და ბუნებრივ კილოს: იგი უცხოურ მხატვრულ სახეებს გადმოგვცემს სათანადო ქართული ადეკვატებით, მაგრამ ეს ადეკვატები არსად არ დაჰყავს წმინდა ქართულ რეალიებამდე. მან მართებულად შეარჩია ის საშუალო ფორმა, რომელშიდაც ზომიერად შეაზავა ქართული და უცხოური ელემენტები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სახოკიას თარგმანი ძალიან ახლოს სდგას დედანთან, ამიტომ არაადეკვატური თარგმანის ნიმუშები წიგნში ცოტაა. დავკმაყოფილდებით სულ რამდენიმე შენიშვნით.

ნოველა „ბაწრის“ მთავარი გმირი გლეხი ოშკორნი დედანში მოხსენებულია, როგორც „maître Hauchecorne“. სახელწოდება „maître შეესიტყვება ქართულ „ძიას, ბიძიას“. თარგმანში ეს სიტყვა გამოტოვებულია, რის გამოც ამ სახელწოდების სპეციფიკური ფამილარული ნიუანსი ქართულ ტექსტში არ იგრძნობა. იგივე სიტყვა სხვა ნოველებში გადმოცემულია სათანადო ადეკვატით.

ბებო მალუარს („პატარა კასრი“) შემდეგნაირად აღწერს ავტორი „Elle était seche ridée, courbée“ — მთარგმნელი რატომღაც ეპიტეტს seche („გამხმარი“) თარგმნის როგორც „კაპარჩხანას“.

ნოველაში „ძია ბელომის ცხოველი“ ერთ-ერთი მოქმედი პირის შესახებ ნათქვამია: „Un gros pausan lourd qúun boeuf fit plier les ressots“ ქართ. თარგმანი: „ერთმა ჯმუხმა ხარზე უფრო მძიმე გლეხმა, რესორები გაზნიქა“.

ამ წინადადებაში იდიომი სწორედ არ არის გაგებული. ეს გამოთქმა მკითხველისათვის გაუგებარია, რადგან ქართულად არ ამბობენ — ხარზე უფრო მძიმე ადამიანიაო. „Plus lourd qúun boeuf“-ის აზრობრივი შესატყვისი ქართულად იქნება „ტყვიასავით მძიმე, ან კამეჩივით ტლანქი“, ვინაიდან lourd ნიშნავს არა მარტო „მძიმეს“, არამედ „ტლანქსაც“.

ერთერთი მგზავრი ძია ბელომს ყურში ჩაბედავს და წამოიძახებს: „Cré, nom d'un nom, qué marmelade!“ — „დასწყევლოს ღმერთმა რა მარმალადია!“

ქართ. თარგმანი: „დასწყევლოს ღმერთმა, რა დომხალია შიგ!“ არ არის სწორი, სიტყვა „marmelade“ დომხალს არ ნიშნავს, იგი პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი და გულისხმობს ყურში ჩამხმარ [illegible].

მიკიტანს ანტუანს ზედმეტ სახელად შეარქვეს Tione-ma-Fine (ტუან-მა-ფინ) და Brûlot. ეს ორივე ეპიტეტი მის საქმიანობასთანაა დაკავშირებული, რის გამოც აუცილებელი იყო მათი არა ფრანგული სიტყვებით გადმოტანა, არამედ შესატყვისი ადეკვატით ქართულად თარგმნა, მართლაც და რას ეუბნება მკითხველს სიტყვები: „ტუან-მა-ფინი“ და „ბრულო“? რა თქმა უნდა, არაფერს. Fin ნიშნავს საუკეთესოს. ტუანმა რეკლამის სახით, თავის არაყს შეარქვა „საუკეთესო“. კარგი იქნებოდა, რომ მთარგმნელს გამოენახა რაიმე შესატყვისი ეპიტეტი, რომელიც ტუანის ხელობას ან მის რომელიმე ჩვევას გამოხატავდა. იგივე უნდა ითქვას მეორე ეპიტეტის შესახებაც. „ბრულოს“ ქართველი მკითხველი აღიქვამს როგორც გვარს; სინამდვილეში კი brûlot ნიშნავს „მუგუზალს“, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით „შემახურებელს“, ე. ი. არაყს. ამ ეპიტეტების დაცვით მხატვრული სახე, უდავოდ უფრო რელიეფურად ჩაიბეჭდებოდა მკითხველის მეხსიერებაში.

მეთევზე მარტინ-ლევეკის სახლს ვიღაც მაწანწალა შემოეჩვია. დიასახლისი შეეცადა გარეთ გაეგდო დაუპატიჟებელი სტუმარი, მაგრამ „il ne remuait pas plus qúun pieu“. ქართ. თარგმანი: „უცხო კაცი ძლივს იძროდა („დაბრუნება“). თარგმანში არ არის გადმოცემული იდიომი. La pieu ნიშნავს კუნძს. ვთარგმნი სიტყვა-სიტყვით „არ იძროდა, როგორც კუნძი“. ამ იდიომის ქართული შესატყვისია „სვეტივით დაერჭო“.

დიასახლისი აგდებს მაწანწალას. უკანასკნელი ქართულ თარგმანში უპასუხებს: „ნეტავ ვიცოდე, გზაზე ჩამოჯდომა ხომ არ არის დაშლილი?“ თარგმანი ზუსტი არ არის, რის გამოც მთელი წინადადების ინტონაციაც მცდარია, უნდა იყოს: „ნუ თუ გზაზე ჩამოჯდომაც კი არ შეიძლება“? მაწანწალის ხმაში ხვეწნა-მუდარა მოისმის — იგი ხომ არავის არას უშავებს გზაზე ჯდომით. ქართული ტექსტის მიხედვით კი პასუხი საკმაოდ უხეშია.

ტუანის კაპარჩხინა ცოლი დამბლად ჩავარდნილ ქმარს ნიშნის მოგებით წამოსძახებს ხოლმე: „მშვენიერი სანახავი ხარ, შენმა მზემ, მშვენიერი“ („ტუანი“). უნდა იყოს: „ასეც გინდა, ახია შენ თავს“.

ტუანის სახლის შესახებ ქართულში ნათქვამია: „მისი ერთი კიკნა სახლი სასაცილოდ ვიწრო და დაბალი იყო“.

ქართულ ტექსტში გამოტოვებულია ფრაზა „pour le contenir“, რის გამოც მხატვრული

შედარება ირღვევა და გაუგებარი რჩება — რატომ მოსჩანს ტუანის სახლი სასაცილოდ პატარა. სახლი კი სასაცილოდ პატარა მოჩანდა მხოლოდ იმიტომ, რომ მსხვილ-მსხვილ, ჩამრგვალებულ პატრონს იტევდა.

ძია ბელომს ყურიდან რწყილი ამოუღეს და დილიჟანის მგზავრებმა ერთი სიცილ-ხითხითი ასტეხეს. ზოგი სახედარივით ყროყინებდა, ზოგიც ფრუტუნებდა; ხოლო „ორი დედაკაცი ნელა და მხიარულად ხმიანობდა ქათმების რუკრუკის მსგავსად“ („ძია ბელომის ცხოველი“).

თარგმანში აზრი დამახინჯებულია. დედნის მიხედვით, ქალები ნელა კი არ ხმიანებდნენ, არამედ მხიარულად ხითხითებდნენ ქათმების ძოკლე კაკანის მსგავსად.

დამბლადჩავარდნილ ტუანს ადგილზე გადაბრუნება ღა შეეძლო: ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, თავის უმწეობას ტუანი თითონვე დასცინოდა: თავისთავს გეშს ადარებდა და გადაბრუნებისას საზღვაო ტერმინებს ხმარობდა. ქართულ ტექსტში ჰუმორი სრულიად არ იგრძნობა: „ჩრდილოეთისაკენ წასვლა, სამხრეთისაკენ წასვლა“, — უნდა იყოს: „სამხრეთისაკენ იარ! ჩრდილოეთისაკენ იარ!“

ტუანის სამიკიტნოში მუშტრებს წესად ჰქონდათ დადებული პატრონის მიპატიჟება, და ამიტომ ტუანიც მათ წინდაწინ დაუქვითავდა ხოლმე თავის მიერ გამოცდილ ჭიქასაც. ქართულად თარგმნილია „(მუშტრებს) მისი დაპატიჟება კანონად ჰქონდა დადებული და რასაც სვამდნენ, ის სასმელი, თითო ჭიქა იმისთვისაც უნდა შეეთავაზებინათ“.

ქართულ ტექსტში აზრიც დამახინჯებულია და არც ჰუმორი იგრძნობა, რომელიც დედანშია გააზრებული, უნდა იყოს: „ტუან-მა-ფინ, რომლის დაპატიჟება მუშტრებს წესად ჰქონდათ დადებული, წინდაწინ გამოუქვითავდა ხოლმე თავის ერთ ჭიქას (სტუმრების) მიერ დალეულ ღვინიდან“.

უთუოდ ფრანგული ენის გავლენას უნდა მივაწეროთ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ხმარება იქ, სადაც ქართული კონტექსტი ამის საჭიროებას არ მოითხოვს, მაგ.: „დედაბერმა... მიკიტანს გაცვეთილ ქუთუთოებში ჩამჯდარი თავისი მკვირცხლი თვალი მიაჭყიტა („პატარა კასრი“).

რა თქმა უნდა ქართულ ტექსტში კუთვნილებითი ნაცვალსახელი „თავისი“ ზედმეტია. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ წინადადებაზედაც: „(ტუანი) თავისი ეშმაკური თვალებით იცინოდა“ („ტუანი“).

უთუოდ იგივე გავლენას უნდა მივაწეროთ აგრეთვე ზოგიერთი, ქართული ენისათვის უხერხული გამოთქმა, რომელიც გვხვდება თარგმანში.

მთარგმნელი, სადაც კი შესაძლებელია, ცდილობს არ დაარღვიოს მოპასანის პროზის რიტმიული სტრუქტურა, მაგრამ ზოგჯერ ამ სტრუქტურის ასლი ქართულში მეტისმეტად ხელოვნური გამოდის. მაგალითად:

„კარგ გუნებაზე დამდგარი კაცის სახით“ („პატარა კასრი“).

„მხიარულებისაგან გონება-წართმეულები“ („ტუანი“).

„ტუანი იფარავდა თავს ცოლის ცემისაგან“ („ტუანი“).

„წინ წასდგა მღვდელი... ლურჯმოწითალო პირისახის, საამური შესახედაობის კაცი“.

უხერხული თქმაა აგრეთვე:

„ქალაქი... დაკიდულია ზღვაზე“ („ვენდეტა“).

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი შეუსაბამობა დედანსა და თარგმანს შორის ცალკეული და შემთხვევითი ხასიათისაა.

თ. სახოკიას თარგმანი ზუსტად და ამავე დროს მხატვრულად გადმოგვცემს მოპასანის სტილის თავისებურებებს, გადმოგვცემს მის გონებამახვილ, მწარე ირონიანარევ ჰუმორს, რომელიც მწერლისათვის კრიტიკის მძლავრ იარაღს წარმოადგენს. ჩვენი მკითხველი უდიდესი კმაყოფილებით წაიკითხავს ამ ნოველებს.

მ. იანჟოშვილი.

ᲬᲘᲚᲘᲡ 8 ᲘᲜᲕ.

29
КНИЖНАЯ ПАЛАТА
2 1.12 ᲛᲗ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ"

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ